



ჩვენს მწერს

გამოდის თვეში ორჯერ პარასკევით

ფასი 1,50 ლარი

15 ნოემბერი 2013

№23 (205)

საუბარი კონსტანტინე ზ. გამსახურდიასთან
 იოსებ ჭუმბურიძის რეპორტაჟი აჭარიდან
 თეიმურაზ დოიაშვილი გალაკტიონზე
 ემზარ კვიციანიშვილი ოთარ ჩხეიძეზე
 ჯარჯი ფხოველის ჩანაწერები
 ვირტუალური ურთიერთობანი
 ნოდარ ხონელიძის მოთხრობა
 ლალი ხვედელიანის ლირიკა
 მარიამ შიკლაურის ლექსები
 ჭორაციუსის ოდები
 მუშტების თეორია
 ვინ ვის ებრძვის?!



შინაარსი

ბალაჰონოლოგია	2	თეიმურაზ დოიაშვილი მე მიმოზა დავინახე...
სამომავლოს გრძობა განსაკვირვებელი	4	იოსებ ჭუმბურიძე ...მამბრამ როსტომიც რომ მართალია? (რეპორტაჟი აჭარიდან)
მსპრეს-ინტერვიუ	6	კონსტანტინე ზ. გამსახურდია „რაც შენში ღვთის ხატი და მსგავსებაა“ (მომამზადა მაკა ჯაფარიძემ)
თვალსაზრისი	7	გია არგანაშვილი ვინ ვის ებრძვის?!
პროზა	8	ლანა მანველი ვირტუალური ურთიერთობანი
	10	ნოდარ ხონელიძე ბუხართან (ო'ჰენრის გახსენებისას, ცოტა — დეკარტისას და კიდევ...)
პოეზია	24	მარიამ ნიკლაური იორო და სხვა ლექსები
	28	ლალი ხვედელიანი დაუვინყარი და სხვა ლექსები
ჩანახატი	31	ეკატერინე ტუკვაძე ფეხბურთი და მეცხრა ბლოკი
უსხოეთის ცხოვრებიდან	32	„არ მიყვარს საკუთარ გრძობაზე ლაპარაკი“ (ჯოდი დაინარს ესაუბრება მაქს ფრიში)
მომგონებათა სკივრი	34	ირაკლი ვაშყემაძე სინარულიან დღეთა გახსენება
რეპორტაჟი	36	ეკა ბუჯიაშვილი ერთიანი შთაგონებით შექმნილი (პავლე ინგოროყვას დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია)
	44	გია მურღულია „ცამცა განდარბაზისა!“
უბის წიგნაქიდან	45	ნინო დოლიძე ფამადიჰანა — სულის დაბრუნება
ახალი რომანი	46	ემზარ კვიციანიშვილი ნიადაგ სამშობლოს კედელ დაფიქრებულნი (ოთარ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი ლორდ ბაირონზე)
კრიტიკა	49	გურამ გოგიაშვილი „სახეზეა ქართული აზროვნების უნაყოფოების ნათელი ნიშნები“ ანუ ყვარყვარისი და ტარორისი მეცნიერებაში და მეცნიერების პროფანაციის მავალითები
სადისაქსიო დარბაზი	52	როსტომ ჩხეიძე მუშტაბის თეორია (ბიოგრაფიული რომანიდან „ვითა სიზმარი ღამისა (რევაზ გაბაშვილის ცხოვრების ქრონიკა)“
წუთები და წლები	56	ჯარჯი ფხოველი ხელის-გულის ანაბაჭდები
ფიქრი და განსჯა	59	თამარ შაიშველაშვილი „მოდო, ნავიღეთ აფრიკაში!“ (ქართველი ქირურგი ნიანგებისა და ჰიპოპოტამების ქვეყანაში)
ბაჟი კასისა	62	მურმან ჯგუბურია ცოტა რამ დიდი სათქმელის გარემო
გამონათქვამი	63	თამარ გურგენიძე სემინარი გრძობაზე... — ამჯერად „ღირსება“
ახალგაზრდობა, ან კი თქვენი	64	კვინტუს ჰორაციუს ფლაკუსი ოქტავი
პოეზიის მარილიანები	67	'იზო ად-დინ ალ-მადანი კანდალი
უსხოური ნოველა	70	ნათია ნატროშვილი არ უნდა აშენდეს გიგანტური ჰენსები!
ჩვენი ყოფა, წუთისყოფი	71	ციცერონი
მოუაია		



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი
გამოვა 29 ნოემბერს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
ომაგა თავი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კვიციანიძე

გარეკანზე: არაბული სამყარო
ირაკლი შუბაშვილის კომპიუტერული გრაფიკა

თეიმურაზ დოიაშვილი

მე მიმოზა დავინახე...

მიმოზას ხსოვნას

გალაკტიონის სიყვარული ყვავილებისადმი, ასე მომხიბლავდა რომ ათვალსაჩინოებენ მშვენიერებას ბუნებაში, საყოველთაოდაა ცნობილი, ამიტომ მის მრავალსახოვან პოეტურ ფლორაში ეგზოტიკური მიმოზას გამოჩენა სულაც არ არის მოულოდნელი. გვიანდელ ლექსებში ეს ნაზი, სულიერებით მორცხვი მცენარე, — დაფნების, ბუების, პალმათა გარემოცვაში მოქცეული, — რბილი სიყვითლით ანათებს მშობლიურ დასავლურ პეიზაჟს, სიჭაბუკის ხანის ლირიკაში კი ნყნარი, განდგომილი არსებობის სიმბოლოა. დაუვინყარია ასეთი პოეტური ხილვაც:

**ქალაქში, მტვერში წაიქცა ბავშვი
ნუკრის თვალებით, თმით — მიმოზებით...**

გალაკტიონის ლირიკულ ტექსტებში მიმოზა, როგორც წესი, პოეტური სტრუქტურის დამხმარე ელემენტია, გარდა ერთადერთი შემთხვევისა, როდესაც იგი ნაწარმოების საყრდენი სახე-სიმბოლოა. მხედველობაში მაქვს ლექსი „თვით მიმოზა“, რომელიც ავტორის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ — 1914 წლის კრებულში დაიბეჭდა და, პირობითად, პირველი პუბლიკაციის მიხედვით თარიღდება.

„თვით მიმოზა“ არამცთუ პოეტის შედეგებს შორის, პირველი ნიგნის კონტექსტშიც ვერ ჩაითვლება რაიმე ნიშნით გამორჩეულ ნაწარმოებად. მოგვიანებით, — სავარაუდოდ 1944 წლის „რჩეულის“ მომზადებისას, — გალაკტიონმა ჩანაწერში „1914 წლის ნიგნიდან“ ამ ლექსის სათაურის გასწვრივ მიაწერა: „თვით მიმოზა“ — უნდა დიდი შესწორება“. ასეთი დიდი შესწორება, — არცა მცირე, — პოეტს არ განუხორციელებია, ამიტომ ტექსტი მის სიცოცხლეში განმეორებით აღარც დაბეჭდილა.

ზემოთქმულის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ ჩვენთვის საინტერესო ლექსმა თავის დროზე ავტორისეულ შერჩევას მაინც გაუძლო, როდესაც, ათობით უარყოფილი ტექსტისაგან განსხვავებით, პირველი ნიგნის ფურცლებზე მოხვდა.

გალაკტიონის ადრეული ლირიკის ამ ნიმუშის მიმართ ინტერესი პოეტის ახალ აკადემიურ გამოცემაზე მუშაობის პროცესში გაჩნდა, როდესაც ლექსის გენეზისისა და ზუსტი დათარიღების პერსპექტივა გამოიკვეთა.

ათსტრიქონიანი „თვით მიმოზა“, დაწერილი ორტაეპიანი სტროფებით, კომპოზიციურად პარალელიზმის პრინციპითაა აგებული. პირველ ორ სტროფში მიმოზას სახე-სიმბოლო დომინირებს, სიმბოლოს შინაარსია გახსნილი, მომდევნო ორი სტროფი ლირიკული სუბიექტის ყოფიერების არსს წარმოაჩენს, ბოლო, დასკვნით ორტაეპედში კი თემის განზოგადება ხდება.

ლექსის დასაწყისში მიმოზას სახე ემპირიულ პლანში იხატება, როგორც უდაბურ, შიშველ მთაზე აღმართული მარტოხე, თუმცა მეორე სტრიქონშივე ჩნდება პერსონიფიკაციაზე მინიშნება, მინიშნება ეულ, უთვისო პიროვნებაზე („მარტო იყო... ნათესავი არ გააჩნდა ქვეყანაზე“).

მეორე სტროფში გამოიყოფა მკვეთრი ოპოზიცია: ძირს — მალლა, ბარი — მთა, ქვეყნიური ვნებანი — ზექვეყნიური მარტოობა:

**ძირს კი, სადაც ქვეყნიური ვნების ხმები
სულს სწამლავდა,
მარტოობა არ სუფევდა... მეგობარი
ყველას ჰყავდა.**

ამგვარ კონტექსტში მიმოზას სახეს ახალი შტრიხები ემატება — იგი აღიქმება, როგორც სიმბოლო სანუთროს ცდუნებებს განრიდებული არსებისა, ვინც ცოდვით შეკავშირებულ საზოგადოებაში ყოფნას მთის სიმაღლე და ნებაყოფლობითი მარტოობა არჩია.

ლექსის ლირიკული სუბიექტი მიმოზას პოეტურ სახებასა და საკუთარ ბედს შორის სრულ ანალოგიას პოულობს, რასაც მწარე დასკვნამდე მიჰყავს:

**სამშობლოსთვის შენ უცხო ხარ და უცხოა
იგი შენთვის...**

„სამშობლო“, ნაწარმოების სახისმეტყველების გათვალისწინებით, აქ შეიძლება დაკონკრეტდეს, როგორც „ბარი“ — ვნებებით შეპყრობილთა საცხოვრისი, რომელიც ისევე უცხოა მთაზე განმარტოებული მიმოზასა და ლირიკული სუბიექტისათვის, როგორც ისინი არიან უცხონი მიწიერი სინამდვილისათვის.

დასკვნით ორტაეპედში, როგორც ითქვა, განზოგადებული ტრაგიკული ბედი ფაქიზი სულისა და გრძნობის, სულით ობოლი ადამიანისა, ვინც ქვეყნიური გატაცებებისადმი უნდობლობით არის გამსჭვალული:

**ის ყოველთვის მარტო არის, ვისიც სული,
ვისიც გრძნობა
ფაქიზია... და ქვეყნიურ გატაცებებს
ვერ ენდობა.**

ლექსის ანალიზის შემდეგ, ვფიქრობ, მიმოზას, როგორც სახე-სიმბოლოს შინაარსი იმდენად ნათელია, რომ სიტყვის გავრცობას აღარ საჭიროებს.

„თვით მიმოზას“ შექმნას, ჩემი ვარაუდით, იმპულსი მისცა გალაკტიონის ახალგაზრდობის უახლოესი მეგობრის — მიხეილ ბოჭორიშვილის მოთხრობამ „მიმოზა“, რომელიც მათ მიმონერაში სამგზის მოიხსენიება.

1912 წლის 28 მაისით დათარიღებულ მოზრდილ წერილში მ. ბოჭორიშვილი, საკუთარ ცხოვრებისეულ პრობლემებსა და ლიტერატურულ გეგმებზე საუბრისას, გალაკტიონს ეკითხება: „გალაკტიონ! რა უქენი ჩემს „მიმოზას“? მე ყოველ ნომერს ვკითხულობ „თემისას“ და ხშირად მაცინებს გერის სილუეტები. თუ გიყვარდე, შემომითვალე, რა უქენ მას“.

ირკვევა, რომ მიხეილს გალაკტიონისათვის გაგზავნილი ჰქონია ნაწარმოები სათაურით „მიმოზა“, ჩანს, იმ მიზნით, რომ გალაკტიონი მას სადმე დაბეჭდავდა. მ. ბოჭორიშვილი იქვე ახსენებს გაზეთ „თემს“ და არცთუ შემთხვევით: ჯერ კიდევ 1910 წელს „თემში“ გაგრძელებებით გამოქვეყნდა ცხრამეტი წლის გალაკტიონის ვრცელი პოემა „მწყემსი“, ხოლო 1912 წელს ამავე გაზეთის მიერ გამოცხადებულ კონკურსში ჭაბუკი პოეტის ლექსმა „უხილავი“ აღექვსანდრე აბაშელის ლექსის შემდეგ ყველაზე მეტი ხმა მიიღო. ასეთი წარმატების გამო გალაკტიონი „თემის“ რედაქციისათვის, უდავოდ, ანგარიშგასანევი ავტორი გახდა, ამიტომ, მიხეილმა, როგორც ჩანს, თავის უკვე სახელის მქონე მეგობარს მოთხრობის დაბეჭდავაში დახმარება სთხოვა. ისიც შეიძლება, რომ გალაკტიონმა თავად შესთავაზა მას რედაქციის წინაშე შუამდგომლობა. ფაქტია, რომ მ. ბოჭორიშვილი „თემის“ ყველა ნომერს კითხულობს, ალბათ, არა იმდენად გერის სილუეტების გასაცნობად, — გერი, ი. გრიშაშვილის „ფსევდონიმთა ლექსიკონის“ მიხედვით, ჭოლა ლომთათიძეა, — რამდენადაც „მიმოზას“ დაბეჭდვის მოლოდინში.

გალაკტიონის პასუხის ამო ცდაში ხუთმა თვემ განვლო და მიხელო ბოჭორიშვილი 1 ნოემბერს კიდევ ერთ წერილს უგზავნის მეგობარს. მოუწყობელ ცხოვრებასა და ბედზე მომჩინივანი მიხელო ამ წერილშიც ასხენებს თავის მოთხრობას: „თუ შევძელ, მიწა „მიმოზა“ გამოვცე წიგნაკად, მაგრამ როდის, როდის უნდა ვიშოვო ფული?“ რამდენიმე სტრიქონის შემდეგ ამას მოკრძალებული თხოვნა მოსდევს: „გალაკტიონ, თუ დრო იშოვო როდისმე, გადაათვალიერე „მიმოზა“ და ენა გაასწორე. რომ როგორმე გამომიგზავნიდე, კარგს იზამ, შევამუშავებდი“.

მ. ბოჭორიშვილს, აშკარაა, იმედი გადაეწურა, რომ „თემში“ გალაკტიონის დახმარებით დაიბეჭდებოდა „მიმოზა“. წერილში ის უკვე მოთხრობის წიგნაკად გამოცემაზე საუბრობს, მაგრამ, ჩემი აზრით, გაჭირვებული, უფულო კაცი აქ, უბრალოდ, იმიზეზებს ამას, რომ ხელნაწერი მაინც არ დაეკარგოს, დაიბრუნოს იგი ამგვარებში არცთუ პუნქტუალური გალაკტიონისგან.

მთელს ამ ამბავში ჩემთვის საინტერესო უფრო სხვა რამაა: ის კი არა, რატომ ვერ/არ დაეხმარა გალაკტიონი ახლო მეგობარს, არამედ ის, თუ რატომ დუმს იგი, შთაბეჭდილებას მაინც რატომ არ უზიარებს მომლოდინე ავტორს.

1912 წლის გაზაფხულზე თავად გალაკტიონი აღმოჩნდა უმძიმეს მდგომარეობაში, რის გამოც უფროსი ძმის — აბესალომის მოთხოვნით დატოვა ქუთაისი, მიატოვა იქაური ლიტერატურული ცხოვრება და მშობლიურ წყევში განმარტოვდა. ამის შესახებაც სწერს იგი მ. ბოჭორიშვილს დაგვიანებულ საპასუხო წერილში:

„როგორ ვცხოვრობდი? რომ მომაგონდება, ტანში ჟრუანტელი მივლის, აბა წარმოიდგინე ნახევარჯერ მშვიდი, მწყურვალი, თითქმის ტიტველიც... დღე არ გავიდოდა, რომ რაიმე დამარცხება არ მიმელო, რაიმეში არ მოვტყუებულყავ... ამას დაუმატე რაი-სასადმი მზურვალე გრძნობა, რომელიც არაფერს არ მაძლევდა და წარმოიდგენ, ღმერთს გეფიცები, სულ ცოტადა მაკლდა შეშლას, სულ ცოტა... პირდაპირ შევიშლებოდი, რომ ჩემი ძმა არ ჩამოსულიყო და სულ ძალით არ წავეყვანე სოფელში...“

ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი, თავად საპატრონო გალაკტიონი, ცხადია, სხვის პატრონად და მიმხედავად ვერ გამოდგებოდა, მაგრამ, გავიმეორებ, „მიმოზას“ შესახებ საკუთარი შთაბეჭდილება მაინც რატომ არ მისწერა მეგობარს, რატომ დუმდა? რა იყო ამის მიზეზი — აპათია, მოუცლევლობა, გულგრილობა?!

მიზეზი, ჩემი ფიქრით, სულ სხვა უნდა ყოფილიყო: გალაკტიონმა მოთხრობა, რასაკვირველია, წაიკითხა, მაგრამ არ მოეწონა. რა ექნა, დაჩაგრულ, უსასოობაში ჩავარდნილ კაცს, მწერლობაში დამკვიდრების იმედიტლა რომ სულდგმულობდა, საბოლოოდ ხომ არ მოუწყლავდა გულს პირუთვნელობით და... მან დუმილი ამჯობინა.

მიხელისგან მეორე, ნოემბრის წერილის მიღების შემდეგ გალაკტიონი მიხვდა, რომ პასუხისთვის თავის არიდება აღარ შეიძლებოდა — მეგობრის წერილში მოიარებით, მაგრამ მაინც უნდა წყენა: „გალაკტიონ, თუ დრო იშოვო როდისმე, გადაათვალიერე „მიმოზა“... გალაკტიონს აღარ დაუყოვნებია და, ცხოვრებაში, ალბათ, უგრცესი, რვაგვერდიანი წერილი დაწერა. ამ ცნობილ წერილში, რომელიც საყურადღებო მასა-

ლას შეიცავს ახალგაზრდა პოეტის იმჟამინდელი სულიერი მდგომარეობისა და შემოქმედებით ჩანაფიქრთა შესახებ, იგი, ბოლოს და ბოლოს, ადრესატის მოთხრობასა და მის მთავარ პერსონაჟზე — მიმოზაზეც გამოთქვამს აზრს. გალაკტიონის შეფასება და მსჯელობა, თუ ნაწარმოების შინაარსს და მხატვრულ ღირსებას გავითვალისწინებთ, იმდენად მოულოდნელი და უცნაურია, რომ საკითხში გასარკვევად მცირე რამ უნდა ვთქვათ მ. ბოჭორიშვილის მოთხრობაზე.

„მიმოზა“ ეპისტოლარული ფორმის თხზულებაა, რომელშიც მშვენიერი გიმნაზიელი გოგონა, ამაყი და ეგოისტი, თავისი ცხოვრების ამბებს წერილებით ამცნობს მეგობარს, ვინმე ზინას. ბარათიდან ბარათამდე ჩვენ წინაშე თანდათანობით ინაკვებება სილამაზით თავმომწონე, ფუქსავატი, სულიერებისგან დაცლილი, სექსუალური თავგადასავლების მოყვარული



მხატვარი კარლო ფაჩულია

აბალგაზრდა ქალი — მორალურად დეგრატირებული საზოგადოების ხორცი ხორცთაგანი, ვინც, საბოლოო ჯამში, საკუთარი თავქარიანობის, სხვათა გარყვინლებისა და მგოსანი ქმრის სულმდაბლობის მსხვერპლი ხდება.

მხატვრული თვალსაზრისით, „მიმოზა“ ტიპური ნიმუშია ბანალური, მოვლენათა ზედაპირზე მცოცავი რეალიზმისა, ტრაფარეტული სიუჟეტის მქონე და სტილურ-გამომსახველობითი ფორმის მხრივ — ლარიბი. „ახალი პროზის“ გამოძახილი აქ ე.წ. ემანსიპირებული ქალის სექსუალურ მიდრეკილებათა დეკლარირებაში თუ შეინიშნება.

ასეთი თემატურად და სტილურად მოძველებული მოთხრობა შეუძლებელია მოსწონებოდა ჭაბუკ გალაკტიონს, რომელიც არც ეკმოვნებასა და კრიტიკულ ალღოს იყო მოკლებული და თანამედროვე მოდერნისტული პროზის ტენდენ-

ციებსაც მეტ-ნაკლებად იცნობდა. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ ითქვა, უცნაური რამ მოხდა — მობოდიშების შემდეგ პოეტი თავის დაგვიანებულ აზრს ასე ამცნობს ავტორს: „იცი, ეს მოთხრობა შემეყვარდა რაღაც, ოთხჯერ მაინც გადავიკითხე“!

ემოციურ შეფასებას მწყობრი მსჯელობა მოსდევს, კერძოდ, განმარტება იმისა, თუ რა მოეწონა გალაკტიონს. იგი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ მიმოზას ტიპი „ჩვენი, ქართული არ არის“, მაგრამ რაც ხიბლავს პერსონაჟში, ეს „ჩუმი, დაფარული მელანქოლიაა, რომელიც იქაც კი იჩენს თავს, სადაც ვითომ სიხალისე მეფობს“. გალაკტიონი უფრო შორს მიდის და კვაზისიხალისის მიღმა მიგნებულ მელანქოლიას, ასე ვთქვათ, სათავეს უძებნის: „ეს მისი სიამაყე — წერს იგი, — რაღაც სხვა, უფრო ძლიერი გულის სევდითაა გამოწვეული, დაუკმაყოფილებლობით, ვნებით, ადამიანისადმი სარკასტული დაცინვით და რაღაც სასწაულებრივ მოლოდინში გარინდებულ გრძნობით“.

პერსონაჟისა და მისი ხასიათის ამგვარი ინტერპრეტაციის შედეგად ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ჩვენ წინაშე იდგეს რომანტიზმის გმირი, ქალად გადაცმული ბაირონის დონ-ჟუანი — იმედგაცრუებული, დაუკმაყოფილებელი, სევდიანი, მელანქოლიური, ამაყი, ვნებიანი, საზოგადოებისადმი სარკასტულად განწყობილი, — და არა ფუქსავატი, ხორციელი ავანტიურების მაძიებელი, ბოკაჩოს ყველაზე პიკანტური ნოველების მალმერთებელი მიმოზა.

რით ან როგორ უნდა აიხსნას ასეთი მკვეთრი შეუსაბამობა მოთხრობასა და ინტერპრეტაციას შორის?

გალაკტიონმა უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი მეგობრისათვის სიმართლის სათქმელად, ჩემი აზრით, ძალიან თავისებური, მე ვიტყვოდი, პარადოქსული გზა აირჩია. იგი არ ეუბნება ავტორს, რომ მისი ნაღვანი არ მოეწონა, პირიქით, მოთხრობას ისეთ „სიღრმეში შეფარულ“ ღირსებებს მიაწერს, რომელიც ნაწარმოებს რეალურად არ გააჩნია. გალაკტიონის უცნაურ ინტერპრეტაციაში, არსობრივად, მისი ესთეტიკური პოზიცია გამყვანებული, ანუ ის, თუ როგორი გმირის ხილვა სურდა მას, და არა მოთხრობის პერსონაჟის მის მიერვე გამოგონილი თვისებებით აღტაცება.

ამდენად, გალაკტიონის პოზიტიურ შეფასებაში შეფარულად მოცემულია კრიტიკა, მინიშნება იმაზე, რომ ბანალური რეალიზმის ადეპტთა მიმბაძველობას ახალ დროში რომანტიკული ხედვა და რომანტიკული ტიპი უნდა ჩაენაცვლოს. თავისი სამზერიდან პოეტი სწორედ ამგვარად ტრანსფორმირებულ მიმოზას წარმოისახავს და არა ამაოების წუმბეში შესული, ვნებებს აყოლილი ქალის ტრაგედიას.

ლექსი „თვით მიმოზა“ მიხეილ ბოჭორიშვილის „მიმოზას“ ნაკითხვის შემდეგ აღძრული ემოციებისა და განსჯის შედეგი მგონია, ოღონდ — დიამეტრულად საპირისპირო მოთხრობის ჩანაფიქრისა და შინაარსისა. გალაკტიონის ლექსის მიმოზა პოეტური ხორცშესხმაა მისივე ინტერპრეტაციისა — ესაა სიმბოლოდქცეული რომანტიკული სახე, სრული ანტიპოდი „ქვეყნიურ ვნებით მონამლული“ პირველწყაროს მიმოზასი. სწორედ გალაკტიონის მიმოზას ახლავს „ჩუმი, დაფარული მელანქოლია“, ცხოვრებისაგან გამდგარი მარტოსულის სიამაყე და, რაც მთავარია, „რალაც სასწაულებრივ მოლოდინში გარინდებული“ რომანტიკული გრძნობა, ე.ი. ყოველივე ის, რასაც — მოთხრობის რეალიზების სრული უგულვებლყოფით! — მიანერს ინტერპრეტატორი მ. ბოჭორიშვილის პერსონაჟს.

ლექსის პირველივე სტრიქონით — „მე მიმოზა დავინახე უდაბურ და შიშველ მთაზე“ — პოეტი თითქოს დიალოგში შედის პროზაიკოსთან, ამცნობს, რომ მის ხილვაში მიმოზა მალალ მთაზეა აღმართული და არაა ესაქმება „ქვეყნიურ ვნებით მონამლულ“ ბართან.

გალაკტიონისეული დადებითი შეფასება მოთხრობისა რომ შეფარული პოლემიკაა ნაწარმოების ავტორთან და არა შედეგი უსაზღვროდ სუბიექტური ინტერპრეტაციისა, კარგად ჩანს პოეტის ადეკვატური მსჯელობიდან მთავარ პერსონაჟზე, როგორც ქალის ფსიქოლოგიურ ტიპზე. გალაკტიონის ზუსტი შეფასებით, მიმოზა საკუთარი ვნებების, ფანტაზიებისა და ამით გამოწვეული „სისწორეს მოკლებული“ ნაბიჯების მსხვერპლი გახდა.

კარგადაა ცნობილი, რომ გალაკტიონისთვის უცხო არ იყო ლექსის შექმნა ლიტერატურული შთაბეჭდილებებით. მ. ბოჭორიშვილისადმი გაგზავნილ წერილში, იგი, სხვათა შორის, ამასაც სწერს ადრესატს: „ხშირად რომელიმე წიგნს ვკითხულობ და, ხომ იცი, რა ხდება წიგნის კითხვის დროს: გაჰყვები მოქმედ პირებს და არაფერი არ გახსოვს, უეცრად რალაც ახალი ფიქრი გამოგიქროლებს“... ალბათ, მსგავსი რამ მოხდა მეგობრის მოთხრობის ნაკითხვის დროსაც — პერსონაჟის ცხოვრების გაცნობასა და გააზრებას „ახალი ფიქრის“ გამოქროლება მოჰყვა... დაიბადა „თვით მიმოზა“, როგორც ბანალურ-რეალისტური ხედვის უარყოფელი, რომანტიკული იდეალის დამამკვიდრებელი ლექსი. ეს უნდა მომხდარიყო მიმოზერის ახლო ხანებშივე — 1912 წლის ბოლო თვეებში. ამ თარიღს გვკარნახობს ლექსის სტილი და ვერსიფიკაცია — მოდერნიზებული თექვსმეტმარცვლადი ორტაყბიანი სტროფიკით, სწორედ 1912 წლიდან რომ მკვიდრდება გალაკტიონის ადრეულ ლირიკაში.

P.S.

რაც შეეხება მიხეილ ბოჭორიშვილის მოთხრობას „მიმოზა“, რომლის დაბეჭდვა „თემში“ გალაკტიონმა 1912 წელს ვერ მოახერხა, შემდეგ წელს კი დახმარებას ვეღარც შეძლებდა გაზეთის რედაქციასთან ჩამოვარდნილი სერიოზული უთანხმოების გამო, იგი არ გამქრალა, არ დაკარგულა, როგორც ამას მ. ბოჭორიშვილისადმი გაგზავნილი გალაკტიონის წერილის პირველი პუბლიკატორი ქეთევან ხაჩიაშვილი ფიქრობდა (ჟურნალი „ცისკარი“, 1962, №11). მოთხრობა დაიბეჭდა 1914 წლის მარტში, ნიკო კურდღელაშვილის რედაქტორობით გამომავალი „სახალხო გაზეთის სურათებიან დამატებაში“ (№198, 199).

იოსებ ჭუმბურიძე

...მაგრამ როსტომიც რომ მართალია?!

(რეპორტაჟი აჭარიდან)

ეს დღე ფრიდონ ხალვაშს ეკუთვნის. თბილისიდან სამნი მივდივართ: ივანე ამირხანაშვილი, როსტომ ჩხეიძე, მე.

ამდენივე ქუთაისში შემოგვიერთდება: გიორგი თავაძე, ელგუჯა თავბერიძე, გია ხოფერია.

ბათუმი კრიალა ცითა და ისეთი მშვიდი ზღვით გვხვდება, რომ „აღარც გვახსოვს, იყო თუ არა“...

ყველაფერი საფლავით მთავრდება? თუ იწყება?

ფრიდონ ხალვაშის საფლავი ეკლესიის ეზოშია. ორი მხრიდან მზე დაჰნათავს;

ორი მხრიდან — დიდი ხეების ჩრდილი ადგას. საფლავზე სხვადასხვა ზომის ლოდებია.

მათზე ალაგ-ალაგ პოეტური სტრიქონებია მიქარგული („მითხარ, როგორაა მემლექეთი“ და სხვა)...

მასპინძლებიც, ბუნებრივია, აქ დაგვხვდნენ: ფრიდონ ხალვაშის შვილები — მერი, მზია, ზაზა; პოეტები დავით თედორაძე და ვახტანგ ლლონი.

ერთმანეთს თვალებით ვეუბნებით, რომ საფლავი ყოველთვის არ ნიშნავს „სიცოცხლის წერტილს“ (ზაურ ბოლქვაძე).

ზოგჯერ ის უკვდავების კარიბჭედ იქცევა. ცოტა ხნის შემდეგ ზაზა ხალვაში ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტისკენ მიგვიძღვება და ქუჩის გადაღმა მდგარ უმშვენიერეს შენობაში შევყავართ. რა არ გადახდენია თურმე ამ შენობას, რას არ უპირებდა თურმე ან უკვე ყოფილი ხელისუფლება, მაგრამ მთავარი ისაა, რომ დღეს ის სახელოვნებო უნივერსიტეტის კუთვნილებაა.

ზაზა ხალვაში აქ პრორექტორია. რექტორი კი ისტორიკოსია — პროფესორი ერმილე მესხია. სწორედ აქ, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში უნდა მოვისმინოთ ორი მოხსენება: როსტომ ჩხეიძემ ფრიდონ ხალვაშის ჩანაწერებზე („გუმინ“) უნდა ისაუბროს, ელგუჯა თავბერიძემ კი — მის ავტობიოგრაფიულ რომანზე („ომრი“).

თუმცა როსტომს „ომრი“ არ ეხება, მაინც ვერ მოითმენს და ამ ავტობიოგრაფიულ რომანს ფრიდონ ხალვაშის შემოქმედების გვირგვინს უწოდებს. შემდეგ კი თავის მოხსენებას ნაიკითხავს. მოხსენება პირობითად ითქმის, თორემ ესაა კლასიკური ესეი, თავისი არქიტექტურით, ემოციურ-ესთეტიკური ასპექტებით, პიროვნული დამოკიდებულების გამჟღავნებით... მასში ნათქვამია, თუ როგორ გაკენლა განაწყენებულმა პოეტმა ივანე ამირხანაშვილი ერთი გახმაურებული სტატიის გამო და, ამის მიუხედავად, როგორ იქცა ეს



მერი, მზია და ზაზა ხალვაშები

არაჩვეულებრივი კრიტიკოსი მისი ჩანაწერების შემდგენლად და წინასიტყვაობის ავტორადაც, როგორ „გადაუხადა“ პოეტმა „სამაგიერო“ თამაზ ჩხენკელს და სხვა.

ეს ესეი გამოქვეყნდება და ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ასევე გამოქვეყნდება ელგუჯა თავბერიძის მოხსენებაც ანუ ესეი, რომელშიც ბიოგრაფიული რომანი „ომრი“ იქნება განხილული.

აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რაც ელგუჯამ ხაზგასმით აღნიშნა: „რომანში ჩართულ არაერთ ნოველას ხელს მოაწერდა ნებისმიერი დიდი პროზაიკოსი“.

იმ დღის „ფორმატი“ გამოსვლებს არ ითვალისწინებდა, მაგრამ ბათუმელებს გული როგორ მოუთმენდათ, რომ ორიოდ სიტყვა მაინც არ ეთქვათ, თანაც ისე, რომ ამ ორიოდ სიტყვით ფრიდონ ხალვაშისადმი თავყანისცემაც გამოეხატათ და მომხსენებლებისადმი მადლიერებაც.

დავით თედორაძეს უჭირს იმ აზრთან დათანხმება, რომ „ომრი“ ფრიდონ ხალვაშის მთავარი ნაწარმოებია. სამაგიეროდ როსტომს არ ეძნელება „ოპონენტის“ მოგერიება — მე შემოქმედების გვირგვინი ვუნდოდე და ეს სხვადასხვა რამ არის.

ჩანაწერები გვიდასტურებს, რომ მაინცდამაინც არც თავად პოეტს გახარებია თამაზ ჩხენკელისგან მსგავსი აზრის მოსმენა.

აქ უკვე მე ვამბობ: კარგად მესმის „ომრით“ როსტომის გულწრფელი ალტაცება, მაგრამ ზემოხსენებული აზრის „გაპროტესტებაც“ ადვილი გასაგებია: ფრიდონ ხალვაში, უწინარესად, პოეტია, თანაც ქართველი პოეტი. საქართველოში კი ყველაზე უტყუარი უკვდავება პოეტის უკვდავებაა. ჩვენ სომ ერთი ლექსით უკვდავების მაგალითიც გვახსოვს. ფრიდონ ხალვაშის ხსენებისას, უპირველესად, მისი ლექსები გავგახსენდება:

მითხარ, როგორაა მემლექეთი,
ჩემი სანატრელი საქართველო,
რამე იმნაირი გამაგონე,
გული დაკოდილი გავამრთელო...

ან:

მე მარადილში დამრჩა მარჯვენა,
ხიხანის ციხედ ვიყავ ქვეული
და შენი სიტყვის გადასარჩენად
ილენებოდა ჩემი სხეული.

ამას რომ ვამბობ, ვხედავ, რა სიხარულით მეთანხმება ზაზა ხალვაში.

მაგრამ როსტომიც რომ მართალია?!

მერედა, ამაზე გასახარი რა უნდა იყოს?! — დიდებული პოეტის დიდებული რომანი!

გამოსვლები კვლავაც იქნება: **ბადრი თევზაძე** იმ დღეებს მოიგონებს; ბატონი ფრიდონი მასთან და რამდენიმე ახალგაზრდა ლიტერატორთან წინასწარვე რომ ამონებდა ავტობიოგრაფიული რომანის ცალკეულ ეპიზოდებს; ვახტანგ ლლონტი ფრიდონ ხალვაშისადმი მიძღვნილ ლექსს წაიკითხავს; ივანე ამირხანაშვილი „ჩანაწერების“ შედგენაზე მუშაობის ეპიზოდებს გაიხსენებს, გია ხოფერიას ჩანაწერებითა და რომანით მიღებულ ზოგად შთაბეჭდილებებს გავაცნობს; გიზო თავაძე ახალგაზრდა მწერლებისადმი ბატონი ფრიდონის განსაკუთრებულ გულთბილობაზე გაამახვილებს ყურადღებას; **ირმა შამილიშვილი** ფრიდონ ხალვაშის შემოქმედებითი მემკვიდრეობის მნიშვნელობაზე ისაუბრებს; **მაია ჭიჭილიშვილი** განაცხადებს, ასეთ თავყრილობებს რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა უნდა ესწრებოდესო...

პოეტის სიძე **სერვეთ ვერძაძე**, „შინაურული ურთიერთობის“ ეპიზოდებს მოგვითხრობს. ერთ-ერთი ასეთია: „ქუჩაში მიმავალს მანქანა გამიჩერა და ახალგაზრდა „ომრი“ მაჩუქა. მეორე დღესვე მკითხა, თუ წაიკითხეო. ჯერ ვერ მოვასწარი-მეთქი. ვიცოდი, რომ არ წაიკითხავდიო! — საკმაოდ გაბრაზებული კილოთი მითხრა. ეწყინა, ერთ ღამეში რომ არ წავიკითხე“.

როსტომი და ელგუჯა ირწმუნებიან, რომ სწორედ ერთ ღამეში წასაკითხი რომანია. დაიწყებ და ველარ მოსწყდები.

ასევეა „ჩანაწერებიც“.

სხვათა შორის, იმდღევანდელმა შეხვედრამ ბევრს გაუჩინა მათი წაკითხვის სურვილი.

მსგავსი შეხვედრების უპირველესი მიზანიც ხომ ეს არის. წაკითხვისა და სამოქმედო ანთების სურვილი.

ანთება კი ნამდვილად გვჭირდება.

აუცილებლად გვჭირდება.

ეს აზრი შეხვედრის შემდეგ, ქალბატონმა **მერი ხალვაშ-მაც** მძაფრად გამოთქვა: „მოხედეთ აჭარას, თორემ მერე სინანული გვიან იქნება“.

ეს უკვე ახალ ხელისუფლებას უნდა შევაგონოთ (ძველის გაფუჭებულს რაღა ეშველება?!).

ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებს უნდა წავაკითხოთ ერთ ღამეში ფრიდონ ხალვაშის ლექსები, ავტობიოგრაფიული რომანი, ჩანაწერები...

იქნებ მათ მაინც შეისმინონ, მიხედნენ და შესაფერისადაც იმოქმედონ...



ფრიდონ ხალვაშის საფლავი

კონსტანტინე ზ. გამსახურდია

„რაც შენში ღვთის ხატი და მსბავსებაა“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობა დგება მაშინ, როდესაც ადამიანი არამარტო სოციალური თუ ეკონომიკური თვალსაზრისითაა იზოლაციასა და სიდუხჭირეში მოქცეული, არამედ სულიერადაც: მისი გონება აღარ მუშაობს, გამოსავალს ვერ ხედავს, გრძნობა ატროფირებულია, მისი ნება დაჩლუნგებულია. ასეთი ადამიანი სამყაროში ფაქტობრივად აღარ ცხოვრობს.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— ცხოვრებას ვისურვებდი იქ, სადაც ბედისწერამ მომიყვანა. ჩემი ბედისწერა კი ბრმად მოქმედი ფატუმი როდია, არამედ თავად გახლავართ. იგი ჩემი საქმებისგან, აზრებისგან, შეგრძნებებისგანაა მოქსოვილი. ასევე ჩემი არსების იმ იდუმალი და დაფარული მხარეებისგანაც, რომელთა შესახებაც ბევრი არაფერი ვიცი.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— უმაღლესი ბედნიერებაა შეასრულო ის მისია, რისთვისაც განგებამ ამქვეყნად მოგავლინა. მოახდინო საკუთარი თავის რეალიზაცია, როგორც მოქალაქემ და შემოქმედმა. ადამიანი დაბადებულია ჭეშმარიტების და მოყვასის მსახურებისთვის. ეს პრაქტიკული გზაა და თავისუფლებისკენ მიყვავართ მას.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ჩემი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟებია „ვეფხისტყაოსნის“ ავთანდილი, შილერის დონ კარლოსი, შექსპირის ჰამლეტი, კლაისტის მიხაელ კოლჰასი, ვაჟას ჯოყოლა, გოეთეს ფაუსტი და მეფისტოფელი, კონსტანტინე გამსახურდიას დავით აღმაშენებელი. ეს სია შესაძლოა გაგრძელდეს.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— იოანე მარუშისძე, იაკობ (ჯეიმს) ბრიტანეთის მეფე, (მარია სტიუარტის ვაჟი,) შარლ დე გოლი, ოტო ფონ ბისმარკი, ალექსანდრე მაკედონელი, არისტოტელე, ვახტანგ გორგასალი, მაჰატმა განდი. ეს სიაც შესაძლოა გაგრძელდეს.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— დანტე გაბრიელ როსეტი (მე-19 საუკუნის ვიქტორიული ბრიტანეთი)

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— რიხარდ ვაგნერი

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— ისეთი გადანყვეტილების მიღების უნარს საჭირო სიტუაციაში, როდესაც მორალი და პრაქტიკულობა შეძლებისდაგვარად წონასწორობაში იქნება მოყვანილი. და აუცილებელ სიმტკიცეს ამ ყოველივეს პრაქტიკაში გასატარებლად.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— გონიერებას და სათნოებას, რომელიც ხასიათის თვისებაა და ქცეული. ასევე შემოქმედებითობას ყველა თვალსაზრისით.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— სიყვარულის უნარი.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— აზროვნება და შრომა სოციალური ცხოვრების ევოლუციის ხელშეწყობისთვის, რაც ჩემსავე ევოლუციას უწყობს ხელს.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— არავინ, შესაძლოა ჩემივე თავი, ოღონდ ჩემი ის „სხვა“, რომელიც ჯერ არასდროს განხორციელებულა.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— პასუხისმგებლობა

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— შინაგან პატიოსნებას ყველა საქმეში.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— არაპრაქტიკულობა.

ზოგჯერ აბსტრაქტულობა აზროვნებაში და აზრის გამოხატვისას.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ბედნიერებაა, როდესაც დიადი იდეები მოსდის ინსპირაციით ადამიანს და მათი ცხოვრებაში გატარების ტექნიკაც გააჩნია. როდესაც იგი მიკრო და მაკროსამყაროებს აკავშირებს ერთმანეთთან და სამყაროს მორალური წესრიგის განცდა აქვს, რაც იგივე ღვთის სასუფეველია.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ყველაზე დიდი უბედურება იქნებოდა იერემიასებრი მწუხარებით სამშობლოს ნანგრევებში ჯდომა.

— როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?

— უფრო მეტად მიზანდასახული პრაქტიკული თვალსაზრისით.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ცეცხლისფერი

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ვარდი

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— მერცხალი

— თქვენი საყვარელი მწერლები?

— ჰომეროსი, დანტე, შექსპირი, გოეთე, ჰიუგო, რუდოლფ შტიინერი, ჯ.რ.რ. ტოლკინი

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— ბოდლერი, რილკე, უილიამ მორისი, ვაჟა, გალაკტიონი

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— რუსთაველის თინათინი, ვოლფრამ ფონ ეშენბახის სიგუნე, შექსპირის ოფელია, დიკენსის პაპიდა ტროტგუდი, ჰანს ქრისტიანი ანდერსენის გერტა, შორენა.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ზვიადი, მერაბი, ჯოხარი, ანატოლი მარჩენკო, ვაცლავ ჰაველი, ნელსონ მანდელა, კათოლიკე მღვდელი იეჟი პოპე-ლიუშკო, ჟიული შარტავა, ვოვა ვეკუა

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ქეთევან დედოფალი, წამებული ირანში.

— საყვარელი სახელები?

— დავითი, თამარი

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— რუსთაველისა არ იყოს, სიცრუეს და ორპირობას

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— შოთა კვიციანი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი 1993 - 1996 წლებში.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები ალტაცებისა?

— დიდგორის ბრძოლა

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— თუნდა პეტრე პირველის მიერ ბნელ რუსეთში მეცნიერებათა აკადემიის შექმნა

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?



- მსურს ფორტეპიანოზე ვირტუოზულად ვუკრავდე. სამწუხაროდ ბავშვობისას ვერ დავეუფლე სხვადასხვა მიზეზთა გამო.
- როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?
- არ ვიცი. ოღონდ არ მინდა გარდავიცვალო ფიზიკურად დაძაბუნებული და სულიერად დაცემული.
- თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?
- თავს საკმაოდ მხნედ ვგრძნობ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი გარეშე ფაქტორი თითქოს ამის საფუძველს არ უნდა მაძლევდეს.
- ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

- ადამიანური სისუსტეებიდან გამომდინარე ისეთი ქმედებანი, რომლებიც სხვა ადამიანებს არ აზიანებენ.
- თქვენი დევიზი?
- იცხოვრე და იშრომე ისე, როგორც გსურდეს. კიდევ უფრო ზუსტად, სურდეს შენს სუვერენულ მე-არსებაში მას, რაც მასში ღვთის ხატი და მსგავსებაა.
- თუკი ოდესმე შეხვედბოდი ღმერთს, რას ისურვედი, რომ მას თქვენთვის ეთქვა?
- თუ ეს ამქვეყნიდან ნასვლის შემდეგ მოხდებოდა, ვისურვებდი ეთქვა, რომ ის ამოცანა, რისთვისაც ამქვეყნად ვიყავი, ასე თუ ისე შევასრულე.

გია არგანაშვილი

ვინ ვის ებრძვის?!

ამ დღეებში, ისე როგორც ყოველთვის ხდება ჩვენში, ორი მხარე, საზოგადოების ორი ნაწილი მეტისმეტი სიმძაფრით დაუპირისპირდა ერთმანეთს. ამ დაპირისპირების მიზეზსა და საბაბს თითქმის აღარ აქვს მნიშვნელობა, რადგან მათი მუდმივი დაპირისპირება გვარწმუნებს, მიზეზი არ დაილევა, რადგან მათ შორის თვისობრივი სხვადასხვაობა და ღირებულებათა ძირეული განსხვავებაა.

ვინ წარმოადგენს ამ ორ ძალას და საზოგადოების რა ნაწილი კვებავს მათ აგრესიას?!

ერთია ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების გაერთიანება (არასამთავრობო სექტორი), რომელიც ამ ოცი წლის წინათ დასავლური ღირებულების თარგზე და მათი გრანტების საფუძველზე შეიქმნა (რეგისტრირებული არასამთავრობოების რიცხვი რამდენიმე ათასსაც აჭარბებს) და რომელთაც თითქმის მთლიანად ხელში ჩაიგდეს საზოგადოების ხმა, გავლენა და პროტესტი.

არასამთავრობო ორგანიზაციები მთლიანად დაეპატრონენ მასმედიას და მთლიანად დაიკავეს სამოქალაქო საზოგადოების ტრადიციული ნიშა.

მათ პოლიტიკურ პარტიებსა და მასმედიასთან ერთად საკუთარ თავზე აიღეს პასუხისმგებლობა ბოლო წლების საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე, თუმცა კითხვებზე პასუხის გაცემას ნამდვილად არ ჩქარობენ.

მეორე მხრეს დგას ტრადიციული საზოგადოება (პირობითად ერი, მრევლი), რომელიც ბოლო ათეული წლების განმავლობაში კვებავდა ყველაზე ძლიერ საპროტესტო ტალღას. ჯერ საბჭოთა ტოტალიტარიზმის, შემდეგ ადგილობრივი ხელისუფლების გადამეტებული ძალაუფლების და ბოლოს, არც მეტი, არც ნაკლები, მცდარად გაგებულ დასავლურ პრიორიტეტთა და მათი იმპორტიორი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფების წინააღმდეგ.

გუშინ სწორედ ამ დაპირისპირების მოწმენი ვაგვხდით.

ტრადიციული საზოგადოება, რომელიც აშკარად ჩამორჩა მოვლენების ბოლოდროინდელ განვითარებას, გააქტიურდა. არადა, წლების მანძილზე თვითდინებით, ერთგვარი „სინანულის“ რეჟიმში განაგრძობდა ცხოვრებას. სინანულის, რადგან არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის მცდელობამ — მისი მარგინალურ და ბნელ ძალად წარმოდგენისა, ერთგვარ წარმატებასაც მიაღწია. ამ მუშაობას თვით ხელი-სუფლების უმაღლეს ემელონთა წარმომადგენლები წარმართავდნენ და საზოგადოებაში მენტალური რევოლუციის აუცილებლობაც თითქოს უფრო საფუძვლიანი ჩანდა დასავლეთის პოლიტიკური ძალების თვალში.

პირველი ოქტომბრის არჩევნებმა სრულიად შეცვალა წარმოდგენები, რადგან პოლიტიკური შედეგის გარანტიად

სწორედ მათგან დაწუნებული ტრადიციული საზოგადოება იქცა.

დღეს არასამთავრობო სექტორი ხვდება, რომ მათ მიერ კონტროლირებადი პარტიული ძალებისა და მასმედიის გავლენა თანდათან მცირდება. მათ მიერ გატარებული არასწორი პოლიტიკის წყალობით დასავლური ღირებულებებისადმი ლტოლვა, რომელსაც ასწლეულების ისტორია აქვს, საზოგადოებაში განელდა და შესაბამისად, ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის კურსიც მნიშვნელოვნად შეირყა. დღეს თუ ხვალ მათ ამაზე პასუხი მოეთხოვება. დღეს თუ ხვალ საზოგადოებაში უფრო მეტი სიმწვავეთა დადგება მათ მიერ გახარჯული დასავლური ინსტიტუტებისგან განუღებელი ფულადი დახმარების (გრანტების) ხარჯვის შესაბამისობა შესრულებულ სამუშაოსთან.



მეორე მხრივ, ტრადიციული საზოგადოებაც, რომელიც მთლიანად რელიგიურ-კულტურული ღირებულებების ირგვლივ გაერთიანებულ ჯგუფებს აერთიანებს და რომელიც უკვე პრეტენზიებს აცხადებს დასავლურ ღირებულებათა უკეთ გატარებაზე ცხოვრებაში, ითხოვს იმ რეალური ძალაუფლების აღიარებას, რომელიც ყოველთვის ჰქონდა და რომელიც მასმედიის წყალობით მთლიანად იგნორირებული იყო.

ეს ყველაფერი ძალიან ზედაპირული ხედვის შედეგია. მაგრამ თუ უფრო ღრმად ჩავიხედავთ, იმის დანახვაც შეიძლება, რომ ამ ორ ძალას შორის დაპირისპირება ხვალ ხელისუფლების მაღალ ემელონებში გადაინაცვლებს, ხოლო უახლოეს მომავალში ქვეყნის ფარგლებსაც გაცდება.

არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მათ მხარდამჭერ პოლიტიკურ ელიტას ჯერ კიდევ აქვს რესურსი მოკლევადიანი წარმატებებისა, რადგან მათი მცდელობა — მარგინალურ ძალად წარმოადგინონ ტრადიციული საზოგადოება, თანდათან ძალას ჰკარგავს.

ტრადიციული საზოგადოება, რომელიც მუდმივად ემორჩილება ევოლუციის კანონს და შერჩევით, მაგრამ მაინც მთელი არსით იღებს პროგრესულ იდეებს, სულ მალე დააკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნების სტანდარტებს და სულ მალე რევოლუციურ სულითკვეთებაზე გაჩენილ არასამთავრობო ორგანიზაციებს პოლიტიკური ისტორიის გვერდებზე მიუჩენს ადგილს.

ეს ყველაფერი არ ნიშნავს, რომ ხვალ ასპარეზზე სრულიად ახალი ძალა გამოვა და როტაცია იმ პატიოსნებით განხორციელდება, რომელსაც სამართლიანობა მოითხოვს, მაგრამ ეს პოლიტიკოსთა და ექსპერტთა სამსჯელო თემაა და ხვალინდელი პერსპექტივის დახატვაც მათ მოეთხოვოთ.

ლანა მანველი — პროფესიით კინომცოდნე. პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი (თურქული ენიდან). გამოცემული აქვს ლექსების კრებული „ამ გზას არ მივყავარ საქართველოში“. ნოველები — „თურქული სახეები“ („ალიონი“), ნარკვევი — „თურქული კინოს ისტორია 1914-198865“. ლექსები, თარგმანები — „ჩემი სულის ანაბეჭდი“. ახლახან გამოსცა „ვირტუალური ურთიერთობანი“, სადაც შესულია 38 ვირტუალური ამბავი.

ლანა მანველი

ვირტუალური ურთიერთობანი

კაცი ქალი

— როგორ ხარ, ჩემო... ერთადერთო...

— არ ვიცოდი ფეისზე თუ იყავი, როგორ ხარ?

— გეძებდი, ხან სად და ხან სად. ბოლოს აქ აღმოვაჩინე.

— ახლა?

— არა, კარგა ხანია. მონერას ვერ ვბედავდი.

— რატომ?

— რატომ?!

— ჰო, რატომ?

— სიცოცხლე! — ნუ მიწყენ ასე რომ მოგმართავ, მე ისევ იქ ვარ ჩარჩენილი, ბავშვობაში; იქ, შენ ისევ ჩემი სიცოცხლე ხარ.

— კარგი რა, გავიზარდეთ უკვე. რამდენი წელი გავიდა.

— ეგ შენთვის გავიდა... მე კი ყოველდღე გაცილებ სკოლიდან სახლში, გზად შენი მეზობლის სახლის ქვის გალავანთან ვჩერდებით და ისევ გაცინებ ათასი სისულელით...

— არ გინდა...

— გახსოვს, მოტოციკლეტით რომ გასეირნებდი და დედაშენს შეეხვდით შემთხვევით გზაში?

— ☺ შიშისგან კინალამ გადმოვვარდი.

— წესიერად რომ არ მეჭიდებოდი, ეგ იმის ბრალია და არა შიშის.

— რას ამბობ, არ გახსოვს სადარბაზოსთან რამდენ ხანს ვიდექით ბავშვები, სახლში ასვლას რომ ვერ ვბედავდი?

— ცოტა ხანში კი გახარებული ჩამორბოდი ნავის სათლით ხელში. ☺

— ☺☺ ჰო, რამდენი ვიცინეთ. ზარი ძლივს დავრეკე, ნერვიულობისგან სულ მაკანკალებდა, დედაჩემმა, როგორც კი კარი გააღო, ეგრევე ნაგავი მომაჩეჩა გადასაყრელად. ერთიანად მოვეშვი, კიბეზე როგორ მოვეფრინავდი, ვერც კი ვგრძნობდი.

— საპატიო ყარაულში გადაგაგდებინეთ ნაგავი ბიჭებმა.

— ბიჭები სად არიან?

— ზვიადი იმ არეულ წლებში მოკლეს რუსეთში რეკეტორებმა; რალაც პატარა ბიზნესი ჰქონდა ძმასთან ერთად და ფულის გამო. ☹ მერაბი ახმეტაში ცხოვრობს, ზაზასგან კი კარგა ხანია არაფერი გამოიგია.

— ☹☹ ძალიან მეწყინა ზვიადის ამბავი, როგორი ჩუმი და კეთილი ბიჭი იყო. ერთხელ სხვა დიდი ბიჭები ამოვიდნენ მოტოციკლეტებით ჩვენს სკოლაში, შენ მაშინ ფეხი გქონდა მოტეხილი და არ დადიოდი. დასვენებაზე ეზო-

ში ვიყავი, დაბალკლასელი ბავშვი გამოგზავნეს. ბარათი რომ გადმომცა, ზვიადმა დაინახა და მოვიდა: — რა ხდებაო? ვინ არიან იცნობო? — არა, ისე შორიდან, ვიცი რომ დოსააფში დადიან და მოტოციკლეტებით დარბიან-მეთქი ქალაქში. წერილი გამომართვა და მათთან მივიდა საქმის გასარჩევად. ზარი დაირეკა და გოგოები კლასში ავედით. გაკვეთილიდან სასწავლო ნაწილის გამგემ გამომიყვანა, — თურმე, ჩვენს სკოლელ ბიჭებს და მოსულებს სასაფლაოზე უჩუბიათ, მაგრად. დედაჩემიც დაიბარეს მაშინ... ღმერთმა გაანათლოს, ძმასავით მიყვარდა...

— ამინ!.. თუმცა მაშინ შენ გითქვამს — არავინაც არ მიყვარს, ყველამ თავი დამანებოსო!

— დედაჩემის შემეშინდა. ☺

— ხომ გიყვარდი?!

— ...

— ვეღარ მეტყვი ხომ?! იცი როგორ მიჭირს შენი ფოტოების თვალიერება?

— კი მაგრამ, რატომ?

— იმიტომ, რომ პროფილზე ჩვენი ფოტო არ გიდექს; გახსოვს, თექვსმეტი წლისა რომ გახდი, მოტოციკლეტებით ზუზუმბოზე ავედით ბავშვები, იქ ყვავილები დაგიკრიფე და თმაში ჩაგანანი. მერე ვალოდია ფოტოგრაფმა სურათი გადაგვიღო, ხელში ატაცებულს რომ გატრიალებდი, — აი, ის ფოტო.

— არ გინდა...



მხატვარი ნოდარ ბადურაშვილი

— მინდა! ალბომებში ჩვენი ბავშვების სურათები უნდა გედოს! ახლა კი, — 12 სხვადასხვა ალბომი გაქვს ატვირთული და არსად არა ვართ მე და ჩვენი შვილები!

— იცი, რამდენი წელი გავიდა, რაც გავიზარდეთ?

— ეგ შენ გაიზარდე, დაქალდი, სხვას მისთხოვდი და ყველაფერი დაივიწყე. მე იქ დავრჩი, შენი უბნის მოსახვევში და გელოდები.

— ყველაფერს მე ნუ დამაბრალებ!

— აფხაზეთში ვიბრძოდი, შენი გათხოვების ამბავი რომ ჩამოიტანეს ბიჭებმა.

— ჩემით არ გავყოლილვარ, ალბათ ეგვეც გეცოდინება.

— ნამოსულიყავი!

— ვერ წამოვდი...

— უხ! მე მაგისი...

— მართლა არ გინდა, რალა აზრი აქვს...

— იქ არ მოვკვდი, გამწარებული თავს აღარ ვიცავდი, ყველაზე დაუცველ ადგილებში გადავდიოდი, მაინც არ ჩავძალღედი! მერე რუსეთში წავეთრიე, ყველაფერს დასავენებლად და კინალამ გავჭყედი.

— კარგი რა, ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, გესმის, ოცი გრძელი წელიწადი. დაივიწყე და ახალი ცხოვრება დაიწყე.

— ცხოვრებამ გადამისწრო და მე კი ისევე ველოდები, როდის ჩამოვივლის ის პატარა, ლამაზი გოგო ჩვენს ქუჩაზე ჩანთით ხელში. რვის ნახევარზე ვდგები, რვაზე უკვე აივანზე ვარ, შორიდანვე მინდა დავინახო და ქუჩაში გავვარდე. დედაჩემი ეზოში მხვდება, ხელში ორ ღვეზელს მარჩეებს და ორაზროვნად მილიძის; ალაყაფის კარს ვხსნი და გარეთ მივფრინავ; ერთი ხელით ჩანთას ვართმევ, მეორეთი კი ღვეზელს ვუნწვდი:

— ისაუბრე? ორი ლამაზი, შველის ნუკრის თვალი მიცინის და მღერადად მპასუხობს: აარა...

გემრიელად ვილუკმებით, გავრბივართ და ორივეს ალაღად გვჯერა, — ეს გზები ყოველთვის ერთად გვატარებენ... შენ კი მეუბნები, დაივიწყეო...

ძალი ძალი

- რავა მთელი თბილისი ფეისბუქში ხართ, ხომ მშვიდობაა?
- მთელი თბილისიც და გერმანიაც. ☺
- როგორ ხარ, ჩვენთან ჯერ ადრეა. მე ხომ არ გაცდენ?
- არა, შენ როგორ ხარ? პიესას ვწერ.
- რავი, ძველებურად. ოკ. მივხვდი, აღარ შეგიშლი ხელს. ვკითხულობ ხოლმე შენს ნაწერებს. მიყვარხარ ძალიან. :* გაკოცე ბევრი და წარმატებებს გისურვებ.
- არა, არ მიშლი, თუ რამის მოწერა გინდა მომწერე. :* :* *
- ხაზზე დაგინახე და არ გელოდი ასე გვიან. ყველა ონლაინზეა და ყველას ღვიძავს საქართველოში. ☺
- <3 <3 <3
- გკოცნი ბევრს.
- ლიტერატურული საღამო მქონდა, ფოტოები ნახე?
- კი, კომენტარებიც, და ისიც ვიცი, რომ მაგრად ჩაიარა, ანუ წარმატებულად. მიხარია ძალიან, მართლა გულით.
- მაღლობა დიდი. :*
- შენს გვერდზე რაც ქვეყნდება, ყველაფერი ვიცი, ასე რომ, თვალს გადავწვებ, ბიცოლა. :*
- :))))))))))))) ე. ი. ჩემი ქმარივით, ხომ?

- ჰაჰაჰა... რა გამეცინა... ☺
- ☺ ☺ ☺
- გავიგუდე ... მე არ ვეჭვიანობ.
- ეს მაგრად ეჭვიანობს.
- მე ხომ სულ ჩუმად დავძვრები აქ. ☺ ონლაინზე არც შენ ხარ ხშირად.
- როგორც კი დამინახავს კომპიუტერთან, მაშინვე თავზე მადგება. შიშით ონლაინს იშვიათად ვრთავ, მომწერს ვინმე მამრობითი და აუხსენი მერე ამას, ნაცნობია, კლასელი თუ უბრალოდ ფრენდი. ☺
- მოკლედ, მანდ შენი ქმარი გაკონტროლებს და აქედან მე. არადა, მე კაციშვილი არ მაკონტროლებს.
- დააფასე. ☺ ახლა სამსახურში ხარ?
- არა, დაქალთან ვიყავი სხვა ქალაქში, ბავშვის დაბადების დღეზე, მატარებელში ვარ. მოკლედ, გაგაცდინე.
- არა, რას ამბობ?! კეთილი მგზავრობა. ფოტოები დადე, რომ გნახო.
- გაიხარე, ჩემო ძვირფასო :* დავედებ მერე.
- :* :*
- გაკოცე ბევრი, მინდა რომ სულ კარგად მყავდე. :*
- მომწერე ხოლმე.
- მოგწერ აუცილებლად. :*
- გაკოცე ბევრი ...
- :*****

ძალი გოგო

- დედიკო, სარეცხის მანქანიდან შენი ჯინსი გამოიღე და მომიტანე გავფინო.
- ჯერ ჩემი გაზიარებული ბმული მოინონე და მოგიტან. ☺
- ამხელა ქალს თინეიჯერულ რაღაცებს ნუ მანონებ, რას იტყვის ხალხი?!
- ხო, ეგენი კიდე ამონებენ ეგრევე, ნეტა მაკამ რა მოიწონაო! ☺
- დიხაც ამონებენ! ☺
- უფ, დე... მომაქვს, ხო... ☺

საიუბილეო თარიღი ასე მაინც აღინიშნა

მწერალთა სახლმა კიდევ ერთ შესანიშნავ ღონისძიებას, პოეტ ჯარჯი ფხოველის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოს უმასპინძლა.

ორგანიზატორმა, პოეტმა მიხეილ ლანიშავილიმა შესავალ სიტყვაში გულისტკივილი აღნიშნა: ჩვენს ფართო საზოგადოებრივ, კულტურულ-ლიტერატურულ ორგანიზაციებს, ოფიციალურსა და არაოფიციალურს გამორჩა ეს შესანიშნავი თარიღი, მაგრამ ჩვენ სწორედ იმისთვის შევიკრიბეთ, რომ ვიზიემოთ, რადგანაც ჯარჯი ფხოველს დიდი ღვაწლი აქვს ქართულ პოეზიასა და მთარგმნელობით საქმიანობაში. მან თარგმნა ჩინელი კლასიკოსები და მანაც შემოიტანა ჩინური ლექსის საზომები ქართულ სინამდვილეში. პოეტის განსაკუთრებულ ღირსებად მიმანჩია, რომ მან კლასიკურ ფორმებში შეძლო ტრადიციულ კლიშეებს გაქცეოდა. იგი არის დასტური იმისა, რომ თუ პოეტს აქვს სათქმელი, თუ ჭეშმარიტი შემოქმედია, ნებისმიერ მხატვრულ ფორმას კარგად მოირგებს. 20-მდე პოეტური კრებულის ავტორია ბატონი ჯარჯი. აქვს პროზაული კრებულებიც. დამეთანხმებით, ასეთ შემოქმედს სიცოცხლეშივე უნდა დაფასება... ჯარჯი ფხოველი საკუთარ პერსონას არასოდეს „შეაჩერებს“ არავის, ეს ერთგვარი ნიშაც კია მისი შემოქმედებისა. მე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ქართული ვერლიბრის ერთ-ერთი კლასიკოსი გვიზის აქ.

გულთბილად მიულოცეს იუბილარს მეგობრებმა: ზაურ კალანდია და გურამ პეტრიაშვილი; ყველაზე ღირსეული მწერლისთვის არის გულწრფელობა, თუ ის გულწრფელია აუცილებლად ორიგინალური იქნება. ჯარჯი არ თამაშობს, რაც ძალზე ბრძნული გადწყვეტილებაა, თუმცა მისი ლექსები ქართული სიტყვების დიდი თამაშია. გამომსვლელი გვერდს ვერ უვლიდნენ, რაც ბუნებრივია, პოეტის ბოლო კრებულს - „უდაბნოს ნიგნი“, შესაბამისად საღამო კრებულის განხილვასაც მოიცავდა.

„სულიერ უდაბნოში მოხეტიალე ადამიანის ფორიაქისა და შეჭირვების ანარეკლი“ - ასე შეაფასა კრებული ზაურ ბაიაშვილიმა. მარიამ ნიკულაურის აღნიშვნით: ეს არის ნიგნი, რომელიც ამშვენებს გამომცემლობა „საუნჯეს“; დღევანდელ ხმაურიან განცდებს გამოსტაცო ადამიანის სული, ეს შეუძლია მხოლოდ ძლიერ პოეტს, რომელსაც აქვს „გული ივერია.“ ჯარჯი ფხოველი ყოველდღე იღუპება სამშობლოსთვის და ამით გვინარჩუნებს ჩვენი სამშობლოს მარადისობას. ჩვენთვის დიდი პატივია, რომ ის „საუნჯის“ ავტორი გახდა.

ტრისტან მახაურის თქმით: მე-20 საუკუნის 70-იანი წლების გამორჩეულ პოეტთა შორის ჯარჯი არის ერთ-ერთი, რომელიც საკუთარი სათქმელით მოვიდა. ის არამარტო ფორმით უპირისპირდება ტრადიციულ მიმდინარეობებს, არამედ სათქმელითაც. ჯარჯის ლექსი არის აკადემიური. თარგმანები რაფორინებული. მან ქართულ სინამდვილეში, გადმოიტანა ის სული, რაც ჩინურ პოეზიას ახასიათებს.

ერთგვარი სიურპრიზი იყო მაყვალა გონაშვილის გამოსვლა, რომელმაც გაახმაურა მწერალთა კავშირის პრემიის მიმნიჭებელი კომისიის გადწყვეტილება და ვაჟა-ფშაველას პრემიის ლაურეატი გადასცა კიდევ ერთი — გალაკტიონ ტაბიძის პრემია.

დასასრულ პოეტმა ნაიკითხა ლექსები და მაღლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისა და სიყვარულისთვის.

თეო კაპანაძე

ნოდარ ხონელიძე

ბუხართან...

(ოქანის განსჯენისას, ცოტა — დეკარტისა და კიდეც...)

გირჩევთ არ ნაიკითხოთ, რადგან ამ ტექსტთან შეხებისას ან უნდა მოკვდეთ, ან მართლა გაცოცხლდეთ. თუ არც ერთი დაგეგმართათ და არც მეორე, მაშინ უკვე დიდი ხნის გვამი ყოფილხართ და აღარაფერი გეშველებათ.

იბერიის ნახევარკუნძულზე მიკვლეული ატლანტიკის კრიპტოგრაფიდან

იანვარ-თებერვლის შესაყარზე ღამე მუქ, მიმე ფარდად ჩამოემვა ლეგა, მრუმე ღრუბლებიდან და უჩუმრად, მაგრამ ტოტალურად გაბატონდა მიდამოზე.

რა ხანია ჩაველო ქრისტეშობისთვის დღეებს და საგალობლებს... დეკემბრის ლექსებს. გარეთ კი, გარეთ... თუმცაღა თოვლი კვლავ ირეოდა და თეთრი უმანკოებით მოსავდა, ფარავდა ყოველივეს, ეს მაინც უკვე სხვა თოვა იყო უბადრუკი, უკუღმართ და ამიტომაც გაავებულ, დაუნდობელ ამა სოფელზე.

სუსხი ყინვაში გადადიოდა. სასტიკი, შემაჟრჟოლებელი შეხებით აშეშებდა, სპობდა ყოველგვარ წინააღმდეგობას, თითქოს მთელ სამყაროს ყინულის ბორკილებს ადებო. იდგა წყვილი და მდუმარება — სუნთქვაშეკრული ღამე. ვილაც თუ რაღაც უღმობელს აუტანელი სიცარიელის უძირო ორმო გაეთხარა, დრო და ყოფიერებაც იქ დაესამარებინა და ყოველგვარი იმედი, მოლოდინი, რაიმე მსგავსიც კი მოლოდინისა უკვე დიდი ხანია განედევნა. იყო უჟამო ჟამი ჟამიანობისა. თუ ამას საერთოდ შეიძლება ეწოდოს ყოფნა.

იქ კი, იქ... სადაც ეს თითქოსდა შეუძლებელი ჩანდა, ბუხარის წინ სივრცე ახლად აალებული ცეცხლის სითბოთი, ირეალური სინათლითა და ინტიმით ივსებოდა, სასიცოცხლო ძალეებს იკრებდა. სხვა აღარც იყო საჭირო იქ მყოფისთვის, კითხვას იგი ამჯერად მაინც არ აპირებდა. ჰოდა, აბა დანარჩენს ალი ეთამაშებოდა, აჩენდა. ხან მკაფიოდ გამოკვეთდა, ხან თითქოს ნიღაბს მიაფენდა, ან სულაც უხილავს ხდიდა.

ერთი, ორი, სამი... თითქმის **ხუთი**. იატაკზე დაფენილ ფაფუკ სპარსულ, ზღაპრულად ნაქარგ ხალიჩაზე იჯდა საშინაო ხალათმოსხმული. ძველებურ დივანზე ზურგით მიყრდნობილს, გაშლილი მკლავები ჯვარცმულივით მასზე ჩამოეწყო და ცეცხლის აღმავალ როკვას მონუსხული შესცქეროდა. ალი კი სულ უფრო მძლავრობდა, თამამად იკლაკნებოდა, ბუხარის გარეთ მოიწვედა, იქაურობას ეუფლებოდა, წითელ ენას დროდადრო თითქმის ფეხის გულზეამდე უწვდენდა პირისპირ მოკალათებულ, გარინდებულ მამაკაცს; გაიტკაცუნებდა და ნაპერკლებს გამომწვევად შეაფრქვევდა, ენერგიას უღვიძებდა.

ყავა მოუნდა. არა, აღარ სციოდა, მაგრამ ყავა — და ამჯერად არა ჩაი — მაინც ისურვა. ვისაც ზამთრის ცივ, ბნელ ღამეს ბუხართან, ცეცხლის პირას უგემია ცხელი, ქაფქაფა ყავა, მან იცის რა ნება-ნება სიამოვნება, რა განცხრომაა ეს სულის, გონებისა და ნამდვილ კოფეინს მონატრებული სისხლძარღვებისთვის.

ხუთი, ოთხი... ერთი... როგორ გადადისხარ რაღაც სხვა განზომილებაში, როგორი სიმბურვალე გიპყრობს შიგნიდან, როგორ ერთიანდები შენ წინ ელვარე ცეცხლთან და ხვდები რატომღა თვით სამყარო მარად ცოცხალი ცეცხლი... მიუხედა-

ვად კოსმოსური სიცივისა და ე. წ. homo sapiens-თა მოდგმის კიდევ უფრო მეტად გამყინავი გულგრილობისა.

ყავა მართლაც კარგი იქნება ახლა, მაგრამ არ არის აუცილებელი გამთბარი სხეული წამონიოს, წამოდგეს, თვითონ მოიდულოს. ამას ქალიც გააკეთებს, ის, მალე რომ ამოვა, ამოიზიდება აბაზანიდან. განკრიალებული, სურნელოვანი, ოდნავ წითური მდედრი მკვრივი ბარძაყებით, გამაოგნებელი ძუძუ-მკერდით, გაზიდულ თვალთა ჭრილში ჩაღვრილი ფატალური ვნებით და დამყოლი სხეულით...

ჰო, ასე აჯობებს. თქმაც არ დასჭირდება ისე შემოუტანს ცხელ, ზედაპირზე ბუშტუკებით დასვრეტილ, ვნების ამშლელ ელექსირ ყავას და, რა თქმა უნდა, სიგარეტსაც. ბუხარში, ცეცხლისა და უკვე წარმოქმნილი ნაკვერჩხლების მაგიურ კალეიდოსკოპში, თითქოს წამით დაღანდა შეკითხვა — რატომ მაინცდამაინც ეს ქალი ამ ღამით? იმიტომ, რომ წითურია — მოეჩვენა, რომ პასუხიც იქვე ამოიკითხა... და კიდევ იმიტომ, რომ აქვს აღნაგობაში რაღაც ანტიკური: პროპორციულია და ჯანსაღი სისადავით სავსე. ეს შეფასება უკვე თვითონ გამოძერწა. ცეცხლისკენ აღარ იხედებოდა. თვალდახუჭული იხსენებდა თუ სად, ან როდის ნაიკითხა წითური ქალების მიმართ რომაელთა განსაკუთრებული სიმპათიის შესახებ, ან რამდენად შეეფერებოდა ეს იმ შორეულ სინამდვილეს. მაშინ ძალიან გატაცებული იყო ძველი მსოფლიოს, განსაკუთრებით ელადის და რომის ისტორიით, მოხიბლული ამ მატრიანეთა დრამატული ოპტიმიზმით და განცდის ლაკონიურად ჩამოქნის უნარით — **Roma tibi subito motibus, ibit amor**. შემდეგ, ამას რომში მომხდარი ერთი, ერთადერთი არდადეგებიც დაემატა...

ბუხრიდან ისევ ამოიფრქვა ნაპერკლები, ცეცხლის ენამ კვლავ აულოკა ფეხისგულეები. თვალები გაახილა, აგერ ისიც — ქალი, ძუ, უიშვიათესი ჯიშის ჯიქი, ანტიკურობის ტალღებს გამოყოლილი. გამომწვევად მოსხმული ხალათი არც თუ უფარავს სხეულს — ლურჯი ექსცესების პერსპექტივას შლის და არ არსებობს უმაღლესი სხვა ნეტარება, როცა უცრათ ის ჩემ თვალწინ ამობრწყინდება...

ღანგარი უჭირავს. აკი ვთქვი: ყავას თვითონ შემომიტანს-მეთქი. რბილად მოსრიალებს.

ერთი, ორი... ხუთი. მოხდენილად, რიტუალურად მოიკალათა ჩემ გვერდით. მოთენთილი მეჩვენა ცხელი აბაზანის შემდეგ. ცოტა უნდა დავცადო, მოითქვას სული. მეც ჯერ ყავა მაქვს დასალევი. თან ეს გრძნეული ცეცხლიც ბუხარში ისე ჯადოქრობს, ისეთ რიტმს მთავაზობს, რომ მკვეთრი მოძრაობები გამოიციხულია. უცნაურია, ეს იმპულსური გამონათებები ერთდროულად როგორ მწველად, ზანტად, მაგრამ ზუსტად მიჩენს, მიმითითებს, მიმხელს გვერდით მოკალათებული მდედრის სხეულის კონტურებს... და ჩემი ხელიც უნებურად შეუყვამ ამ ნატიფ ხეულებს, თითები ცეცხლთან ერთად თამაშ-თამაშით მიიკვლევენ გზას...

ერთი წუთით, სულ ერთი წუთით — მე კი მომმართა, მაგრამ მაინც თითქოს თავისთვის ჩაიჭურჭულა ქალმა. ფინჯანი ყავა აიღო, მოსვა. აღს თვალს არ ამორებს. მომეჩვენა, რომ ცეცხლის ფსკერზე ნაკვერჩხალს ვერ წყვეტს მზერას. ერთხელ კიდევ მოსვა. ნელა მოატრიალა კისერი, შემომხედა. ნაკვერჩხლები ახლა მის თვალებში ღვიოდნენ. ასევე აუჩქარებლად მომიტანა ბაგესთან ფინჯანი საიდანაც თვითონ სვამდა. მეორე ჭიქა ეულად დარჩა ღანგარზე. მონოდებული მოვსვი. ქალი კვლავ ფართოდ გახელილი თვალებით მიმზერდა, მაგ-



რამ თითქოს უკვე ჩემს მიღმა რაღაცას ენაბებოდა, ნებდებოდა, რაღაც ეზმანებოდა... და საიდუმლო შენი მშვენიერების, სიცოცხლის ახსნის არის ტოლფასი, წამიერად გამიელვა გონებაში და ვიდრე ამ აღმოსავლურად ნატიფი ფრაზის ჟრუანტელი მთლიანად გამსჭვალავდა, ქალის სხეულიდან იმ ქვეცნობიერის იდუმალმა პულსაციამ გამოარღვია ყველა შრე, ფენა, ჩამოიცილა ყველა გარსი და გუგუებში დაკვესებული ნაკვერჩხლების სახით თიხოვა აალება, აგიზგიზება, აფეთქება! მოვიზიდე, მის ტანზე შემოტმასნული ქსოვილი აფრად მოვისროლე უსასრულოებაში და აზვირთებული სტიქიაც უმალ შემომგება, შემომენტო, განწირული მზადყოფნით შემომესალტა, დაემნდო და აჰა, შეიხსნა ათასი ბედნიერების კარიბჭე...

ერთი, ორი, სამი... ზედა მანტია... კიდეც, კიდეც უფრო ღრმად, გავარვარებული მაგმისკენ მიიწევს ისარი... უკვე იგრძნობა როგორ მატულობს სეისმური ტალღების სიხშირე... მდებდის ცხელი, გახშირებული სუნთქვა მილადრავს ყელს, ხაოიანი ენით მილოკავს მკერდს... ცეცხლმაც სულ აიშვა თავი ბუხარში, ლამის მოედოს აქაურობას და გადაბუგოს ყოველივე; აჰა, მაგმაც... და ქალის გმინვა, არა, უკვე კვიცილი ერთვის გაშმაგებული ცეცხლის ტკაცატკუცს. ეს ორი სტიქიონი შერწყმია ახლა ერთმანეთს და მიმაქროლებს სადღაც უგზოუკვლოდ, სივრცეში, რომელსაც შორეული ცის სილაყვარდეც ახლავს და უკუნეთის უსაზღვრო, გაუვალ სიბნელებს, მაგრამ ორივე ჩემ ხელთაა, ჩემს მიერაა გამოწვეული აქ, ამ ჯოჯოხეთში, რათა წყვილადმა საბოლოოდ არ მშთანთქას, ვერ გამანადგუროს, ვერ გაიყოს...

ერთი პირობა კინალამ მომწვდა კიდეც, ზედ ჩემ სახესთან გაიკლაკნა ყველაზე თამამი ალის ენა... ქვედა მანტია... ძუმ კიდეც ერთხელ გაიბრძოლა, გაიზიქა, უკანასკნელ ტალღად შემომასკდა, შემომესხვრა, რაღაც ძალიან ღრმა, კოსმიური აღმობხდა და ღონემიხდილი, ნება-ნება დაეფერვლა ხალიჩას. **ხუთი... სამი... ერთი.**

სამყარო გადადნა. ცეცხლი ბუხარში მიიყუთა. წამით იქით გავიწერე სადაც იდეაში სარკმელი მეგულებს. იქ ალბათ ისევ თოვლი ირევა და ყველა თავის უბრალო ამბავს. ეჰ, რა კარგია როცა ეს ყველაფერი უბრალოდ — ხდება.

თამბაქო გავაბოლე. კარგად წავიდა. მეორე, უფრო ღრმა ნაფაზმა ფილტვებს სიმწარე აგრძობინა. რას იზამ, ასეა ყოველთვის როცა კარგა ხნის წინ ჩამქრალ ნამწვავს უკიდებ. წარსულის სიმწკარტემ ნერწყვად გამოყოფა და კბილებმა ნიკოტინთან ერთად ტყვიის გემოც იგრძნეს. რას ვაჭმევინებ ჯანს ამ სანამლავს. არა, უნდა გადავავლო ეს ტიალი. ისე, ფილტვები მართლა მაგარი აღმომარნდა, თორემ აქამდე დამხრავდა ტუქეკი. კიდეც ერთი ნაფაზის ბოლი ბუხრისკენ გავუშვი. სავსე ფინჯანი მომხვდა თვალში. თბილი ჩანს ისე. ცეცხლთან ახლოს იდგა, მაგრამ ყავა ცხელია კარგია. როგორც ტალიერანი იტყოდა: ყავა უნდა იყოს... მარცხენა მკლავზე შეხება ვიგრძენი. ქალი მეტმასნება. უხმოდ მანიშნებს მეც მომანევიყო. არ მინდა გავიმეტრო ასეთი სიმძაფრით გაყლენთილი თუთუნისთვის, მაგრამ ჯიუტად მთხოვს და როცა ქალს დაჟინებით სურს, ბევრიც არ უნდა ახვეწნინო. სიგარეტი ტუჩებთან მივუტანე. მოქაჩა. გაირინდა. ემწარა, თუმცა არ შეიმჩნია. არც მისთვის უნდა იყოს ეს გემო უცხო. მის ცხოვრებაშიც უკვე ყოფილა უმზეო, უყვავილო, ჩაკლული გაზაფხულები. მანაც ბუხრისკენ გაუშვა კვამლი. ცეცხლიდან გამოვარდნილი ნაღვერდლისა და ამოშვებული ნაფაზის ნისლიანი კვალის შერწყმას მივადევნე თვალი.

...რაღაც ბუნდოვნად აღიძრა მესხიერებაში, აიმღვრა, თითქოს ზღვის ფსკერზე ლოდი დაეცა, სილა აშალა და ხილვადობა გააძინებო. ბუხრიდან ზანტად გამოწვლილმა ნაცრისფერმა ბურუსმა ხსოვნის ლაბირინთებში შემოაღწია, ფსკერიდან აშლილი სილა მძიმედ დამანვა გულზე. სუნთქვა შემეკრა, ადრეც მომსვლია მსგავსი რამ, ამას რაღაც გარდასულის გაცოცხლება უნდა მოჰყვეს, რაღაც სცენა უნდა ამოიზიდოს ცნობიერების სიღრმეებიდან...

ახლაც ხომ ვილაც კედლებს აწყდება...
„გვინდა სახელი, მხოლოდ სახელი!
არ ამბობ?...“ ოთხნი არიან ჯალათები...
რა გულმოდგინედ ამუშავდა სიკვდილის ცელი,
რა გააფთრებით გაბოროტდა მტერი წყეული...

ერთი, ორი, სამი... ნელა ილექება სილა ფსკერზე...

...მანქანების სასაფლაო ღამით. ჯართად ქცეული ავტომობილების გროვაში ციხიდან გამოქცეული, უკიდურესად დაძაბული ახალგაზრდა კაცი ჩამალულა. დევნით დაქანცული გაფაციცებით ელის ვილაცას თუ რაღაცას. ალბათ, უკანასკნელ შანსს, იმედს. ქალი შემოდის კადრში. დიდი ხნის წინ, ბავშვობაში დათქმული ნიშანი — მხოლოდ მათთვის ცნობილი მელოდიის სტვენა. ეს ანაა, დევნილის ცოლი. საპასუხო სტვენა და კაცი საფარიდან გამოდის. შეხვედრა. მონატრებული, მაგრამ ორწლიანი განშორების შემდეგ უკვე გაუცხოებით დალდასმული, ხანმოკლე ამბორი. შემდეგ, დევნილი ქალის თითებში მოქცეულ დაუმთავრებელ სიგარეტს დაენაფა. აჰ, რა ნაფაზია! (ალბათ ყველაზე დრამატული კინოს ისტორიაში). ერთი, მეორეც... ოდნავი თავბრუსხვევა ნარბენ-ნაშიმშილეზე. სათქმელი ბევრი აქვთ, მაგრამ ახლა სანტიმენტების დრო არ არის (თუ საერთოდ არის როდისმე). დასწრებაზეა საქმე. მანქანაა საჭირო, ახლავე, ამ წუთს ისევ უთვლიან ნაშებს... მაგრამ რა ხდება? აქ თურმე არის კიდეც ვილაც, ვინც აქამდე მოიყვანა ანა, ისიც ბავშვობის მეგობარი, თუმცა, მათგან განსხვავებით, მილიონერის ძე ერთადერთი. აგერ ისიც, მესამე... და შეიკრა უდანაშაულო-დამნაშავეობის, ერთგულებისა და ლალატის კლასიკური სამკუთხედი. წამის მეთავედში ყველაფერი უსიტყვოდ გასაგები ხდება დევნილისთვის და იწყებს იგი თავის მწარე მონოლოგს, დამძიმებულს ამ ქვეყნის აუტანელი უსამართლობით, ეს ერთგვარი რეინკარნაცია ჰამლეტისა, იმ განსხვავებით, რომ ყოფნა-არყოფნის საკითხი მისთვის უკვე მოხსნილია. სრულიად ცხადად გაუცნობიერებია ეს. ამბობს თავისას და განა მხოლოდ მისას — რომ თავისუფლებას, ამ უმთავრეს ფასეულობას ადამიანისას, ალტერნატივა არ გააჩნია თვით სიცოცხლის ფასადაც კი; ამბობს საბედისწერო ზღვარზე ნაწრთობი სიმტკიცით და იქვე შეძენილი ჭეშმარიტი სიბრძნისთვის დამახასიათებელი სევდით; უკვე არავის მიმართ საყვედურით, მაგრამ იმ ინტონაციით, უკანასკნელ აღსარებას რომ მსჭვალავს, იმ გამოუვალ ხლართში მოქცეულის ხმით, საიდანაც მხოლოდ ერთი ნაბიჯილა რჩება და ისიც მხოლოდ სიკვდილისკენ... და რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსნანთ სითამამე...

ღმერთო, ეს საიდანა ნამოტივტივდა, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს ამას? ასე ყველაფრის გამოიფერა რომ ხდებოდეს, და რომც შეიძლებოდაც, რა საჭიროა.

იქ კი, მანქანების სასაფლაოზე ისეთმა ხანძარმა აღენა იქაურობა ცოტა ხანში, ისეთი გრუზუნით ფეთქებოდა ყოველივე, როგორც მეორედ მოსვლისას და ისეთი ვნებები ჩაიფერვლა იქ სამუდამოდ. ის დევნილი მაინც მოკლეს. აკი უგრძნობდა კიდეც გული, რომ უკანასკნელ მიჯნაზე იდგა. თუმცა, ციხეში დაბრუნებას ასე ერჩივნა. შერიფმაც ვერ იხსნა, თვით იმ შერიფმაც. ეეჰ, ამერიკა, შენც აგრე?!.

ერთი, ორი, სამი... ხუთი. აპოკალიფსური ზმანება ქრება. სუნთქვა ჩვეულ რიტმს უბრუნდება. შვებას ვგრძნობ, დროებით.

მომხდარის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო. ეს ბედისწერაა. უარესებიც მომხდარა — წარწერა ლაბირინთში, ყოველგვარი გზამკვლევის გარეშე, იქ, სადაც თეზევსსაც არ შეუღწევია.

ეს ნითური ქალი სადღა გაქრა. ფინჯანიც გაუტანია. ალბათ ახალს მოადულებს და მალე დაბრუნდება ჩემი ამაღამდელი დედოფალი, მოქნილი სახელით ელა — ცისარტყელა წყვილადში. ისე, დაბადებისას კი ევა დაურქმევიათ, მაგრამ შემდეგ, არ ვიცი ელინიზაციის შედეგად, თუ ვესტერნიზაციის გავლენით თვი-

თონ ისურვა ელა ყოფილიყო... რაც მთავარია ალღომ არ მიმტყუნა. ერთობ სექსუალური აღმოჩნდა, თანაც მის ქცევაში იოტისოდენა სიყალბე არ იგრძნობა. ნამდვილი ქალია! ეს კი დიდი გამოგონებაა: ნამდვილი, ბუნებრივი ქალი, თითქმის ამოუცნობი, ზოგჯერ თავსატეხი, მოუხელთებელი, მისტიკური მწვანე თვალების საბედისწერო გამოხედვით, მომჯადოებელი როკვით გამომწვევი ყველაზე სარისკო თამაშში, რომელიც შეიძლება კაცმა ისურვოს, გამოსცადოს — **amor fati**.

ოღონდ გადაჭარბებული სერიოზულობა არ არის საჭირო ამ მაკდური მოდგმის მიმართ. ამას თვითონაც ვერ იტანენ და რაც მთავარია ნკებლა, ნკებლა არ უნდა დაგვაფიქნედეს, როცა მათთან ვიჭერთ საქმეს. ასე არ არის, ძმარა ზარატუსტრა. დროულად, დროულად შემახსენე თავი. აბა, რა გასაკვირია, განა შენც ღამით სიარულს ჩვეული, ეული მგზავრი არ ხარ!

ერთი, ორი, სამი... ხუთს ვერ გავცდი. იქნებ ძალიან ფართოდ ვაბიჯებ, მაგრამ ასე თუ არ ვიარე, ხომ ვერასოდეს დავეინევი იმ თავზებულადღებულ არიელს, რომლის ტემპთან შედარებით ფეხმარდი აქილევსიც კი კუს ნაბიჯით მოზოზინე მოჩანს, და რომელიმე ვირტუალურ, რომანტიკულ მერანზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ჰოდა, ნინ! — **homo viator**.

აგერ ელა... და ყავაც. მუხლმოდრეკით, მაგრამ ნელგამართული ჩამომიჯდა. არც ისე ხშირად ხდება გსიამოვნებდეს თვალნინ ქალი, რომელსაც ეს ნუთია ფლობდი. ეს იშვიათი ქალის უნარია ხელახლა, ცოცხლად, ხელუხლებელივით წარმოგიდგეს, წარმოგიჩინოს საგანძურნი თვისნი იმ თანდაყოლილი უშუალობით, მხოლოდ ჭეშმარიტ სილამაზეს რომ გააჩნია. ასეთი სრულყოფილებისთვის ხომ, როგორც ღიმილით იტყოდა ერთი ქართველი თავადი, გვარად სავარსამისძე, უცხოა მორცხვობის გრძნობა. რაც ასე მომაჯადოებლად დაადასტურა რემედიოს მშვენიერმა შორეული მაკონდოდან.

მაკონდო... ეჰ, პოლკოვნიკო ბუენდია რა ამოდო გავისარჯებ, რა ბრძოლებში დაევისარჯებ! სამართლიანობის დამკვიდრება მოვინდომეთ და ისიც სად? ამ ცისქვეშეთს რა შეცვლის, მხოლოდ ღვინო ოხერტიალი... თაობა მიდის, თაობა მოდის. ეს ქვეყანა კი უცვლელია უკუნისამდე და როსლა გვეღროსოს ჩვენ ვალეძება?... ეჰ, ჭეშმარიტად, ნინასწარმეტყველს პატივი არ აქვს თავის სამშობლოში...

თქვენ, მეამბოხე პოლკოვნიკო, როგორც მახსოვს ყოველ დღით, სისხამზე უშაქრო ყავას მიირთმევდით. მეც ასე ვამჯობინებ. მართალია, ჩემი ყავა თქვენსას ვერ შეედრება, მაგრამ ასეც რომ იყოს, ახლა კარგი მამა-პაპური, ორნახადი ჭაჭა მირჩენია ყველაფერს, თორემ ყავა ველარ შველის საქმეს. აქ უკვე ყინვა იგრძნობა. აი, დაახლოებით ისეთი, პოლკოვნიკო, დახვრეტის მოლოდინში კედელთან მდგომს ჟრუანტელად რომ დაგივლოს, თითქოს ყინულს მიყრდენიო ზურგით, ან პირველ ბრძოლაში, ცეცხლის ხაზზე იერიშის წამოწყებისას წამიერად რომ გადაგკრავს და ხელისულებებს გაგიოფლიანებს. თუმცა, დროა საქმეს მივხედოთ. არ შეიძლება მოდუნება. ნებისყოფაა მთავარი. ხომ დავრწმუნდი, რომ ყოველგვარ ნიჭს კლავს უქონლობა ნებისყოფისა, ნებისყოფა კი, ყველა ნიჭზე დიდი ნიჭია.

ბუხარში ცეცხლი განვაახლე და შემოთავაზებულ ყავას მივუბრუნდი. ამასობაში ელას ხალაით მოუსხამს. მის ნითურ, მძიმე, წაბლისფერნარე თმას ცეცხლის ათინათი აელვარებს და ასე მგონია თვითონ ის გამოსცემს ნათებას. ეს ქალი ნამდვილად იმსახურებს საჩუქარს, თანაც რაიმე განსაკუთრებულს, ამ ღამის განუმეორებელი ეპიზოდის სამახსოვროდ, ამ ფეერიისათვის მადლობის ნიშნად; ასეთი გამოსხივების აღსანიშნავად, ვინ იცის როდიდან ჩამოწოლილ ამ გაუსაძლის უკუნეთში, მდუმარესა და ნესტიანში, როგორც სამარე.

ღმერთო, ღმერთო, ნუთუ სულ მიმატოვე, ნუთუ მართლა... მოკვდი? არა, ეს შეუძლებელია! და ასეც რომ იყოს მე გაგაცოცხლებს! აბა რა გაათენებს უშენოდ ამხელა ღამეს. უშენოდ ხომ მზეც არ ჩნდება ცის კამარაზე, თვით მზეც არ მზეობს უშენოდ!

ისევ ჯიუტად მივაბიჯებ... და ასე ვივლი სანამ მართლა დავმინდებოდე... **სამი, ორი, ერთი**. აღარაფერი. მხოლოდ კედელი

ყრუ, რომელსაც ისევ ამაოდ შეგიძლია ახლო შუბლი შუალამისას, როცა უფსკრულს კი არ ჩასცქერი, ან მით უარესი — უფსკრული თვითონ შემოგცქერის, არამედ თავად ხარ მოქცეული მარტოობის საზარელ ქვესკნელში, დროისა და სივრცის მიღმა.

და მაინც! **ორი... სამი... შვიდი**. ნაღდად **შვიდი**. აღვდგეთ! ვბრძანებ, მაგრამ როდემდე მივმართო ამ თვითრეინიმიაციას, როდემდე ვიკმარო ხელოვნური თუ ხელოვნების სუნთქვა ნიჰილიზმის ამ ვაკუუმში. მით უმეტეს როცა აქ, ამ უღრმეს ფსკერზე, შლამა და ტალახში მივხვდი, უკვე ვიცი რატომ მიინევიდა ის ლეოპარდი კილიმანჯაროს თოვლიანი, სპეტაკი მწვერვალისკენ და რატომ ვერ მიაღწია — ისიც. მერედა რაში მარგია ახლა ამის ცოდნა. ვილა ამიშვებს იმ სიმაღლეზე, ისევე როგორც დიდიმსა და ესტრაგონს, სამყაროს გარეთ, უღმერთოდ დარჩენილ ორ მიუსაფარ სულს აღარ აუშვებენ ეიფელის კოშკზე, რათა იქიდან წამიერ, მაგრამ თავისუფალ ვარდნაში დაასრულონ ამ აბსურდულ ნუთისოფელში ჩამწარებული არყოფნა.

თუმცა, თვითმკვლელობა რომ საქმეს შველოდეს, რამეს ნიშნავდეს გარდა უმწეობისა... ეჰ, ერნესტ!

კილიმანჯარო მაინც უნდა ვცადო. ასეთი სიმაღლეების ასაღებად ნებართვას არ თხოულობენ, შტურმით იღებენ როგორც არკოლეს ხიდს, ანისს, ნორმანდიის სანაპიროს, ბერლინს ან გოლანის მაღლობებს; თუნდაც სუ-ალტოს, ან ვატერლოოთი ამთავრებენ. და ასეც რომ მოხდეს, ფუჭად ხომ მაინც არ ჩაივლის ამ რისკის განევა, ამ განწირული გადალახვის, დაძლევის მცდელობა. ამჯერად ყოველგვარი რომანტიკული შარავანდის ცარესში, მკაცრად რეალისტურ მონახაზში.

ამიტომ, კვლავ მწყობრში გისმობთ პოლკოვნიკო აურელიანო ბუენდია, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მებრძოლო მაქსიმუს, მამაცო შოტლანდიელი უოლეს, ბატონო ქაინოსრო, თქვენ მოწვევაც არ გჭირდებათ, ისედაც ჩვენთან ხართ. ჰო, მართალია არმია აღარ არსებობს, პარტიზანულად ვომობთ, მაგრამ მერედა რა: ამას არ უნდა ჩიჩინი სხვისი, კარგა ხანია ვიცი, მინივი მცირენი ვიყავით ირცხვით, მტერი გვჭარბობდა მინწყვი, მაგრამ განა ნაღდი არ არის, რომ ასი, ათასა აჯობებს თუ გამორჩევით მქმნელია, სამასი ხომ — მით უმეტეს!

ჰოდა, უკვე ვხედავ როგორ წამოიშრება გედონის სამასი მეომარი, მდინარის პირას წყურვილის მოკვლისასაც რომ არ შეუშვეს ხელი მახვილებს, მეფე ლეონიდეს სამასი სპარტელიც კვლავ ერთგულია მათ ფარებზე ამოტვიფრული დევიზისა, აგერ, *ომით გაუმძღარი* სამასი არაგველიც მოუთმენლად აღრჭიალებს კბილებს, მხოლოდ ბრძანებას, იერიშზე წასვლის ნაღდ ბრძანებას ელან, რომ ხმლები იმიშვლონ და ჰკა მავასა! რაო? მერევენება თუ ისევე მესმის ვილაცის ნკმუტუნი: ამ ბირთვული და ელექტრონული ტექნოლოგიების ერაში, რალა დროს ხმლებიაო? თქვენთან პოლემიკამდე არ დავეშვები კაცუნებო, თქვენ ყოველთვის გამოძენით მიზეზ-მიზეზებს რომ ომს თავი აარიდოთ, ხვრელებში შეიყუჟოთ. ისე, ყოველ შემთხვევისთვის მაინც შეგახსენებთ ერთი ძალიან კომპეტენტური პირის აზრს, რომელიც მახვილის ანუ საბრძოლო საშუალებების და სულისკვეთების, ანუ მხედრული შემართების ურთიერთმიმართების და ძალთა თანაფარდობის განსაზღვრისას, გადაწყვეტ უპირატესობას სულის ძლიერებას ანიჭებდა. ის კაცი გვარად ბონაპარტი გახლდათ, კარლოსა და ლეტიციას ნაშიერი, პატარა კუნძულ კორსიკიდან თუმცა, თქვენ ამას მაინც ვერ გაიგებთ. არა შეჯდა მწყერი ხესა... სამაგიეროდ, მიუხედავად ყველა ბარიერისა, ჩვენი ხმა მიწვევება საფრანგეთში ბედის უკულმართობით გადახვეწილ და მამლუქივით ეგვიპტეში ნაწრობთ გენერალ ამილახავარს. მისი და ბევრ სხვა მამულშიშვლათა კეთილშობილი გზნება მოისწრაფვის ჩვენკენ *ამღერ-და სისხლი და დაათრო სული და გული, თუ მზე მომპარეთ, გამინათებს ბნელში ფრანგული, წერიალა ხანჯლებს* — და განა სხვაგვარად, უომრად იქნება? ეჰ, დიმა, დიმიტრი ... ეჰ, ირაკლი — მაინც დახრა უბედობის ტაიჭმა დარჩენილი იმედი? და შენც უკვლოდ გამქრალა, მეოცნებე სოხუმელი არკადიო... ეჰ!

ერთი, ორი, სამი... შვიდი, ექვსი, ხუთი...

„არ იტყვი სახელს?!“
ჭერი ბრუნავს, როგორც მინები იმსხვრევიან და მთელდებიან კედლები...
არავის გაგცემთ.

ისევ დამძიდა სუნთქვა, შენელდა მაჯისცემა. სპაზმი მენყება, მაგრამ მაინც უნდა მოვასწრო საჩუქარი ხსოვნისათვის, სანამ ჩამოქვანა, ვიდრე მოწყდა, ჩამოფარფატდა უკანასკნელი ფოთოლი, სადაც არ უნდა ხდებოდეს ეს: ამჟღერსტა თუ ნიშაბურში, შემოდგომის ბოლოდინოსა თუ ტევტობურგის ტყეში, ოქროსფერი ოქტომბრის მოალერსე მზითა და შოპენის აკომპანემენტით გასხივოსნებულ ხეივანში თუ ოგინსკის პოლონებით დაფერფლილ მინაყრილზე, სადაც ვარშავის გარეუბანში ან ავდრიანი ნოემბრის მინურულს ვაგნერის ვალკირიების დაუნდობელი ქარამოტში — ფოთოლი მაინც მოწყდება, დაეშვება, უჩუმრად დაიკვნესებს... დაეცევიან მთებში ირმები, გულს სურვილები გაეცლებიან, ალანის ვაზებს დასცივიათ ოქრო, ვინ იჯადოქროს?... ვინ, ვინ ჰქმნას სასწაული? ცეცხლმა, ცეცხლმა უნდა ჰქმნას! როგორც იქ, მაშინ, მაყვლოვანში. ესლავადარჩენის ერთადერთი შანსი. თუმცაღა თვალეები ამოშლიაშდა შენი მოლოდინით ღმერთო ერთადერთო, მაგრამ არა ისე, როგორც ბეკეტის გმირებს, იმიტომ რომ აქაც კი, ამქვეყნიურ ჯოჯოხეთში, რომელთან შედარებით იმქვეყნიური (თუკი არსებობს) საბავშვო „მულტიკი“ იქნება, მნამს შენი და უარყოფ აბსურდს, ამ ოსტატურად შენიღბულ ნარკოტიკს. ამასთანავე, ვფიქრობ, რომ ისტორიას აქვს თავისი აზრი და მიზანდასახულება და იგი არ არის „ქოთანი“, რომელსაც ადგილობრივ თარგზე გამოჭრილ — გამოჩარხულ „მეცნიერებათა დოქტორების“ კორპორაცია (კოდური სახელწოდებით კოზა ნოსტრა) ან, აგრეთვე, ადგილობრივ ვიგინდარა პოლიტიკანთა სინდიკატი (ეს „უმიანკო“ პრომისკუიტეტის პალატა), ყურს საითაც უნდა იქიდან მოაბამს.

არ არის ჭეშმარიტება მათ ბავებში, ბილნია მათი შიგნეულობა, მათი ხორხი ღია საფლავია, მათი ენები ქლესაობენ.

ვიზიარებ დეკარტის მეთოდოლოგიურ სკეპტიციზმს, მათემატიკურ ხედვას (ძირითადში) და თუნდაც ამიტომ არ შემიძლია ვიყო ათეისტი ან მორწმუნე მხოლოდ კონფესიური კუთვნილების გაგებით; დუელში ვინვეე ყველა დროისა და ჯურის პროკურსტეს და პროტესტს ვაცხადებ ილია ჭავჭავაძის ჯერ გლეხთა ექსპლუატატორ მემამულედ გამოცხადების, შემდეგ კი ფეტიშად შერაცხვის, ან პირიქით, ყოვლად დაუშვებელი შეურაცხყოფების გამო; კატეგორიულად არ ვეთანხმები ვეა-ფშაველას პანთეისტად მონათვლას, გრიგოლ რობაქიძის, მით უმეტეს კი რუსთაველის ფაშისტად გამოცხადებას, ან მის ჩარიცხვას რომელიც „მთარგმნელობითი კომისიის“ ნევრად. ეს დაახლოებით იგივეა: ნიცშეს კონფორმიზმი დავნამოთ, ფროიდს — ფარისევლობა, ხოლო სალვადორ დალის ნახატები სოციალისტური რეალიზმის ნიმუშებად გამოვაცხადოთ?! და რამდენი მსგავსი და გაცილებით უარესი რამ გვსმენია ამ ბოლო დროს განსაკუთრებით მომრავლებული, უნივერსალური „ექსპერტებისგან“, თანაბარი წარმატებით რომ „ერკვევიან“ ასტრონომიასა და პროქტოლოგიაში, კლასიკურ ფილოლოგიასა თუ გეოპოლიტიკაში, კონსტიტუციურ სამართალსა თუ მეძროხეობა — მეცხვარეობაში, საბანკო-საკრედიტო ოპერაციებსა და ორნიტოლოგიაში?! ბასკები ასეთ შემთხვევაში ამბობენ — სად ერეკლე და სად ჩვენი ხულის გოგო შუშანიკი — ო. ჩვენთან, ქიზიყში უფრო დელიკატურად შენიშნავენ ხოლმე, რომ ეს... ნონსენსია ბატონებო (НОНСЕНС *non-sense* — უძველესი კახური გამოთქმა, რომელიც ეტიმოლოგიასთან ერთობ მწყრალად მყოფმა, იაზონის შთამომავალმა ნუფარიშმა ევროპელებმა მიისაკუთრეს და ახლა თავსაც არ ინუხებენ მიუთითონ საიდან შეითვისეს ეს).

კარგი, ისევ ჩვენი სატკივარი ვიკითხოთ — მაინც საიდან წერა-კითხვის უცოდინარი ამდენი „სწავლული“, წვიმის შემდეგ სოკოებივით მომრავლებული დასტა-დასტა „აკადემიკო-

სი“ (იქნებ მეც მივწერო მოხსენებითი ბარათი აკადემიას რას იტყვი? ფრანც. თუმცა ვინაა ნამკითხველი და გამგები, ან აკადემია სადღაა?!). ამათი შემხედვარე მართლა გაგიჟდება კაცი. არა, ცოტა უნდა ავიყვანო თავი, ცოტა უნდა დავმშვიდდე.

ერთი, ორი, სამი... გაზაფხულის საღამოა მშვიდი, ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი (ბელურა? იქნებ გუგული, ოჰ, ეს გადაფრენები) ნინ მელუბა სხვა ოცნების არე... В темно красном будет пять для мяя моя Дали, в черно-белом своем преклюню перед нею главу, и заслушаюсь я, и умру от любви и печали, а иначе зачем... მართლაც და „Зачем“? Задавай вопросы не проси ответа, лучше и вопросов друг не задавай — მირჩევს პოეტი. ეჰ, სწორი პასუხი სადაა თორემ, კითხვა ისედაც ყველა სწორია, ადასტურებს ჩვენი ქართველი ძმა. გეთანხმებით, გეთანხმებით მგოსნებო და ამიტომ, ახლა სჯობს ყავას მივუბრუნდე, თორემ ეს ჭიქაც გამიცვივდება.

ელას ცარიელი ფინჯანი უკვე იატაკზე დაუდგამს. ნიკაპით მუხლებს დაყრდნობია და ბუხარს მისჩერებია. არის მის მზერაში და მთლიანად ამ პოზაში რაღაცის მოლოდინი... მოლოდინი... იქნებ ახლაც გაცსქერის ზღვას, იქ ბიჭვინთის სანაპიროზე, ქვაში გაცოცხლებული სიყვარული.

ეს კი აქ, ქალი ნითური, ჩემ გვერდით ცეცხლის ალზე ბზინავს, ოდნავ გადაიხარა, ზურგით სანახევროდ გადაწვა ტახტზე და თვალეები მილულა როგორც რენუარის ჩაძინებულმა მობანავემ. ნეტავ თუ ხვდება რა მომხიბლავია ახლა. რალა თქმა უნდა იცის. ამ ქვეყნად თუ რაიმემ იცის საკუთარი თავის ფასი, ეს ჯიში და სილამაზეა. მეერ და რამდენი მტერი ჰყავს მას. მე ჩამაფიქრებს ბედ-ილბალი შენი მშვენების, დროის უდაბნო კიდევ ბევრჯერ მოსავლელია...

ელა რაღაცამ გამოაფხიზლა. გასწორდა. ნითური ფაფარი შუარხია. დაძაბული გაირინდა. წელანდელი ნეტარი გამომეტყველება გაუქრა. პროფილი გამოკვეთილი გაუხდა და მისმა იერმა ამოძალის შტრიხები მოიძინა. გუმანით თუ იგრძნო ძუმ ჩემი გამძაფრებული მზერა. მოვიხიდე, დამეყა, მკერდზე მომენება, ნიციატივას იჩენს, მლოკავს, რას იზამ, კატისებურთა ოჯახისია. თავზე ხელი გადავუსვი, თმა კეფაზე გადავუყარე, სახე ავანევიანე. გაკვირვებულმა ამომხედა, თითქოს მეუბნება ამ სცენარში ეს გათვალისწინებული არ არისო. შუბლზე ვაკოცე. ნილოსის ცხელი ქვიშისა და აფრიკული ყავის სურნელი ასდის მის ნითურ ფაფარს... მივუშვი ნებაზე და მეც მივეშვი...

პირამიდებთან ტიროდა რაში... სფინქსის გამომეტყველება აღარ იყო ისეთი იდუმალი. თითქოს კიდევ მიღიმოდა და შორეულად მაგონებდა მოხუც ლეონარდოს. არა, მაინც ვინაა აქ არაფერ შუაშია. მაშ რა ხდება. სფინქსი რაღაც ადამიანური, იქნებ მეტისმეტად ადამიანურიც კი გახდა. ჰო, რა თქმა უნდა: მზის ქორნილია და ნადიმს სფინქსი თამადაობს, სიყვარულის სადღეგრძელოს წარმოთქვამს: სიყვარული მშვენიერში ჩასახვის და დაბადების სურვილიაო. აჰა, ესე იგი ჰომერული ხანაც გაგვივლია, დიდი კოლონიზაციის ეპოქაც (სხვაგვარად აქ როგორ მოვხვდებოდი) და უკვე კლასიკურ პერიოდში ვყოფილვართ. მეგონა, რაიმე უფრო არქაულს და ორიგინალურს იტყოდა. ეს კი, ვგონებ, უფრო თავისუფალი ვარიაციებია პლატონის თემაზე (დაახლოებით ისეთი, პაბლო სარასატეს რომ აქვს ფანტაზიები ბიზეს „კარმენზე“) ან იქნებ პლატონმა გაიგო ოდესღაც ეს ჭეშმარიტება სფინქსისგან. ზოგი გადმოცემის თანახმად ხომ, თითქოსდა, დაძვრებოდა ეგვიპტეში. თუმცა ეგ სად არ დაეხტებოდა. ნეტავ კოლხეთშიც თუ ყოფილა, ოქროს სანმისის მხარეში, ჰელიოსის შთამომავალთა საბრძანებლოში. ალბათ არა, თორემ ხომ დანერდა პლატონურად, ვთქვათ ასე — რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები, მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი, მიუნვდომელი როგორც მზის სხივი... თუ ვერ დანერდა, „რასა“ არ ეყოფოდა? რას იტყვით, გრიგოლ ბატონო. არა, არ უნდა იყოს ეგ კაცი კოლხეთში ნამყოფი. დიოგენე ლაერტელს მაინც არ გამორჩებოდა ეს ფაქტი. საერთოდ კი (ეს პლატონს აღარ ეხება. ამას საზგასამით აღვნიშნავთ, არავის ეგონოს, რომ სათანადოს არ მივაგებთ მის

იდეალიზმს), ველარ გაიგეს ამ სიბარიტმა ევროპელებმა თავიანთ ჰორიზონტალურ ფუფუნებაში, რომ *სიყვარული ვერტიკალურია და თანაც...* დაიხ, რა თქმა უნდა, ბრუნვადი.

კარგი, დაეუბრუნდეთ ნადიმს. ამ ფარაონებს მშვენიერი საფერავი ჰქონიათ, უხვად შემცველი ტანინის, მალე მომეკიდა. შავშეთ-კლარჯეთიდან თუ ამარაგებენ, ან ამჟამად — ხაშმიდან. დრო მერევა ერთმანეთში, საკმაოდ დამილევიდა.

(დრო კი არა, მთელი ეპოქები გერევა და დალევითაც საკმარისზე მეტი დალიე, მთვრალი ხარ უკვე.)

შენ გაჩუმდი, შენ გაჩუმდი! შენ არავინ გეკითხება. რას მეჩხირები რაღაც მორალიზმებით. ვსვამ, ჩემთვის ვკაეფობ. მთვრალი კაცი — კაი კაცი.

მე შენთვის გეუბნები. არ მინდა ზედმეტი მოგივიდეს. ერთხელ უკვე ძვირი დაგიჯდა ეგ.

თუ არავინ ამიხირდა, არავის ვერჩი. რა დროს მაგეების გახსენებაა. მირონივით ღვინოს ვსვამ და საერთოდაც ძალიან კარგი სიმთვრალე მაქვს — *in vino veritas*. ჰოდა, ახლა ნერვები არ ამიშალო. დროზე აითესე აქედან, შენი ძალიან ფხიზელი ჭკუაც...)

ოჰ, უკაცრავად, კინალამ რაღაც ზედმეტი წამომცდა. მოთმინებიდან გამომიყვანეს, ბოდიშს ვიხდი სუფრასთან. იცით, მაინც ვერ ვარ ბოლომდე გამოსწორებული. ვაღიარებ... და გულწრფელი აღიარება ხომ არის შემამსუბუქებელი გარემოება. ხომ არის? ხმა ამოიღეთ, „იურისტებო“! რას გაყურებულხართ, თუ მაინცდამაინც ზემოდან უნდა დაგირეკონ ან დიდი მაყუთი აიღოთ, რომ ერთი უბრალო სიმართლე დაუდასტუროთ კაცს. ვაი, თქვენს პატრონს...

ჩამოასხი ერთი, ეხნატონ, ჩამოასხი! მე ვიყო სტუდენტი, ამათთან თავის გაყადრება თუ ღირდეს. არ გავარტყი გარდიგარდმო, ვინც სწორად ვერ გაგვიგებს. ვახტანგურად მინდა დავლიო შენთან და შემდეგ ძველებურად, მონოთეისტურად წავილიდი: *შენ ერთადერთი, ხარ ჩემი ღმერთი...* აი, ასე. ვაჰ! ეს ტუტანშამონიც რა მსმელი გამოდგა! მუშია უძახე შენ... და ნეფერტიტიც მართლა რა ნაშა ყოფილა! რის ნაომი კემბელი, რა კლაუდა ან შიფერი, რის თუნდაც სოფი მარსო. თუმცა ესთერს მაინც ვერ შეედრება, ვერც ჩემ თამუნას და რა თქმა უნდა, ვერც ავა გარდნერს. ავა კვლავ მიუწვდომელია, როგორც კილიმანჯარო...

ეჰ, ამათთან ქეიფი კი საინტერესოა, მაგრამ ამდენ ხანს ერთ ადგილზე ყოფნა დამლელია. თანაც სუფრა უკვე აირია, დათვრნენ ფარაონები, ახმაურდნენ, საკმაოდ აგრესიულადაც. *bon ton*-ს აღარ და ველარ იცავენ. ერთმანეთს ძველ ცოდვებს უხსენებენ. იგინებიან კიდევ. ისე, რაც ამათ შინაური თუ გარეული ჰყავთ დაბრუნდის ძალაუფლებისათვის მინიჭებულ ბრძოლებში, ან რაც ამათ და ამათვე ქურუმებს დაუნდობელი ინტრიგები აქვთ ნახლართი, ვინ მოთვლის. თუმცა უამისოდ რომელი ეპოქა ყოფილა... ეჰ, ან გარდასულს მხოლოდ ღმერთი გამოიძიებს! და მეც ნაღველი გარდასული, ისეც მგვრის სევდას.

ნავალ, გავივლი ცოტას, გავისიერნებ. მგონი ისედაც დიდხანს შევეყოფი. რამსეს, გამატარე! გამიშვი, შე კაი დედამამისშვილო, რას გაქვავებულხარ. ეს უკვე გათიშულია. აღარაფერი ესმის. აბა, რა მოუვიდოდა. მთელი ნადიმი იმ ბოზანდარა კლეოპატრას გვერდით იჯდა. მაინც რამ გააგიჟა თავის დროზე ჯერ იულიუსი, შემდეგ კი ანტონიუსი, რომში ვითომ ამაზე უკეთესი ქალი არ მოიძებნებოდა? მაგრამ ეგ ზოტიკით მოიხიბლნენ. ჰოდა აბა, პოლიტიკა და ხიბლი?! თუნდაც ეგ ზოტიკური. იმიტომაც დაიჭირეს კარგი ჩიტი. მოკლედ, ერთი სტანდარტული ნაკლა ეს ეგვიპტის დედოფალი. თუმცა ძალიან განაფული იმაში, რასაც ისე და ისე ქიზიყში *ars amandi*-ს უწოდებთ. მაგ მხრივ რაღა ეს და რაღა მათა ხარი, ან თუნდაც ჩვენი ჯულია, საყვარელი *o, pretty woman!* ეს ეგვიპტელი ელიტა ისე ყოფილა შემოლინო სექსზე, მიმიქარავს ჰოლივუდი. ნაველი ახლა აქედან, სანამ იმ აშარმა დედაკაცმა, ფოტიფარის ცოლმა კიდევ შემოიხია კაბა, ან მე შემომახია ჩოხა, თორემ ხომ ვიცი, *დამბრალდება მაი ამბავი მე...*

ძალიან კი ჩამოცხა. ფენა-ფენა ბული ასდის ქვიშას. გავარვარებულა ჰაერი... და ეს რაღაა? ნუთუ მირაჟი — *ძლივს მო-*

ბარბაცებს მთვრალი ყაყაჩო... ომარ! შენ მოაცილებ? სად ხარ, ძმაო, აქამდე! მაგრამ მოიცა, ყაყაჩო ქვიშაში? ვითომ რა მოხდა მერე: ვარდი თუ შეიძლება სილაში, ყაყაჩო რატომ არა — ქვიშაში, თანაც ჩვენებური სურით მოაქვს ღვინო, *ქართულ მარნში დანახანია...* ფრთხილად, ანა, არ დაგექცეს ეგ დალოცვილი ვაზის ნაყური, თვითონაც დალოცვილი. რა ლამაზი ყაყაჩოები სცოდნია აქაც, მაგრამ კრწანისის მაინც სულ სხვაა... და უფლისციხის?! ეეჰ...

ნასვლისას თამადას არ დავემშვიდობო? ისე, თუ მოიფიქრა და ალავერდს ჩემთან გადმოვიდა, როგორც სტუმართან, მე, ალგეთს გაზრდილმა ბიჭმა — ვიცი როგორი სადღეგრძელო ვაჯახო ახლა, აქ, როცა *სულში გენიით ატეხილი რეკავს ლერწამი*, ამ პირამიდებთან, საიდანაც უკვე ორმოცი კი არა (როგორც ზოგიერთებს ეგონათ), არამედ ორმოცდაათი საუკუნე გადმოძურებს...

ამის უფლებას მე ვინ წამართმევს...

და მეც, ლოთი — შფოთი და ამგვარად მთვრალი, ერთ პირამიდას მივუახლოვდი. *ავეყე კიბეებს, სადაც სვინქსი ქვებს ეფერება და შიშში ვგრძნობდი, რომ ახლოა ბედნიერება, რომ ჩემ გვირგვინზე წაშლილია შავი ნაპრალი* (და რა მცდარი აღმოჩნდა ეს განცდა. ისევე, როგორც ბევრი სხვა, თუ ყველა არა) რაღაც წარწერა იკითხება თითქოს, მაგრამ ვერ ვარჩევ. ეს *ელენე* მართლაც ძალიან აბნეულად წერს (და მგონი კიდევ უფრო საბედისწეროდ იქცევა, ვიდრე ტროაში გაქცეული მისი დიდი ნინამორბედი), ამის გარჩევას თავისი შამპოლიონი უნდა, ან თუნდაც საკუთარი პაოლო. მე ახლა სად მაქვს მაგის დრო. ამ რაშს თუ მერანს რაღა მოუვლია. ერთობ ალტინებულა, თუმცა რაღა რა? სამუშის მოახლოებას გრძნობს, ყალყზე შემდგარა სტიქია. მის აქორჩილ ტალღებზე მოგელავს ჩემი ლამის ამორძალი ელა. გაშლილი წითური თმა ეკლაკნება, ცხელი გამალებით სუნთქავს, მაგრამ არ ჰყოფნის ჰაერი. არ გაიფუდოს, არ დამეხრჩოს ეს ქალი. უწინ ალბათ მოესწრობოდა მდინარისკენ წყნარად ნასვლა და *სილიანი სხეულების მწვანე ტალღებში განბანა*, მაგრამ არა, ახლა, ამჯერად დროში ვინებობ, მზის დაბნელება იწყება. რის ელინური პერიოდი, გლობალიზაციის ეპოქაში ეცხოვრობთ, საერთაშორისო ტერორიზმის პირობებში დიდია ბირთვული ლამის თუ ზამთრის ალბათობა.

მაგრამ რა ვუყო ამ ქალს, როგორ გადავარჩინო, როგორ დავიხსნა ვნების კლანჭებიდან უკვე ყოველივე ეგზისტენციური გაცდენილი. ეჰ, სხვა რაღაც დამრჩენია — *მარჯვე ნაპრალიდან ვესროლე მდინარეს ქალი გაფატრული*. ვიდრე სულ ჩამობნელებოდა, ერთხელ კიდევ გავხედე სვინქსს, აღარ იღიმებოდა, რაღაც ზემკაცრი მარქსისტული იერი მიეღო, მომწუსხველ მზერას არ მამორებდა და დაუნდობლად აბოლებდა ჩიბუხს *გაბრწყინებულ ანწყოსა* და კიდევ უფრო *ნათელ მომავალს*. რაღა დამრჩენოდა... თვითონაც ნილოსის ტალღებს მივეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარე.

ერთი, ორი, სამი... ხუთი.

აღარ ტიროდა რაში, აღარც დრო და ჩემი ლექსი, იმიტომ, რომ აღარ იყო არც დრო და არც ლექსი, აღარც ხმაური და *მძვინვარება*, თქვენ წარმოიდგინეთ — აღარც შიში და *ძრწოლა*. მარტომდმარტო ვეგდე გულშემზარავი არქიპელაგის საგულდაგულოდ ლოკალიზებულ, უფერო და უსახო ირეალობის კუნძულზე, სადაც აღარაფერი ითქმის. მხოლოდ საშინლად ყრუ მღუმარებაა. *Ссылка вечная, ночь бесконечная, тьма безразличная, душа многобитая ... проклята ты Колыма* (ესეც შენი კიდევ ერთი, მაგრამ უკვე სხვაგვარი, ფატალური — იქნებ ლეტალურიც — კოლონიზაცია).

სადაც, შორეულ გალაკტიკაში ალბათ კვლავ გოდებდა იერემია. თუმცა ეს აქ მხოლოდ იგულისხმებოდა და არა ისმოდა. და *იყო მინა უსახო*, და სადღა *იყო ნათელი?* *უძღურ იქმნა სიტყვა ყოველი*, მაგრამ მოიცათ! თუ მიუხედავად ამ ჯურღმულის სრული დახმულობისა, მაინც შევიგრძნობ ნინასწარმეტყველის მოთქმას, რატომ არ უნდა დაეუფვა სადღაც, თუნდაც მიუწვდომელში, მაგრამ მაინც, ჩაკრულოს ჟღერადობა.

თუმცა რატომ მიუზღვდომელში, ეს ჩემ გენში ფეთქავს, ჩემ სისხლში ჩქევს ჩაკრულოს ექო, ჩემ სულს აცოცხლებს, სისხლი ხომ სულია! მაინც რა სისხლი მქონია რა მხნე, რა მდიდარი...

აჰ, გონებაში უწვდომელ არიან მსჯავრნი უფლისანი და არასაცნაურ კვალნი მისნი, მაგრამ ხომ ვიცით, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს და ადამიანი არა მხოლოდ გაუძლებს, ადამიანი გაიმარჯვებს... ჰოდა, არ ვაბედო სიკვდილი, ვიდრე ცოცხალი ხარ! და ისე როგორ იქნება, რომ ჯერ არნახული დრობლინგით არ გავარდვიო ამ კატენაროს ემელონები, ფანტასტიკური ფინტით ჩამოვიტოვო უკანასკნელი ცენტურიონი, ხელის ერთი მოსმით ჩამოვიცილო წარსულის ნურბელები, ვამპირ თანამედროვეობას ხახაში ჩავცე ჩემი გორდა და წარმოუდგენელი ვირაჟით არ გავაღწიო უკიდევანო, სასიცოცხლო სივრცეებში სიახლე ქარის, სილაღე ორბის!.. მომყევ თოლია ჯონათან! თუ მართლა გისწავლია ღამით ფრენა, უმაღლესი პილოტაჟი და მკვდარი მარყუჟიდან უფლებლად გამოსვლა დიდი ავდრების შემდეგ elan vital. განა თავისუფლება არ ნიშნავს გავიჭრა იქით, საითაც მსურს და არ გამაგონოთ დიპლომატიურ-დეკადანსურად რაფინირებული ЖИЗНЬ как подстреленная птица, подняться хочет и не может... ან თუნდაც ძალიან ვაუკაცური არნივი ვნახე დაჭრილი... და როგორც იტყვიან a la guerre comme a la guerre!

(ცოტა სარი გამო, ძმაო, აზრზე მოდი. ხომ შეიძლება ისე მოხდეს, რომ ეს შენი furiosi eroico ყოველდღიურობის ჭაობში ჩაეფლოს. აქ შენ კონკრეტული მონინალმდეგე და ხელშესახები ზღუდე გაქვს დასაძლევია. იქ, ობივატელთა რუტინულ წუმპეში ჩაბუდეულ უხილავ ასპიტ-მორიელთა გესლსა და სამსალაზე იმუნიტეტი გეყოფა? იქ ხომ პირისპირ არავინ შეგებრძოლება, უბრალოდ ნელა და მეთოდურად, დიდი სიამოვნებით და ხელების ფშვნეტიტ, წვეთ-წვეთად შხამით აგვივებენ წუთისოფლის ფიალას და როგორც მათთან ცხოვრებისთვის აუცილებელ მიქსტურას, ისე შემოგაპარებენ და იცი რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ შენ გაბედე და აირჩიე ყოფნა! თანაც საკუთარი პრინციპების შესაბამისად. ამას გაუძლებ? გაფრთხილდი, ჩვეულებად არ გექცევა ყველა მათი უსამართლობის ატანა და ისიც გახსოვდეს, რომ თვითმკვლელობა დიდი საქმის ჩვენში დაწყება. მცოცავი ობსკურანტიზმის საცეცები არ მოუშვა ახლოს, სასიცოცხლო ენერჯიას გამოგწოვენ. თანაც, თავისუფლების მოპოვებამ ან აღმოჩენამ ხომ შეიძლება ჭეშმარიტების სათუობის, ან მისი ფარდობითობის შემამოფოთებელი პერსპექტივის წინაშე დაგაყენოს; და შენ ხომ თავისუფლება სწორედ ჭეშმარიტებასთან მისახლოებლად გინდა, ფიქრობ ამაზე თუ არა, ამბობ ამას თუ არა. არც იმის წარმოდგენა უნდა გაგიძნელებდეს, როგორ აყვადება, ასინინდება, აყიყინდება, ანკმუტუნდება მთელი ეს პუბლიკუმი, ოფიციალურ სტატუსსა და აკადემიურ წოდებებს ამოფარებული არარაობების არმია, თუ ყოველივე ამას პირში მიახლი. იცოდე, ისე გაგიმწარებენ ცხოვრებას, აქამდე გადატანილი მოგონილი იქნება. ჭორსა და ცილისწამებაში აქვს ჭიბი მოჭრილი ამ მოდემას. განსაკუთრებით სუფთა სისხლსა და მალალ სულზე არიან დაგემილები. შენისთანებისთვის ჩაუმწარებიათ წუთისოფელი?! ასეთ ღვარცოფებს ითვალისწინებ?

არ ვიცი, ახლა ამაზე მარჩილობას ვერ დავიწყებ, განვედ ჩემგან, მომწყდი თავიდან. შენი სკეპტიკური სიფათი აღარ დამანახო. პასუხს რეალურ მეორე მოქმედებაში გაცემე).

დაიხ, რაც უნდა მოხდეს და მიუხედავად ყველაფრისა, კვლავ ჩავებმევი ყველაზე სახიფათო და რთულ თამაშში, რომელსაც სიცოცხლე ჰქვია: ერთი იმედით — რათა იგი მარად გავრძელდეს და განმეორდეს აქ, ამ ქვეყნად, რა ვქნა, მიყვარხარ მარადისობავ! არანაკლებ, ვიდრე იმ ზეკაცს უყვარდი. ვიცი, რომ წამიერი ხარ, ერთი გაელევა მხოლოდ, და რა უნდა მოასწრო კაცმა ამ გაელევისას, რას შეავლო თვალი: ჯოკონდას ღიმილს? ნისლიან განთიადს ვატერლოოს ხიდზე? ვეზუვის ამოფრქვევას? აპოლონის ნატყორცნ ისარს მიადევნო მზერა თუ ვარსკვლავი იხილო ბეთლემის ცაზე; იქნებ ერთი კელაპტარი ანთო სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში და თვითონაც სიტყვად აელვარდე! მაგრამ როგორი ალქიმის ქურაში უნდა იყოს ნანართობი ეს სიტყვა, როგორი ხელით ნაკურთხი, რომ საკრალური არსით განიმსჭვალოს, უკვდავებას ეზიაროს. მამ დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს... ელვად დაკვესოს! ჯერ ხომ სისხლი გვიდულს ძარღვში... ყოველ დაწერილთა შორის მიყვარს იგი, რაც ადამიანს თავისი სისხლით დაუნერია... სისხლი სულია. მიყვარხარ მარადისობავ!

მაგრამ ჯერ საჩუქარი, მთავარი ვიყოთ სამართლიანი, ყოველთვის, ყველგან და ყველას მიმართ, თუნდაც ათასმა თრასიმაქემ მიმტკიცოს, რომ ეს არახელსაყრელი, წამგებიანი და დამღუპველიც კია. ეს ქალი კი მართლაც იმსახურებს საჩუქარს, სრულიად განსაკუთრებულს, თვითონაც განსაკუთრებული.

თავად განსაჯეთ: არ მივეტოვებოვარ მაშინ, როდესაც მორიგმა განრისხებულმა იმპერატორმა (მართალია რომანიზებულმა, მაგრამ მაინც ბარბაროსმა) სიკვდილი მომისაჯა. ისე, მე თუ მკითხავთ, ნებისმიერი იმპერატორი მეტ-ნაკლებად მაინც ბარბაროსია (ამ სიტყვის ფართო გაგებით) და ნაბოკოვიც მართალია, როდესაც ამბობს, პოლიტიკოსს სინამდვილეში არ ესმის



მხატვარი თამარ მინაშვილი

ლიტერატურაო. ეს იმიტომ, რომ პოლიტიკა თავისი არსით ყოველთვის მოითხოვს შემოქმედებაზე, განსაკუთრებით ლიტერატურაზე კონტროლს ამა თუ იმ დოზით და (აქ კი უკვე ორუელს უნდა დავეთანხმობთ) შემოქმედება ხომ პირველყოვლისა გრძნობაა, ხოლო გრძნობათა კონტროლირება გარედან შეუძლებელია... ლიტერატურას მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს რაიმე ფასეულობა, თუ მას, ვინც წერს, სწამს ჭეშმარიტება თავის მიერ გადმოცემულისა. ამის გარეშე შემოქმედების ინსტინქტი ქრება. ამიტომ უნდა თქვას უარი მწერალმა თვალი დახუჭოს, თავი მოიტყუოს და სხვაც დააბრმავოს მოვლენების ჭეშმარიტი არსის თაობაზე, რის შენიღბვასაც ყოველთვის და ყველგან ცდილობდა, ახერხებდა, ცდილობს და ახერხებს კიდევ პოლიტიკა. ეს, ალბათ, იმ შემთხვევებზეც ვრცელდება, როცა ამა თუ იმ სახელმწიფო მოღვაწეს, პოლიტიკოსს თავდაც შეუძლია არცთუ ურიგო ლიტერატურული სტრიქონები წეროს (ბოლოს და ბოლოს ეს ხომ მხოლოდ ექიმების პრეროგატივა არ არის — კარგი პროზა); ზოგჯერ ლექსიც. მაგ., „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“ ასე არაა, ამხანაგო სტა... უკაცრავად, სიტყვა „ამხანაგო“ ნამომცდა. წამიერად დამავინწყდა, რომ „Мой товарищ брянский серый волк“, хотя по-прежнему, и „по-совести не знаю за что сижу?“ მაგრამ ეს ხომ მარადიული მოვლენა და სამყაროსავით ძველი კითხვაა...

გთხოვთ პოლიტიკურად გაუნათლებელ და უმწიფარ პერსონად ნუ მიმიჩნევთ. მე რა თქმა უნდა მესმის და ვხვდები თანა-

მედროვე გლობალური საერთაშორისო სისტემის თავისებურებებს Yes, yes, o Guantanamo, o Bagram, Abu Ghraib და რამდენი კიდევ ლოკალური Alcatraz, „Кресты“, ვლადიმირის „კრიტი“, ერთ დროს „გუბერსკი“, თუ ახლანდელი გლდანის იზოლაციონი.

„არ იტყვი სახელს?“ მუცელში დარტყმა ჯოჯოხეთურს აყენებს ტკივილს, მოცელილივით დაეცემა სისხლით დამბალი, მლაშე ტუჩებზე ტკივილი კივის.

ისე, გინდ გამაციმბირონ, გინდა ჯუნგლებში ჩამაგდონ (ვითომ უფრო უარეს ადგილზე არ ვიყო), ან უდაბნოში უწყლოდ დამტოვონ, მაინც ვიტყვი: ლიტერატურის არსი მართლა რომ გცოდნოდა კობა (он же Нижарадзе, он же Чижиков, он же Давид, он же Иванович, он же „чудесный грузин“, значит... სახელი მისი ლევიონია), მწერლებზე არ იტყოდი, ადამიანის სულის ინჟინერები არიანო. ეს რა — სახარებისეულ სულის მეზადურებზე პარაფრაზია? მიპასუხე — ყოფილი სემინარისტო!

თუმცა, ესეც უკვე განვლილი ეტაპია. წავედით. წინ დიდი და უსწორმასწორო გზაა (გზას ვიტყვი, თორემ... გაუვალა ტყერია). მაგრამ ჯერ დასკვნის სახით მაინც უნდა ითქვას, რომ ამ იმპერატორებს ერთობ გაზვიადებული წარმოდგენა აქვთ ე. წ. ლეგიტიმურ ძალადობაზე და არ უნდათ შეიგნონ ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ ბენვის გადაჭრა მხოლოდ მას შეუძლია, ვინც ეს ბენვი შეაბა... და საერთოდ იდეის, აზრის, სიტყვის მოკვლა შეუძლებელია; სულის ჩაკვლა. ეს ყოველთვის მწამდა. მაშინაც, როცა ეს ქალბატონი სულ სხვა სახით გამოემცხა და პავიის კაზემატში და ხანგრძლივი საუბრისას ვუთხარი, რომ გულწრფელი მოშურნე ვიყავი ჭეშმარიტებისა და დაუნდობელი მტერი სიყალბის, და რამდენიმე საუკუნის შემდეგაც, როდესაც იმავე პრინციპთა ერთგულების გამო, ისეც და ისეც წყეული კითხვებით მარტოობის კედელზე მილურსმული სულს ვლაფავდი, კვლავ მენვია, ჩემ სანუგეშებლად დაეშვა ატლასის მთებიდან. ამჯერად, ნეტარ ავგუსტინესთან ერთად მომინახულა...

ალბათ ამიტომაც არ მიუფტოვებოდა არც ადრე, როდესაც სტიქსის წყლებში შევტოპე, და არც მაშინ, როცა ლეთე უკან გადმოვცურე (მაინც როგორ გაბედა, როგორ შემომყვა იმ მღვრიე ლეღვაში, ხომ თითქმის არავითარი შანსი აღარ მქონდა აქეთა ნაპირზე გამოღწევის); არღო, ღამის კაფეშიც იზიარებდა ჩემ მარტოობას და მზესუბირებშიც ჩემთან იყო, მუდამ ერთი და იგივე და ყოველთვის სხვადასხვანაირი...

მგონი უკვე მახოდა. არცაა გასაკვირი — *ведь снова я одинко, как последний глаз у идущего к спелым чело- века...* ეს, ალბათ, საკსებთი კანონზომიერია — აბა, ბრბოში რა ვნახე მე სიხარული?!

Tired with all these, for restful death I cry,
As to behold desert a beggar born,
And needy nothing trimmed in jollity,
And purest faith unhappily forsworn,
And gilded honour shamefully misplaced,
And maiden virtue rudely strumpeted,
And right perfection wrongfully disgraced,
And strength by limping sway disabled
And art made tongue-tied by authority,
And folly doctor-like controlling skill,
And simple truth miscall'd simplicity,
And captive good attending captain ill.
Tired with all these, from these would I be gone...

ეი, ყმანვილო რა გემართება? არ გეკადრება ამგვარი ლამენტაციები. თუნდაც ასეთი მაღალმხატვრული ფორმის. გამაგრდი, ერთი წამითაც არ დაივიწყო, რომ მარტოობა ვერას გიზამს, გცავს თუ ცისა ძალთა დასი და ისიც, რომ წესი არის მამაციისა მოჭირვება, ჭირთა თმენა, არვის ძალ-უც ხორციელსა განგებისა გარდავლენა.

ძმა ხარ, შოთა. ნაღდად ძმა!

აბა, სანამ გავყინულვარ წავიდა აზიდვა ხელებზე იატაკიდან, ტემპში და თან ტაპის შემოკვრა, ვაჩვენოთ იმ თავგადაპარსულ კოვბოის ნამდვილი სისწრაფე და რეაქცია... უუჰ, კარგია, ოცდაათამდე ავედი. ცუდი შედეგი არ არის ამ პირობებისთვის, ამოდრავდა სისხლი ძარღვებში. ახლა ხელის თითებიც გავავარჯიშოთ და წავედით, მე კარგად ვიცი ვინა ვარ, რა ვარ, საიდან მოველ, ან საით წავალ — რას ველოდები, ან რა მომეღის, და ისიც ვიცი, რომ ცოდვები ჩემი მიუტევებელ რჩება ცოდვებად.

ნეტაც მაინც რა დროა ახლა, რომელი საათი უნდა იყოს? დავიჯერო სადღაც ისევ ნერვიულად რეკავს ტელეფონი, რომელი საათია, რომელი საათია? მაგრამ რა საჭიროა ასეთი კითხვებით თავის მტვრევა, რა თქმა უნდა ყველაფერი ისევ ძველ-ახლებურად გენიალურადაა ამ მინიმალიზებულ, გეოპოლიტიკურად მკაცრ ტერიტორიულ დიეტაზე გადაყვანილ კომუნია Georgia-ში. აი, ეს იცის უსასრულო „თრობის“ და ტკობის საათებმა და „ნიჭიერი ხალხის“ ქრონიკულმა ნარცისიზმმა.

ერთი, ორი... ხუთი ისე, ჩვეულებრივ ვითარებაშიც (არა აუცილებლად სტიქსის წყლებში) არის რაღაც ინტიმური თუ ქალმა შენთან ერთად გარკვეული მანძილი გამოსცურა და ერთად გამოხვედით ნაპირზე. ეს მართლაც უჩვეულო სიახლოვის განცდას ბადებს, ურთიერთლოცვას იწვევს. წყლის სტიქიიდან გამოსულს მინა, ხმელეთი გილებთ შინაურულად, მზესაც უხარია თქვენი ერთად ყოფნა. სამყარო ისეთი ახალია, ხალისიანი, აღერით საგვე და ღამის ნეტარების შემოხვეთი დამათრობელი...

არ დავიწყებ მწვანე კონცხთან ზღვა, როგორც მაშინ, იქნება მშვიდი, ვერცხლად გადმოღვრილ მთვარის ბილიკზე უხილავ როიალს ვილაცის თითები მიეაღერებს და უკვდავ ჰანგებად გაეპაქება მარადისობას. შენ მომენდობი... აუხდენელი კოცნის ტკივილი დასერავს გულს, ტალღათ ჩურჩულში ჩავიძირებით და დავიამებთ იარებს დროის ბედნიერების ცრემლი დანამავს ღამეს (... დანამა, დანამა დანამა, ეს დიდი ღამეც დანამა, ვინც ჩვენზე ცუდი რამე თქვას გული გაუბოს დანამა). მე ვეღარ გავარჩევ სად მთავრდება ციაგი მთვარის და იწყება ბზინვა შენი სხეულის. შენ დაივიწყებ წარსულს, მომავალს, ყველას, ყველაფერს და ჩემ მკლავებში შეუერთდები სამყაროს და ცაზე ერთდროულად იქნება ორი მნათობი — მზე და მთვარე, როგორც ჩემი და შენი სხეულის შესისხლბორცებული ანარეკლი...

...ოთხი, ხუთი. აი, ეს არის მშვენიერში ჩასახვა არისტოკლ, და დაბადებაც, გასაგებია!

ისეც მახოდა. აბა რა იქნება — ვგონებ მართლა მერვე დღე თუ წრე წავიდა, იქნებ საბედისწერო მეცხრეც. მეშვიდე დღეს თვით ღმერთმაც კი დაისვენა, მასაც კი დასჭირდა დასვენება. არა, მშვენიერად მესმის, რომ დღე ერთი შენი, უფალო, ვითარცა წელი იგი ათასი და ისიც, რომ წელი ერთი და ათასი ბარდაბარია ჟამისა, მაგრამ დასვენება ხომ ყოვლისშემძლესაც მოუწინა, ხომ საინტერესოა! ნეტავ როგორია ბიბლესტების კომენტარი ამაზე. ღმერთო, რამდენი რამ მინდა ვიცოდე და არ კი ვიცი.

(შე კაი დედ-მამიშვილო, რამდენჯერ მითქვამს: ასეთების ცოდნა თუ გსურდა სწავლისთვის დაგედო გული, ხომ გექნებოდა შენც ზოგ-ზოგივით, საკუთრად, არა საუცუბოდოდ თბილი ჭერი და რბილი ლოგინი. ქუჩას, ცუდ ბიჭებს თავი არიდე, რამდენჯერ გითხრეს ხვეწნა-მუდარით... ახლა კი, ნერ და მხარს უკან დგას სინანულად იმ დროის მთელი ნაცულულუტარი.

მომაშორეთ ეს კაცი, უდროო დროს მეჩხირება ფიქრებში, მომაკვლევიანებს თავს.)

და ვინმემ იცის? და თვით ღმერთმაც კი იცის, ან თავისივე ქმნილებს ურჯუკი ხასიათი თავიდანვე იცოდა? თუ ასეა, მაშინ რატომ აღმოჩნდა ადამისა და მისი მოდგმის ქმედებანი ასე მოულოდნელი და მიუღებელი მისთვის. და საერთოდ რატომ არის ღმერთი აგრე მიუწვდომელი, გონებით გასაზარებლად შეუძლებელი მისივე, მის მსგავსად და ხატად, შექმნილი არსებისათვის. *fides quaerens intellectum* — ასეა ანსელმ? ვინ გამცემს ამაზე პასუხს, აღმოსავლელი მოგვები? რაბინები? წმინ-

და მამები? გერმანელი მისტიკოსები? შტაინერი? ივანე კარა-
მაზოვი? ველარ, მაგას თავის გაჭირვება ეყოფა. დალაი-ლა-
მა? ბლავატსკაია? რერიხი? გურჯიევი? ისე მაგას რა ვუთხა-
რი! ყველაზე კარგად, ალბათ, მაინც განდი გამიგებდა, ძველი
არესტანტი — მაჰათმა.

ახლა კი გვეყოფა, ახლა შევიჩრდეთ, სანამ მთლად არ შევ-
შლილვარ... ერთი, ორი, სამი... ხუთი.

დავიღალე. სიარულით დავიღალე. შეჩერებაა საჭირო. პა-
უზა. მეტყველი დუმისის პაუზა...

თუმცა ძალიან ცივა, მაგრამ ჩამოჯდომა რომ იყოს შესაძ-
ლებელი, ერთ-ორ წუთს მაინც შევისვენებდი. ერთი მორყეუ-
ლი სკამი რომ იდგეს; აი, თუნდაც ისეთი, ვან-გოგის. თანაც
ზედ ჩიბუხი. ესე იგი გაბოლების საშუალება. ეეჰ, მეც მოვიწი-
დომე რა, ნებისმიერი პრეზიდენტის სავარძელში დაბრძანება
უფრო შესაძლოა, ვიდრე ვან-გოგის სკამთან მიახლოება. მარ-
ტობით დანისლული სევდითა და ალალი ადამიანური სითბო-
თი გამსჭვალულ ამ ნახელავთან, რომლის სისადავესთან მო-
ნარქვა ტახტების ბრწყინვალეობაც ფერმკრთალდება. აი, ის
მიუწვდომელი უბრალოება, როცა ხელოვნება სცდება თავის
საზღვრებს, იმარჯვებს საკუთარ თავზე და სიცოცხლედ იქ-
ცევა ასე არ არის, ჰენრი, პარიზში ჩაბუდებულ ალვირასსნი-
ლო, ექსტრემისტო ანტიასკეტო!

გვეყოფა დასვენება და ეს არასაცნაური რემინისცენციე-
ბი. რა დროს დალლაა?! ნინ! მიუხედავად ყველაფრისა და
სიტყვა არ ნამოგცდეს, სიტყვაც არ ნამოგცდეს, რომ შენ დაი-
ლალე, განზე გადექი და ტყვია დაიხალე. და არც წამომცდება.
ეგ კი არა და ლიმილსაც შევიწარჩუნებ და დავრჩები იმად, რაც
ვარ სინამდვილეში. რას იტყვი, ალან! აბა სხვაგვარად როგორ
იქნება — o lucky man,.... lucky man!

ჰო, მართლა! იმ როიალზე თავიგული იდო. უფრო სწორად —
რამდენიმე ყვავილი იყო მიმოფანტული. ჰოდა, როგორი საჩუ-
ქარიც არ უნდა შევურჩიო ჩემ ცისარტყელას, თავიგულიც
აუცილებლად თან უნდა ახლდეს. ქალის გულიც ხომ თოცუ-
ლია. რა მძლავრად და ამავე დროს ნაზად ფეთქავს ის, როცა ძუ-
ძუთა კერტებს უკოცნი, რა არომატიც ასდის! ჰოდა, ასეთ თაი-
გულს რომ დაენაფო, თვითონაც სუფთა უნდა იყო. ერთი სიტყ-
ვით, საჩუქარი, რა თქმა უნდა, თავისთავად, მაგრამ ვიდრე მი-
ვართმევდეთ, ჯერ განვიბანოთ, გავსუფთავდეთ, განვახლდეთ.

აბა, კარგი თბილისური აბანო და მაგის ჯანი. განა ხანგრძ-
ლივი ყინვების შემდეგ მამაკაცის ცხოვრება ხელახლა აბანო-
დან არ იწყება?!

ვენახით, დღეს რომელი მექისე დამხვდება — ჟორა (გიორგი)
თუ მიშა. მართალია „მაიორას“ ვერცერთი ვერ შეედრება (ავსუსს,
ვერის აბანო!), მაგრამ ამათაც არა უშავთ. ჟორა თუ დამხვდა, მო-
მინევს მასთან საუბარი საქართველოს ისტორიის საკითხებზე. მა-
გალითად პასუხის გაცემა (უკვე მერამდენედ) კითხვაზე: თამარ
მეფე დავით აღმაშენებლის შვილიშვილი იყო თუ შვილთაშვილი;
ან, ვთქვათ, როდის გაუქმდა მეფობა საქართველოში, ბოლშევიკე-
ბის შემოსვლისას თუ უფრო ადრე. გაერთიანებული ქართული სა-
მეფოს პირველი მეფე ვინ იყო, ჟორამ (იმავე გიორგიმ) — ბარე
ორი მინისტრისგან განსხვავებით იცის. აუცილებლად რაიმეს
მკითხავს სტალინზეც, მის წარმომავლობაზე. მომდევნო სა-
კითხად ჟორა — გიორგის თავისი სასწაულმოქმედი ფიტოთერა-
პიისა და ჰომეოპათიის არარეალიზებული ეფექტიანობა შემო-
აქვს. ეს, როგორც წესი, ქისით გახეხვის შემდეგ, გასაპუნისას ხდე-
ბა ხოლმე; დაიჩივლებს, რომ ჯანდაცვისა და „კიდევ რალაცის სა-
მინისტრო“ ჯიუტად ეუბნება უარს ლიცენზიის გაცემაზე, მაგრამ
ის იმედს არ კარგავს და ამასობაში ჩემ დაბანასაც მორჩება. თხე-
მით ტრეფამდე საპნის ქაფით მოცულს თბილ წყალს გადაამაგ-
ლებს, გაამოსო — მეტყვის, „შლოპანცებს“ მომიწევს და მეც ას
მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვამი მსოფლიოს ახალი რე-
კორდსმენივით, ხალისითა და ჯანით აღვსილი გავნეე შხაპისკენ...

მიშას ასეთი ინტელექტუალური საუბრები არ უყვარს. ის გა-
ცილებით პრაგმატულია. ხმადაბლა, თავისთვის ლიღინებს, თან

ქისით გხეხავთ, თან სხვათაშორის გკითხავთ: „სამსახური თუ
გაქვს, სად მუშაობ, ჯამაგირს რამდენს გიხდიან“. ეს უკანასკნე-
ლი შეკითხვა მექისე მიშას მხრიდან უშუალოდ ჟღერს. აბა, მიშას
ეს როგორ ჩაუთვალათ უტაქტობაში, როცა აგერ, რომელიღაც
კოლეგა-პროფესორი ისე უცერემონიოდ დაინტერესდება ხელ-
ფასი რამდენი გაქვსო წუთითაც არ დააფიქრებს ასეთი შეკითხ-
ვის უხერხულობა. თუმცა რა დროს „პროფესორებია“, საჩუქარი
გვაქვს შესარჩევი. უკვე განვიბანეთ, გავსუფთავდით და თაი-
გულზეც უნდა ვიზრუნოთ, თანაც ისეთზე, დუბლინიში, 16 ივნის-
საც კი, თვალი რომ ზედ დარჩებოდა ყველას.

საჩუქარზე ალბათ ისიც ფიქრობს, ჩემი პენელოპე, და რა
შეიძლება მოხდეს... ის შეიჭრის თმას და მიყიდის საათის სამა-
ჯურს? მაგრამ რად მინდა სამაჯური და თვით საათიც, დროის
მიღმა მყოფს. ამაზე ქალი დაფიქრდება? ან იქნებ დროში ჩემი
დაბრუნება სურს. ასეთ შემთხვევაში მას სავარცხელი უნდა
ვაჩუქო? მაგრამ ეს უკვე იყო, წინა თუ იმის წინა, რომელიღაც
ცხოვრებაში, ზუსტად არ მახსოვს, თანაც ერთსა და იმავე
მდინარეში ორჯერ შესვლა არ შეიძლება და, რომც შეიძლებო-
დეს, უკვე უინტერესოა. ჰოდა, როგორ მოვიქცე ამჯერად, რა
ვაჩუქო, რა ვუსახსოვრო სამარადღამოდ. იქნება... იქნებ ეს
ტექსტი, ა? მაგრამ „შმონზე“ რომ „დაწვან“ რალა ეს ხელნაწე-
რი, რალა ეს დაინვება. ერთხელ ხომ შევძელი და გადავარჩინე
ის გზავნილი, ის წერილი ალტაირიდან და ახლა ამას დავანვე-
ვინებ? თუმცა შეიძლება უარესიც მოხდეს: უკეთურმა თვალმა
იხილოს, თვალთმაქცმა თავისებურად ნაკითხოს, ნაბილნოს,
აკუნოს. დასაშვებია? დაუშვებელია! ველარ აკუნავენ . უკვე
ველარ. მე არ დაეუშვებ.

ჰოდა, საქმეს მივხედოთ, საქმეს. ხომ მართლს ვამბობ
ლუკა. ხომ ისევ გვაქვს საქმე, თანაც როგორი სამახარობლო!
და ამ მისიის გაუქმება განა იქნება?!

ბუხარში კი ნალვერდალი მინავლებულა, აბა, შევუბეროთ!
ერთი, ჰუუ, ორი ჰუუუ... სამი... ცოტაცა, ძმაო, ცოტაცა და...
საქართველოში შენ ერთი მაინც არ იტყვი, როგორც იტყვიან
სხვები ... უნდა გაუძლო! ადამიანი მაშინ კი არ კვდება, როდე-
საც უნდა მოკვდეს, არამედ მაშინ როდესაც შეუძლია მოკვ-
დეს. უკანასკნელი ძალების მოკრებაა საჭირო. უკანასკნელი
ზოგჯერ თავდაპირველზე ძლიერია, გამოცდილებაც ერთვის.
თანაც, არჩევანიც აღარ გაქვს, შენლა დარჩი. თვითონ შეიძლე-
ბა ვერ გადარჩე, მაგრამ ხსოვნა უნდა გადაარჩინო. ერთი ვინმე
ამისათვის ყოველთვის რჩება. ის, ვინც გზიდან არ გადაუხვევს,
ივლის... ეს გზა კი ყოველთვის სიკვდილ-სიცოცხლის, ყოფნა-
არყოფნის გადახლართულ მიჯნაზე გადის და ეს მიჯნაც სმი-
რად ძალიან შენიღბულია, ზოგჯერ კი შემადრწუნებლად აშკა-
რა. მაგრამ აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს! ეს ჩემი
პროტესტის ერთადერთი ჭეშმარიტი გზაა Via crucis via lucis
და არავითარი სხვა გზა, სხვა ხსნა ამაზე მეტი არ გამაჩნია.

ამის უფლებას მე ვინ წამართმევს!
ღმერთო მომხედე, შინ ხომ მაინც ყველაფერს ხედავ და
ხარ არსთა გამრიგე. ჰოდა, ამ ბრძოლაშიც შემენიე. შემინდე
ყოველი უსჯულოებანი, მომიტვე შეცოდებანი ჩემნი აურა-
ცხელი და მათქმევინე, რომ მართლაც ხარ ის რომელიც
ხარ და საერთოდაც... გენიალური ვინმე ხარ. თუმცა არა,
სჯობს სხვა გამოთქმას, უფრო არსებით ეპითეტს მივმართო,
უფრო ახლობლურად მოგმართო (გენიალურს ახლა იმდენის
და ისეთების მიმართ ხმარობენ, რომ ძალიან ტრივიალური
გახდა და შინ ველარ გკადრებ), მაგრამ საჭირო სიტყვას რომ
ვერ ვპოულობ. აქ თავდაპირველი სიტყვაა მოსახმობი. ჰოდა,
აბა 21-ე საუკუნეში და ისიც მხოლოდ ჩვენი ნელთადრიცხვით,
თავდაპირველი სიტყვა საიდან? მოდი მოკლედ და თბილისი-
ურად გეტყვი — ჯიგარი ხარ და მჯერა, მუდამ ასეთი იქნები.
აბა შინ რა შეგცვლის! ოღონდ არ მითხრა ახლა ეს ყველაფერი
მეიღებ მომწერე და თანაც ინგლისურადო. არ არის ეს ინგლი-
სური ენა იმდენად მდიდარი და გამომსახველი, რომ „ჯიგარ“
— ის ზუსტი შესატყვისი ან სხვა მსგავსი ფუნდამენტური ცნე-

ბის აღმნიშვნელი ჰქონდეს. არ არის და რა ვქნათ? არ განუცდია სპარსულის გავლენა: „სპარსთა ენისა სიტკობანი“ ინგლისელებს ვერ „ასურვა მუსიკობანი“. როგორც ჩანს, ლინგვისტური თვალსაზრისით საკმაოდ უპრეტენზიო (?) ხალხია. მათი ლიტერატურის სრულად ცოდნაზე თავს ვერ დაეძებ, მაგრამ არ წამიკითხვას და არც სხვისგან გამიგია ინგლისელებს ეთქვათ, რომ შინ მეორედ მოსვლისას ადამის მოდემას მათ ენაზე განიკითხავ. ასეთი ამბიცია ანგლოსაქსებს არც მაშინ ჰქონიათ როდესაც „მზე არასოდეს ჩადიოდა ბრიტანეთის იმპერიის თავზე“ (თუმცა კი მიუთითებს მსოფლიოს — მნათობი გრინვიჩიდან ამოდისო) და მითუმეტეს არც ახლა, როდესაც წყნარად არიან შეყუჟულები თავის ნისლიან ალბიონზე (თუ არ ჩავთვლით საფეხბურთო ფანების ხანმოკლე დესანტებს კონტინენტურ ევროპაში), მშვენივრად მოიხმარენ ადრე მოხვეჭილ-მოპოვებულს და იშვიათად, ისიც მოუსვენარი ამერიკელების ნაქეზებით და მოთხოვნით, უხალისო ხალხისთ ებმევიან „დემოკრატიული მშვიდობის“ გლობალურად დამკვიდრების ისტორიულ (სტრატეგიულ) აუცილებლობაში. აი, იანკი სხვა საქმეა. ოო, ძია სემი მოგვხსენებათ... თუმცა ეს სხვა საუბრის თემაა. ახლა ამაზე მსჯელობას ვერ დავინყებ. ბოლოს და ბოლოს ლექციას ხომ არ ვკითხულობ საერთაშორისო ურთიერთობებზე. თავადაც კარგად იცი, ვინ რას წარმოადგენს, რას და რისთვის თამაშობს დიდი საჭადრაკო დაფით დეკორირებულ „გლობალურ ჯუნგლებში“, სადაც ჩემი პატარა, ტურფა საქართველო ახლომდებარე მტაცებლებისგან გასაჯიჯგნადაა განწირული, ხოლო შორეული „მოყვრებისთვის“ ცივილიზებულად, დელიკატურად, ნორმების სრული დაცვით მოსახმარ მხარეს, ტერიტორიას, პლაცდარმს წარმოადგენს. ასეა, თუ შეილნი არ ვევარგენით, რა ქნას სამშობლო მინამა.

ეჰ, მამულო შენი წინასწარმეტყველნი ცრუ და სულელურ ხილვებს ხედავენ შენთვის... დაკარგულის დასაბრუნებლად, მხოლოდ ცრუსა და მაცდუნებელ განაჩენს ხედავენ შენთვის. უშუალოდ, ვითომ რა მოხდება, ცოტა აქტიურად რომ ჩაეირო ამ ანარქიული სისტემის რეგულირებაში, ეთიკური განზომილების საფუძველზე მისთვის სტაბილურობის მინიჭების საქმეში. ძალიან იდეალისტურად ვმსჯელობ? არა, არ მაინყდება, რომ შინბან მთლად მიტოვებულები არ ვართ. ჯერ კიდევ გვახსოვს, ვის ნილხედრ ქვეყანას წარმოვადგენთ, გვყავს 365+1 წმინდა გიორგი (ისე, ერთხელ არანწინდა ფსევდოგეორგიც შემოგვაპარეს და რა ვიხიერეთ მაგით, კი ხედავ თვითონ), წმინდა ნიკოლოზიც კვლავ გემფარველობს და რა თქმა უნდა ნინოზე დანდობით და მისი შენდობით არ ვადავშენდებით, მაგრამ მაინც სულ ისეთი გრძნობა გვაქვს (განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანს), რომ შინი ხელი მოგაკლდა...

როგორ? თუ შეიძლება უფრო მკაფიოდ გვითხარი.
 — თვითონ გავანძრიოთ ხელი ანუ ტვინი და გვიშველი?
 — ეჰ, ტვინი სადღაა, თორემ?!...
 — რაო?

— არც მთლად მასეა საქმე? ერთი-ორი მართალი, დაუსრულებელ გზაზე შემდგარი კაცი კიდევ მოგვეძებნება?
 — ჰოდა, თუ მასეა ამ ერთი-ორის ხატრით მაინც ნუ მოასპობინებ მტარვალებს ჩემ ქვეყანას. ზოგიერთ რამეს შეგახსენებ, თორემ შინ იშვიათად, მაგრამ მაინც რალაც გულმავინყობის მსგავსი გემართება ხოლმე (გოდ.2,1). ხომ შეისმინე თავის დროზე აბრაამის აპელაცია (დაბ. 18, 23-33), მოსეს არგუმენტები (გამ. 32, 11-14).

— რა ბრძანე? იქ საქმე რჩეულ ხალხს ეხებოდაო?
 — კარგი რა, ღმერთო, შენთანაც მოსულა ჩემი, შენი, რჩეული, პრივილეგიებული, ელიტა? თუ ღმერთი ხარ, ყველა სათვის უნდა იყო, თორემ ამიტომაცაა, ზოგიერთები (გვარებს არ დავასახელებ) რომ იწყებენ ხოლმე მტკიცებას თითქოს შინ საერთოდ არ არსებობდე, ან რომ კი არსებობდი, მაგრამ მოკვდი. მართალია, ეს ძალიან ძვირი უჯდებათ, მაგრამ ვიდრე თავისი მიეზღვებათ, მანამდე რაებს სჩადიან?! და შინ, დავიჯე-

რო ამის ხილვა გსიამოვნებს? ნულა მეტყვი, რომ შინი გზები და სამართალი ჩვენთვის მიუწვდომელია, ყველაფერი ისე უნდა მივიღოთ, როგორც არის და ამ არსებულს შევეგუოთ. განა ყველა შინი წამდელი წინასწარმეტყველი და მოციქული პრინციპიდან გამომდინარე არ იყო? მართო ამოსი რად ღირს (ამოს. 5. 10-24) ან თუნდაც ესაია (1.4-17). სხვათა სახელებიც შეგახსენო? არა, ასეთი თავხედიც არ ვარ. ხომ თვითონაც აღარ გჯერა ახლა მაგის. ჰოდა, შინ და კონფორმიზმი?
 — გამეცი პასუხი კაცი არ ხარ? აღარ მელაპარაკები ხომ, აბა, ახლა ჩემთან დიალოგის განწყვეტა იქნება? ვინ მყავს შინს მეტი დამლაპარაკებელი. მოდი შევრიგდეთ. რაც იყოს, იყოს. არ გინდა ახლა თავის მომკვდარუნება, ხომ ვიცი, რომ ცოცხალი ხარ. და გაისმა ხმა — ახალმოსულო!

— მიუგო — აქ ვარ.
 მეტისმეტი მოგდის. რატომ მოითხოვ ჩემგან პასუხს იმაზე, რასაც თვითონ უნდა ხვდებოდე. როდემდე გინდათ ასე მზამზარეული რეცეპტების მიღება თქვენ წყლულებზე სამკურნალოდ და არა დაფიქრება იმაზე, თუ რატომ გჭირთ ეს სნეულებანი.
 — მიუგო — ყველას მაგივრად როგორ ან რატომ უნდა გიპასუხო. ერთი უსწავლელი, გაუნათლებელი კაცი ვარ („ხარისხიც“ კი არ მაქვს დაცული). კალამი მე არ მიჭრის და სიტყვა; დიქცია არ მივარგა, ძმაც არ მყავს, რომ საჭირო დროს ჩემ ნაცვლად ილაპარაკოს. არც მასმედიაზე მიმინვდება ხელი, ვერც სოციალურ ქსელებში მოხვდები, ისეთ ღრმა და ბნელ იზოლაციაში (კინალამ წამომცდა კოლეგიალობაში) ვარ მოქცეული. თანაც უკვე დიდი ხანია, შინ კი, „ახალმოსულო“, მომმართავ.

— კვლავ გაისმა — ახალმოსულო! მსგავსი მსჯელობა და ტონი ადრეც მსმენია. შენ არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი. საოცარია, როგორ გაურბიხართ პასუხისმგებლობას, როცა საქმე საქმეზე მიდგება ხოლმე. მაგისტრის მოგეცათ ნება თავისუფალი, ნებისყოფა, გადაწყვეტილების მიღების უნარი?
 — მიუგო — რომ გიპასუხო, კვლავ ზედმეტობაში ჩამითვლი?
 — არა — იყო პასუხი. თქვი, რასაც ფიქრობ.
 — მიუგო — ჰოდა, თუ მასეა, განა შინ არ განვიცდია რალაც სინანულის მსგავსი ან დაეჭვება მოსახდენის აუცილებლობაში? ვთქვათ, წარღვნის შემდეგ (დაბ. 8, 21) ან ზეთისხილის მთაზე (მარკ. 14, 26 — 41; ლუკ. 22, 39-42), გოლგოთაზე რომ აღარაფერი ვთქვათ (მათ. 27, 46; მარკ. 15, 3)

— გაისმა — ჰო, მაგრამ განა პირდაპირ და გასაგებად არ მითქვამს ყველაფერი? განა რომელიმე ჩემი ანგელოზისთვის დამიკისრებია პასუხისმგებლობა მომხდარის გამო. ყურადღება მიაქციე, როგორ ვიცავ ჩემ სიტყვას და სიტყვას როგორ ვიცავთ თქვენ. ამით დავამთავროთ ეს დისკუსია, ამჯერად მაინც. შენ კი იცოდე, ადგილი, სადაც იმყოფები, სინამდვილეში წმინდაა და ნათელი. შესაბამისად იმოქმედე. იმავე სანყაოთი მოგეზღვევა.

არ გამაგიჟო, ღმერთო! ეს ნუშე და წყვდიადია წმინდა და ნათელი?! დამცინი კიდევ?
 იყო ხმა — აი, ასეთები ხართ ადამიანები. დაუფიქრებლად და ხელალებით მომანერთ ხოლმე თქვენ თვისებებს. დაცინვა მე საერთოდ არ ვიცი რა არის. ხუმრობა, კი ბატონო, იუმორის გრძნობაც საკმარისი მაქვს, ზოგჯერ შეიძლება ზომიერი ირონიაც ჩავაქსოვო ისტორიის მსვლელობაში, ისიც იმიტომ, რომ თვალი აგეხილოთ მეტისმეტად თავდაჯერებულებს, მაგრამ დაცინვა არა, არავითარ შემთხვევაში. გაახილე თვალი! დამნახვეები ყოველთვის ხედავენ. შენც შეგიძლია, თუ მოინდომებ, ნამდვილად თუ მოინდომებ, სინათლესაც დაინახავ და სინამდვილესაც. მეტსაც გეტყვი, თუმცა არა, დანარჩენს თვითონ მიხვდი, ყველა მონაცემი გიბოძე სამაგისოდ.
 ღმერთო, ეს მაინც მითხარი, აი დეგიტომურია თუ არა...

— უმალ გაისმა — პოლიტიკურ საკითხებზე კომენტარს მე არ ვაკეთებ, ეგ სფერო ჩემი ანტაგონისტის კომპეტენციაა. ისევ მძიმე და ყრუ მდუმარებაში ჩაესვენა ყოველივე. უაზრო და უსახო ნიჰილიზმის გამოიგნულ სიცარიელეში ყინვამ იმატა.

ეს რა გამაოგნებელი რამ მითხრა ბოლოს ფიქრს განაგრძობდა იგი. როგორ, ისტორიას განაგებს და პოლიტიკურ მოვლენებს, ამ ყველაზე საპასუხისმგებლო სფეროს, რომელიც ფაქტობრივად, მთელ ჩვენ ცხოვრებას განაპირობებს თავისი ანტიპოდის გამგებლობაში ტოვებს?! აბა, იმას რა ვუყოთ, ერთი ძალიან ავტორიტეტული, დამასკოს მისადგომებთან გასხვიოსნებული თუ დასხვიებული პროზელიტი დამაჯერებლად რომ გვიმტკიცებდა ...არ არსებობს ხელმწიფება, თუ არა ღმრთისგან — ო. (რომ.13,1) და თანაც ამას ამბობდა პოლიტიკური რომის იმპერიის არსებობისას და მის ფარგლებში. ხომ არ იჩენს აქ თავს მოციქულის მცდელობა, ევანგელისტური შინაარსი ელინური აზრისა და ენის ფორმადი მოაქციოს, ასე გადმოგვცეს, და აქედან ხომ არ მომდინარეობს ის, რომ როდესაც სახელმწიფოსადმი ლოიალობის საკითხი დგება, ქრისტეს უკანა პლანზე გადაანაცვლებენ ხოლმე. ნიბურისგან განსხვავებით, დარწმუნებული არ ვარ ამაში, მაგრამ იმ ფაქტსაც ვერსად ნაუვალთ, რომ ეს „ხელმწიფება“, ძალაუფლება პირველ რიგში პოლიტიკური ცნებაა. მაშინ რა გამოდის, რაღაც გამოუვალ წინააღმდეგობაში ვვარდებით (თუნდაც ეს წინააღმდეგობა ვარდებით იყოს მოფენილი, საკითხი თავის სიმწვავეს არ კარგავს). თუმცა, თუ დაუშვებთ (გვაქვს ამის საფუძველი), რომ პავლე მოციქული მშვენიერად თავსებს იმას, რასაც მისმა ერთმა უფროსმა, თითქმის თანამედროვე დიდმა სწავლულმა პოლიტიკური თეოლოგია უწოდა, ან თუნდაც გარკვეულწილად ასეთი თეოლოგიის წინამორბედად მივიჩინეთ შაულ-სავლედ ყოფილს (თეოლოგიური პროპაგანდა ხომ ნაღდად სახეზეა, თანაც როგორი ოსტატობის), მაშინ ზოგიერთი საკითხი ნაწილობრივ მაინც გასაგები ხდება, მაგრამ შეკითხვა — რა არის თვითონ პოლიტიკა, ძალაში რჩება. ვთქვათ, ის მართლაც შესაძლებლის ხელოვნებაა („წარმართთა მოციქულის“ მოღვაწეობა ამას ნამდვილად ადასტურებს), მაშინ მთელი ჩვენი ცხოვრება პოლიტიკა ყოფილა. განა არულ შესაძლებლობებს და მათი რეალიზების საშუალებებს ს რ ვეძებთ? განა საკუთარი ინტერესებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფით არ ვართ ან არ უნდა ვიყოთ დაკავებულინი?

ოღონდ ხელები არ გაასავსავოთ ახლა და არ შეიცხადოთ, რომ ეს პოლიტიკის მეტისმეტად პრაგმატული, რიშელიესეული (raison detat) ან ბისმარკისეული (Real politik) ევროპული გაგებაა, უფრო ფართო გაგებით, დასავლური, ვილსონის იდეალიზმით შენიღბულ-შელამაზებული ხედვაა და ქართველებს, ამ პოლიტიკურადაც „კაცია — ადამიანებს?!“ ეს არ გვეხება ან, ყველელ შემთხვევაში, არ უნდა გვეხებოდეს.

გვევლება, ძალიანაც გვევლება. გვიჩნდა ეს ჩვენ თუ არა, მოგვწონს თუ არა, იმიტომ, რომ ჩვენ მათი (არა მხოლოდ მათი) შესაძლებლობების რეალიზების სფეროში ანუ გლობალური გეოპოლიტიკური კოდის არეალში ვართ მოქცეულნი.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თვით დასავლეთი — დოუსონის, უაითისა თუ სხვათა პირით ამბობს, გვეუბნება, თითქოს გვაფრთხილებს კიდეც, რომ დასავლურ ცივილიზაციას მსოფლიოს სხვა ცივილიზაციებისგან მისიონერული ბუნება განასხვავებს ანუ სხვა ხალხებისთვის მისი გადაცემა სულიერ მოძრაობათა უწყვეტ ნაკადში... დასავლური ცივილიზაცია მსოფლიოში ცვლილებების გამომწვევი დიდი ძალაა, რადგანაც მსოფლიოს შეცვლა მისი კულტურული იდეალის განუყოფელ ნაწილად იქცა. მერედა განა უკვე არ ვიცით, ისტორიულად დადასტურებული არაა, რომ ეს მისიონერობა, არცთუ იშვიათად, მახინჯ ფორმებს იღებს, რომ იმ სულიერ მოძრაობათა უწყვეტ ნაკადში ჩართულ-ჩანსულია ეკონომიკური ინტერესი, მატერიალური ეგოიზმი, ფინანსური მომხვეჭელობა...

პროტესტანტული ეთიკა, დასავლური მისიონერობის ეს ერთ-ერთი უმძლავრესი გამოვლინება და კაპიტალიზმის სულისკვეთება, როგორც ერთიანი, განუყოფელი ფენომენი, განა ისევე დასავლელმა მოაზროვნემ, ვებერმა არ დაგვანახა თვალ-

ნათლივ. თუმცა, დღეს რა დარჩა იმ ასკეტური, რაციონალური ეთიკიდან ან იმ პურიტანული პრედესტინაციის სულისკვეთებაში როგორი ტრანსფორმაცია განიცადა სერიოზული საკითხავია. თუმცა, რატომ — „დარჩა“? აბა სათავეებსაც შევხედოთ ვარდისფერი სათვალის გარეშე. ვითომ შემთხვევით ათქმევენებს სტაინბეკი თავის ერთ-ერთ გმირს, საკუთარ ქალაქზე მსჯელობისას, რომ „დარწმუნებული ვარ, მისი დამფუძნებლები და ჩემი წინაპრები იმ მოუსვენარ, თავზეხელაღებულ, მუხანათ და დაუნდობელ მეზღვაურთა შვილები იყვნენ, ვისგანაც ელისაბედის მეფობის დროს, ევროპას თავი მოძულელებული ჰქონდა, კრომველის დროს დასავლეთ ინდოეთი თავის საკუთრებათ მიაჩნდათ, მერე კი ტახტზე დაბრუნებულ კარლოს სტიუარტის სიგელმომარჯვებულებმა ჩრდილო სანაპიროზე დაიბუდეს. მარჯვედ შეახამეს ერთმანეთთან მეკობრეობა და პურიტანიზმი, თუმცა უფრო ღრმად თუ ჩანვდები, ეს ორი რამ დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. ვერც ერთი და ვერც მეორე წინააღმდეგობას ვერ იტანს და სხვის დოვლათზე ორივეს ერთნაირი სისხარბით უჭირავს თვალი. შეკავშირების შემდეგ მათ გამძლე და მაგარი მაიმუნების ჯიში გამოიყვანეს...“

რაო, რა ბრძანეთ? — „ეს მხატვრული ნაწარმოებია, ასე ვთქვათ სიტყვაკაზმული მწერლობა და მკაცრი (თუნდაც არამკაცრი) მეცნიერული მსჯელობისას მისი მოხმობა არცთუ სარწმუნო, ნაკლებად დამაჯერებელი, იქნებ არაკორექტულიც კია“?

ჯერ ერთი უნდა მოგახსენოთ — ის გარემოება, რომ ბელეტრისტიკა, როგორც წინასწარგანჭვრეტისას, ასევე პოსტფაქტუმ აღწერაში არ არის შეზღუდული სამეცნიერო ტერმინოლოგიით, თეორიული მოდელის/მოდელების/ შექმნის აუცილებლობით და დეფინიციური „დისკომფორტი“, მას გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს პრობლემის მკაფიოდ და ცოცხლად წარმოჩენის, ასე ვთქვათ, ექსპრესიულობის თვალსაზრისით იმ დასტა-დასტა „მშრალ“ თეორიულ განაზრებებსა და ხშირად ჩიხში შემავალ მსჯელობებთან, რომელთა შემეცნებითი ღირებულება საარქივო განსასვენებლებში ჰპოვებს ხოლმე ადგილს. მაგალითად, თქვენ შეიძლება სპეციალური ლიტერატურის ტომები ნაიკითხოთ დიქტატორული მმართველობის შესახებ, მაგრამ ამით მიღებული წარმოდგენა და ცოდნა გადანონოს მარკესის ერთმა რომანმა — „პატრიარქის შემოდგომა“.

ეს ისე, სიტყვისათვის. მაგრამ თქვენ არ გუმენტს, რა თქმა უნდა, აქვს არსებობის უფლება. კი ბატონო, მაშინ იმავე საკითხის შესახებ (თავზეხელაღებულია, მეკობრეობა, პურიტანიზმი) სპეციალისტს, ამ შემთხვევაში პოლიტოლოგს მოუხსინოთ.

ვის?

ვის და თუნდაც, ბიძია (გენბავთ, ბაბუა) ზბიგენეს, რომელიც იმავე ფენომენის შესახებ ასე, უფრო აკადემიურად, მსჯელობს: „ჩრდილოეთ ატლანტიკის დასავლეთევროპულ სანაპიროზე მდებარე სახელმწიფოები მიზანმიმართულად და აქტიურად პირველნი გაემუშრნენ ჩვენი პლანეტის გამოსაკვლევად. ფაქტორთა მძლავრი ერთობლიობა — სანავიგაციო ხელსაწყოების განვითარება, საკუთარ რწმენაზე სხვა ხალხთა მოქცევა, მონარქიული და პირადი დიდების წყურვილი, და რა თქმა უნდა, გამდიდრებისკენ დაუოკებელი ლტოლვა — ამოძრავებდა მათ“.

უფრო ზემოთ წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით სოციოლოგიას თუ მივმართავთ, მაშინ თუნდაც პარეტოს შემამფოთებელი პროგნოზი რად ღირს დემოკრატიის პლუტოკრატიად გადაგვარებისა და დემაგოგიური პლუტოკრატიის ციკლის შესახებ, რომელშიც, ვგონებ, სწორედ ახლა ასე ღრმად ჩაეფლო ჩვენი (!) გასხვისებული, სხვა Sakapтველო — ეს ათასწლობით ურჯუკი ცხოვრებით მოთრეული, რის ვაი-ვაგლახით გადარჩენილი, შემდეგ ტოტალიტარიზმის წნეხით დაპრესილ-

დადამბლავებული და აგერ ახლა გლობალიზაციის ვირუსებით „გაპოხიერებული“ მხარე ერთი ციდა.

ჩვენ კი ჯერ იმდენადაც ვერ გამოვიბერტყეთ ყურები, რომ საკუთარი ლოკალური კოდი შევიმუშავოთ, ჩვენივე გეოპოლიტიკურ თვითიდენტიფიცირებაზე დაფიქრდეთ და ამის ნაცვლად მაინცდამაინც ვილაცხაზე მიკედლება, ვილაცის კმაყოფაზე გვესურს არხეინობა, ჩვენი ლამისაა სამიათასწლოვანი (?) ინფანტილიზმისა და შეძენილი, სულ ცოტა ხუთსაუკუნოვანი მარაზმის სიურრეალისტური სიმბიოზის დაკონსერვებული პრაქტიკით ქედდრეკილებს, მადლიერებს, უშფოთველებს და ქვემძრომელთ... არგამტანებს და ცბიერებს, მტრის არ მცნობებს, მოყვრის მგმობებს...

ისე სიტყვამ მოიტანა და რადგან წელან დასავლური სწავლებანი ვახსენეთ, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ მტერ-მოყვრის დანახვისა და გარჩევის პოლიტიკურად გამოკვეთილი გაგებაც ისევე და ისევე დასავლეთმა მოგვცა.

ეს, მეფევე ერეკლე, ხმაღს მამულისთვის შესაშური ვაჟკაცობით, მტრისთვის ავად იქნევიდა, სამხედრო ტაქტიკისა და იქნებ სტრატეგიის ცოდნაშიც მაინცდამაინც ვერ შემოგედავება კაცი, კახთ ბატონო, მაგრამ ომი ხომ პოლიტიკის გაგრძელებაა (მარტო 2008 წლის აგვისტო რად ღირს ამის საილუსტრაციოდ) და ამ გაგრძელების საშუალებებს როგორ კარგადაც უნდა ფლობდე, თავი და თავი პოლიტიკა თუ არ გესმის, არ გივარა ან ხელს არ გინყობს, მაშინ... ვაჰ, დრონი, დრონი!

ვერაგინ და ვერაფერი ვერ გაექცევა დაუნდობელ შედეგებს პოლიტიკურისა!

რას ვიზამთ, ვერ იდავითა პატარა კახმა, ვერ იდავითა! და ეს ფაქტის კონსტატაციად უნდა მივიღოთ და არა როგორც საყვედური ან მით უმეტეს ბრალდება. საქართველოს ისტორიის უმძიმესი მემკვიდრეობა მიიღო ერეკლემ; მაგ ამბავს ორი აღმაშენებელიც აღარ ეყოფოდა უკვე — სხვა ხალხის ის-მოდა აქ ყრიათული, შინაურის თუ გარეულისა, ხოლო როცა რომელიმე ხალხი უფრთხის, ეშინია, გაურბის პოლიტიკური ეგზისტენციის გამოვლინებისათვის გარჯას, ძალისხმევასა და ხიფათებს, მაშინ მოიძებნება, გამოჩნდება რომელიმე სხვა ხალხი, რომელიც იკისრებს ასეთ ძალისხმევასა და გარჯას, თავის თავზე აიღებს მის „დაცვას გარეშე მტრებისგან“ და ამით პოლიტიკურ ბატონობასაც; მფარველი (Schutzherr) განსაზღვრავს შემდეგ მტრს, დაცვას (Schutz) და მორჩილებას შორის არსებული დაქვემდებარების ოდინდელი ურთიერთკავშირის ძალით.

კონანისთან (1795) ირანმა, ბატონყოფილმა დაგვსაჯა რუსეთთან — ახალ სიუზერენთან — დაახლოების გამო და რუსეთთან თითქმის არ გაანძრია დასახმარებლად. თუმცა კი საამისო ვალდებულება უკვე ნაკისრი ჰქონდა. აფხაზეთსა და სამაჩაბლოში (1992-1993; 2008) უკვე რუსეთი გვსჯის ამერიკასთან — ახალ ბატონთან — დაახლოების გამო და დასავლეთს (რუსეთისგან აგვისტოში ასეთი მწარე ალიყურის შემდეგ) ისლა დარჩენია სამედიცინო, ძირითადად ტრავმატოლოგიური მასალები გამოგვიგზავნოს სამკურნალოდ და თავი იმით იმართლოს, რომ ფორმალურად მას არავითარი ვალდებულებები ჩვენს მიმართ ნაკისრი არ ჰქონდა. ეს მხოლოდ ჩვენ ვყოფილვართ ვალდებულნი მონაწილეობა მივიღოთ მათ სამხედრო ოპერაციებში და დავიხოცოთ კიდეც...

რალაც ძალიან ჯიუტად არ გვინდა შევიგნოთ (იქნებ აღარც ამის შეგნებისა და მით უმეტეს რეალიზების უნარი შეგვნევს), რომ სიტყვა „დამოუკიდებლობა“ არა მხოლოდ თავისუფლებას, არამედ საკუთარი ძალების იმედად ყოფნასაც ნიშნავს (ისე, კაცმა რომ თქვას, როგორ გინდა საკუთარი ძალების იმედად ყოფნა ამ ოფიციალურად გაქსუებული ზაქიჭამიების ამარა).

მტერ-მოყვრის ამოცნობაში დაიბნა ერეკლე შინაც (ვინაშე თუ ფართო გაგებით) და გარეთაც. პოლიტიკაში ხომ მარადიული მტრები ან მეგობრები არ არსებობენ, არამედ მხოლოდ

მუდმივი ინტერესები. ეს სიტყვები, ეს უნივერსალური ფორმულა ერეკლეს დროს ჯერ წარმოთქმული არ იყო, მაგრამ ჭეშმარიტება და კანონზომიერებები პოლიტიკაშიც კი, ამ თითქოსდა მოუხელთებელ ფენომენში — მათი დადგენისა და გააღწერების გარეშეც ხომ თავისთავად არსებობენ. არც „მტრისა“ და „მეგობრის“ ევროპაში გააზრებული პოლიტიკური თეორია არსებობდა, როცა ჩრდილოეთისკენ ვდგამდით საბედისწერი ნაბიჯებს, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ „შენი ვახტანგი ლუდოვიკოს ფეხზე ჰკიდა“ და სამხრეთი ან აღმოსავლეთი თუ გვთავაზობდა რაიმე გარიგებას, ისიც მხოლოდ ქართველობისთვის მიუღებელი ალტერნატივის სახით, მაშინ როცა „Великая Русь“ სივრცობრივი ექსპანსიის ფატალური გარდაუვალებით უკვე მოინედა, მოაბოტებდა, მობაჯბაჯებდა ჩვენკენ რადგან „России нет, есть Российская империя“. აი, ასე არიან დაპროგრამებულნი და ბარემ ესეც ვთქვათ, არა მხოლოდ ისინი.

ერთი სიტყვი, დღევანდელი გადასახედიდან ერეკლეს პასუხს ნუ მოვთხოვთ და ვერც მოვთხოვთ. სჯობს თანამედროვეობის წინაშე საკუთარ პასუხისმგებლობაზე დაფიქრდეთ, თუ შეგვრჩა ფიქრის თავი. მაგრამ ნურც იმას იტყვის ვინმე — სად ერეკლე და სად კლაუზევიცი, ლორდი პალმერსტონი ან მით უმეტეს კარლ შმიტი თავის პოლიტიკურის ცნებითო. ასეთი და მსგავსი კატეგორიის „გასაღებების“ მორგება ისტორიულ წარსულსა თუ თანამედროვეობის მალაღფარდოვანი რიტორიკით კამოფლირებულ დახურულ სექტორებზე, ერთობ ეფექტიანი მეთოდია თუნდაც იმის გასაცნობიერებლად, რომ გარემომცველი სამყარო (ნებისმიერ რადიუსში) ისეთი გულბრყვილო არ არის მუქთად გვარჩინოს. ალტრუიზმი პოლიტიკურ კატეგორიათა რიგს არ განეკუთვნება. ამიტომაც ვართ ასეთ დღეში, როგორშიც ვართ, და იქნებ ამიტომაც აღმოვჩნდით „იმის“ კომპეტენციაში. შევლას კი, ხელის გაუნძრევლად, ღმერთს ვთხოვთ.

აი, ასეთი პოლიტიკურ პარაზიტობას ვართ მიჩვეულნი ასწლებულებია, მერე კი გვიკვირს, რატომ გვეგნევა ქვეყანა თავზე და ან „სათხოვართა პუნქტებს“ ვადგენთ ან უმწეოდ ვკითხულობთ „გვეშველება რამე?“ (დასცდებოდა აკაკის, აბა არ დასცდებოდა: „ფურთხის ღირსი ხარ“...)

ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ, იმედგაცრუებულებმა, გავიზიარეთ თეზისი „ღმერთი მკვდარია“. არც ინტელექტუალური მზადყოფნა გვექონდა სამაგისო და არც გამბედაობა და, კაცმა რომ თქვას, ეს არც იყო საჭირო. ვერც ღმერთის არარსებობის ლოზუნგმა იზიმა სრული გამარჯვება ამერ-იმერში. ჩვენ ორივეზე უარესი რამ ჩავიძინეთ: ჯერ ღმერთი ჩავანაცვლეთ კერპით, მეტიც — კერპით კი არა, ანტიღმერთით და მისი ბრიგადით, და კიდევ უარესი, როდესაც აღარც მათი გვეჯეროდა, ისე გავაგრძელეთ ცხოვრება თითქოს მსგავსი არაფერი ჩაგვედინოს და ძალიან კომფორტულად ჩავემეით სიყალბის უძირო, მოჩვენებითი ფასეულობებისა და გამხრწნელი ბაბილონური შოუს ჭაობში, რითაც ღმერთის სიკვდილს ვერა, მაგრამ საკუთარ კვდომას ნამდვილად მოვანერეთ ხელი. ამიტომაც ვრჩებით იმ უხსენებლის კომპეტენციის სფეროში. მერედა როგორი რეკრუტები ჰპოვა ადგილობრივ მედროვეებში?! როგორი კამარილია შემოიკრიბა?!

აი, ასე გვონებ რალაცას მიხვდით, ნანილობრივ მაინც. მადლობა ღმერთს.

(ეს კაცი ვერ არის კარგად — შეამჩნევდით ალბათ. ამას კი გაუგია, ვილაცები მიჰქარავენ ღმერთი მომკვდარაო, მაგრამ შედეგები ვერ წარმოუდგენია სრულად. ამან არ იცის, რა ხანგრძლივობისა და მასშტაბების ანთროპოლოგიური კატასტროფა მოჰყვა ღმერთის მკვლელობის, სამყაროდან მისი განდევნის მცდელობას. ეს ჩვენი ალგეთს გაზრდილი ბიჭი, ადამიანებთან (თუნდაც მათ ყველაზე უარყოფით გამოვლინებაში) შესახვედრად ემზადება და ის კი არ იცის, რომ თანამედროვე სუპერტექნიკით აღჭურვილ პითეკანტროპებთან, კომპიუტინ-

ზირებულ ნეანდერტალელებთან, მობილურზე მიერთებულ მანქანებთან, ვიკიპედიის „სიბრძნეებსა“ და სხვა მსგავს „საგანძურებში“ ქსენოტრანსპლანტირებულ, ზომბირებული რეგენიციების კონვეიერთან მოუნევს შეჯახება; ვერც იმას ხედება (ჯერჯერობით), რომ ის დრო წავიდა, როდესაც ჯერ დანამაზული იყო და შემდეგ სასჯელი. ახლა ჯერ სასჯელია, შემდეგ ისევ სასჯელი და ისევ და ისევ... რატომ? იმიტომ, რომ დანამაზულის პროვოცირება თუ არა, იმიტირება მაინც უნდა მოხდეს, შემდეგ ყველაფერი „ლაგდება“. მთავარია მოქალაქეზე, პიროვნებაზე იყოს კომპრომატი (მნიშვნელობა არ აქვს, როგორ მოპოვებული და რამდენად ნამდვილი). როცა კომპრომატებს განაგებს თანამედროვე სახელმწიფო, ეს ვერცხლისფერი ქერცლით დაფარული და ვერცხლისმოყვარე, თავისი არსით ტოტალიტარული ურჩხული, რომელთან შედარებით ჰობსის ლევიათანი ბავშვთა სამყაროში ნაყიდ სათამაშო „კრაკადილჩიკად“ მოჩანს, მშვიდად და დაჯერებულად გრძნობს თავს. მას მყისვე შეუძლია გამოიყენოს თავისი ლეგიტიმური ძალაობა, თუ კომპრომეტირებულს უმართავობის სიმპტომებს შენიშნავს. ძალაობაზე და თანაც ლეგიტიმურზე კი აბა სად, სამყაროს რომელ კუთხეში — ჩრდილოეთსა თუ სამხრეთში, აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში იტყვიან უარს. მხოლოდ გამოვლინების და გამოყენების ფორმები შეიძლება იყოს სხვადასხვა.

ეს შედეგი გინდოდა? ნიკოლო, ამას უწოდებ **stato**? ან ის იდეალური სახელმწიფო სად არის ბოლოს და ბოლოს, თქვენო უდიდებულესობავ, უტონისტო პლატონ? რომელ მეცხრე ცაში? ან იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ ყველა საშინელება „1984“-ში დამთავრდა და „სიყვარულის სამინისტროები“ და 101-ე საკანონი აღარ არსებობს, ან, რომ „ანგლსოცი“ ყველაზე საშიში იდეოლოგია იყო და მან 1991 წლის დეკემბერში შეწყვიტა არსებობა (აჰ, ფრენსის, ფრენსის, გეკადრებოდა ასეთი გულუბრყვილობა „ისტორიის დასასრულისა“ და ლიბერალიზმის საყოველთაო თუ სამარადისო ზეობის შესახებ? იაპონელი მაინც არ იყო წარმოშობით).

არა, თქვენ არ იცით (არც გინდათ იცოდეთ) და ვერც გაიგებთ, რა ხდებოდა და ხდება: აღმოჩენილ იქნა *ჯოჯოხეთური ჯადო, სიკვდილის რაში მოჰქრიალე ღვთაებრივი დიდების სამკაულით*. დიახ, აღმოჩენილ იქნა სიკვდილი, რომელს თავი მოაქვს სიცოცხლედ... ამას ვუწოდებ *სახელმწიფოს*, სად ნელის თვითმკვლელობას ყოველთა „ცხოვრება“ ეწოდება. შეხედეთ ამ ზედმეტით! იგინი იპარავენ აღმომჩენთა საქმეთ და საუნჯეს ბრძენთა; განათლებას უწოდებენ თვის ქურდობას... შეხედეთ ამ ზედმეტით! მარად სწულნი არიან. გამოანთხევეთ თვის ნაღველს და ამას გაზეთს, მას-მედიას და სიტყვის თავისუფლებას ან სულაც „**cohabitation**“-ს უწოდებენ (ეს კი ნაღდად არ არის ძველი კახური გამოთქმა). *ერთმანეთს შთანთქვენ და ერთმანეთსაც ვერ ინელებენ... სიმყრალით სავსეა მათი კერპი, ცივი საშინელი მხეცი: სიმყრალით სავსეა კრებული მათი... სად სახელმწიფო თავდება, მხოლოდ იქ იწყება ადამიანი... სად სახელმწიფო თავდება იქით გაიხედეთ, ძმანო!*

ეს სკეპტიკოსი ოპონენტი ვერ მოვიშორე თავიდან. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ბოლო პასაჟი ზარატუსტრადან (მცირეოდენი ჩანართით) კარგად გამოუვიდა. ისე, სახელმწიფოც შეიძლება მოიპარებოდეს, როგორც სიცოცხლის ფორმა, თანახმად იმ შედის მოძღვრებისა (ნებისთინ თუ უნებლიეთ გეტერბორგელი პროფესორი, შესაძლოა, სიცოცხლის ფილოსოფიის აპოლოგეტსაც ეხმანებოდა. გერმანოფილი იყო, სხვა თუ არაფერი), მაგრამ არა მგონია, ეს კონცეფცია ნიცშეს გაეზიარებინა. რაც შეეხება მაკიაველის, ასე ცალმხრივად მის ინტერპრეტირებას კატეგორიულად არ ვეთანხმები: ნიკოლო სულაც არ იყო სქემატურად და სწორხაზოვნად მოაზროვნე. ყველაზე კარგად ეს, ვგონებ, ისევ ნიცშემ გაიგო (ჩემი თუ არ გჯერათ, ლეოს ჰკითხეთ, შტრაუსს). ვფიქრობ, პლატონთან დაკავშირებითაც გადააჭარბა ამ ვაჟბატონმა (ალბათ, პოპერის გავლენას განიცდის) და თუ ასე გააგრძელა, მოუნევს პლატონის

„კრიტიკოს-კომენტატორთა“ უპერსპექტივო გრძელ რიგში ჩადგომა, თანაც მკაცრი დატუქსვა ტატიშვილისგან.

საერთოდ კი, სანამ ძალიან გავბრაზებულვარ და წესიერად გელაპარაკები, სჯობს თავი დაანებო ამ პოლიტოლოგიურ ექსკურსებს, სოციალურ-ფსიქოლოგიურ ნოტაციებს და ფსიქონალიტიკურ ნიაღვრებს. გაფრთხილებ, ბოროტად ნუ სარგებლობ **alter ego**-ს სტატუსით და პრივილეგიებით. ასე შეიძლება მიზოფრენიამდე მიხვიდე! ვიმეორებ რაც უნდა მოხდეს და მიუხედავად ყველაფრისა, ამ ამბავს, ამ საქმეს ბოლომდე მივიყვან. სათქმელს სრულად ვიტყვი. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, **happy end**-ის არავითარი შანსი არ არსებობს. ჰოდა, მით უკეთესი. თუ მაინც გაქვს რაიმე შეკითხვა, ვერონაში შეგხვდეთ, მორიგ კონგრესზე და იქ გავარჩიოთ ეს საკითხი; შეგვიძლია ლუ სალომესაც გავესაუბროთ უცნაური, იდუმალი, მაგრამ ერთობ საინტერესო და, რაც ძალიან იშვიათია, კომპეტენტური იყო როგორც ქალი; გნებავს ციურ ბადეთა კუნძულზე გადავინაცვლოთ ან თუნდაც ქალაქში, რომელსაც ერთ დროს თბილისი ერქვა და სადაც ადამიანებს ერთმანეთი უყვარდათ. იქ მოგიყვები ერთ ამბავს, დაკავშირებულს ღამისთევებთან, მორიგეობებთან, გადარევებთან და... ნამსხვრევებთან. არა, ამას არ მოგიყვები. ამას არავის მოუყვები.

ისიც იცოდე, რომ ფინალურ ეპიზოდში ვერავის ვიახლებ. ვერც შენ და ვერც ჩემ დულციანას. იმ უკანასკნელ, გადამწყვეტ მონაკვეთზე უნდა ვიყო სრულიად მარტო და *სრული ვითარცა მამაი ჩვენი ზეცათაი სრულ არს!*

შესაძლოა ხსნა უკვე არც ისე შორსაა, შენ კი ამის შესახებ ჯერ არ იცი.
 ნარწერა ისევ ლაბირინთში...
 რაღაც გზამკვლევი მაინც არსებულა და თანაც უფრო ნაღდი და საიმედო.

აბა, მუზავ მოფრინდი და ერთხელაც გვიმღერე ამბავი ომში წასული ვაჟისა... თუ სასურთომან დამამზოს, ყოველთა დამამზობელმან... ტყვე საკნით ნააზატები... ვერ დამიტიროს მშობელმან; ხეკორძულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგია, დამიჭირეს მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგია; არა, ვერ ეღირსებო! ბევრჯერ ვყოფილვარ ამ დღეში, მაგრამ არ დამიკვნესია; კაი ყმა, მგელი, არნივი არცერთ არ გაინურთება, მგელი არ მამლის მგლობასა, კაი ყმა მამაცობასა, არნივი მალელი ფრენასა, კლდის ყურეთ ნადირობასა... განკითხვის დღემ გამოაჩინოს, საით არიან მართალნი და საით მტყუანნი. ღმერთი გულთამხილავია: მინამ საქმეს სასწორზე დადებდეს, ჯერ გულში ჩახედავს ადამიანს. მე ჩემი გზა მართლის გზა მგონია.

... და თქვენ ადამიანები ხართ? ჰოი, იქედნეთა ნაშობნი! ან რა დამრჩენია ამ ქვეყნად, სადაც უღირსს პატივი მიეგება დაგმობის ნაცვლად და ბრძნად გვაჩვენებს თავს რეგვენი გამობრძმედილი და სისულელედ ეჩვენება სიმართლე სმენას... სადაც მზაკვარნი შეჰლიმიან ერთმანეთს ტკბილად და ბილნდროებებს გაუმართავს ალღუმი თვისი. ეჰ, რატომ არ მოვედ წვიმად, წარღვნადა?! ხომ იქნებოდა შემდეგ ყველაფერი ისე სადა, ბუნებრივი და ალალი, როგორც ერთ დროს ჩემი თბილისი და ფიროსმანი... (არ მოკვდე ნიკალა, შენ წმინდა გიორგის გაფიცებ, ამ სიყალბეში მოფუთფუთე ქვეყნის ჯინაზე მაინც, არ მოკვდე!) ღმერთო, რა ცხოვნება იქნებოდა ახლა, ამ სიცივეში თამბაქოს კვამლით, ხაშის ოხშივრითა და ნივრის სუნით გაჟღენთილი სარდაფი, სადმე ოქროს უბანში ან ორთაჭალაში, თუნდაც ვერაზე და შორეულ კუთხეში, მაგიდასთან განმარტოებულ ნიკალასთვის ჭიქა არყის მიჭახუნება!

იქნებ გათენდეს კიდეც, როგორც... მზე მენატრება... და ვივალდი... და აგვისტოს გამონათება!

აჰა, გასრულდა ესე ამბავიც, ვითა ზღაპარი, ათჯერ ათასი ღამისა... ნელიც ერთი და ათასი ხომ ნაღდად ბარ და ბარია უამისა... მიყვარხარ მარადისობავ! ასე ვპასუხობს ჩემი გული.

საკანის კარები მძიმე ღრჭიალით შეიღო. ციხის მორიგე ოფიცერმა, პოდპოლკოვნიკმა ოყაჯადომ, რომელმაც „ვალჩოკიდან“ უკვე დაინახა, რომ პატიმარი უძრავად იწვა კარცერის სიღრმეში, კედელზე ასაკეც ნარზე, ერთი ნაბიჯი კი შედგა საკანში, მაგრამ მყისვე გვერდზე გადაგა და გზა რანგით უფროსებს დაუთმო. კარცერში ჯერ გენერალმა ლედნიკოვმა შეაბიჯა, შემდეგ მისი ადიუტანტი ფალავანდოვი აჩრდილივით მიჰყვა და თავისი მბრძანებლის ხელმარცხნივ, ოდნავ უკან აიტუზა. ყოველთვის ლოყებლავლავა, პატიმრებისთვის განკუთვნილი ულუფიდან ურცხვად ნაპარავი ხორციტ გაქსუებული მაიორი ყორღანაშვილიც გამოჩნდა. რატომღაც ნინამხდარი ჩანდა (შეიძლება ლედნიკოვისგან მოხვდა). ოყაჯადოს ზურგს ამოფარებულმა თავდახრდილი დგომა ამჯობინა, თუმცა თვალებს ძველებურად აქეთ-იქით აცეცებდა. ლეიტენანტი კოლი კარცერის ზღურბლზე შეჩერდა.

მადლობა ღმერთს, ეს მაინც აღარ შემოვიდა გაიფიქრა პატიმარმა. იგი უკვე წამომჯდარიყო ნარზე და უძილობითა და გაყინულ კარცერში მთელი ღამე წინ და უკან სიარულით გათანგული, ღრმად ჩავარდნილ თვალეში ჩამდგარი საუკუნო სევდით სავსე მზერით, ირონიითა და ერთგვარი სიბრაღულითაც კი შესცქეროდა შემოსულებს.

ამდენი მინოტავრი ერთად მეტისმეტია. მაინც სად შეიკრიბნენ ეს შობელძალები — გაუელვა ფიქრმა. ესეც შენი ორმაგი კი არაა, ვგონებ უკვე სამმაგი ოკუპაცია. ასეთი მხიარული, ლავი ხალხი ვართ ქართველები: ვცხოვრობთ პერმანენტული ოკუპაციის პირობებში და ეს ჩვენ ნაციონალურ-ნარკოტიკულ დამოკიდებულებად, საღო-მაზოხისტურ კომპლექსად იქცა.

ეს ვილა? ასეც ვიცოდი, რა თქმა უნდა პილატე. აი, ამ პერსონაჟის ატანა კი ნაღდად აღარ მაქვს. უკვე მეცოდება კიდევ: საჭიროა თუ არა ყველა სიუჟეტსა თუ ფაბულაში ამას ტენიან. რა ქნას ამ საცოდავმა, შეცდა ერთხელ (ზოგი ვერსიით შეაცდინეს). ისე, რომელი ადმინისტრატორი, რომელი მეტროპოლიის ჩინოვნიკი არ შეცდებოდა მის ადგილზე. მე შენ გეტყვი და რაიმე პრეცედენტით შეეძლო ეხელმძღვანელებოდა. მაგის შემდეგ უფრო უარესებს არ სჩადიან?! ამან ის მაინც არ იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე და რასა იქმნოდა. ჰოდა, მას შემდეგ ასე დაათრევენ. ერთი ძველი ნაცნობი ისტორიკოსი კი მიმტკიცებდა, პილატემ უკვე თანამედრობიდან გადაყენებულმა, კალიგულას მმართველობის დროს თავი მოიკლაო, მაგრამ ეგ ვერსია საწმენოდ არასოდეს მიმაჩნდა, აგერ ფაქტი სახეზეა: ახლა აქ, როგორც დიდი ხნის უმუშევარს, პატარა ლუკმის შოვნის საშუალებას აძლევენ, „ბალანდიორად“ ამუშავებენ. ამათი ჯილავისაა, არ განირეს მაინც. ძალიან მოტუხილი კი ჩანს. რაღაც გაბზარული სათვალე ჩამოუდევს ცხვირზე. ისე, შიგა და შიგ მაინც ავად კი აუციმციმდება ხოლმე მინები, მაგრამ ეს უკვე ატროფირებული, პენსიაზე გასული, კბილებდაცვენილი სიაცაა. რაო ლავრენტი — ვარლამ... 37 წელზე გაქვს ნოსტალგია ხომ?

ისე თქვენ არც ახლა აკლებთ და უარესსაც იზამდით, ხანდახან ისეც ძია სემი რომ არ გინევედეთ ყურს (ფორმალურად მაინც, კულისებში) ან ის ანგელოზივით ფრაუ, რომ არ გტუქსავდეთ და სანატრელი კლუბის კარს ცხვირწინ არ გიჯახუნებდეთ.

ჰოდა-დასჯერდი ახლა შენ კრახს. ეს სავსებით კანონზომიერია და შენთვის **очень даже нормально** (ყოველ შემთხვევისთვის გაითვალისწინონ ეს თანამედროვე ჩვენმა „კეთილმოსურნე“ პროკურატორებმა).

ისე, ამათი ხელიდან „პაიკა“ რავარი მისაღებია?! იესო, ალბათ, კიდევ შეძლებდა და მიუტყვებდა, თუ ეს მონსტრები მოინანიებდნენ, მართლა მოინანიებდნენ, მაგრამ მე ვერამხოლოდ პირადად რომ მეხებოდეს ეს ამბავი, კიდევ ჰო, ჯანდაბას, მაგრამ ჩემი ხალხის სისხლი აქეთ ნახვრები, ჩემი ხალხის ხორცს ჯიჯვნიან... რა ვქნა, ვერა ვარ ქრისტი ღმერთი. შემინდოს უფალმა.

დღესაც არ მიიღებ საქმელს? — ამოიღრინა ოყაჯადომ. არა იყო პასუხი.

ჩამოდი ნარიდან უნდა ავკეცო — ისე დაიყვია ცერბერმა.

იყოს, ჯერ ექიმმა გასინჯოს მოულოდნელად და თანაც ქართულად, თუმცა კი აქცენტით წარმოთქვა გენერალმა ლედნიკოვმა (ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ტრაქტატის არცერთი არტიკული არ ავალდებულებდა ლედნიკოვს ქართული ენის ცოდნას, ეს მისი სამსახურებრივი სპეციფიკით იყო გამოწვეული). ოყაჯადოს წამიერად კი შეეცყო გაკვირვება, მაგრამ შეპასუხებას სიზმარშიც ვერ გაბედავდა და მყის ყორღანაშვილს მიუგდო განკარგულება ექიმი შემოიყვანო.

ლეიტენანტი კოლი (კელი, იგივე ნავოლე, იგივე მეკოკე) გაინია. პატიმარმა მის ზურგს უკან კიდევ ერთი სილუეტი დალანდა. ეს „პუსტა-პუსტა“ არავაია იყო ანუ „КЛЮЧНИК“-ი. მართალია ჯერ პატარა, მაგრამ ესეც მინოტავრი და, როგორც ჩანს, მზარდი.

საკანში ექიმი შემოუშვეს. თუმცა მანამდე თითქოს დერეფანში აპირებდნენ პატიმრის გაყვანას. ესკულაპუსმა დინჯად, გულდასმით გასინჯა ტუსალი. გარდა წმინდა პროფესიული ინტერესისა, თუ რა ემართება ადამიანს ნესტიან საკანში ცხრადლიანი შიმშილობის შემდეგ — რა გართულებანი შეიძლება მოჰყვეს ამას, დაუნდობელი დაკითხვებითა და ხანგრძლივი პატიმრობით ისედაც შერყეული ჯანრთელობისთვის, იყო მის მოქმედებაში რაღაც სხვაც, უფრო მეტი, უფრო კეთილშობილური. არესტანტს მოეჩვენა, რომ სადღაც უკვე ნანახი ჰყავდა ეს კაცი. პალატა №6 — ? იქნებ მდინარის გაღმა ახალაშენებულ კლინიკაში... დოქტორი სტრავინსკი? არა, მეშლება, კამორა? მეხსიერებას ძაბავდა პატიმარი. თითქოს ოთო ექიმსაც მიახვავდა, მაგრამ ხეულა აუტყდა და სადღაც აბას-თუმნისკენ გაექცა ფიქრი *აბასთუმანი, ხაბაზთუმანი... ეჰ, რა კარგი იყო ბარდნალა...*

დოქტორმა ჩეხოვმა კი, თითქოს იქ მათ გარდა არავინ ყოფილიყოს, მოულოდნელად ხმადაბლა უთხრა: „ხომ იცი, შიმშილობით ვერაფერს მიაღწევ, რას იკლავ თავს (თითქმის ჩურჩულით კი დაამატა: ამათაც ეგ უნდათ). დიდი-დიდი ციხის საავადმყოფოში გადაგიყვანონ და ხელოვნური კვება დაგინიშნონ. ხეიბარი გინდა ციხიდან გახვიდე? თუ საერთოდ გააღწიე“.

„Ваше дело осмотреть заключенного, и не более этого“ — გაისმა ლედნიკოვის მკაცრი შენიშვნა.

„Так он долго не протянет, мой долг предупредить больного“ — მიუგო ექიმმა ვერესაევმა. შესაბამისი ჩანანერი გააკეთა თავის დღიურში და პატიმარს კიდევ ერთხელ ყურადღებით დააცქერდა.

გაუძლებს, გაუძლებს, ეგეთები ასე ადვილად არ კვდებიან — ჩაიღრინა ოყაჯადომ. — თუ არადა, თავის თავს დააბრუნლოს, მომინდომა აქ სამართალი და სამართლიანობა — გამოსცრა ბოლოს კბილებში. შემდეგ გენერალს გოშიას მორჩილებით ახედა, უსიტყვო ნებართვა მიიღო და უკანასკნელად ჰკითხა პატიმარს: ესე იგი, აგრძელებ შიმშილობას? არესტანტის თვალეში იმ ელვამ დაკვესა, ბნელ საკანში ნათევი ღამეების შემდეგ რომ უჩნდება ადამიანს.

ვაგრძელებ — კარცერის სიცივე გაკვეთა ფოლადმა.

გენერალი ლედნიკოვი შებრუნდა, ლეიტენანტმა კოლიმ გზა დაუთმო, თუმცა კი — უხალისოდ და, ჰოი საოცრებაც, წამიერად წარმოქმნილ ღრჭოში, პატიმარმა თეთრხალათიანი მედდა, ხოლო მის გვერდით უნიფორმაში გამოსყოფილი ქალის სილუეტი დალანდა „სპეციალისტები“ რეიჩე-ლი და ლინდა? კარგად ვერ გააჩნია... მდედრი მინოტავრები — ეს უკვე ბიოლოგიური კატაკლიზმია. ამის გაფიქრება კი მოასწრო.

ამასობაში ადიუტანტი ფალავანდოვი ისევე აედევნა თავის სიუზერენს, ოყაჯადომ „პუსტა-პუსტას“ ანიშნა, ნარი აკეცეო, და ისიც შეფს მიჰყვა. ყორღანაშვილმა „პუსტა-პუსტას“ მოქ-

მედება გააკონტროლა და მასთან ერთად გაიძურნა. პილატეც გამქრალიყო.

უცხოური ინგრედიენტებით შეზავებულმა — სწორუპოვარი, გაუმადლარი ქართული კანიბალიზმისა და კიდევ უფრო ამაზრზენი, ასევე ნაციონალური კონფორმიზმის ამ ბუკეტმა საკანი დატოვა და კარი კვლავ საგულდაგულოდ გადაურაზა პატიმარს.

ელოდ ახლა, როდის გაინოვება ამათი სიმყრალე. ადრე თუ გვიან ამათაც მოუწევთ გელიყარის კლდიდან თავდაყირა გადაშვება, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს — ფიქრებში იძირებოდა პატიმარი. იგი უკვე კარგავდა ანწყორეალობის გრძნობას, უფრო ზუსტად, მოჩვენებითი, წარმავალი სინამდვილიდან მისთვის ბუნებრივ, ნამდვილ სამყაროში გადადიოდა — *a relibus ad realiora*. სული და გონება საოცრად ნათელი ჰქონდა და უღრმეს ნეტარებას განიცდიდა ამით. თითქოს მან უძვირფასესი, ობოლი მარგალიტის ძებნისას გამოსცადა ნამება და გავიდა მის იქითა მხარეს, სადღაც მიღმა ხეობაში, მაღალ ქედზე, სისწორეზე, რომლის ვარსკვლავთა ხომლის და საიდანაც შეიძლება ითქვას სიტყვა: ჰოი, ძმებო, თუ სადმე კიდევ დარჩით, ამჯერად მაინც იყავით ფხიზლად, გახსოვდეთ, გეთსემანეში, კედრონის ხეეს გაღმა ბალის გაკვეთილი და კიდევ ერთხელ გთხოვთ: ნუ დაუყრით მარგალიტებს ღორებს და ნუ მისცემთ სინმინდეს ძალებს... ახლა მაინც არ დატოვოთ ჩემი სიტყვები ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა!

შენ კი, ქართველო, სწავლითა სამშობლო გაახარეო...

(აუჰ!!! საით გაუბერა... ხომ გეუბნებოდით, ეს კაცი ვერ არის მეთქი კარგად. აბა, ასეთი ღია ტექსტით გამოსვლა იქნება?! ან ვილა გაიგებს ახლა ასეთ მიმართვებს. ეს პერმანენტულად „ბედნიერი ერი“, უფრო ზუსტად კი უბედნიერესი ერი, რომელიც დაუსრულებლად მისტირის წარსულს (თანაც გამოგონილს), ნუნუნებს ანწყორეზე, თავს იტყუებს ილუზორული მომავლით და გულხელდაკრეფილი, პირდაფრენილი ელოდება, როდის მორათმევენ ხონჩით ამ მომავალს ჰუმანიტარული და დიპლომატიური მოწყალების სახით (რომლის ღომის ნილსაც „ერის მამიკოები, დედიკოები და მათ ნაბუშარი შვილიკოები“ შეთქვლეფენ, გამოხრავენ, გამოიყენებენ); თანაც იხტიბარს არ იტყვს და ყალბი პათოსით მაინც მღერის: „სოფლის შენებას რა უნდა, ერთი სადღეგრძელოს თქმა უნდა“ — ეს ხალხი გაიგებს ამას?! ან რომც გაიგოს ვინმემ, შეეცდება კი რაიმე შეცვალოს ქვეყანაში, სადაც დიდი ხანია შეგუებულნი არიან იმას, რომ მოსამართლე არ არის ის, ვისთანაც სამართალს იპოვის კაცი, მასწავლებელი ველარ არის ის, ვინც ცოდნას გადასცემს, ექიმმა დაკარგა მკურნალის ფუნქცია (ამას ვილა ჩივის, ხშირად სრულიად საპირისპიროს სჩადის); ქვეყანაში, რომელიც ასწლებლებია მიჩვეულია ტოტალურ თვალთმაქცობას, კარიკატურული ლიდერების იდიოტურ გადანყვეტილებათა ბრმად მორჩილებას და კერპებად იხდის მულტიპლიკაციურ „წინამძღოლებს“, უკანმოუხედავად რომ მოკურცხლავენ ხოლმე პირველივე შემოტევისას (აჰ, რა ტრაგიკული კლოუნადაა, ახია ჩვენზე! უჰ, რა ნატურაა, რა პერსონაჟებია ბოსნის ხომალდისთვის!).

ისე, მაინც და მაინც ნუ აღელდებით ამ სტრიქონების კითხვისას (თუ ჯერ კიდევ კითხულობთ) — ამ ქვეყანას თქვენ მაინც ვერ გაასწორებთ და ძილი რაღაზე უნდა დაიკლოთ.

... და ამიტომაც მოხდა, რომ იმძლავრა უწვართთა კაცებთა სულსა შინა ზნემ რამემ მიმალულმა და ვერსაჩინარმა, რომლის არს იყო მონება მამონისა. რა არღა აპყრია ერმან გონებთისა თვალსა მას კინისა განღვივდა იგი და შთავარდა თუსლად ცდუნებისა, იმძლავრა ფესვმან უკეთურმან ნიადაგსა შინა ლბილსა, შთასწვდა გეენისა შესრუტვად ცოდვისა შხამთა, აღმოცენდა ყვაილი კეკლუცი გარნა დამალბობელი ხორციისა, სურნელოვანი გარნა დამთრგუნველი სულისა იხილა და იყნოსა ყვაილი იგი ერმან და უხაროდის, რამეთუ იყო უბრყ-

ვილ მიმართ არსისა და უმეცარ მიმართ შედეგისა. ... განიხვნა გზა სვლად მორიელისა და იმძლავრა წყურვილმან ხვეჭისა ილეკროთა, აღაშფოთნა თვალნი უკეთესობითა ყოფმან სხვისმან, მოიცვა გული შხამმან სიხარბისამან და დააბნელა გონება შურმან...

... გარნა იმატა უფრორე: გამცემლობამან ძმათა და მრუშე-ბამან მეუღლეთა, უმადურებამან ჩადღფენილთა და ამპარტავენებამან ხელისუფალთა, ლიქმან ხელქვეითთა და მზაკერობამან მეცნიერთა; სიმდიდრის წყურვილმან მცონარეთა, აღზევებისა სურვილმან უმეცართა და სიცრუემან მერჯულეთა.

ჰოდა, ჰრქვა ბრბომან: ვიეთთაგან მოვილო ჩემდა რგება ნივთიერი, იგინი იყვენენ მოყვასნი ჩემნი!... და იქმნა: სინდისი — ცნებად გარდასულთა ჟამთა და სიტყვათა სათრევედ ძვირის მეტყველთაგან; ძალა — იარალად დათრგუნვისათვის მოყვასისა; სიკეთე ნიღბად ავისა განზრახვისა და ქმნისა; დედაკაცი — განმართლებად მეძავობისა და ბერწობისა; მეგობარი — მალამოდ შიშისათვის წუთისოფლისა და საგნად სხვათა ფარულთა ანგარებათა; ერი — ასპარეზად ნივთთა მოხვეჭისა და ხნულად მიმოთესვისათვის სიცრუეთა; ვენახი და მინდორი — ადგილად მოყვასისა ნაღვანის მითვისებისა; პური და საქონელი ყოველი — სივრცედ შურისა მოიგებისა და სიძულვილისა, რაიც იქმნა კერპად...

ალიარა ერმან განმგებლად და მორიგედ ქვეყნიერთა საქმეთა თვისთა ურჩხული იგი საშინელი. საზარდელი მისი — სული და ხორცი კაცთა. მუცელი მისი — აღუვსებელი მარად...

შვა ამა ვითარებამან სიბრჯგუე გონებისა და სიბნელე სულისა.

ეს მოხდა ქვეყნის წინამძღოლთა ცოდვების და მის მღვდელთა შეცოდებების გამო, მართალთა სისხლს რომ ღვრიდნენ...

... დრო კი გადიოდა, უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა და თან მიჰქონდა უკანასკნელი შანსი გამოფხიზლების და ნამოდგომისა!

იქნებ ახალგაზრდებს მიმართავს, ეს ხმა ვერდახშობილი. ჰო, აქ კიდევ შეიძლება იმედის ნაპერწკალი გამოკრთეს. თუმცა ახლანდელ ტენდენციას თუ გადავხედავთ (ალბათ არა მხოლოდ ახლანდელს, მაგრამ ამაჟამად განსაკუთრებით მომძლავრებულს), ეს ყმანვილები უცხოეთში სწავლას ამჯობინებენ, რაც სულაც არ არის სასაყვედურო, ადგილობრივი განათლებით სისტემის — ამ გრანდიოზული ბლეფის — გათვალისწინებით, სულ ცოტა ბოთე ვასილისა და გველმელა ედუარდის დროიად რომ უმზადებდა ჩანასახშივე კორუმპირებულ, ნეპოტიზმის ინცესტით სანქცირებულ კადრებს, ფიქციას სახელწოდებით „ქართული საბჭოთა მეცნიერება“ — შესაბამისად სხვა სფეროებსაც — და ახლაც რომ უჩეკავს უმეცრების ნეოფიტებს რაღაც არშემდგარს, რასაც სახელსაც ვერ მოუძებნი კაცი. სამწუხარო ისაა, რომ შემდეგ იქ დარჩენას ამჯობინებენ, რაშიც ასევე ვერ გაამტყუნებ აქაური ჭაობის, საქაჯეთისა და საგაჟეთის შემხედვარე. იქ კი, ჩვენგან განსხვავებით, ნიჭის ფასი კარგად იციან და საუკეთესოებსაც ამიტომ იტოვებენ. და ასე ხდება ქართული ნიჭი და უნარი სხვათა გამოსაყენებელი. ამაში კი ბადალი ნამდვილად არ გვყავს. მერე და რა კარგად იყენებდნენ და იყენებენ იქ, იქით და იქაც (ინტელექტუალური უპირატესობების, იდეოლოგიურ-ინფორმაციული ვირტუოზობის, გეოპოლიტიკური ძლიერების ცენტრებში) — ქართველების ამ უნარს (ისევე როგორც ადგილზე დარჩენილთა გონებაჩლუნგობასა და გაიძევრობას) ისევე და ისევე საქართველოს წინააღმდეგ! განა სამშობლოს გასახარად სწავლისკენ მომწოდებელი სემინარისტი გორიდან, შემდგომში კი კრემლის ძღვემამოსილი დიქტატორი თვითონვე არ წარმოადგენს ამის ყველაზე „დიად“ ილუსტრაციას!

ერთი სიტყვით, ვერ ვხვდები, ვის მიმართავს და რისი თქმა სურს ამ ჩვენ ავტორს, რა კვებავს მის რწმენას? მაგრამ ალბათ

უნდა ვეცადოთ და გავუგოთ: მიიმე ბავშვობა ჰქონია, ახლაც ექსტრემალურ ვითარებაში იმყოფება — შიმშილობს პროტესტის ნიშნად, თავადაც ხედავთ, როგორ სტრესს განიცდის (თანაც ეს მისთვის, როგორც ჩანს, უკანასკნელი granzsituation არ იქნება) და რწმენის უფლებაც წაუართვათ? რატომ, სჯობს მივანდოთ დამაიდებელ, დამანყნარებელ პოსტულატს — ნეტარ არიან მორწმუნენი, იქნებ ცოტათი მაინც გავანეიტრალოთ. თუმცა, ვფიქრობ, ეს თავისას მაინც არ მოიშლის — მგლის თავზე სახარებაო თქმაა ლიმის მგერელი — აი, ნახეთ ისევ რალაცის თქმას აპირებს).

ჩემზე ამბობენ: „ის სიავს ქართველისას ამბობს, ბრყვენი ამბობენ“... თანაც, გაბოროტებული ბრყვები. მაგათ დეფიციტს ამ ქვეყანაში აბა როდის განვიციდით. ახლა ხომ პირდაპირ ემელონებად გვყავს. გათამამებულ სიბრყველს ან კი რა შეეწონება...

და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა რამდენი რამე გავიარე, ჯერ კიდევ მელის დელგმათ ხილვა, ნამქერთა გავლა,

დავკარგავ მრავალს... ერთადერთი შემრჩება დავლა: ძალა ფიქრისა მონობასთან შეურიგალის მარად და ყველგან...

ამის უფლებას მე ვინ წამართმევს!

გადი-გამოდი გუთანოო!...

(არა, მოდი და ნუ აღმოფთვები. ჩვენ დროში ასეთი არარაციონალური მსჯელობა და თანაც მოქმედება იქნება? როგორ უნდა გაიგოს ნორმალურმა ადამიანმა ეს: როგორც ყოველგვარი დამაბრკოლებლის, ჩახლართულის, გორდიას კვანძის ჩაჭრა, ჩაქარაბაკება და კრისტალიზებულ ჭეშმარიტებასთან პირისპირ დგომის რისკი თუ თავზეხელაღებული თვითმისტიფიკაცია. გაფრთხილდით, ეს კაცი სიკვდილ-სიცოცხლის ბაგირზე ბალანსირებს ყოველგვარი დაზღვევის გარეშე და, თუ მიჰყვებით, მასთან ერთად არ გადაიჩეხთ, ხოლო თუ გააღწია... თუმცა ამის შანსი ფანტასტიკის სფეროდანაა. ერთი სიტყვით, მე ხელები დამიბანია. აკი თვითონვე მითხრა უარი, ბოლომდე მასთან ერთად ვყოფილიყავი. ისე, სიმართლე რომ ვთქვა, იმ ინტენსივობის მისტერიისთვის ეგ რომ იმეტებს თავს, მე ჩემი პრაგმატიზმითა და ცივი გონებით ნამდვილად აღარ გამოვადგები. ვხვდებოდე მაინც, რაში სჭირდება ეს auto-de-fe. ვალიარებ, სრულად არასდროს მესმოდა მისი. ჰოდა, სხვა ვილა გაუგებდა. ეჰ, ღმერთმა ხელი მოუმართოს...)

აბა, ინდიელო, ჩვენი ოდისეა ამ არქიპელაგზე დასასრულს მიუახლოვდა, ახლა კი დროა — არა ვიქმთ, ცოდნა რას გვარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა — წავედით! ვცადოთ!!!

... და ასე სდუმდა...

მას არც ფერადი სიტყვა, არც ქება უნდა. მაგრამ ყველანი ფეხზე ავდგეთ, მდუმარედ უხმოდ. დავხაროთ თავი მის წინაშე, ვინც ასე სდუმდა.

შემდეგი შემოვლისას ციხის მორიგე ზედამხედველებს პატიმარი საკანში აღარ დახვდათ. მხოლოდ რალაც უცნაური და დამაბნეველი სურათი ნახეს: საკნის აღმოსავლეთ კედელზე ტყე იყო მიხატული, უსიერი, ოდნავ შესამჩნევი ვიწრო ბილიკით, მის სიღრმეში რომ იკარგებოდა. სხვა მხრივ კარცერში ყველაფერი უცვლელი ჩანდა: გისოსები მთელი და ხელუხლებელი და არც არავითარი „პადკოპი“.

ვერავინ მიხვდა, რომ პატიმარი სწორედ იმ ბილიკს, მის მიერ შექმნილს დაადგა და გაუჩინარდა...

მამ მომავალ შეხვედრამდე, მარადიული დაბრუნების ურჩი ოცნებით, უტეხი ნების საბედისწერო, მარგინალურ ვირაუბზე.

Vincit omnia veritas... Sapere aude!

...გასაუქმებლად კი არა, აღსასრულებლად მოვედი!

რაც მტრობას დაუნგრევია,

სიყვარულს უშენებია!

უკანასკნელი კოდი ატლანტების კრიპტოგრამიდან, რომლის გაშიფრვაც მოხერხდა.

ესე ამბავი, სახელად — ეს ჩემგან არის, აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობების გლობალურ პრობლემათა კვლევების დახურულ წიგნსაცავში მოიძია, ex fontibus თარგმნა და კომენტარები დაურთო აბდურაჰმან რაბინთრანათ ესაია აინ აღბრეხტ დე საიდ აკვაზიმო ლამორჩელ ბენ ზოსიმე ლაო-კო(ო)ნ მაოჰიტო კოხანამუჟო — ვაისმიულერ დონ რურველ ჩანგ ფრიდრიხ რანდოლფ პატრიკ მაკ-მერფი — გურჯამა მეუღაბნოემ.

მარიამ ნიკლაური

იორო

რა პატარა ხარ, იორო, ირმის სასმელო წყალო. ქალს, ყვავილივით მშვენიერს, რა მადლიანად წყალობ: შენს გადაცურვას არ უნდა საამირანო ღონე, კალმახის ზურგის ბილიკით აითავებენ ფონებს. არც ნითელ მოვის პერანგზე დაედინებათ ცრემლი, არც ქარი სანთელს ჩააქრობს ავი დედაბრის წყველით. რა პატარა ხარ, იორო, კაცი პეშვებით დალევს შენს მჭვირვალ ჩქერებს, ფშანებს და შენით განაკვებ ღელეს. აბა, სახელი ბოლომდე დაერქვათ — იორ-დანე?! რატომ გაუნყდათ პირს სიტყვა, რა საიდუმლოდ გმაღლეს? იორო, ჩემო იორო, იორო, იორდანე. აბა, გყოლოდა პატრონი, შენ და შენს ლამაზ მხარეს?! ან გვეგუმანა, ვის ხვევდა უფალი მადლის ხაღენს?! რა პატარა ხარ, იორო, იორო, იორდანე. მოდიხარ, მოედინები, ნისლებს მოისხამ თეთრად, მე იორდანეს დაგარქმევ, ქრისტემც განვიოს ღმერთმა.

ცხოვრობ...

ცხოვრობ. განა, რა?! ცხოვრობ და ფიქრობ. ზოგჯერ კიდევაც ჯობნი ცხოვრებას. და როცა ამას იფიქრებ, თითქოს უნდა ყველაფერს თავი მოებას, უნდა აენყო, მწყობრად გადაინდე, კალაპოტზე რომ მივივს აცვამს ჩქერი, და გახსენდება მცნება ათივე — გადასახური რომა გაქვს ჭერი, რომ მოსაძებნი გაქვს ქვა, საფინე. რომ საერთოდაც არა გაქვს სახლი და ზოგჯერ თავისმოკვლას აპირებ, თოკსაც ამკვირვებ ნათლობის სანთლით...

ცხოვრობ. განა რა?! ცხოვრობ უბრალოდ, არც ნარკოტიკი, ბორკილი, ფული... არც საპროტესტო ტექსტი, უბადლო. არც პილიგრიმულ ჯაჭვების ბმული, არც კერპის ტყვია და სასაფეთქლე შორეულ გზათა ძეძვი ან ვარდი.

გაბედულება — თუ ეს ის სიტყვა არ არის, რომელიც უშუალოდ გამოხატავს მარიამ ნიკლაურის ლექსის სპეციფიკას, მაშინ გაგვიჭირდება მისი შემოქმედების ზოგადი დახასიათება.

რალა თქმა უნდა, ისიც გასაგებია, რომ გაბედულება საერთო ნიშანია, უმისოდ ვერც სიტყვა იწერება და ვერც ვერაფერი იქმნება, მაგრამ ამჯერად საუბარია ხასიათზე, რომელიც გულისხმობს თქმისა და ქმნადობის სიმკვეთრეს, რისკს, ხიფათის უგულვებელყოფას.

მას შეუძლია საგნებთან ისე ახლოს მივიდეს, რომ საერთოდ გააქროს პოზიციონების საცთური, რომელიც, როგორც ცნობილია, ჩნდება მაშინ, როდესაც საგნები უცხოობის ბურუსიდან ვერ გამოჰყავთ. თავის გადანყვეტილებაში სავსებით ბუნებრივია, უშუალო, პირდაპირი. მორიდება, როგორც ასეთი, მისი ხასიათი არ არის.

ტროპული აზროვნების თავისებური წესი აქვს: ხედავ, მეტაფორას გთავაზობს, მიჰყვები, მიდიხარ, მზერას მიუახლოვებ, აკვირდები, გგონია უკვე ხელთა გაქვს, მაგრამ უცებ კალმახივით სხლტება და სტრიქონებში უჩინარდება, რათა შემდეგ სადღაც სხვაგან დაგენახოს და ისევ გაუჩინარდეს. მაგალითად, ლექსი „მდინარე“. აქ, ვერ გაიგებ, მდინარეა გააღამიანებული თუ ადამიანია გამდინარებული. თუმცა ძიება საჭირო არ არის, რადგან ამ ფიგურათა შორის მოქცეულ მონაკვეთში იკითხება და შეიგრძნობა ეფექტური არტეფაქტი, როგორც გაბედულების შედეგი.

და ძველი, მცირე რწმენით ადვდებ
დღეებს მითივით გამძლეს და მარტივს.
შიმშილს ნაჩვევი წარსულის ფსკერს ფხეკ,
ხან ძვალს პოულობ, ხან უფლის მზერას,
გყოფნის. გნამს კიდევ, რომ სიცოცხლის ხე
ჰგავს ზავშობაში დარგულ ძველ ჭერამს.
რომ სულ ესაა მთელი საწყარო —
პატარა ბალის ბელტების სუნი,
რომლის წიაღში მწვანის ახარებ
და კვლებში მარადისობას უვლი.

და მაინც ცხოვრობ.
განა რა?! ზიდავ
სიმძიმეს ჩვეულებრივი ყოფის.
გიკვირს, მტვერით როგორ იზიდავ
სინარულს - გულს რომ ყოველთვის ჰყოფნის.
ხარ არაფრობის ერთგული მრევლი.
იოცებ, ისდენ, უმრავლებ ბნკალეებს.
შენ მაინც, ჩემო იმედის ღმერთო,
შემინდე, ასე რომ გაგანვალე...
ნეტავი მართლა შემეძლოს რამე,
ან ბალახს ვცნობდე, ან ციურ ნიშნებს.
ისე ჩაივლის ათასი ღამე,
ჩემს დარდს სიზმარიც არაფრად იმჩნევს.
თუმც, უნდა გავძლო დაბადებამდე,
მოვასწრო უნდა, რაც არ არსებობს.
და ეს სიცოცხლეც, დასული ძვლამდე,
ღვთისთვის მოსაყოლ ამბად აკეცეკო...

ზამთარი

ან იმის ბედს ვინ მომცემდა, მუნჯი კინო ვყოფილიყავი...
უსიტყვოდ, უხმოდ დამეხარჯა სათქმელიც, თავიც.
მთელი ცხოვრება ერთ საათში ჩამეტია,
ერთ გამოხედვას გამოჰყოლოდა სიყვარული

თეთრი თიკანი —

მინაზე ფეხის შეუხებლად მოკუნტრუშე,
გულის ძგერის უფსკრულებში გადასაჩეხად.
სადა მქონდა იმის ბედი, სიკვდილისათვის
მატარებელს ჩავვარდნოდი,
კადრის მიღმა კი ვინმეს კაბის ნაოჭები ესწორებინა
გადაყვლეფილ მუხლისთავებზე...
მე ხომ ყველაზე მეტი უნდა მელაპარაკა... მეხმაურა...
გულიც ისე გამხეტოქოდა, რომ სინამდვილეს შერცხვენოდა
საკუთარი ნამდვილობისა...
ვინ მომცემდა ან იმის ბედს, ფერმკრთალ ლოყაზე
შენთვის ნათევ

ოცნებების ხეივანებზე თავჩამოდებულს,
ქარს დაეფინა საკურების ფურცლობისფერი —
ღანვზე კი ხალი მიეხატა, ან ტუჩისთავზე —
მარტოობის ღამის შავი ნაფეხურები...
ვინ ჩამხედავდა ისე თვალეში, რომ თავისი სიყვარული
დაენახა

შავ ლუსკუმების სიღრმეში მწვანედ ჩანწული.
ყველაფერი იქნებოდა ისე მარტივი,
თავი უკვე სამოთხეში მეგონებოდა,
მუნჯი კინო რომ ვყოფილიყავი — ერთი სიტყვაც
არასდროს მეთქვა,

რომ ჩემი ხმიდან ამოზრდილ ზროს გამლილ ტოტებზე
არ დაეკიდა სახრჩობელები, ჰამაკები, დროშები და
ბუდეები არ გამოეხსა,
ჩავეფალი ნეტა სადმე, შვების ორმოში,
სიმშვიდის ჭაში... გადავემალე, როგორც კეთილი,
მუნჯი კინო,

როგორც წარსული, უმომავლო...
სადა მქონდა მე ეგ ბედი...
ხმაურის შვილს, აღუფხული ცხად-სიზმარის მოაგარაკეს...
ყველაფერი ზაფხულივით
ლურჯ სუფრებად გავუშაღე მათ, ვინც არასდროს
მესტუმრებინა...

ეს ზამთარს აქვს ცამდე სიჩუმე, რომ გვენატრება,
მუნჯი კინოს შავ-თეთრი კადრი,
თვალის ერთი დახამხამება — სიყვარული ახსნილია
ბორკილებივით...

მდინარე

მდინარედ ვიშვი,
მთის მდინარედ,
ისე სწრაფად მივედინები,
ისე ხმაურით,
არსებობასაც ვერ ვასწრებ ჩემში.

ვის შეუძლია ჩემი მოყოლა,
ვერვინ მიტყვის,
ვერვინ გამომთქვამს.

შემსვამენ და წყალი ვგონივარ.
ჩადგებიან ფეხებით და
თვალეში რომ მაშტერდებიან,
კალმახები უვარდებათ ბადეებში,
მე კი გავრბივარ,
ჩქერებზე რომ ლიფსიტები მეკიდებიან,
იმათთვისაც არა მცალია.



ჩემს კალთებზე ფრენენ მერცხლებიც,
მათ თეთრ გულებზე
ჩემი წვეთები ყვავილობენ და ცაში ააქვთ
ლოდების გემო.

რა ცივი ვარ,
სუნთქვა ეკვრით ჩემს მკლავებში
ჩანოლილ ხვატს და
მზის ანგელოზებს.

მივდივარ იქით, საიდანაც ვერ დავბრუნდები,
მაგრამ ეს გზა — სათავიდან შესართავამდე,
უნწყვეტობის დასტური და სიღიადეა.

ვის შეუძლია,
მდინარის გარდა ასეთი იყოს —
დაბადებიდან სიკვდილამდე
მთლიანი და უბერებელი...

მიყვარხარ

ერთი, თუ ორი, თუ შვიდი, თუ ათასი
ტანჯვა და ტკივილი, ტრფობის ტბას გადავსხი.
და ახლა ზვირთებს რომ წითელი გადასდის,
ეგ ჩემი სისხლია და არა მზის.
და ან კი, განა ეგ ზვირთია?! ნატბევთა
ლანდები დაისებს ხსოვნის მზეს ართმევდა,
რომ განთიადისფერ ნისლეების არფებზე
სიცოცხლე დაეკრა როგორმე გულს.
ისმოდა ჰაერში სიზმრების გამები,
და ცხადის კამერტონს ვერაფრით გაეგო,
სად იყო იმედი, რომ კომკად აეგო
ამ გულს და უკაროდ შეეშვი შინ.
ტანჯვათა ტაძრების ქრისტეს და სერაფიმთ
ლოცვებით ვლლიდი და ცრემლების სევადით
ტკივილის კოცონში ვავლებდი, ველავდი.
ერთხელაც ვერასდროს გვაცხოვნეს მათ.
და აჰა, ვილევნი და სიკვდილს ვუღიმი.
ჟა თუ ვარ, რომელშიც ვდგები წყლად წუხილის.
ვინ იტყვის, ჯოჯოხეთს იყო და უხილავს
ჩემი ტკივილების მინა და ცა?
ლეთისაგან შერისხულ სისხლნაკლულ გოლიათს
ცრემლმა რომ ზამთრის დღედ მალევე მოლია —
სიყვარულს — რამდენი ყმა გადაჰყოლია
და ფარაონების ოქროსფერ მტვერს.
შენც ეგრე... და ასე იქეცი რაფსოდად,
უფალის ლტოლვილად, ეშმაკის ანცობად
მიჰყვები სევდის და ტკივილის ნაძოვარს,
ნაფერებ შესანიერ მწყურვალე ხარს.
ვერასდროს იპოვე, ის, ვისაც ეძებდი,
ცხადი და სიზმარი უკვალოდ შენებდა
და ამდენ გულელებში არცერთზე ეწერა
სახელი, რომელსაც ივინყებ დღეს.
აჰა, შენ გიყვარდეს სამყარო მარადი,
რომელსაც, ერთისთვის ქმნიდი და მალავდი,
რომელშიც ორი და შვიდი და ათასი
იმ ერთის გარდა იცხოვრებს სხვა...
იარე, გაძელი, ეგ გზაა, ეგება
ის, ვისაც ელოდი, ის, ვისაც ეძებდა
გული და შრომანებს უსვამდა ბეჭდებად
გზისპირებს, ლანდად რომ მიჰქონდა ქარს.

ზარს რეკდა უცრემლო სიზმრების გაღმეთი,
შენივე სურვილის დარანში გახვედი,
გატოპე სიმური, ნაპირად გახვედი,
სიპები უმაგრე მარტოსულ სკნელს.
ერთი, თუ ორი, თუ შვიდი, თუ ათასი
ტანჯვა და ტკივილი, ტრფობის ტბას გადავსხი
და მაინც გაცოცხლე, რომ მეთქვა ათასგზის
მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ შენ!

უჩვენოზა
ტარიელ ხარხელაურს

ჩემო ძმაო და ძმისფერო,
ჩემივე სისხლის მტევანო,
ქარის სიზმარის მნახველო,
სიკვდილის ლამის მთევარო,
ყურს უგდებ, საკარგყმოსავით,
შავ ნისლის ნაქადაგარებს.
ძველ სოფლებს რომ დაეძებენ,
წენწვენ ჟამის საფარველს.
ვისი მისწვდება გული და
აზრი ან იმათ ჯავარსა?
ბედისწერას ჰგავს ეს ნისლიც,
ვერ ახსნი მაგის სავალსა.
მზეც მზეობს, წყარონიც დიან,
დროშასაც ცვარავს ცისნამი,
არწივიცა ზრდის მართვეებს,
კლდეებსაც თქორავს ისხარი.
პირიმზეც იმასვე ჰყვავის,
რასაც ჰყვაროდა ჟამსუკან —
ორთავ სოფლისთვის ანათებს
ნისლის კოტორის ნაქუსლარს.
საჯიხვეც ისევე იქაა,
მარტო ყორნები ტირიან —
დიდიხანია, კაიყმით
გული არ მოგვიპირნია.
ჰაერიც დგება მძიმედა —
კაცის ნახდენა ამინებს
იცის, ვერც გმირებს შეუშრობს
გულ-მკერდზე სისხლის ჯვარ-შიბებს.
ყველაფერია! ჩვენ არ ვართ!
კერას ვერ ღვივის ნავლია.
ქარებს რა დალევს, ქარები
ნასოფლარების დარდია.
მინასაც სტკივა სიმჩატე
ჩვენი უდგმელი ნაბიჯის.
გულს სტკივა უმოყვასობა,
დროშას — სიმცირე ნაფიცის.
ჩვენ უჩვენობა გვახელებს,
ვერ ვყოფნით დიდ მადლს ღვთისასა,
იქით ზესთა ცას ვაკლივართ,
აქეთ სოფელს და მინასა.

ლალე-ლალე-ლალეები

ეს სახლია. ეს ქუჩა. ეს ცხოვრება. ეს ვაშლი.
ეს წიგნია, რომელსაც ვერასოდეს გადაშლი.
ეს წუთია. ეს ჟამი. ეს ციხე და სამანი.
ეს მარილის ბილიკი — ჯოჯოხეთში სავალი.
აქ ტყე იყო, იქით ზღვა. იქ მთა. აქეთ სოფელი.

ესეც მავთულხლართია, ის — მშვიდობისმყოფელი.
 ეს ჭურვია. ის დარი. წითს, წითს სულ საავდარედ.
 დევნილები, საპყრები ვთვალე, ველარ დავთვალე.
 ეს ნაჭერი პურია, ხან თეთრია, ხან შავი.
 ეს დროშაა, ყველასთვის ლურჯსუფრად რომ გამალე.
 ესეც ჩემი დღეები. ესეც განთიადები.
 დაშლილი ვარ და ვიცი, ველარ გავმთლიანდები.
 ეს კახაა, ის ქურდი, ის ხარბი და სულელი.
 რა ცოტაა სიკეთე, სიბრიყვეა ულელი.
 წყალი ველარ გვარწყულებს — მოკვდა კაი ხანია.
 ფუყენი ვართ. ვერც ცეცხლი მოგვედება ჟამიანს.
 ეს მეფეა, ის გლეხი, ის საბრალო მღვდელია.
 სუყველაფერს შეგინდობს, ქრისტეს სისხლის მსმელია.
 მოვიძულეთ მოსეც და იქით ვაფრთხეთ ელიაც.
 ვილუკმებით ღვთის შიმშილს მერამდენე წელია.
 ჩვენ გვშია და ჩვენს ფურებს სხვა მაძღრები წველიან.
 ლომად ვხედავთ, ვინც ბურნა-ქინქლაა და მწერია.
 ვყიდით მინას სახლიან-ცოლებიან-დედიან,
 უკუდმა პირს დახედეთ — წინაპრების ძვლებია,
 გადაფრთხეთ სადმე შორს, თორემ ყელში გწვდებიან...
 მაგათ ჩვენი სიცოცხლის საიდუმლო ებარათ,
 თავის სისხლით ნაპოხი მინა მაძღრად ეფარათ.
 ახლა ტერფს არ ანაღვლებს, ტავარნად რა ჰკიდია.
 ნაბიჯს არვინ ამონებს, ვის ბელტებზე მიდიან.
 ახლა ყველას სამშობლოს ერთი ფარა ფარავს და
 დავინწყებას მიეცა გმირთა ძველი ბალადაც.
 ის აგენტია, ეს მკვლელი, ის ყველა მხრის მიმცემია.
 ვინ - ბებერი გველია, ვინ- წინილა, ჯერ მრწემია.
 შენ სადღა ხარ, ღირსებავ, სად ხარ, ხსოვნავ, სინდისო?
 ასე როგორ ახერხებ, თავი გადაითვისო?!
 ამ მინის ფასს რას იძენთ? ამ ცას მაინც აცალეთ,
 დარჩეს ჩვენი საბრალო იმედების საძვალედ.
 ყველას თავი მოგვწონს კი, როგორც კრავს და

უცოდველს,

ჩვენ ხომ დღემდე მაცხოვარს სამშობლო ვერ ვუნოდეთ.
 ვერ ვუნოდეთ ვერც ენას, ვერც რწმენას, ვერც ღირსებას.
 ჩვენი სულიც დიადი დროით აღარ ივსება.
 აღარც ეკალს ეზრდება საგვირგვინე რტოები,
 განძარცვული სული ჰგავს ხეს, გვიანი ნოემბრის.
 ეს სახლია, ის — ბანკი. აქ — ტაძარი, იქ — სკოლა.
 არსად ის ბჭე, სად ჩვილი იხილა სვიმეონმა.
 და რამდენი წელია, აკაკუნებს კარზე ყრმა
 და რამდენი წელია: არსით ჩქამი, არსით ხმა...
 ბატონს უმნიფს ფულები, ლალე-ლალე-ლალეები.
 დედი, რატო არა მნიფს შენი ლურჯი ყანები...

გაზაფხულს რომ არ ეპონოს...

ნუ გეგონება, აღარ გელი,
 ველარ გამჩნევ,
 აღარ მალეღვებ.
 ველარც კი ვგრძნობ, ფეხაკრებით რომ შემოდიხარ,
 რომ ჩამოფდები, იქ სადაც თავი გეგულეობდა.
 სადღაა ჩემი ჟრუანტელის საფრთხობელები...
 აღარსად დგანან მშიერ ჩიტების დასაფეთებლად.
 ხედავ, ატმებმაც ლამისაა ამოიყვავონ უბეები.
 ყვავიან მსხლებიც, ალუბლებიც, ვაშლიც აყვავდა.
 მე ჯიბრით ტოტიც არ შემომაქვს სახლში წყალობად.
 ჭერმის ყვავილებს რა ხანია ქარებს ვატან გალავნების
 ამოსაკირად.
 ალბათ ვერც ხვდები, რომ ჩვევაში გადამეზარდე,

მიხარხარ, მიხარხარ და ბალის ნაცვლად
 ბაზრისაკენ მივეშურები,
 რომ ჭინჭარი და სატაცური მოვზიდო სახლში.
 ლარნაკის ნაცვლად ქვაბებს ვარჩევ,
 დავაპურო უნდა ჯალაბი.
 ეჰ, გაზაფხულო,
 რომ არ გეგონოს აღარ გელი, აღარ მიყვარხარ,
 ჩემს ფანჯარაში ნაცარქათამას სურნელს რომ იგრძნობ,
 მოდი ახლოს და შენებურად წაილილინე,
 იქნებ, როგორმე გამიტყუო ამწვანებული თვალებიდან.
 იქნებ, ზამთარსაც
 ყვავილოვან ხარაჩოებს რომ შემოავლებ,
 მეც მაიძულო, ნაგიკრა ხელი,
 ერთი დღე მაინც მივაშენო სიყვარულისა...

დედა

შოთა,
 ილია,
 აკაკი,
 ვაჟა და გალაკტიონი...
 რა პატარაა შენი ბავშვობის კაბა, დედა!
 ეს ფაჩუჩებიც შენ გეცვა?
 ეს მთებიც?
 თოვლის მაქმანს ვინღა გიქსოვდა, ნეტა?
 ეს ცაც? ეს ხმებიც? ეს მინაც?
 ღმერთო! შენ მაინც მითხარი,
 დიდობისგან რომ მიცავ,
 რომ ყველა საყდრის აღსავალს
 ახსოვს ბავშვობა დედის —
 თავისუფლების სახადი —
 სულიდან უკურნებელი
 დიდების გადამდები.
 შოთა,
 ილია,
 აკაკი,
 ვაჟა და გალაკტიონი...
 შენ რომ სამშობლოდ დიოდი,
 რამდენს ტკიოდი სულში,
 მე სევდის სალამურები
 შენი მკლავები მეგონა,
 მინდოდა, მომფერებოდი.
 ჩემი სიზმარი გენახა,
 ნალურსმი ხელით გეკემსა
 ჩემი მზისფერი გზები.
 თურმე შენც ბავშვი ყოფილხარ,
 ეს მე მეგონე დიდი.
 მეგონა, ხელში მიყვანდი,
 თურმე ჯვარიდან გხსნიდი.
 შოთა,
 ილია,
 აკაკი,
 ვაჟა და გალაკტიონი...
 მეგონა ლალად მღეროდი,
 მეგონა, არც კი გტკიოდი.
 შენ მინდვრებს გადაჰყენოდი
 მე რომ მეგონე შინ.
 უფალო, შენ ხომ უშველი,
 დედაჩემის ძველ ბავშვობას,
 რომელსაც არ ღირსებია
 ლექსების იქით გაზრდა...



ღალი ხვედელიანი რომ კითხულობ, ასე გგონია, ჯერ ლექსი იყო, შემდეგ პოეტი. თუმცა იმასაც ხვდები, რომ ეს არც ვიზუალური ეფექტია და არც ფარდობითობის რღვევა, უბრალოდ, ეს არის განსაკუთრებული სიყვარულის ნიშანი, ანუ გამოვლინება ეთიკური მრწამსისა, რომელიც ავტორს მსოფლმხედველობის რანგში ჰყავს აყვანილი.

იგი აღიარებს შთაგონების პირველადობას. ასე სურს, ასე უნდა: ლექსი იყოს პიროვნული, განსხვავებული, განსატყუბელი, რათა ეთაყვანოს და ეუბნოს.

შესაძლოა თავისებურების მიზეზი ისიც იყოს, რომ ლაღიმ გვიან მიიღო პოეტური ნათლობა და ჯერ კიდევ არ გამოსულა ნეოფიტის მდგომარეობიდან.

ცდა, ძიება, ძებნა — მისი ხასიათია. ეძებს ფორმას, ეძებს სიტყვებს, ფრაზებს, თემებს, საგნებს, განწყობილებებს. ამიტომ მისი ლექსი ცვალებადობათა ზღვარზეა, რაღაცით უახლოვდება მინიმალისტურ პოეზიას, რაღაცით შორდება, რაღაცით ფემინისტურია, რაღაცით არა, ზოგჯერ ნაივურიც გეგონება, მაგრამ ბოლომდე არც ნაივურია.

ბუნებით მხატვარია, ფერმწერი და ლექსს ფუნჯივით უსვამს, სტრიქონი თითქოს ნანაცხია პალიტრიდან ტილოზე გადმოტანილი. გამოკვეთილი ფორმა არა აქვს, მაგრამ შტრიხია მკვეთრი, ფერადოვანი, ნათელი და იცი, რომ იხატება რაღაც საინტერესო, ღრმა, ნათელი პერსპექტივა.

ღალი ხვედელიანი

შენ ისეთი ლამაზი ხარ...

შენ ისეთი ნატიფი ხარ და ისეთი კარგი, ცისფერ ცაზე
ითა და ვარდით დასაქარგი,
შენ ისეთი სათუთი ხარ, ისე სიფრთხილია, თანაც როგორ
მოგხდენია თეთრი სარაფანა,
შენ ისეთი ფაქიზი ხარ და ისეთი ნაზი, ქვეყანაზე
ვერა ვნახე გოგოვ, შენი ფასი,
შენ ისეთი ლამაზი ხარ, სულ გიყურო მინდა —
გოგოვ, შენი სილამაზით მზეც კი დაიბინდა.

დაუპინყარი

ყოველი დღე შენი ნატვრით იწყება, შენზე ფიქრში
ვათენებ და ვალამებ,
ძლიერ მინდა შენი გადავიწყება, მაგრამ რა ვქნა
მაინც გულით გატარებ.
მაგ თვალების ელვარება-ციაგით ციდან თითქოს
ვარსკლავთცვენა იწყება,
შევეცადე, მაგრამ რა ვქნა ძვირფასო —
გამიჭირდა შენი გადავიწყება.
ქერა თმების უნაზესი შეხებაც დავივიწყე,
როგორც ღამის სიზმარი,
მაგრამ მაინც რატომ რჩები ჩემს გულში — ერთადერთი,
ასე დაუპინყარი.

ცა

ეს ცა რომ ჩემი იყოს, რას არ ვიზამდი რას —
შევეებმებოდი ხელით ქარიშხალსა და ქარს,
ეს ცა რომ ჩემი იყოს — რას არ ვიზამდი და რას —
ოღონდ იმას კი არა — გამოვეკერო ცას.

უცნაური შიში

ღამის 3 საათია და ძალიან ბნელა, საესე მთვარე
გასრიალდა ციდან ნელა, ნელა,
გაიფანტნენ ვარსკლავები შუალამის ნისლში, მე კი ისევე
დამეუფლა უცნაური შიში...
ამ ღამეში რა ვინატრო უკვე აღარ ვიცი,
ღმერთო იქნებ გადმომიგდო ციდან თეთრი კვიცი,
იმ ნაპირზე გავხედნავდი მტკვარი ზღვას რომ ერთვის,
სვეტიცხოველს ვაჩვენებდი, გელათსა და ხერთვისს...

აღბათ მალე გახდებოდა კვიცი თეთრი რაში,
ის რაში კი ამაფრენდა მაღლა, მეცხრე ცაში.
მომატარებდა სამყაროს ჩემი რაში-თეთრი,
ერთ ვარსკვლავსაც მაჩუქებდა აღბათ თავად ღმერთი...
აღიონზე მივწვდებოდი ცისკრის ვარსკვლავს ხელით
და ვერაფრით გავძლებოდი აღბათ მისი ცქერით...
აქ აჯობებს გავიღვიძო და დავეშვა ციდან,
მაგრამ მე ამ შიშის განცდა მეტი აღარ მინდა...
თუმცა თუ ეს სიზმარია, თუ ეს ხდება ძილში,
მაშინ შიშიც მირაფია — უცნაური შიში.

რატომ დუმხარ მუზავ...

რატომ დუმხარ მუზავ, რად არ მეტყვი რამეს —
რატომ ელოდები ვარსკვლავიან ღამეს,
მომაშველე სიტყვა ღამაზი და წრფელი,
მე შენ სიტყვას იცი, რა ხანია ველი?
ფარატინა ფურცელს დაედება მტვერი, გაიხარებს ჩემი
მომაშველე სიტყვა ხასხასა და წმინდა — ლექსის წერა იცი,
რა ძალიან მინდა?
ხმა გამეცი მუზავ, სიტყვა მითხარ რამე, თორემ მოგვეპარა
მთვარეანი ღამე.

შენ ჩემო ლექსო ჭკვიანო...

შენ ჩემო ლექსო ჭკვიანო, შენ ჩემი სულის ნატეხო,
მოდი არ დააგვიანო, თორემ ერთ ამბავს ავტეხო,
ცრემლს ავიგორებ თვალზედა — ტირიფს არ დავესესხები,
ვიდარდიანებ ძალზედა — თუ შემომაკლდა ლექსები...
ოღონდ ისეთი მინდინარ, თუ რამეს ჭკვიანს იტყოდე,
თან სილამაზით ბრწყინავდე, თან სიყვარულით ინვოდე,
კიდევ ისეთი მინდინარ, რომ გულის ფსკერზე რჩებოდე
და თუ არა და ტყუილად ნულარას გაირჯებოდე.
კიდევ ისეთსა მოგელი — თავს მახსენებდე ხშირად
და თუ არა და შენ, ლექსო, არ ეღირები ჩირადა.

სიტყვა მომეცით...

სიტყვა მომეცით და მე გამოვალ სიტყვით, რომელიც
ჯერაც არ თქმულა,
სიტყვა მომეცით — სანამ დღეა და არ დაუფარავს მზე
ღრუბლის ქულას,
მომეცით სიტყვა — სიტყვა ღამაზი,
ქართული სულის საქებ-სამშვენი,

სიტყვა — ძლიერი, სიტყვა — ალმასი —
გამოაფხიზლოს სამშობლო ჩვენი,
სიტყვა მომეცით — ისეთი სიტყვა, რომ იდღეგრძელოს
გენმა — ქართულმა,
სიტყვა მომეცით და მე გამოვალ სიტყვით, რომელიც —
ჯერაც არ თქმულა.

გახსოვს, კარგო?..

გახსოვს, კარგო? — რა ძალიან მიყვარდი და
როგორი მენტო ცეცხლი თვალებში,
დღისით მზეს და ღამით მთვარეს მიჰგავდი, ვარდი იყო
შენი პირისფარები.
გახსოვს, კარგო? — ის ია და ენძელა, ჩვენი ცქერით რომ
ვეღარა ძღებოდნენ,
შემდეგ ჩვენთან განშორება ეძნელათ, ჩვენს შესახებ
რალას არა ყვებოდნენ.
გახსოვს, კარგო? — ჩვენი კოცნის ცქერაში შურისაგან
რომ განითლდა ყაყჩო,
დღესაც მინდა აგიტაცო ზეცაში, დღესაც მინდა
ნაზი კოცნით დაგახრჩო.
გახსოვს კარგო? — ყვაილების ნიავეში რა ძალიან,
რა ძალიან მიყვარდი,
მაგრამ დღეს კი, უკვე აღარ მიყვარხარ, დღეს კი კარგო
უკვე გადამიყვარდი...

მეფისტო-ვალსი

გემუდარებით გააჟღერეთ რა ფერენც ლისტი —
თორემ დავრჩები მე სევდიანი და პესიმისტი.
გააჟღერეთ გემუდარებით მეფისტო-ვალსი —
აღარ იქნება მაშინ ცხოვრება ფუჭი და ფარსი.
შეუსვენებლად აცეკვა თურმე მეფისტომ ლისტი,
უხალისია მეფისტოს მეტად — არ იყო ხისტი.
არავინ იცის რა დრო იყო — დილა თუ მწუხრი — არ ჩაუხრია
მეფისტოს თურმე წამითაც მუხლი.
„შეიცადეთ“ — უთხოვია ფაუსტს წამისთვის. — „მშვენიერი ხარ,
წამო, ლამაზო, — გმადლობ ამისთვის“.
იყო სიგიჟე, აღმაფრენა, ეიფორია, —
კუთხეში იდგა ფაუსტი, როგორც ბუტაფორია.
იმ ცეკვის შემდეგ დაწერა ლისტმა ვალსი — მეფისტო.
და გაიცრიცა წამში ზურმუხტი და ამეთვისტო...
გააჟღერეთ გემუდარებით მეფისტო-ვალსი —
თორემ ცხოვრებას დაედება კაპიკის ფასი.

რაკვიანი

ახალგაზრდა მინდა მოვკვდე ხალასი და ლამაზი
და საფლავი მთაზე მქონდეს, იმ მთას ერქვას არმაზი,
მტკვარი მიედინებოდეს ქვევით წყნარი დინებით
და მტკვარზე კი კინტოები დაცურავდნენ ტივებით.
საფლავზე რომ მცველად მედგას ჯარი ლურჯი იების
და სურნელი ერეოდეს თეთრი მაგნოლიების,
მთვარე ჩემთვის მარგალიტებს ოქროს ძაფზე ასხამდეს
და ბესიკი ტატანოთი ხოტბას მე რომ მასხამდეს,
ტატო ცრემლად იღვრებოდეს ჩემ საფლავზე გოდებით,
მოცარტი რომ თავთან მედგას რეკვიემის ნოტებით,
ყველა მე რომ მეძღვნებოდეს ლადოს ლექსი — ახალი,
მომცქეროდნენ გადღმადან ვაჟას მთანი მალაღნი,

ლოდის ნაცვლად თავთან მედოს თვითნაბადი ალმასი,
და ყველაფერს რომ ხატავდეს ამას ავთო ვარაზი,
მიედინებოდეს მტკვარი მშვიდი, წყნარი დინებით
და მტკვარზე კი კინტოები დაცურავდნენ ტივებით.

სიკვდილი დახეტილობს...

სიკვდილი დახეტილობს ტყე-ღრეში სალახანაო,
აქეთ ნადირი — დააფრთხო, იქით გაცელა ყანაო,
სადაც კი გზად გაიარა ჩამონვა მენყურ-ზვავიო,
ნაფხურს მისას ლოკავდა გზა და გზა სვავი-ყვავიო,
ჰეი სიკვდილო უჯიშოვ! — თურმე რა ძალა გქონია,
აქეთ ხეები გაჩხე, იქით მოსხიპე ქორია,
თუ ვინმე გზაზე დაგიდგა, სუყველა დაგიმონია,
ჰეი სიკვდილო უჯიშოვ! — თურმე რა ძალა გქონია...

გალათეა და პიგმალიონი

ქ-ნ დამანა მღვინიშვილს

თუ ამლამინდელმა მთვარემ არ გადაიარა ფუჭად
და გადმომაყარა ციდან ოცნებები ერთი მუჭა,
თუ ამ ოცნებებმა წამით გამოსხეს ოქროს ფრთები
და შემომატარეს ფრენით ღამით საოცნებო მთები...
მე გავაცოცხლებდი მაშინ დიდოსტატ პიგმალიონს
და მივანოდებდი ოსტატს ვარდებს მე მილიონს,
მივანოდებდი კიდეც ერთ ჩემულ იდეას,
რომ კვლავ შეექმნა ოსტატს ის ნაზი გალათეა,
მის ფერხთით დაეფინა ვარდები მილიონი,
რომ ყოფილიყო კვლავაც მისი პიგმალიონი...
ვარდები იქნებოდა ფერები მხოლოდ ალის,
გალათეა კი სიმბოლო იმ სრულყოფილი ქალის,
ვისთვისაც ღირდა წამით შემობრუნება წამის,
მშვენიერების ხილვა, და მიღვენება ჟამის...
თუ ამლამინდელმა მთვარემ არ გადაიარა ფუჭად
და გადმომაყარა ციდან ოცნებები ერთი მუჭა...

დაუნდობელი სიკვდილი

კოკი კარანაძის ხსოვნას

გამიგონია სიკვდილო, ყოფილხარ სოფლის აშიკი,
თუ ვინმე კარგი გინახავს, გაგიბამს მასთან არშიცი,
ვეცადე გამიჯნურებას, მინდოდა შენთან ზავიო,
რა მიუვალი ყოფილხარ, ვერ მოგანონე თავიო.
რა ვერაგი ხარ, სიკვდილო, თვალხარბი, დაუნდობელი,
შვილს როგორ უნდა მარხავდეს თავისზე ადრე მშობელი.
ნეტავ ვინა გშვა სიკვდილო, საიდანა ხარ მოსული,
რადა ხარ მუდამ ასეთი იდუმალებით მოცული.

უცნაური დრო

დროვ, რა ზნე გჭირს! — უცნაური, წამითაც რომ არ ცხრები
და წუთებიც მოგყვებიან, როგორც ჯარისკაცები.
დროვ, რა ზნე გჭირს! — უცნაური, სუ ხელიდან მისხლტები
და წუთებიც მოგყვებიან დალილები, ხისტები.
დროვ, იქნება შეანელო ეს გიჟური მარულა,
რალაც შიშმა ამიტანა უცნაურმა, ფარულმა.
ამ ბოლო დროს სევდა გულზე უცნაურად მაბიჯებს,
ამიტომაც ვერ გეწევი, ვეღარ გინყო ნაბიჯებს.

ენდორფინები

დროს ტყუილად მე არ ვკარგავ — როცა ვეძებ ენდორფინებს,
მე ან ვუკრავ, ანდა ვკარგავ, თან ვიხსენებ იმ დოფინებს
ცხოვრებაში ბედისწერით მეფობა რომ ერგოთ წილად,
უფლება კი არა ჰქონდათ, სიყვარულით ექორწინათ.
არასოდეს არა მშურდა პრინციების და დოფინების,
უფლება რომ არა ჰქონდათ სიყვარულით ქორწინების,
მარტო მაშინ გამოჰყოფდნენ დოფინები ენდორფინებს
ალბათ როცა პრინციებთან მიირთმევდნენ ლოკოკინებს.
შესაშური სულ არ იყო დოფინების ხვედრი წინათ,
უფლება რომ არა ჰქონდათ, სიყვარულით ექორწინათ,
სასტიკი და უსამართლო იყო ძალზე უფლის ნება,
მეფეებს რომ არ შეეძლოთ სიყვარულით ქორწინება.

პატარა ქართველი

ჩემს საყვარელ პატარებს

მიედინება ცხოვრება თავის შავ-თეთრი ფერებით,
მე კი გიცქერ და ვერ ვძლები პატარავ შენი ფერებით,
ნეტავ რა დედამ გშობა და ვინ დაგირწინა აკვანი,
პირველმა ვინ შეგისრულა შენი ბავშვური ზრახვანი.
ვინ გიმღეროდა ძილის წინ ძილისპირულს და ნანასა,
ვინ გისწორებდა სათუთად, მთვარიან ღამით საბანსა.
ნეტავი ქვეყნად შენსავით, ბევრი ქართველი გამრავლდეს,
უფალი ქართულ მინა-წყალს, სულ აიაზმით ნამავდეს,
რომ დაგინახე, გაბრწყინდა, ცხოვრება ოქროსფერებით,
ციცქნა ქართველო, ვერ ვძლები
შენი ცქერით და ფერებით.

ბრძნობა — საოცარი

რამდენს გეძებდი, რამდენს — ფეხით ვთელავდი ბალახს,
არა ვტოვებდი ქვეყნად არც სოფელს, და არც ქალაქს,
არ მეტყობოდა დალლა — გეძებდი ყველგან, ყველგან,
არ მაშინებდა გვალვა და არც ღრუბელი — ლევა.
გეძებდი დღე და ღამე, წვიმა იყო თუ ქარი,
უკან კი მდევდა მუდამ ის გრძნობა — საოცარი.
არა მტოვებდა ქარი არც ერთი წუთით მარტო,
ჩამზუზუნებდა ყურში — რატომ გიყვარსო, რატომ?
წლები კი მიფრინავდნენ, როგორც ჩიტები ქარში,
როგორც გაჭრილი ველად უბელო, თეთრი რაში
და როცა ერთხელ ჩვენი გადაიკვეთა გზები,
გაცრეცილიყო გრძნობა, გაგთეთრებოდა თმები,
ზურგსუკან აქილიკდა და ახორხოცდა ქარი,
სადღაც რომ გამქრალიყო ის გრძნობა-საოცარი.

თემიდა

მე ჩავიცვამ ფეხზე რკინის ქალამნებს და შორს სამართლის
საძებნელად წავალ,
გადავუფრენ თავს ღრიალა ქარაფებს და ბენვის ხიდზე
გამოვალ და გავალ.
სეფექალად დავუდგები თემიდას და მივანოდებ ჩემს
უზუსტეს სასწორს,
მინდა თმა ჩამოიშალოს თხემიდან და მან ეჭვები ჩემი
გააქარწყლოს.
დამანახოს სად ბინადრობს სამართალი და კაცის ხმა მასთან
რატომ არ აღწევს,

ან სადა დგას მისი მაღალი ტაძარი და პურს თემიდა
სამართალს სად აჭმევს,
დამანახოს მის ტაძართან მიმავალი რამდენია გზა —
მრუდე და გზა — სწორი,
თუ არა და დამიბრუნოს მე თემიდამ ისევ უკან
ჩემი ზუსტი სასწორი.

თინეიჯერი

მანო ბალიაშვილს

მე ვარ თინეიჯერი — იმედებით სავსე, მაქვს კარგი პეიჯერი
და წიგნებით სავსე
ჩანთა, რომლის სიმძიმეს ვერ ვერევი — ვერა,
რადგან ნაზი გოგო ვარ — პატარა და ქერა.

ვიოლინო

ბ-ნ ვაჟა აზარაშვილს

როდესაც ლურჯად ლივლივებს ტალღა და
ჰორიზონტზე მიცურავს გემი,
როცა ნიავმა არ იცის დალლა, ვიოლინოს კი ეხება ხემი,
ამ ჯადოსნური ბგერების მონად იქცევა წამსვე ჩემი არსება,
მაშინ ღრუბლებში მინდება ფრენა და სიყვარულით
გულის ავსება.
ცისფერ ტალღებში კვნესის და დნება, კვნესის და დნება
ის ვიოლინო,
ამ ღვთაებრივი ჰანგების ფონზე ბევრი იღევა წითელი ღვინო,
თუ ცისფერ მირაჟს შებინდებისას თეთრი ქიმერაც
დაემგზავრება,
მაშინ მერწმუნეთ ოქროსფერ ბინდში სიკვდილიც
აღარ დამეზარება,
ვიოლინოს კი ისე სათუთად, ისე სათუთად ეხება ხემი,
რომ სულერთია საით და რა გზით მიმასრიალებს
ეს თეთრი გემი.

იარა

როგორც ღამაზე პატარძალს შვენის ბრილიანტები, ისე
შვენის ამ ღამეს თეთრი ფოლიანტები
და ეს ფიფქი ქათქათა მინას ისე ედება, თითქოს
გადაიქროლეს ამ ღამეში გეგებმა.
თითქოს ღამე გაცელა საპატარძლო მანდილმა —
ისე წამომიარა შენი ხილვის წადილმა,
რა ვქნა რითი ვუშველო ამ ძველისძველ იარებს,
იქნებ ფიფქმა მიშველოს ჰაერში რომ ფრიალებს
შენი ხილვის წადილმა ისევ ამანრიალა, მგონი ისევ გამეხსნა
ძველისძველი იარა.

სულ სხვა

სიყვარული რაღაც სულ სხვა, რაღაც სულ სხვა ხიბლია,
ხის ტოტიდან სიხარულით მეთანხმება ნიბლია,
როცა გიყვარს გულში რაღაც — სულ სხვა ცეცხლი გუგუნებს,
მტრედი როცა სატრფო არის — სულ სხვა ხმაზე ღუღუნებს,
სიყვარული ნაფერები — გულში ნაზად ნადები,
როცა გტოვებს სხვანაირად, სხვანაირად მწარდები
და როდესაც უნებლიეთ თვალი ცრემლით გეცსება,
იმ დროს ალბათ შენს სიყვარულს სულ სხვა ეალერება.

ეკატერინე ტუკვაძე

ფეხბურთი და მეცხრა ბლოკი

...ყოველგვარი შესავლის გარეშე დავინწყებ: 90-იანი წლების ჩემულ მოგონებებს შორის ერთ-ერთ საპატიო ადგილს სამეზობლოში ნანახი ფეხბურთის მატჩები იკავებს. ახლაც სევდანარევი სიხარულით მეცხება გული, როცა ვისხენებ, რა შემართებით დავირაზმებოდით ხოლმე მე, ჩემი და-ძმა და მამაჩემი ელექტრონერგის გარეშე დარჩენილ ლამეებში (ასეთი ლამე კი ბევრი იყო) გენერატორის ან აკუმულატორის მქონე მეზობლებისაკენ, რათა ენერგოკრიზისის მსოფლიო ფეხბურთის გამორჩეული მატჩების შთაბეჭდილებათა გარეშე არ დავეტოვებინეთ.

ისიც მახსოვს, როგორ ბრახობდა დედაჩემი, „უსაქმური ფეხბურთელების“ გამო მეზობლებს რომ ვანუხებდით და როგორ იოცებდა, იმ სიცივეში „ბურთის გორილის“ სანახავად „აღმა-დაღმა ნანწალი“ რომ არ გვეზარებოდა. დედას თავის დროზე ინგლისური კარგად სცოდნია და, ალბათ ამის გამოც, ერთადერთი უცხოელი ფეხბურთელი, რომელსაც ტელეეკრანზე გამოჩენისას სცნობდა და მოსწონდა, ინგლისელი მეკარე დევიდ სიმენი იყო. თუ მისი კლუბი თამაშობდა, რალა გვიჭირდა! — დედის გულის მონადირებას ადვილად ვახერხებდით — აუ, დედი, არ გაგვიბრაზდე, შენ რომ გიყვარს, იმ სიმენის სანახავად მივდივართო, შევხვებნებოდით და ისიც ნაკლებად გვინწყებოდა. ერთხელაც ისეთი ალტაცებული ხმით და თვალებით მოგვივიდა ამის თქმა, მამამ სიმენის ნაცვლად სიმონი გაიგონა და — ვინ არის სიმონი, მე აქ მკედარი ხომ არ გგონივართო — სერიოზული დაქვეებით იკითხა... მაგრამ დედაჩემის გამო ყველა გუნდის კარს დევიდ სიმენი ხომ ვერ დაიკავდა?!

ერთ საღამოსაც ჩემპიონთა ლიგაში ერთმანეთს „ფიორენტინა“ და „ვალენსია“ უპირისპირდებოდნენ. თებერვლის სუსხიანი ღამე იყო. მუხიანის დასახლებაში ტრადიცია არ დაერღვიათ: ელექტრონერგია ზედიზედ სამი დღით გამოერთოთ და, როგორც ჩანდა, არც ჩემპიონთა ლიგის ხათრით აპირებდნენ მის ჩართვას „მეცხრებლოკლები“ (ასე ვეძახდი მაშინდელ ენერგეტიკოსებს. ისინი კი რას ნყვეტდნენ, მაგრამ მაინც). არადა, თამაში ძალიან საინტერესო უნდა ყოფილიყო: ბოლოს და ბოლოს, იმ დროისათვის გამორჩეული ორი გუნდი ასპარეზობდა. ჰოდა, ჩვენც კარგად ჩავთბუნდით, ფარანი მოვიმარჯვეთ, სადარბაზოში გავედით და კიბეზე დავეშვიტით. ზამთრის ყინვისაგან შემცვივებული, საპაეროებში ყინულის ლოლუებჩამოკიდებული, ლუმლებიდან გამოსული კვამლით ახრჩოლებული, გაზაფხულისა და დენის მალე მოსვლის იმედით ჩაძინებული კორპუსის მდუმარებას მე-4 სართულიდან გამოსული გენერატორის გუგუნი არღვევდა. ჩვენც მეოთხესართულელს მივუკაკუნეთ. თან ვიცოდით, ისიც ფეხბურთის თავგამოდებული ტრფიალი იყო, თორემ არც ისე უსინდისოები ვიყავით, ფეხბურთთან მწყრაულად მყოფ ადამიანს იმ ლამიანად თავს ოთხნი ერთად დავდგომოდით.

მეზობელი შინ მარტო დავიხვებო. ცოლ-შვილი სოფლად გაეზავნა — ზამთარს იქაურ ლუმელთან უკეთ გაუმკლავდებიან-

ნო. თვითონ კი დიდი მატჩის მოლოდინში საგულდაგულოდ მომზადებულიყო და ისედაც თბილ ტანისამოსზე გარედან თხელი საბანი შემოეხვია. ჩვენს სტუმრობაზე ნავთქურაც გააჩალა, ზედ ყავისათვის ჩაიდანი შემოდგა და, ვითომ ნამდვილ სტადიონზე ვართო, ქაფქაფა ყავაც დიდი ფინჯნებით მოგვართვა. ისე კი ალბათ სტადიონებზე არსებულ ტემპერატურას იმ წლებში ჩვენს ბინებში გამეფებული ტემპერატურა დიდად არც ჩამოუვარდებოდა. მოლოდინისამებრ, მატჩი შთამბეჭდავი გამოდგა. დაძაბულობით გამონეულმა ემოციებმა იმ ყავაზე არანაკლებ დაგვებოდა და, აზარტში მყოფებს, ჭიქები ბოლომდე დაცლილიც არ გვეკონდა, რომ პირველი ტაიმიც მიიწურა. ის-ის იყო მსაჯმა ტაიმის დასრულების ნიშნად ჩასტვინა, რომ დენიც ჩაირთო.

რა იყო, ესენიც სასტვენს ელოდნენ? — გაოცებით ვიკითხეთ და „ტრინიდან“ შინ დასაბრუნებლად ნამოვიშალეთ. თუმცა მეზობელმა აღარ გაგვიშვა — „თელას“ კაცი ენდობაო? — გვითხრა, — ვიდრე მეცხრე სართულზე ახვალთ, სინათლეს 9-ჯერ ჩართავენ და გამორთავენ, ბარემ აქ დარჩით, თამაშს ბოლომდე უყურეთ და „სტადიონზეც“ მარტო ნუ დამტოვებთო. ჩვენც ბევრი აღარ ვახვეწინეთ და მეორე ტაიმსაც მეზობელთან, ოღონდ ამ-

ჯერად ელექტრონათურებით გაჩახახახულ ოთახში ვუყურეთ.

ჩვენდა გასაკვირად, ელექტრონერგია სახლამდე მიგვყვა — ალბათ საინტერესო შეხვედრამ იმ ღამის მორიგე „თელასელები“ ისე გაიტაცა, რომ მუხიანისათვის სამადლოვად გამოშვებული დენის გამოერთვა სულ გადავიწყდათ. მთავარი საოცრება კი თურმე წინ გველოდა: იმაში დარწმუნებულებმა, რომ ფეხბურთის მიმართ გულგრილად განწყობილი დედა კარგა ხნის ჩაძინებული დაგვხვებოდა, კარი ფრთხილად გავაღეთ და შინ ფეხაკრეფით შევაბიჯეთ. იქ კი, მისაღებში, სავარაუდოდ დიდილობისაგან მისვენებული, ღანგებშიფაკლული დედა გველოდა,

რომელიც იმ სიცივეში სახეზე კიდევ მარაოს ინიავებდა! მთელ ბინაში ვალერიანის ექსტრაქტის მძაფრი სურნელი იდგა.

თურმე ნუ იტყვით, სინათლე რომ მოსულა, დედა დაინტერესებულა, ერთი მეც ვნახო, ქმარ-შვილი ასე რამ გადაამირია, ამ შუალამისას მეზობლებში რომ დაძრწინაო, ტელევიზორი ჩაურთავს და „ფიორენტინა“-„ვალენსიას“ თვითონაც მისჯდომია. მეურე კი, თამაშს რომ ჩაუთრევიან, ორივე კარსკენ შესრულებულ დარტყმებს სტაჟიანი გულშემატკივრისავით სკამიდან ნამომხტარი აჰყოლია და ამ აქტიურობაში გული ისე აჩქარება, ვალერიანის წვეთებითაც ძლივს დაუმშვიდება.

განსაკუთრებით ის შავგვრემანი ბიჭი მომეწონაო (ფრანჩესკო ტოლოდოზე გვითხრა), ისე ვეფხვივით თამაშობდა, არ მინდოდა, კარში გოლი გასვლოდა და რამდენჯერაც დაურტყეს, იმდენჯერვე მეც სკამიდან ნამოვხტი და შევყვირო. ეს რა დაძაბული სპორტის სახეობა ყოფილა, აქედან მოამორეთ, რა გული გიძლებთ მაგის ყურებისასო. დაიხრებოდა, თქვე საცოდავებოო, — შემფოთებას კარგა ხანს ვერ ფარავდა საფეხბურთო ემოციებს ჩვენზე არანაკლებ აყოლილი დედა.

მას შემდეგ ჩემპიონთა ლიგის არაერთმა მატჩმა ჩაიარა. „ფიორენტინა“-„ვალენსიას“ ის შეხვედრა კი ორმაგად კურიოზული გამოდგა: სანყალი დედაჩემი ფეხბურთის მთელ სიდიადეს გულის ფრიალით აზიარა, „თელასელებს“ კი ენერგეტიკოსთაგან დაჩაგრული გარეუბნისთვის ელექტრონერგის გამოსართავ ლილაკზე თითის დაჭერა, სავარაუდოდ, რამდენიმე ძვირფასი საათით მაინც გადააფიქრებინა.



მხატვარი მალხაზ კუხაშვილი

მაქს ფრიში დაიბადა შვეიცარიაში, ციურიხის გარეუბანში, 1911 წლის 15 მაისს. 26 წლისას უკვე ორი ნაწარმოები ჰქონდა გამოქვეყნებული — რომანი „იურგ რეინჰარტი“ და მოთხრობა „პასუხი სიჩუმიდან“, მაგრამ 1937 წელს მთელი თავისი ნამუშევრები დაწვა და გადაწყვიტა, აღარაფერი დაეწერა. ორი წლის შემდეგ პირობა დაარღვია და შვეიცარიის ჯარში სასაზღვრო პატრულად მუშაობის გამოცდილება აღწერა. ომის დამთავრების შემდეგ პიესების წერა და დადგმა დაიწყო და იმჟამადვე დაუახლოვდა ბერტოლტ ბრეხტს. 1954 წელს გამოქვეყნებულმა რომანმა „მე არ ვარ სტილერი“ საყოველთაო აღიარება მოუტანა. მისი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებებია „ცეცხლის გამჩალებელი“ (1964), „ანდორა“ (1961), „ჰომო ფაბერი“ (1957), „ვიქნები თუნდაც განტენბაინი“ (1964), „ლურჯწვერა“ (1982)... მათგან ორს — „ჰომო ფაბერი“ და „ვიქნები თუნდაც განტენბაინი“ — კარგად იცნობს ჩვენი მკითხველი დალი ფანჯიკიძის შესანიშნავი თარგმანების წყალობით.

„არ მიყვარს საკუთარ გრძნობებზე ლაპარაკი“

(ჯონი დინარს ესაუბრა მაქს ფრიში)

— მინდა საუბარი თქვენი ბოლო მოთხრობით, *ლურჯწვერა*-თი, დავიწყოთ. ამ პროექტზე მუშაობა როგორ მოხდა?

— ამერიკიდან ახალი ჩამოსული ვიყავი, როდესაც მეგობრის სასამართლო პროცესს დავესწარი. სასამართლო მკვლელობის ერთ უცნაურ შემთხვევას იხიებდა. ძალიან დამაინტერესა არამარტო მკვლელობის ამ ამბავმა, რომელიც სრულიად განსხვავებულია *ლურჯწვერას* სიუჟეტისაგან, არამედ თვითონ სასამართლოს ენამ. სიტყვების რიტუალიზაცია ჩემთვის განმაცვიფრებელი იყო. სასამართლოს ენა უცვლელია: სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა, გეკითხებით ამას და იმას. ენის ამ სტანდარტიზაციაში არის მუსიკისა და არქიტექტურის ელემენტები. ერთი და იგივე კითხვები მეორდება სხვა და სხვა ვითარებაში. სიტყვებმა უფრო განმაცვიფრა, ვიდრე მკვლელობის ამბავმა.

— *ლურჯწვერას* კითხვისას რჩება შთაბეჭდილება, რომ ძალიან სწრაფად და მარტივად დაინერა. ასეა?

— ოჰ, არა. თავიდან ორჯერ უფრო დიდი იყო, ვიდრე საბოლოო ვარიანტი. საშუალება მომეცა დამენერა რეალისტური, ძველი სტილის მოთხრობა, რომლის საშუალებითაც შეექმნიდი დასრულებულ პერსონაჟებს, ვაჩვენებდი განსხვავებულ სტანდარტებს, განსხვავებულ გარემოებებს და ა.შ. მინდოდა კიდევ უფრო მეტი მონმე ჩამერთო, მეჩვენებინა მათი ცხოვრება, მათი განცდები, მათი მენტალური მდგომარეობა. მაინც ვერ შევძელი შემექმნა ისეთი დაძაბულობა, როგორც საჭირო იყო. ჰერმან მელვილმა შეძლო ამის გაკეთება *მობი დიკში*, მე კი ვერ შევძელი.

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ დიალოგი თქვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

— წერა რომ დავიწყე, პიესებს ვწერდი და არა მოთხრობებს. თხრობისა მეშინოდა. ჩემი პირველი გატაცებაც თეატრი იყო და არა ლიტერატურა. ალბათ იმიტომაც აღფრთოვანდი სასამართლოს ენით, რომ ის მთლიანად დიალოგისაგან შედგება. როდესაც ამბის მოყოლას, რაიმეს აღწერას ვცდილობ, ეს რუტინული ენა მეკარგება.

— *მე არ ვარ სტილერის* შემდეგ თქვენი პერსონაჟები თითქმის სულ ტექნიკრატები არიან ან ადამიანები, რომლებიც არ გამოხატავენ საკუთარ ინდივიდუალობას და ძალიან ზედაპირულ წარმოდგენას გვიქმნიან თავიანთ ცხოვრებაზე.

— ნამდვილად ასეა, განსაკუთრებით *ჰომო ფაბერში*. საქმე ისაა, რომ ადამიანები თავიანთი ცხოვრების უფრო ზედაპირულ სურათს გვიხატავენ, ვიდრე სინამდვილეშია. ვალტერი უარყოფს საკუთარ გამოცდილებას მხოლოდ იმიტომ, რომ ემოციების გამოხატვა არ შეუძლია. ამიტომაც საკუთარ თავს რაც შეიძლება ზედაპირულ ადამიანად გვაჩვენებს. იმდენად ამაყია, რომ არაფერს ამბობს. ძალიან გვიან ხვდება, რომ თურმე ძალიან ბევრ რამეს განიცდიდა. ვფიქრობ, სტილერი უფრო ბევრს ლაპარაკობს საკუთარ გრძნობებზე.

— *ლურჯწვერაშიც* ჰერ შადი სულ იმას იმეორებს, ბილიარდის თამაში მშველისო, მაგრამ არასდროს უთქვამს, რომ იტანჯება.

— მართალია. შეიძლება ამაზე ჩემმა პიროვნებამ იქონია გავლენა. არ მიყვარს საკუთარ გრძნობებზე ლაპარაკი. მათი

გადმოცემა სხვანაირადაც შეიძლება — სხეულის ენით, ან სიჩუმით. შეიძლება ზოგიერთი ადამიანი სიტყვებს არ ენდობა, ეშინია, რომ მის ნათქვამს სწორად ვერ გაიგებენ. ძალიან ძნელია საკუთარი გრძნობები ისე გადმოსცე, ცოტათი მაინც არ იცრუო. ასე რომ, არ მიყვარს საკუთარ გრძნობებზე ლაპარაკი, მაგრამ ხელოვნების საშუალებით ვახერხებ მის გადმოცემას. როგორც მკითხველს, არ მიყვარს, როდესაც მწერალი მეუბნება, რა უნდა ვიგრძნო. ნაწარმოებში უნდა იყოს გრძნობები, ემოციები, მაგრამ არა სიტყვებით გამოხატული.



— სწორედ ამიტომ შენს ნაწარმოებებს არ მიაკუთვნებენ დღეს ასე გავრცელებულ კონფესიურ სტილს, რომელსაც შეიძლება ფსიქოანალიტიკური კულტურა ვუნდოდოთ.

— ლიტერატურაში სწორედ ამას ვერ ვიტან. ჩემს ერთ-ერთ ახლო მეგობარს ეს ფრიად ემარჯვება, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება ხოლმე, თითქოს მასთან ერთად ფსიქოთერაპიის სეანსზე ვიყო.

— პირველად როდის გადაწყვიტე შეექმნა ისეთი ზედაპირული, ცივი, „აუღელვებელი“ პერსონაჟი, როგორზეც ჩვენ ვსაუბრობდით?

— ძნელი სათქმელია. არა მგონია ეს ერთბაშად მომხდარიყო, ალბათ უფრო თანდათანობით. ალბათ ასე უფრო კომფორტულად ვგრძნობდი თავს. ვფიქრობ, თუმცა არ ვიცი, მართალი ვარ თუ არა, რომ თუკი შენს ემოციებს აღწერ, ან პერსონაჟი აღწერს საკუთარ ემოციებს, როგორც ეს დოსტოევსკის, მელვილის ან სხვა დიდ მწერალთა ნაწარმოებებშია, დიდა პირობითობაში გადავარდნის საფრთხე. გოეთემ გვაჩვენა, რას უნდა ვგრძნობდეთ, თუკი შეყვარებული ვართ, ამის გამოხატვისა გარკვეული ფორმები არსებობს. მაგრამ ხომ შეიძლება ვეცადოთ ვაჩვენოთ სიტუაცია, მოძრაობა, შესტები და სახეები ლაპარაკის გარეშე. ასეთი ფორმა უფრო მეტად უახლოვდება კინოს, ვიდრე ძველი ლიტერატურა. კინომ გვასწავლა, რისი გამოხატვა შეიძლება სიტყვების გარეშე. ბედნიერი და ამაყი ვიქნები, თუკი მკითხველი იგრძნობს, რა მდგომარეობაშია პერსონაჟი, როდესაც სველი შარვალი აცვია, სცივა, იღლება მელანქოლიისა თუ სასონარკვეთისაგან. ამას უნდა გრძნობდე და ხედავდე, მინდა ეს შევძლო, ყოველ შემთხვევაში, ვეცადო მაინც.

— რატომ აქვთ შენს პერსონაჟებს, ერთმანეთისაგან ასე განსხვავებულთ, შენი თვისებები? მაგალითად, ყველა სიგარას რატომ ეწევა, ან მათი პირველი შეყვარებულები ებრაელი გოგონები რატომ არიან?

— გარკვეულწილად ეს სიზარმაცის ბრალია. მაგნიტსკი, რომელიც ყველა პერსონაჟი სიგარას ეწვევა. ვხვდებით, რომ ეს შეტყობა. ყველა ბიჭს ერთი და იგივე მანქანა ჰყავს — იაგუარი. სულაც არ მსიამოვნებს, ასეთ რამეებს რომ ვამჩნევ. ვლიზიანდები, მხოლოდ ჩემ გარშემო არსებულ საგნებს რომ ვიყენებ (სიგარას, მაგალითად), იმის მაგივრად, რომ ავდგე და სამზარეულოდან ავიღო რამე.

— შენთვის, როგორც მწერლისთვის, როგორაა — გარკვეული გამოცდილება და გინდოდას ამაზე დაწერო?

— ვფიქრობ, გარკვეულწილად ყველას აქვს ისეთი გამოცდილება, რომლის ვერბალიზება არ შეუძლია. ჩემ შემთხვევაში ზუსტად ასეა. სიმართლე გითხრათ, არც მაქვს სურვილი, ვწერო ჩემს გამოცდილებაზე, მითუმეტეს, თუკი ადრეც დამინერია ამაზე. ამის გაკეთება უკეთესადაც შემიძლია, მაგრამ არც ისე საინტერესოა. ახლაც გარკვეულ გამოცდილებას ვიძენ, თუმცა არ ვიცი, რას. ამიტომაც ჩუმი ვარ, სხვა ყველაფერი ადვილად მბეზრდება. მაგრამ მაინც რა გამოცდილებაა ეს? მთავარია, რომ რაღაც არის და ერთ დღეს მის გადმოცემასაც შევძლებ.

— მინდა წერის პროცესზე გკითხო. შეგიძლია მითხრა, მონახაზიდან წიგნამდე როგორ მიდიხარ?

— როდესაც, მაგალითად, ტრიპტიკს ვწერდი, იდეა არ არსებობდა. არც ჰადესზე მიფიქრია, არც სხვა რამეზე. ვხედავდი მხოლოდ თეატრალურ სიტუაციას: მოძრაე სკამზე ახალგაზრდა ქალი ზის, ეროტიკული ხმა და გარეგნობა აქვს. მხოლოდ ის ვიცი, რომ მკვდარია. ასე დავიწყე ტრიპტიკის წერა. მთელი პიესა ამ სცენის გარშემო აწყობილი. ზოგადად ასე ხდება, ვხედავ გარკვეულ სცენას, ან სიტუაციას, რომელიც წერისაკენ მიზიდვებს. არ ვიცი, ეს შუა სცენა თუ დასაწყისი. არ მინდა გეგმა მქონდეს. მაგალითად, ინცესტი ჰომო ფაბრში. წერას რომ მოვრჩი მხოლოდ მაშინ მივხვდი საიდან გამიჩნდა იდეა. თავიდანვე რომ მივხვდარიყავი, ალბათ შემეშინებოდა, არ ვიცი, დავწერდი თუ არა. ასე კი ვიდრე შევშინდები, წერა უკვე დამთავრებული მაქვს.

— საინტერესოა, გაქვს თუ არა თვითკონტროლის გაუცნობიერებელი მექანიზმი?

— კი, თვითკონტროლის ეს მექანიზმი მეუბნება, როდის შევწყვიტო წერა, ვეცადო დავხვეწო თუ საერთოდ მივატოვო. ეს მექანიზმი გადაწყვეტილების მიღებაში გეხმარება. თუკი თავიდანვე კრიტიკულად განეწყობი, ერთ წინადადებასაც ვერ დაწერ. მაგრამ კრიტიკა, რა თქმა უნდა, აუცილებელია. როდესაც ჰოლოცენის ეპოქის ადამიანს ვწერდი, ცუდი არ ყოფილა, მაგრამ მაინც დისკომფორტს განვიცდიდი. ეს არის კრიტიკა. მეორე მონახაზის გაკეთების შემდეგ მივხვდი, რომ ის იყო, რაც მინდოდა. ცოტა ხანში ისევე უკმაყოფილების გრძნობა დამეუფლა. ასე რომ არ ყოფილიყო და თავიდანვე გამომეჭყეყებინა, იმ წერტილს ვერასდროს მივალწვდი, რომლის მიღწევაც შემიძლო. მწერალი მთლიანად თვითკრიტიკაზე დამოკიდებული.

— თეატრი კვლავ მნიშვნელოვანია შენთვის?

— უფრო ახალგაზრდა რომ ვიყავი, თვითონ თეატრით ვიყავი აღფრთოვანებული და არა დრამით. დღესაც ასეა. მოცუბს სხეულისა და ხმის ეს მაგიური თანაარსებობა და, ამავდროულად, ის შეუსაბამობა, რომელიც იბადება სიტყვებით შექმნილ სურათსა და ვიზუალურ სურათს შორის — ეს ძალიან საინტერესოა. ჩემს პიესებში პარაბოლას ვიყენებდი, მეგონა და იმედი მქონდა, პარაბოლის საშუალებით კომპლექსური რეალობის გამომცემად შევძლებდი. დღეს უკვე ეჭვი მეპარება, რადგან პარაბოლის უპირველესი მიზანი მაინც რაღაცის დამტკიცება, სწავლებაა, მე კი მივხვდი, რომ არაფრის სწავლება არ მინდა, მხოლოდ რაღაცის ჩვენება, ამიტომაც პარაბოლას აღარ ვიყენებ.

— ანდორასა და ცეცხლის გამჩენის მიზანი ხომ სწავლება იყო?

— კი, ანდორათი მინდოდა მეჩვენებინა როგორ იბადება ცრურწმენა, როგორ იქცევა ეს საერთოდ დაავადებად ანდრეს საზოგადოებაში, რას აკეთებს ეს საზოგადოება და როგორ სძულს საკუთარივე ქმედება. მინდოდა მეჩვენებინა, როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან საკუთარი თავის სიძულვილი. ან-

დორა მოდელია, ამის სწავლა შეიძლება, მაგრამ ეს თეატრი არ არის, თუმცა შეიცავს თეატრის ელემენტებს.

— შენი ბევრი ნაწარმოები შეიცავს ფანტასტიკურ მოვლენებს, რომელთა დაჯერება საკმაოდ ძნელია. როგორ გგონია, აუცილებელია მკითხველმა ირწმუნოს, რომ ასეთი რამეები მართლაც ხდება?

— თავიდან მეგონა, რომ თუკი არ გჯერა იმის, რასაც წერ, მაშინ წიგნი არ ვარგა. მოგვიანებით აზრი შემეცვალა. ვიქნები თუნდაც განტენბაინით მიწოდდა მეჩვენებინა, რომ ყველაფერი შეიძლება ჰიპოთეზის სახით მოგვეწოდოს, ამ შემთხვევაში დაჯერება არ არის აუცილებელი. ეს შესაძლებლობებით თამაშია. ლიტერატურამ უნდა გვიჩვენოს შესაძლებლობანი და ეცადოს უარყოს იდეა, რომ მოხდა ის, რაც მოსახდენი იყო. ამ აფორიზმისა არ მჯერა.

— თითქმის ყველა შენი პერსონაჟი თვითმკვლელობაზე ფიქრობს. რატომ?

— რა თქმა უნდა, ამაზე თვითონ ავტორი ახდენს დიდ გავლენას. თვითმკვლელობაზე ბევრი მიფიქრია, მაგრამ არასოდეს მიცდია. ჩანახატებშიც ვწერ ამაზე, მოხუცთა ჯგუფზე, რომელიც ნებაყოფლობითი სიკვდილის საზოგადოებას აყალიბებს. მაგრამ აქ თვითმკვლელობაზე ფიქრი იდენტობის, ინდივიდუალობის დაკარგვის შიშით არის გამოწვეული. იმის შიშით, რომ შეიძლება მხოლოდ სხეულად იქცე, ნახევრად ცხოველად, გადაწყვეტილებათა მიღების უნარიც კი დაკარგო. როდესაც იმედი, ჯანმრთელობა ქრება და ადამიანი სუსტდება, ასეთი ფიქრები ხშირად იჩენს თავს. მაგრამ კრიტიკულ მომენტში არც ისე ძლიერები ვართ, რომ ეს გადაწყვეტილება მივიღოთ, არჩევანის საშუალებას ვკარგავთ. მეც ამის მეშინია, სუვერენიტეტის დაკარგვის.

— შენი პერსონაჟები ხშირად ამბობენ, გამეორებისა გვეშინიათ, შენი ნაწარმოებებიც ამ შიშს ასახავს, არ გინდა, რომ საკუთარი თავი გამეორო. ასეა?

— მართალია. ძალიან ძნელია სიცოცხლისუნარიანობა შეინარჩუნო, ახალი გამოცდილება შეიძინო. მაგრამ ასაკი აქ არაფერ შუაშია. სულ მეშინოდა, რომ თუკი დიდხანს მსგავს რამეზე ვიმუშავებდი, კრეატიულობას დაკარგავდი, თავს კომფორტულად ვიგრძნობდი, მენტალურად გავზარმაცდებოდი. ამიტომაც უნდა შევცვლილიყავი, უსიცოცხლოდ ცხოვრებისა მეშინოდა, ეს ძალიან პირადული შიშია და, ამავდროს, შიში იმ ადამიანთა მიმართ, ვინც მიყვარს, მეშინია, რომ ისინიც იგრძნობენ მიჩვევის კომფორტს.

— შენს ძალიან ბევრ პერსონაჟს მუდამ სინდისი აწუხებს. ასეთი რა ცოდვები აქვთ ჩადენილი?

— ცოდვებისა არ მჯერა, ამას დანაშაულს ვუნდებ. მართალია, მათ მუდამ სინდისი აწუხებთ, მეც იგივე გრძნობა მაქვს, არ ვიცი, რატომ. მაგრამ შენს შეკითხვას სხვანაირადაც შეიძლება მივუდგეთ. ჩემთვის ცოდვა სიყვარულის უნარის არქონაა. თუკი სიყვარულის უნარი არ გამაჩნია, არ შემიძლია მიყვარდე ჩემი თავი, დედაჩემი, ჩემი ძალი და ა.შ., მაშინ ეს ცოდვაა. ცოდვა კი არა, საშინელებაა. ჩემთვის ყველაზე მძიმე ბრალდება ის არის, როდესაც გეუბნებიან, სიყვარულის უნარი არ გაგაჩნიაო. ის, რაც ჩემს ტრიპტიკშია. ასე რომ, ტყუილი, სისასტიკე, მესაკუთრეობა ამასთან შედარებით არაფერია. არ შეგეძლოს სიყვარული, ნიშნავს — არ გქონდეს ცხოვრების უფლება.

— როდესაც ცოდვასა და დანაშაულისთვის პასუხისგებაზე ლაპარაკობ, საკუთარ თავს ხომ არ აიივივებ შევიცარიანობისთან, განსაკუთრებით ბოლო ომთან დაკავშირებით?

— არ მიყვარს, როდესაც მხოლოდ შევიცარიელად ან ევროპულად განმიხილავენ, მაგრამ გარკვეულწილად მართალი ხარ. გერმანელებს ერთი გამოთქმა აქვთ — უდანაშაულოს დანაშაული. უმოქმედობა უდანაშაულობას არ ნიშნავს. ლურჯნვერაში არის დანაშაულზე ფიქრი, დანაშაულის გრძნობა. ისეთ თეოკრატიულ, რელიგიურად სტრუქტურირებულ საზოგადოებაში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, არა მგონია შაადის სინდრომი არსებობდეს — დანაშაულის გრძნობა მიზეზის გარეშე.

— ვიცი, არ გიყვარს, როდესაც “შვეიცარიელ მწერალს” გინოდებენ, მაგრამ როგორ გგონია, რომ არა შენი ეროვნება, ასეთივე სახით წარმოაჩენდი დანაშაულის პრობლემას?

— კი, ალბათ ასე იქნებოდა. განსაკუთრებით ის მანუხებს, რომ ქვეყნის ოფიციალურ ნაწილს თავი უდანაშაულოდ მიაჩნია. იტალიის შემთხვევაში ასე არ არის. იტალია ლამაზია, ლარიბი, დიდებული, მაგრამ არა უდანაშაულო. ჩვენ კი მდიდრები და უდანაშაულონი ვართ. ასე რომ, მართალი ხარ, რაღაც დონეზე საკუთარი ეროვნება გვშტამპავს.

— როგორ ფიქრობ, ბირთვულ ეპოქაში, როდესაც ქვეყნებს აქვთ შესაძლებლობა ერთმანეთი სრულიად გაანადგურონ, დანაშაულისა და პასუხისმგებლობის საკითხი ისევე რელევანტურია?

— ამაში ნამდვილად არის გარკვეული ცინიზმი. მზარავს ის აზრი, რომ ყოველგვარი ვალდებულებისაგან თავისუფალი ვართ, იმ ცირე ადამიანური ვალდებულებისგანაც, რასაც რაღაცასთან შებრძოლება ჰქვია — საზოგადოების სიჩლუნგესთან ბრძოლა. მე, ამ შემთხვევაში, კარგ მაგალითად არ გამოვდგები. ჩემი თაობა, სოციალიზმის რწმენით, უკვე დამარცხებულია. ერნესტ ბლოკი და ყველა დანარჩენი წარსულს ჩაბარდნენ. აღარაფერი დარჩა. სულ რაღაც თხუთმეტი წელი გავიდა ბერკლისა და სიტყვის თავისუფლების მოძრაობის, 1968 წლის პარიზის, ფრანკფურტისა და ბერლინის დემონსტრაციების შემდეგ. მაგრამ წარმოიდგინეთ, დღეს სარტრი რომ გამოდიოდა სიტყვით ჩვენი აუდიტორიის წინაშე, იგივე იქნებოდა, რაც ქარის ნისქილებთან მებრძოლი დონ კიხოტი. რაზეც უნდა ელაპარაკა, ვერ გაიგებდნენ. „ვიცი, რომ მკვდარი ვარ, მაგრამ რამდენი ხანია ეს გრძელდება?“ ახლა, როდესაც უკვე ხანში შევედი, ამაზე ფიქრი სევდას მგვრის.

— ბერტოლტ ბრეხტს მისი სიცოცხლის ბოლო წლებში დაუახლოვდი. ამ მეგობრობამ შენსა და შენს შემოქმედებზე რა გავლენა იქონია?

— პირველ რიგში, იგი იყო პირველი დიდი მწერალი, რომელსაც პირადად ვიცნობდი, და ეს მნიშვნელოვანია. მან გამაგებინა, რა იყო სერიოზული შემოქმედება, და რამდენად მნიშვნელოვანია რაციონალიზმი ხელოვნებაში. იგი არ ყოფილა რომანტიკული მწერალი. ასე რომ, მასწავლებელი მყავდა. პირველად ნამდვილად დიდებული თეატრიც მაშინ ვნახე, თეატრი, რომელსაც იგი ქმნიდა ჯერ ციურისში, შემდეგ კი ბერლინში. მან მასწავლა, რომ სცენაზე პერსონაჟის გრძნობები არ უნდა აჩვენო. საჭირო არ არის თეატრი, ხელოვნება ჩვეულებრივ ცხოვრებას იმეორებდეს.

— კიდევ რას გირჩევდა ბრეხტი?

— ერთხელ წერილი მომწერა, შესანიშნავი წერილი იყო. წერდა, რაღაც მნიშვნელოვანი გაქვს, მაგრამ გამბედაობა არ გყოფნის დიდებული ფორმების გამოყენებისთვის, დიდებული პიესისთვის, დიდებული ესეისთვისო. ბრეხტი ბერლინში დაბრუნდა და იშვიათად ვხვდებოდით, მაგრამ ვიდრე ციურისში იყო, აქ წელიწადნახევრის განმავლობაში ცხოვრობდა, იაფფასიან ბინაში, ველოსიპედით მივდიოდი მის სახახავად. მეგონა, მისთვის დიდს არაფერს წარმოვადგენდი, მაგრამ მეტყოდა ხოლმე, “რატომ არ მოხვედი ჩემს სახახავად?” და თვითონ მპატიჟებდა. რაღაცნაირად მოვწონდი, მართალია მისთვის ბურჟუა ვიყავი, მაგრამ არა უიმედო ბურჟუა.

— შენს პოლიტიკას აკრიტიკებდა?

— კი, მაგრამ არა სიბრაზით. უნდოდა პიესა დაგვეწერა ერთად, მაგრამ მე შემეშინდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, ასე თუ მოვიქცეოდი საკუთარ იდენტობას დავკარგავდი. ბევრ რამეს ვისწავლიდი, მაგრამ შესაძლოა საკუთარი თავი დამეკარგა.

— ყველაზე მეტად რას ნანობ?

— ბრძენი რომ არ ვარ, ისეთი ბრძენი, როგორადაც თავს ვაჩვენებ. რომ ცოტათი უფრო სერიოზული არ ვარ. რომ საგნების არსს ვხვდები, მაგრამ ყოველთვის ცოტათი გვიან.

ინგლისურიდან თარგმნა ნინო ზუპაშვილი

ირაკლი ვაშაყმაძე

სიხარულიან დღეთა გახსენება

ზაფხულის გრილი მზიანი დილა იყო, შაბათი დღე. შოთა ბიძიამ, ვაშაყმაძემ, მითხრა — წავისაუზნოთ, ბაზარში შევიაროთ, სამწვადე ვიყიდოთ... მერე ბაღში ავიდეთ, იქაურობა მივალაგ-მოვალაგოთ, შუადღისას ჩვენი ბიჭები ამოვლენ, ოთარ ჩხეიძეც იქნება, ცოტას წავიმუსიაფებთ-წავიქეიფებთო. ბაღს რომ ვამბობ, ნუ გაგიკვირდებათ. საბურთალოზე (ვეძისის ქუჩის ოცდათორმეტ ნომერში), ნუცუბიდის ქუჩის მიმდებარე ხრიოკ ფერდობზე, კოლია ბაბუამ მინა მოაშინაურა-მოათვინიერა — ისეთი ვენახი, ხეხილის ბაღი გააშენა, რომ იტყვიან, ავ თვალს არ დაენახებოდა. ერთი უცნაური რამ ხდებოდა ამ ეზო-კარში: ქალაქის ხმაურიანი ნუცუბიდის ქუჩიდან უტეც შეუხვევდი ორლობეში, რომელიც ძალიან მიაგვდა სოფლის შუკას, უცბადვე მიადგებოდი იასამნის მწვანე ლობეს, შეაღებდი ჭიშკარს და აღმოჩნდებოდი სიმწვანეში, სადაც ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე, ფოთოლცვენამდე, ჩიტების ჟივილ-ხივილი, სტვენა-გალობა, შაშვების ჭახჭახი ისმოდა, თავი უსიერ ტყეში გეგონებოდა. სტუმრის მობრძანებისთანავე ფრინველთა ფერადი ორკესტრი უფრო და უფრო მოძლიერდებოდა და მოძლიერდებოდა.

შეშუადღებულზე ბაღი მივალაგ-მოვალაგეთ. ხორცი სამწვადედ გავამზადეთ. ორი-სამი კალათა შავი და თეთრი ბალი დავკრიფეთ, ტალავერში მაგიდა დავდგით, მაყალი დავალერწინანეთ... ბატონი ოთარი აქამდე არ მენახა, ერთი სული მქონდა როდის ვნახავდი, „ბურუსისა“ და „კვერნაქის“ ავტორს... მალე ნოდარ ალანისას ცინცხალმა ხმამ დაარღვია სოფლური მყუდროება: მოვედით, ვაშაყმაძეებო, კარი გავკვილეთ! კარი გაიღო და ბატონი ოთარი ცოლ-შვილით შემობრძანდა. შემობრძანდა და კეთილი, ფრესკულ-მონამებრივი თვალეები შემოგვანათა, თვალეები დიდრონი, დარდით, წინაპართა დარდითა და სანუთროს იდუმალ საიდუმლოებათა შეცნობის დაუოკებელი ცნობისნადილით აღსავსე. შემობრძანდა ეზოში ბატონი ოთარი თუ არა, სიხარულწარვეიანი, გაოცებული ხმით კითხულობდა და კითხულობდა — ეს მიდამოები სიჭაბუკისას ფეხით მაქვს შემოვლილი, ამ ხრიოკზე ეს ნალკოტი რა ხელმა გააშენა-დაამშვენაო, რა ხელმა — ასეთი ხეხილი და ვენახიო. გულდასმით, მწერლურად დაათვალეირა ფუტკარი, ხეხილი, ვენახი, თითოეული ხე, ვერ მალავდა აღტაცებას ნანახით. მალე სუფრაც გაიშალა. პატარები შეეჩვივნენ გარემოს, დაინყეს სირბილი. მერე — დამალობანა. კი უზუნებოდა ქალბატონი მარიამი ბავშვებს — თეთრი ბალი ჭამეთ, უფრო გემრიელიაო, მაგრამ მაინც შავი ბლით ითხუზუნებოდნენ...

მარანში მუხის კასრიდან შოთა ბიძიამ რქანთელის სუფთა წვენი გადმოასხა. ბატონ ოთარს პირველს გაასინჯეს... ამასობაში შალვა რატიანი, აპოლონ ცანავაც მობრძანდნენ, მირიან აბულაძეც. შემდეგ შოთა ბიძიამ სატრაპეზოდ იხმო სტუმრები.. ბატონი ოთარი გორის ამბებს ყვებოდა, იხსენებდა გიორგი ლეონიძეს.

გიორგი ლეონიძე და გაიოზ იმედაშვილი ჩემი ბიძაშვილის, გიორგი ვაშაყმაძის ნათლიები იყვნენ და ბიძაჩემის მეგობრებთან — შოთა მესხიასთან, დავით გვრიტიშვილთან, აკაკი ხინთიბიძესთან, გივი ლომიძესთან, აკაკი ურუშაძესა და სხვებთან ერთად ხშირად სტუმრობდნენ ამ ბაღს. ნოდარ ალანისამ ხელჩანთიდან ვიქტორ ნოზაძის — „ვეფხისტყაოს-

ნის ღვთისმეტყველება“ ამოიღო, და... ირაკლი, ხომ დაგვირ-
 დი, აი შენო!.. დიდხანს საუბრობდნენ ვიქტორ ნოზაძეზე,
 უცხოეთში მოღვაწე ემიგრანტ მეცნიერზე, რომლის ნაშრო-
 მებიც ჩვენთან მაშინ, მიზეზთა გამო, არ იყო ხელმისაწვდო-
 მი, ნოდარს კი ამ მეცნიერის ყველა წიგნი ჰქონდა. მალე ნო-
 დარი შეჭიკჭიკდა — ხეზე ასვლა მოინდომა. ბატონმა ოთარ-
 მა არ აუშვა — როცა თქვენ აქ მყავხართ, ხეზე კი არა, ევე-
 რესტზე, ჯომოლუნგმაზე ავალო... მაინც არ აუშვეს ნოდარი
 ხეზე. ბოლოს სკამზე მაინც შედგა — „ლიხს იქით და აქით,
 მტკვარს, ლიახვს და ფაზისს,“ — ამბობდა ნოდარი, „არქიმე-
 ვენ უდაბნოდ გადაშლილ ოაზისს“ — ამბობდა შალვა... მესა-
 მე სტრიქონს აპოლონი ამბობდა, მეოთხეს — ოთარი... და
 შხიოდა ავთანდილის მწვადი ცეცხლზე. ასე გვიანობამდე,
 ვიდრე ბავშვებს, შავი ბლით ლოყებშეთხუზუნულებს, ძილი არ
 მოერიათ. ჩიტების ჭიკჭიკ-გალობაც მიწყდა, აღარც შაშვები
 ჭახჭახებდნენ. კეთილთვალეებიანი, თმადაფაფრული ვაჟკა-
 ცი დარბაისლურად, თავდახრით დაგვემშვიდობა. კალათა
 ბალი საბარგულში ჩავუდგი მწე-
 რალს. შოთა ბიძამ სველ ტი-
 ლოში შეხვეული ვარდები მიარ-
 თვა ქალბატონ მარიამს...

კმაყოფილი იყო ბიძაჩემი სი-
 ხარულიანი დლით. ალბათ, სტუმ-
 რებიც კმაყოფილები იყვნენ მას-
 პინძლობით... შემდეგ ერთი-ორ-
 ჯერ კიდევ გვესტუმრა ბატონი
 ოთარი ნოდართან ერთად.

მერე ნოდარი გარდაიცვა-
 ლა. გარდაიცვალა გაიოზ იმე-
 დაშვილი, შალვა რატიანი, აპო-
 ლონ ცანავა, აკაკი ხინთიბიძე,
 დავით ლაშქარაძე, მირიან აბუ-
 ლაძე... დროთა მდინარეებში,
 როგორც შოთა ბიძია იტყოდა
 — ვეფხვებს დააცვდათ კლან-
 ქები. ბატონი ოთარი მეტი აღარ
 გვესტუმრებია...

გასული წლის ადრე გაზაფხულზე მამულიშვილმა და მეც-
 ნიერმა ვახტანგ გურულმა დამირეკა — ჩემო ირაკლი, ჩვენი
 რევაზ სირაძის საიუბილეოდ კრებული მზადდება და შენი
 „ფოტოლექსი“ გვინდა შევიტანოთო. კრებული მართლაც
 რომ აკადემიური გამოვიდა. ჩემი ლექსიც დაებეჭდათ შემდეგ-
 ნელთ. ამას წინათ ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ მომიტანეს, ბა-
 ტონი როსტომ ჩხეიძე რევაზ სირაძისადმი მიძღვნილ წერი-
 ლებსა თუ სამეცნიერო შრომებს ჩვეული დაკვირვებულობით,
 სიღრმით, მათ შორის, „ფოტოლექსსაც“ მიმოიხილავდა. ჩემს
 ლექსსაც შეხმინებია ბატონი როსტომი ჩვეული სიტბოთი. ძა-
 ლიან გამიხარდა. გამახსენდა დიდი ხნის წინანდელი „სიხარუ-
 ლიანი დღე“ და ის ბოკვერა ბიჭი, შავი ბლით ლოყებშეთხუზუნ-
 ული, ჩემს დაკრეფილ ხილს მაღიანად რომ მიირთმევდა...

პირველკურსელები სამშვილდესა და ბოლნისს, სამთა-
 ვისსა და ბოდბეს... ნოდარ ჩხეიძესთან, ელიზბარ ჯაველი-
 ძესთან, ზაალ ჟვანიასთან, გრივერ ფარულავასთან ერთად,
 პირველად მან წავიყვანა. რევაზ სირაძე — ქართული მწერ-
 ლობის გულმხურვალე მკვლევარი, მოძღვარი.

სამოცდაათიან წლებში ბატონი რეზო ხანგრძლივი სა-
 მეცნიერო მივლინებით ბულგარეთში იმყოფებოდა. ერთი
 დღეც იყო და, მე და ვაჟა ძიძიგურმა ჩვენი ლექტორის დაბ-
 რუნების ამბავი შევიტყვეთ. გადაწყვიტეთ კოლია ბაბუას
 ბაღში ბატონი რეზოს პატივსაცემად ტაბლა გავგეშალა.

გვინდოდა ამ შეკრების მონაწილე სოსო ჩხაიძეც, კინორეჟი-
 სორი, რეზოს დამფასებელი მეგობარიც ყოფილიყო. მივი-
 კითხეთ-მოვიკითხეთ და „თუში მეცხვარის“ გადასაღებად
 მთათუშეთში აღმოჩნდა ნასული.

სალამოსპირზე ბალი სასურველმა სტუმრებმა აახმიანეს.
 თედო ბექიშვილი ლექსებს გვიკითხავდა, გრივერ ფარულა-
 ვა სადღეგრძელოებით წარსულს ეფერებოდა, თენგიზ ჯო-
 ბავა ღვინით გვამარაგებდა, ბატონი რევაზი სუმბათ ბაკუ-
 რიანის ბიოგრაფიას გვამცნობდა. ძალიან დაგვანტერესა
 დიდი სახელმწიფო მოხელის ანდერძმა. ბატონი რევაზი სა-
 ინტერესო ადგილებს ზეპირად წარმოთქვამდა... მთათუშე-
 თიდან დაბრუნებულ სოსო ჩხაიძეს ყოველივე ვუამბე. ვუამ-
 ბე სუმბათისა და მისი ერთგული მეუღლის, კალის შესახებ-
 ბაც. გული დანწყდა...

მალე „ცისკარში“ დაიბეჭდა ბატონი რევაზის ნაშრომი
 და ჟურნალთა სოსოს სახლში ვეახლე. მაშინ ჩვენ ერთ სახლ-
 ში ვცხოვრობდით, მე მე-13, ხოლო ის მე-6 სადარბაზოში. ახ-

ლავე ნავიკითხავო, მითხრა, და
 დაიწყო კითხვა. ძალიან მოეწონ-
 ანა წერილი, მთხოვა, ჟურნალი
 მასთან დამეტოვებინა...

...ერთ მშვენიერ დღეს კო-
 ლა ბაბუას ბაღში სოსო გადამ-
 დები ჯგუფით მესტუმრა. ტა-
 ლავერში შესანიშნავი მაგიდა
 გაიშალა, „ქარი გიმღერის ნანა-
 სა“ — მღეროდა თემო ნაცვლიშ-
 ვილი, უკრავდა გარმონზე ალ-
 ვანელი ნანო... და უცებ სოსომ
 მითხრა-აი ის, როგორ არის,
 ირაკლი... ბატონი რეზოს წერი-
 ლი... თქვი რა...მაშინვე მივხვდი,
 რასაც მეკითხებოდა. სოსოს
 გვერდით დავუდექი და სხაპას-
 ხუპით წარმოვთქვი:

„— არც რა მოგვიტანია ამა
 სოფლად და ვერც ვერაფერს
 შევქენთ მას... საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, რომ არა
 არს კაცი ვისაც ეცხოვროს და სიკვდილი არ მოსწრაფვო-
 დეს... ამიტომ მე, კუროპალატი სუმბათ ბაკურიანი, ღვთის
 მადლით სრულიად ჯანსაღი და მთლიანად ჩემს გონებაზე
 მყოფი, განვიცდი ძრწოლას სიკვდილის უკიდევანო და უც-
 ნაური საიდუმლოებისგან... მსურს ყოველივე მემკვიდრეო-
 ბად ერგოს ჩემს მარად დაუფინყარ და საყვარელ მეუღლეს
 — კალის, რომელიც კეთილსათნოებით და ღირსეულად მი-
 ნეცდა უღელს და სიმშვიდეს მფენდა.“

სოსომ ხელი მხარზე დამადო. — რა ბედნიერებაა, ხალხ-
 ნო, როცა კაცს ასეთი მეუღლე ჰყავს! — თქვა და ვარსკვლა-
 ვებიან ცას მიაპყრო მხერა.

მაშინ ჩვენ ახალგაზრდები ვიყავით, არავინ არ გვაკლდა.
 ჰყვოდა სოსოს წილი, ბატონი რევაზ სირაძის, თედო ბექიშ-
 ვილის, ნოდარ ალანიას, ბატონი ოთარ ჩხეიძის... წილი ცა,
 ჯერ არჩამომშეული და ჯერ არჩამოქცეული. ჯერ კიდევ ცა-
 ში იყო ბატონი ოთარის „ბორიაცი“, „არტისტული გადატრი-
 ალება“... თედო ბექიშვილის მრავალი ლექსი, ბატონი რევა-
 ზის მრავალი ნაშრომი... სოსო ჩხაიძის „თუში მეცხვარე“...

ბატონი ოთარის და ბატონი რევაზ სირაძის დაკრძალვა-
 ზე, ჩემდა სამწუხაროდ, მიზეზთა გამო, არ ვყოფილვარ.
 ამიტომ... სულ მგონია, ისინი აი, აგერ-აგერ გამოჩნდებიან.
 სულ მგონია, რომ ბატონი ოთარი ახალ რომანზე მუშაობს,
 ბატონი რევაზი კი ახალ სამეცნიერო სიურპრიზს გვიმზა-
 დებს. ასე მგონია და... რა ვქნა!..



მხატვარი ბაქარ მარგველანი

ეკა ბუჯიაშვილი

ერთიანი შთაბოძებით შექმნილი

(პავლე ინგოროყვას დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია)

მაშინდელი რეჟიმი სწორედ ასეთ მოღვაწეთა წინააღმდეგ იყო მიმართული — პავლე ინგოროყვას მსგავს მკვლევარებსა და მოაზროვნეებს ებრძოდა, რასაც ხშირად ეწიერებოდა მათი სახელიც და ნაღვანიც, მაგრამ...

გადის დრო და დგება წამი ამ ადამიანების სათანადოდ დაფასებისა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა იმდენად მათთვის, რამდენად ჩვენთვის, ჩვენი მომავლისათვის, ქართული სულიერებისა და ეროვნული აზროვნების განმტკიცებისათვის, სახელმწიფოებრიობის ამოგებისათვის.

სწორედ ამის დასტური იყო ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონი ჩატარებული სამეცნიერო კონფერენციაც, რომელიც **პავლე ინგოროყვას** სსოფნას მიეძღვნა.

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება და ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქცია ამ დიდი მოღვაწის ცხოვრებისა თუ შემოქმედების საიუბილეო თარიღებს მისი შვიდტომეულის განახლებით შეხვდა.

120 წელი გავიდა პავლე ინგოროყვას დაბადებიდან.

100 წელი — მისი პირველი წიგნის გამოცემიდან.

მრავალი თარიღი გარდაცვალებიდანაც შესრულდა — 30 წელია, პავლე ინგოროყვა დიდუბის პანთეონის მიწას მიაბარეს.

20 წლისამ გამოაქვეყნა ნაშრომი „ძველქართული სასულიერო პოეზია“ და, როგორც ჩხვიძის თქმით, ალბათ ვერც გავისვენებთ სხვა შემთხვევას, ასე ადრეულ ასაკში ამ რანგის სამეცნიერო ნაშრომი გამოეცა ვინმეს.

— ეს იყო სამეცნიერო აღმოჩენა, რომელმაც გადატრიალება მოახდინა ქართულ ჰიმნოგრაფიაში. ის, რაც მანამდე მიიჩნეოდა პროზად, დადგინდა, რომ თავისი მეტრული საზომებით პოეზია გახლდათ.

მერე ეს ყველაფერი კიდევ უფრო გაღრმავდა და პავლე ინგოროყვას, „გიორგი მერჩულეში“ დაგვირგვინდა — სრული, მონუმენტური სახით წარმოჩნდა ქართული კლასიკური ჰიმნოგრაფიული პოეზიის არსი.

მეცნიერება, ლიტერატურისგან განსხვავებით, არ არის მარადიული. ის ქმნის გარკვეულ ეტაპს, თავის დროზე ძალიან მნიშვნელოვანს, და მეცნიერის დამსახურებაც იმით განისაზღვრება, თუ რა პერსპექტივა დასახა, რა გზები გახსნა და რით ხდება მისი ნაშრომი საერთო მონაპოვარი დროის გარკვეულ მონაკვეთში.

ის კი... დროის გასვლის მიუხედავად სამეცნიერო თხზულებებიც რომანებივით, ლექსებივით, მხატვრული ლიტერატურის მალაღალი რანგის ნიმუშებივით რომ იკითხება, კიდევ სხვა თემა და დამსახურებაა, რომელიც მთელ მსოფლიოში იშვიათი მოვლენაა და სწორედ ასეთი გამოჩენისაა პავლე ინგოროყვას შემოქმედება.

თვითონ ძალიან კარგად ჰქონდა გააზრებული, რასაც აკეთებდა. ის ქმნიდა არა ცალკეულ ნაშრომებს, არამედ ქართული ცივილიზაციის ისტორიას, რომლითაც სრული სურათი უნდა წარმოსახულიყო — უძველესი ხანიდან ბოლო დროამდე — და ამიტომაც ყველა დარგს იკვლევდა, დიდძალ მასალას უყრიდა თავს, რის გამოც რაღაც დაუმთავრებელია, რაღაც — ფრაგმენტულად შემონახული, მაგრამ ეს ყველაფერი ერთმანეთს ებმის და ერთიანი შენობა წამოიშობება.

შეიქმნა ჰქონდა ჩაფიქრებული, თუმცა მის სიცოცხლეში მხოლოდ სამი გამოვიდა — I, III და IV.

II ტომიც არ გამოცემულა — ისტორიული ნაწილი „გიორგი მერჩულესი“, სადაც განსაკუთრებულად საგულისხმოაა წარმოჩენილი აფხაზთა მხარე, ისტორიულად და დოკუმენტურად

დადგენილ-დაზუსტებულია, რომ ეს იყო ქართული ტერიტორია, ჩვენი ისტორიული სივრცე.

თავის დროზე წიგნს ძალიან მწვავე გამოხმაურებაც მოჰყვა, ის სოხუმში დაწვეს, რაც, რა თქმა უნდა, კრემლის მითითებით მოხდა და გამოსხატა იმპერიის დამოკიდებულება როგორც ნაშრომის, ისე მისი ავტორის მიმართ.

ამიტომაც ჩაიშალა მისი აკადემიკოსობაც.

ამიტომ შეფერხდა ამ ტომების მომზადებაც.

და აი, წლების შემდეგ, **ლავრით გალავანდებული** მონღოლებითა და დაფინანსებით, პავლე ინგოროყვას ნაშრომების მეორე ტომიც გამოვიდა და მეხუთეც, იმ სამეცნიერო თხზულებათა თავმოყრაც მოხერხდა, რომლებიც ძველ პერიოდიკაში იყო მიმოფანტული. ამასთან, გამოსაცემად მზადდება VI-VII ტომებიც.

რაც შეეხება აკადემიურ გამოცემას, ეს უკვე მომავლის საქმეა — როცა ყველა მისი მეცნიერული ქმნილება დალაგდება ისტორიული ქრონოლოგიის მიხედვით და თავისი სახელიც დაერქმევა: ქართული ცივილიზაციის ისტორია.

პავლე ინგოროყვას თხზულებათა შორის „რუსთველიანა“ ძალიან გახმაურდა. როცა მან წიგნის გამოცემამდე რამდენიმე მოხსენება წაიკითხა ამ თემაზე, ჯერ კიდევ 1913 წელს, შემდგომ კი 20-იანი წლების დამდეგსაც, დიდი რეზონანსი მოჰყვა — იყო ალტაცებაც და წინააღმდეგობებიც — იქამდე, რომ რუსთაველის დაბადების თარიღთან დაკავშირებული საიუბილეო საღამოს გამართვამდე სახელიც გაუტყეს და იუბილე მისი თაოსანის — პავლე ინგოროყვას — გარეშე ჩაატარეს. ვერ შეესხა ხორცი ჩაფიქრებულ გრანდიოზულ პროექტსაც — რამდენიმე ტომად გამოცემულიყო „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტი და ნაშრომები პოემისა და მისი შემოქმედის ირგვლივ.

სწორედ ამ მონოგრაფიულ თხზულებებსა და ნარკვევებს ეხებოდა **მარიამ კარბელაშვილის** მოხსენება „პავლე ინგოროყვა — დიდი რუსთველოლოგი“, სადაც ავტორი პავლე ინგოროყვაზე საუბრობს როგორც დიდ პატრიოტზე, ქართული სულიერი კულტურის დაუცხრომელ მკვლევარზე, რუსთველოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთ უდიდეს წარმომადგენელზე, რომლის ნაშრომებიც არა მხოლოდ სპეციალისტთა ინტერესის საგანი იყო, არამედ სრულიად განსაკუთრებული, განუმეორებელი ინგოროყვასული სტილის წყალბოთით მაგნიტივით იზიდავდა მკითხველთა თაობებს.

— პავლე ინგოროყვა ვეფხისტყაოსნის კარდინალური პრობლემემატიკის კვლევის თვალსაზრისით რუსთველოლოგიაში ე.წ. ალტერატიული ანუ ისტორიულ-ნაციონალური სკოლის უმთავრესი წარმომადგენელია: მისი თეორიით, ვეფხისტყაოსანი **Dichtung** — პოეზიაა, მაგრამ ამასთანავე არის **Wahrheit** — სინამდვილის ანარეკლი; იგი ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ორიგინალის საკითხის გარკვევას რუსთაველის ბიოგრაფიას უკავშირებს, რაც იმ დროისთვის დასავლეთ ევროპულ ლიტერატურისმცოდნეობაში ალიარეობდა და წამყვანი — ფსიქოლოგიურ-ბიოგრაფიული — მეთოდის ანალოგიურია.

პავლე ინგოროყვამ, თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობაზე დაყრდნობით, შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის სრულიად ორიგინალური, საკუთარი ვერსია შექმნა, რომელსაც შინაგანი ლოგიკა აქვს; მისი თეორიით, შოთა რუსთაველი ბაგრატიონთა დინასტიის ჰერეთის შტოს წარმომადგენელია; რუსთავი არა მესხეთის, არამედ ბოსტან-ქალაქია, რომელიც რუსთავის სახელითაა ცნობილი; რუსთაველი საქართველოდან „თავისუფალი მოაზრობისთვის“ — მანიქეველობისათვის არის დევნილი; უცხოეთში თავისი ცხოვრების ამბავი პოეტურად ასახა ვეფხისტყაოსანში; იგი დიდი სახელმწიფო მოღვაწეც ყოფილა, მისი ცხოვრების წლებია 1166-1250. უნდა ითქვას, რომ რუსთაველის დაბადების ინგოროყვასული თარიღი ალიარა რუსთველოლოგიურმა მეცნიერებამ.

ან უკვე ასი წელი გვაშორებს იმ დროს, როდესაც პავლე ინგოროყვამ რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისა და შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის

საკუთარი, სრულიად ორიგინალური თეორია შექმნა (1913-1922), რომლის ძირითადი დებულებებიც („Rustaveliana“, 1926), მიუხედავად ათწლეულების მანძილზე მასში შეტანილი გარკვეული ცვლილებებისა და უმნიშვნელოვანესი დამატებებისა („რუსთველიანა“ და „რუსთველიანას ეპილოგი“, 1963), ბოლომდე უცვლელი დარჩა და სრულად აისახა 1970 წელს გამოცემულ წიგნში, რომელშიც შევიდა მკვლევარის მიერ ვეფხისტყაოსნის კრიტიკულად დადგენილი ტექსტი და ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის გამოკვლევა — მონოგრაფია „შოთა რუსთაველი“ ორი ნარკვევითურთ.

პავლე ინგოროყვა პირველია ქართველ მკვლევართა შორის, რომელმაც ხანგრძლივი პაუზის შემდეგ XX საუკუნის რუსთველოლოგიაში ევროპული ორიენტირის შემოიტანა: თუ მანამდე რუსთველოლოგიური ნაშრომები არსებითად აღმოსავლური მასალით იყო შემოსაზღვრული, პავლე ინგოროყვამ — თავისი ფართო ერუდიციის წყალობით — ეს ზღვარი გაარღვია და დასავლეთ ევროპული მიმართულებით გააფართოვა: როდესაც პავლე ინგოროყვა წერს, რომ არის ერთგვარი მსგავსება შუა საუკუნეთა უდიდესი გენიის შოთა რუსთაველის ბედსა და ახალი ეპოქის გენიოსს შექსპირს შორის, ანდა, როდესაც აღნიშნავს, რომ დასავლეთ ევროპაში მანიქეიზმის სხვადასხვა შეცვლილი შტოები — კატარები, ალბიგოელები, ბოგომილები და სხვა — დიდი როლს თამაშობდნენ ევროპის იდეურ მოძრაობაში შუა საუკუნეთა მანძილზე, სავსებით ცხადია სათანადო ევროპული ლიტერატურის ღრმა ცოდნა.

პავლე ინგოროყვამ მთელი ეპოქა შექმნა რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში — მას ეკუთვნის რუსთაველის ბიოგრაფიის საინტერესო ვერსია, რომლის კვლევაშიც უფართოესი ისტორიული მასალა და უამრავი ისტორიული პირი ჩართო, რამაც არა მხოლოდ რუსთველოლოგიურ, არამედ ისტორიულ მეცნიერებაშიც ფართო რეზონანსი გამოიწვია და, შედეგად, რუსთაველის ეპოქის კარდინალურ საკითხთა ინტენსიური ლიტერატურათმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული შესწავლა განაპირობა.

ლადო ქელიძე ადრეული პერიოდის ქართული საისტორიო პროზის განვითარების ეტაპები მიმოიხილა ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით.

მისი თქმით, ლეონტი მროველმა თავისი თხზულების შექმნისას გამოიყენა წინარე ეპოქების ამსახველი აღწერილობანი.

— „მეფეთა ცხოვრებას“ საფუძვლად დაედო ორიგინალური საისტორიო ნაწარმოები, რომელიც სხვადასხვა ისტორიული ეპოქის მიხედვით თანდათანობით იქმნებოდა. ეს ხანგრძლივი ლიტერატურული პროცესი თანმიმდევრულადაა ასახული ლეონტი მროველის თხზულებაში. გარდა ამისა, მან თავისი ეპოქის იდეოლოგიური მიზანდასახულობიდან გამომდინარე, ორიგინალურ ლიტერატურულ წყაროში, როგორც ეს მისივე თხზულებაშია აღნიშნული, ჩაურთო ეპიზოდები უცხოური (სპარსული, ბერძნული, სომხური) საისტორიო თხზულებებიდან, რომლებიც ქართლის ისტორიასთან მიმართებით ანაქრონისტულია; აგრეთვე, ისტორიულ სინამდვილესაა მოკლებული. მანვე შეთხზა მნიშვნელოვანი ლეგენდა კავკასიაში მცხოვრები ხალხების ერთი საერთო წინაპრიდან წარმომავლობის შესახებ. ეს გარემოება უნდა გავითვალისწინოთ, როცა ლეონტი მროველის თხზულებას ვეცნობით. ისტორიულ სინამდვილესთან შეუსაბამობა ერთი შეხედვითაც ვლინდება, როცა „მეფეთა ცხოვრების“ ავტორი ცდილობს ქართლის ცხოვრების მისადაგებას მსოფლიო ისტორიისადმი (სხვადასხვა ისტორიულ მოვლენებს ლეონტი მროველი საზღვრავს ნაბუქოდონოსორის, ალექსანდრე მაკედონელის, პართიის სამეფოს დაარსებისა და არშაკიდების დინასტიის მეფობით, სომხეთში არშაკის გამეფებით, ქართლში, ფარნავაზიანთა გარდა, უცხო ქვეყნების სამეფო დინასტიების — ნებროთიანთა, არშაკუნიანთა, ხოსროიანთა — წარმომადგენლების მოღვაწეობით და სხვა).

ორიგინალური და უცხოური წყაროების გამოვლიანებით, ახალი იდეოლოგიური მიზანდასახულობის შესაბამისად მნიშვნელოვანი ლეგენდების (კავკასიის ხალხთა ერთი საერთო წინაპრიდან წარმომავლობისა, ქართლში ფარნავაზიანთა გარდა მეზობელი ქვეყნების სამეფო დინასტიების — ნებროთიანთა, არშაკუნიანთა, ხოსროიანთა — წარმომადგენლობის მოღვაწეობისა) შეთხზვით, იქმნება ახალი, კომპოზიციურად ერთიანი ლიტერატურული ნაწარმოები.



ბატონმა ლადომ ისიც აღნიშნა, რომ ლეონტი მროველის საისტორიო თხზულება „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ ერთიან სიუჟეტურ ხაზზე აგებული ნაწარმოებია. იგი დაყოფილია ცალკეულ თავებად, რომლებიც თხრობის მიმდინარეობისა და ამბის გადმოცემის განვითარების შესაბამისად, ორგანულად უკავშირდება ერთმანეთს. თხრობა სადა და თავისუფალია, ბუნებრივად და დახვეწილი მხატვრული ოსტატობითაა აღწერილი სხვადასხვა ისტორიული პირის — ქართველი მეფეების (ფარნავაზის, საურმაგის, ამბასპის, ფარსმან ქველისა...) ცხოვრების გამორჩეული ეპიზოდები. მათი საქმიანობისა და ღვაწლის მიხედვით წარმოდგენილია თითოეული ისტორიული პორტრეტი, ხაზგასმულია პიროვნული თავისებურებანი, დამახასიათებელი თვისებანი. თხრობა ხან ეპიკურია, ხან მოკლე და ლაკონიური, იმის მიხედვით, როგორი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამა თუ იმ ისტორიულმა პირმა ქვეყნის წინაშე.

— „მეფეთა ცხოვრების“ ორიგინალურ ლიტერატურულ წყაროში გადმოცემული ისტორიული მოვლენების შესაბამისი ეპოქის უცხოურ (ბერძნულ-რომაულ და აგრეთვე სომხურ) საისტორიო თხზულებებთან შედარებითა და შეპირისპირებით დასტურდება, რომ ქართული საისტორიო გადმოცემები ისტორიული სინამდვილის ამსახველია. შესაბამისად, დგინდება ქრონოლოგიური მიმართებანი, რის მიხედვითაც ვლინდება, ერთი მხრივ, ორიგინალური, ხოლო მეორე მხრივ, ჩანართი ტექსტები.

ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“ ასახული ადრეული პერიოდის ქართული საისტორიო პროზის განვითარების ეტაპები (აზო-ფარნავაზიანთა ფარსმან ქველამდე) მოიცავს ქართლის სამეფოს შექმნის, დინასტიური ბრძოლებისა და ორმეფობის ხანის ისტორიულ მონაკვეთებს.

1980 წელია.

პავლე ინგოროყვას 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო უნდა აღინიშნოს უნივერსიტეტის მწერალთა წრის სხდომაზე.

თაოსნები **როსტომ ჩხეიძე** და **ნიკა სანებლიძე** არიან, რომლებმაც კარგად იცოდნენ, რომ წინააღმდეგობებს წააწყდებოდნენ, თუმცა ბოლომდე მაინც ვერ წარმოედგინათ, რა სირთულეები ელოდათ წინ.

საღამო ჩატარდა — იმ მწარე რეალობაზეც ითქვა მკაცრი და მართალი სიტყვა და საინტერესო გამოსვლებითაც დაამახსოვრდა საზოგადოებას, თუმცა ამ ყველაფერს ერთი პატარა კურიოზიც უძღოდა წინ:

საღამოს მზადებისას, ერთ დღესაც ნიკა სანებლიძე, რომელიც დიდ ერუდიციასთან ერთად, „არაქართული“ პუნქტუალობითაც გამოირჩევა, უნივერსიტეტის წინ დგას და როსტომ ჩხეიძეს ელოდება.

ის დროა, როცა მილიცია შეკრებილ რამდენიმე კაცს ერთად არ აჩერებს და შლის, მაგრამ...

ნიკა სანებლიძე მარტო დგას.

ელის მეგობარს და ვერსად წავა, ვერც... დაიშლება.

არადა, მისი დგომა მილიციელს აეჭვებს და ეკითხება:

— აქ რატომ დგახარ?

ის კი:

— მე აქ დგომას არც ძველი კონსტიტუცია მიშლის და არც ახალი, — პასუხობს.

...როსტომ ჩხეიძეს, მისდა გასაკვირად, მეგობარი დათქმულ ადგილას არ დახვდა.

...ნიკა სანებლიძეს კი იმ დღეს ერთად „ჩაახედეს“ ძველ კონსტიტუციაშიც და ახალშიც, და პასუხიც აგებინეს „საბჭოთა კონსტიტუციის შეურაცხყოფისათვის“.

ეს იუმორნარევი ამბავი, იმდროინდელ პარადოქსულ რეალობასაც რომ ასახავს, შეკრებაზე როსტომ ჩხეიძემ გაიხსენა — მას შემდეგ, რაც ნიკა სანებლიძემ აი, ასეთ სერიოზულ თემაზე „გეოპოლიტიკური ტრადიცია და პავლე ინგოროყვას „გიორგი მერჩულე“ წაიკითხა მოხსენება:

მისი თქმით, პავლე ინგოროყვა ქართული გეოპოლიტიკური აზროვნების ერთ-ერთ უძირითადეს ფიგურადაც წარმოჩნდა XX საუკუნეში, ხოლო მისი ნაშრომის „გიორგი მერჩულეს“ კვლევის უპირველესი საგანი სწორედ ეს მიმართულებაა.

— იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამების“ პირველ ნაწილში კონცენტრირებულად და მთელი სიღრმითაა გამოვლენილი ქართული ქრისტიანული გეოპოლიტიკის საფუძველი.

უეჭველია, იმხანად გეოპოლიტიკური აზრის ერთადერთი შესაძლო ფორმა ამ ნაწარმოებშია წარმოდგენილი. ქართული ეროვნული თვითშეგნების მანიფესტაცია — რომელიც, ერთი მხრივ, შეურიგებელია არაბი დამპყრობლების მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, ცდილობს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან დისტანცირებას — მხოლოდ იმ პირობებშია შესაძლებელი, როდესაც ქართულ ენაზე ამეცხველებულია წმინდა წერილი და გათავისებულა ვითარცა სწორედ ქართული კულტურული ლანდშაფტის უეჭველი პირობა, რომელსაც იცავენ ზეციური ძალები და ქართულ წმინდანთა ზეციური მხედრობა. სწორედ ამ ლანდშაფტის დაცვას ცდილობს იოანე საბანისძე და ყოველდღიური სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლით მოიპოვებს ქართულ სივრცეს, რომლის პოლიტიკური და სულიერი დაცვაც ევალება ყველა ქართველს.

ქართული გეოპოლიტიკური აზრი იწყება და, როგორც შემდგომში ვნახავთ, გრძელდება კიდევ, ვითარცა კულტურულ ლანდშაფტთა გეოპოლიტიკა, რომლის უმთავრესი ამოცანაც ამ ლანდშაფტთა მოპოვებაა, აღმშენებლობა და სულიერად ურთიერთგანმსჭვალვა, რაც სტრატეგიულად გააზრებულ მუშაობას მოითხოვს. სწორედ ამ სამუშაოს ასრულებს გრიგოლ ხანძთელი — ხანძთის უდაბნოს ორი აღწერა ნაწარმოებში ამ მიდგომის ნათელი მაგალითია. ფინალშიც, ვენახის ეპიზოდში, სწორედ ეს სულისკვეთებაა წარმოდგენილი.

ბატონი ნიკას თქმით, ბევრი მტკიცება არ არის საჭირო, რომ პავლე ინგოროყვას „გიორგი მერჩულე“ სწორედ ამ ტიპის ლანდშაფტებითაა შთაგონებული. საქართველოს არცერთი კუთხის უმცირეს კულტურულ და პოლიტიკურ თავისებურებას იგი უყურადღებოდ არ ტოვებს. მეტიც, ნათლად გვიჩვენებს შესაბამის კულტურულ-პოლიტიკურ და ეთნიკურ

კონტექსტსაც, რომელთაც ეს ლანდშაფტები ჩამოაყალიბეს და შემდეგ კიდევ გააერთიანეს. მათი ერთიანობის საფუძველი ჩამოყალიბების ხანაშივე იჩენს თავს, მაგრამ ამ საფუძველის არსებობა ჯერ კიდევ არ გულისხმობს ერთიანობის ემპირიულ ფაქტს. საფრთხე, რომელიც ამ გაერთიანებაში დევს, ის არის, რომ ლანდშაფტებს დამოუკიდებელი, ავტონომიური არსებობაც შეუძლიათ, თითქოს თვითკმარნი არიან, განცალკევების შესაძლებლობაც აქვთ და ხშირად — სურვილიც.

— ალბათ ხვდებით, ვცდილობ პავლე ინგოროყვას „გიორგი მერჩულეს“ სულისკვეთებისა და სულიერი ფიზიონომიის ზოგად აღწერას გეოპოლიტიკურ ტერმინებში. პავლე ინგოროყვას ნააზრევი ღრმად ეხმიანება არა მხოლოდ გერმანული ნაციონალური პოლიტიკის გეოპოლიტიკურ სკოლას, არამედ ფრანგული ანალების ისტორიულ სკოლასაც.

ჩვენი მრავალფეროვნება ჩვენი სიმდიდრეა, თუმცა საფრთხეც სწორედ აქ არის ჩასაფრებული. ქართული სულიერი კულტურის ენერჯისა და ერგონის საზღვრები უნდა ემთხვეოდეს ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური გავლენის საზღვრებს. ამასთან, ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოველმყოფელობა შეუძლებელია კულტურულ ლანდშაფტთა ქმნალობის თვინიერ, მათი შეკავშირებისა და ფუნქციონირების გარეშე.

აი, ის ამოცანა, რომელსაც მთელი ძალ-ლოც შეაღია პავლე ინგოროყვამ და ჩვენი მომავალი თაობების ხორცშესახსმელად უნდა იქცეს.

პოეზიაში არ შემოჭრილა, როგორი მოლოდინიც უნდა ჰქონოდა თვით გრიგოლ რობაქიძესაც კი, და როგორც უნდა შეესხა მისთვის ხოტბა.

თვითონ პავლე ინგოროყვა ასე ფიქრობდა:

— პოეზიაში ვერ მივალწევ იმდენს, რამდენსაც მეცნიერებაში, ვიქნები ერთი რიგითი პოეტი, რაც არ მინდაო.

არადა, გრიგოლ რობაქიძე იმას ამბობდა:

— აი, ახლა შემოვა ქართულ პოეზიაში მძლე ტალანტი და ნახეთ, რეებსაც იზამსო!

არა, არ გაუმართლდა მოლოდინი დიდ მწერალს, სამაგიეროდ, პავლე ინგოროყვა პერსონაჟად შეიჭრა პროზაში, ალექსანდრე ქუთათელის რომანის — „პირისპირ“ — ერთ-ერთი კოლორიტული გმირის პროტოტიპად იქცა და საგულისხმოდაც დაიხატა მისი პორტრეტი ჯერ მარტო სახელითაც კი — ერემო გოდებანიძე — იერემიას გოდებაზე რომ მიანიშნებს და პავლე ინგოროყვას მთელი ბიოგრაფიაც გასიმბოლოებულა ამ მეტაფორაში.

კონსტანტინე გამსახურდიას რომანშიც — „ბელადი“ — შევიდა პერსონაჟად საქართველოს წარსულითა და სიძველეებით სულიერ-ხორციელად გატაცებულ პიროვნებად გამოკვეთილი, თუმცა... უფრო კარიკატურულად და არა რეალისტურად.

როსტომ ჩხეიძის დაკვირვებით, ვასილ ბარნოვის მოთხრობაშიც — „არქეოლოგიური ნაშთი“ — აირეკლა მისი სახე-უმთავრესად იმ კუთხით, თუ როგორ შთანთქმულიყო მეცნიერ-არქეოლოგი საქართველოს წარსულით და როგორ დაეძებდა, აღადგენდა, უფრთხილდებოდა და ელოლიავებოდა ყოველგვარ სიძველეს.

— ვასილ ბარნოვი „რუსთველიანას“ მეცნიერული კონცეფციისთვის შეეცდებოდა პროზაული ქმნილებითაც („თამარ მრწემი“) დაეჭირა მხარი, მაგრამ კორნელი კეკელიძის



მარიამ კარბელაშვილი

კრიტიკული სტატია „რუსთველიანაზე“ აზრს შეაცვლევინებდა და საპირისპირო პოზიციაზე დააყენებდა.

პავლე ინგოროყვას რომანტიკული გააზრება ჩნდება ოთარ ჩხეიძის რომანში „ცხრანყარო“, სადაც ის მხოლოდ გაიეღვებს, მაგრამ ისეთი პორტრეტი ჩაიხატება, მის მონუმენტურ პიროვნებასა და ღვანლს რომ შეჰფერის და, საბოლოოდ, დაგვირგვინდება როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანში „ბედი პავლე ინგოროყვასი“...

და აი, ბატონი როსტომის თქმით, მიხეილ ჯავახიშვილის ჩანაწერების გამოქვეყნებისას ირკვევა, რომ „ჯაყოს ხიზნების“ ავტორსაც სდომებია მისი პერსონაჟად შეეყვანა რომელიმე ნაწარმოებში. მთელი სიაც კი ჩამოუნერია იმ ადამიანებისა, პროტოტიპად რომ გამოადგებოდნენ, და მათ შორისაა პავლე ინგოროყვაც.

სწორედ ამ მასალას ეყრდნობა როსტომ ჩხეიძის მოხსენება „პავლიანური რკალი (მიხეილ ჯავახიშვილის ჩანიშვნანი)“.

„ჯაყოს ხიზნების“ ავტორს კი თავის უბის ნიგნაკში ისიც ჩაუნიშნავს, რომელი თხზულებები უნდა წაეკითხა პავლე ინგოროყვასი. მათ შორისაა „რუსთველიანა“, რომლის შესახებაც გაკვირვებითი ჩანაწერით შემოიფარგლება და იზიარებდა თუ არა პავლე ინგოროყვას მტკიცებებსა და „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედის ბიოგრაფიას იმ სახით, როგორც მონოგრაფიაშია წარმოდგენილი, არ ჩანს, მითუმეტეს, რომ მიხეილ ჯავახიშვილს შემდგომაც არცერთ სტატიასში არ უხსენებია ეს მონოგრაფია.

— აი, პავლე ინგოროყვას მონოგრაფიიდან თავს „თამარი“ (იგულისხმება მონოგრაფია „ჩახრუხაისძე. პოეტი. მოგზაური“) მწერლის უბის ნიგნაკში უფრო დიდი ადგილი ეთმობა ჯერ მართო ჟანრის ხსენებითაც და პავლე ინგოროყვას კვალდაკვალ თვითონაც ცდილობს მის განსაზღვრავს — *essai* — აი, მისი სახელით.

თვით თამარის ინგოროყვასეული პორტრეტით კიდევ უფრო ინტერესდება მწერალი — განსაკუთრებით იმ დაკვირვებით, თამარის სახელი წარმართულ ხალხურ რელიგიურ გადმოცემებს რომ შეუერთდა და თავყანს სცემდნენ, როგორც ახალ ღვთისმშობელს, ლაშა-გიორგის კი — როგორც ლაშარს, ახალ მესიას. როგორც ჩანს, მიხეილ ჯავახიშვილს ამ მესიანისტურ იდეაზე — როგორც ქართული მოდემის ძლიერებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და განახლება-აღმოჩენებისკენ სწრაფვაზე — ვრცელი თხზულების შექმნა განეზრახა, საგანგებო თხზულებისა, თორემ თამარის კულტი ხელშესახებად გაიეღვებს მის რომანშიც „თეთრი საყელო“, და ამ გზაზე უთუოდ წაადგებოდა პავლე ინგოროყვას ეს ნაშრომი.

ბატონი როსტომის თქმით, ამავე მოტივით უნდა წამოკვინებოდა მწერალს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ და მისი წინასწარი განმარტებანი, „მარის წერილად“ რომ ჩარჩენოდა ხსოვნაში, თორემ სინამდვილეში შესავალი წერილი პავლე ინგოროყვასი გახლდათ, რაც მითითებულია სქოლიოს ბოლოს: „წინასწარი განმარტებანი ეკუთვნის რედაქციას“. ჟურნალ „კავკასიონის“ მთელი რედაქცია კი სწორედ პავლე ინგოროყვა გახლდათ.

ასე შემოვიდოდა ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლი სალიტერატურო-სამეცნიერო მიმოქცევაში, რასაც პოლიტიკური დანიშნულება ჰქონდა იმ დროს, რუსიფიკატორული ექსპანსიის სულ უფრო მომძლავრების ჟამს, ჩვენი მშობლიური ენა გაქრობის საფრთხის წინაშე რომ იდგა.



ნიკა სანებლიძე

უბის ნიგნაკში ამავე რკალია მოქცეული „ეტჰმითის ნაწყვეტიც“ — კაზიმირ ედშმიდის ნოველა „დამპყრობი“ ჟურნალ „კავკასიონის“ ფურცლებზე მთარგმნელის ვინაობის გასაიდუმლოებით გამოქვეყნებულიყო, თუმცა ამ ფსევდონიმს — რამდენიმე ლათინურ ასოს — კონსტანტინე ჭიჭინაძე და პავლე ინგოროყვა ამოფარებოდნენ და ეს ნოველაც, რომელიც პავლე ინგოროყვას მიერ გახლდათ უშუალოდ ხელდებული, მიხეილ ჯავახიშვილისათვის საინტერესო აღმოჩნდებოდა იმით, თუ როგორ წარმოედგინა გერმანულ პროზაიკოსს თემურ ლენგის ლაშქრობათა ქართველებში მოყოლილი საქართველო, მითუმეტეს, რომ ეს ჟამი თავზარდამცემად შემოგვბრუნებოდა 25 თებერვლის ტრაგედიით.

აბა, ზუსტად ვინ იცის, პავლე ინგოროყვას ადრეული ნარკვევით — „გრიგოლ ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწერები“ (რომელიც ეძღვნება პოეტის დღიურს „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურლამდის“, როგორც 1832 წლის შეთქმულების უშუალო დოკუმენტს, პოლიტიკური დანიშნულებისას, სამხედრო ცნობებით გადავსებულს) — დაინტერესებული მიხეილ ჯავახიშვილი „არსენა მარაბდელის“ ხელახალ გადახედვას აპირებდა, შეთქმულების სიუჟეტური ხაზის გაძლიერებას თუ სულაც ცალკე განეზრახა ამ თემის მხატვრული გააზრება, მაგრამ ის კი ზუსტად შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა პროზამ საინტერესო ლიტერატურული პერსონაჟი დაკარგა და... ბატონი როსტომი მოხსენებაში სხვა საინტერესო საკითხებსაც ძირისძირობამდე რომ ჩასდევს და საგულისხმომ მასალასაც მოიხმობს, იტყვის:

„მგლოვიარებითაც დამსგავსებოდნენ ერთმანეთს მიხეილ ჯავახიშვილი და პავლე ინგოროყვა.

სულიერი გაუტეხლობითაც. სახელმწიფოებრივი რწმენითაც და პოლიტიკური მისწრაფებებითაც“ — და შემდეგ დანაწევრებით დასძენს: — ეჰ, ნეტა მაინც როგორ წარმოისახებოდა პავლე ინგოროყვა მიხეილ ჯავახიშვილის პერსონაჟად?!

როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანზე „ბედი პავლე ინგოროყვასი“ გია ხოფერია ისაუბრებს და აღნიშნავს, რომ ეს რომანი უნიკალურია არა მხოლოდ მკითხველზე ზემოქმედების მწერლური გამხედვარობითა და მაქიმილური თავისუფლებით, არამედ მთავარი გმირის, პავლე ინგოროყვას, მონუმენტური პორტრეტის წარმოსახვითაც.

— ის ერთგვარი გასაღებია თუ შესავალი პავლე ინგოროყვას მეცნიერული შემოქმედების გაცნობის მსურველთათვის. მასში ამ მკვეთრად გამორჩეული პიროვნების ბიოგრაფიიდან თავმოყრილია ისეთი ხელშესახები ეპიზოდები, ფილოლოგიური კვლევის მანამდე არნახული დიაპაზონი და სიდიდეები, მკაცრ რეალიზმამდე მიღწეული ინტუიციები და ვარაუდები, რომელთაგან უმეტესობა გამართლდა კიდევ და ყველაფერი ეს მეცნიერული კვლევის მხოლოდ აღსატყვებელ ფაქტად კი არ უნდა აღვიქვათ, არამედ რევოლუციად, გადატრიალებად. რომანში თითქმის პირდაპირ, შეუნიღბავად, კარგა ხნით გულში ნადებ საიდუმლოსავითაა გამჟღავნებული ყველა ის ღირსება, რითაც შემკობილი ყოფილა პავლე ინგოროყვა და რისთვისაც თანამემამულე კოლეგებისა და მავან-მავანი ჩინოვნიკებისაგან სიცოცხლეშივე აცვეს ჯვარს.

რომანის ასე მდიდრულმა პალიტრამ, იმ ციებ-ცხელებამ, რამაც გამოკვეთა პავლე ინგოროყვას პატრიოტული სული,

მწერლის მიერ დანთებულმა ცეცხლმა, რომელმაც გვარია-ნად აგვიჩინოთ სახე და შეგვიხურა გული, განაპირობა ამ ნარკვევში გადმოცემული მოსაზრებანი და ის პირველი ნაბიჯები, ერთგვარ მცდელობად რომ უნდა ჩაითვალოს პავლე ინგოროყვას ბედის შეცნობისა და როსტომ ჩხეიძის მწერლური ოსტატობის ჩანდომისა.

„ბედი პავლე ინგოროყვასი“ არ არის ჩვეულებრივი ბიოგრაფიული რომანი — მხოლოდ განაფული ხელით აკინძულ-დანერილი, ქრონოლოგიურად დალაგებული თუ დაულაგებელი ცხოვრება დიდი მოღვაწისა, გარკვეული დრამატული რეცეპტორებით თეატრალურ სანახაობაში გადაზრდილი, ყოველი ახალი კადრის გაელვებისას ნერვულ შეკრთომას რომ ინვესს მკითხველ-მაყურებლისას და ეს „მარილიანი“ „შემანუხებლობა“ მხატვრულ ეფექტებად ეთვლება.

არა, ასე არ არის საქმე!

ჯერ ერთი, რომანის მხოლოდ ბიოგრაფიულობაც საეჭვოა, ის მრავალმხრივი მიმართულებისა თუ თვისების ქმნილებაა. ისტორიულ-დოკუმენტურ მასალებთან ერთად, აქ თავმოყრილია ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური, პალეოგრაფიული, ბიბლიოგრაფიული და კიდევ სხვა მეცნიერული ასპექტები... და, რაც მთავარია, თავიდან ბოლომდე დაულალავად მიმდინარეობს კვლევა-ძიება, არგუმენტირება; ყველა იმ ზემოთ ნახსენებ მეცნიერებასა თუ მეცნიერულობაში ღრმადაა ჩახედული რომანის ავტორი, თვითონ პავლე ინგოროყვას პიროვნებას ხომ შესაშური ხედებით წარმოგვიჩინს, ეს ყველაფერი ერთადაა შერწყმული და, ისევ მთავარ ძარღვს თუ ჩაეჭიდებთ ხელს, იმ დიდი კაცის შემოლანდებასთან ერთად, ჩვენს ხელთ არსებული სინთეზური რომანის ავტორის ბიოგრაფიაც ინერება...

ამდენი ამალელებელი ამბავი დაუნდობლად გახეთქებს კლდიან სანაპიროებს და სიტყვაც უბრალოდ კი არ იბადება, ამოხეთქავს და მორევში გვაქცევს, სადაც ავტორი იმ ურთიერთობებზეც წერს, პავლე ინგოროყვას, ამ მართლაც ღვთის საჩუქარს XX საუკუნის საქართველოსთვის, თავს რომ ატეხდნენ ყვავ-ყორნები.

ასეთი ცეცხლითა და მახვილითაა დაწერილი ეს რომანი.

ან სხვაგვარად როგორ დაინერებოდა პავლე ინგოროყვასზე, ვინც როსტომ ჩხეიძეს პირადად არაერთხელ შეხვედრისას ასე შეეგებებოდა ხოლმე:

— როგორ არის საქართველო?

როსტომ ჩხეიძემ კი, დიდმა მწერალმა, ავტორმა ამ რომანისა, თვითონაც თავანუელმა გაიარა პავლე ინგოროყვას ხილული თუ უხილავი სამყარო, გაიარა და ახალი სიმაღლეების ძებნას შეუდგა.

პავლე ინგოროყვას ნაშრომებში „თამარ მეფის იამბიკონნი“ ერთ-ერთი გამონაკლისია, V ტომში კი ერთადერთია, რომელსაც არ აწერია: „გაგრძელება იქნება“.

ალბათ იმიტომ, რომ დამთავრებულად მიიჩნევა, მაგრამ...

მისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში როსტომ ჩხეიძე რომ სტუმრებია და უსაუბრიათ კიდევ, იმას აღტაცებით, ხელების შლით — როგორც იცოდა ხოლმე რაღაცის მოყოლა — უთქვამს: აღმოჩნდა კიდევ ერთი საგალობელი თამარ მეფისა და ენეც უნდა დაინეროს და ჩემი ნაშრომი შეივსოსო.

— ასეთი იყო პავლე ინგოროყვას სიცოცხლის ბოლო ხანა — სასთუმალთან ერთ მხარეს გალაკტიონის კრებული ედო,



ლადო მინაშვილი

მეორე მხარეს კი — ანა კალანდაძისა... და თამარზე ოცნებაში ხდებოდა სულიო, — იტყვის შეკრებაზე ბატონი როსტომი და შეკრებილებს წარუდგენს **მერაბ ლალანიძეს** თავისი მოხსენებით **„პავლე ინგოროყვა თამარის პოეზიის შესახებ“**.

— პავლე ინგოროყვას ბევრი ნარკვევი, მონოგრაფია, წიგნი, მის მიერ რედაქტირებული ტექსტების გამოცემები ან დაუმთავრებელია, ან მხოლოდ ერთი ტომის სახით არსებობს (თუმცა ამგვარი ნაშრომის ავტორისეული წარდგენისას ყოველთვის წარმოჩენილია ხოლმე მისი სამომავლო გაშლისა და განვითარების გეგმა). საკითხი, თუ რატომ არ მიიყვანა ავტორმა ბოლომდე თავისი არაერთი შემოქმედებითი ჩანაფიქრი, მიუხედავად მკვლევრის ხანგრძლივი სიცოცხლისა, რამდენჯერმე ქცეულა განსჯის საგნად (იროდიონ სონლულაშვილი, როსტომ ჩხეიძე...). ამდენად, ინგოროყვასეული ამა თუ იმ ტექსტის საბოლოო სახის გააზრება, ხშირად — სწორედ მათი დაუმთავრებლობის გამო — მხოლოდ წარმოსახვითი რეკონსტრუირების შემდეგობით ხერხდება.

ამდენად და ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით ღირებულა ის იშვიათი ნაშრომები, რომლებიც ავტორმა დასრულებული სახით გამოაქვეყნა. შესაძლოა, ისინი იმგვარ ნიმუშებად მივიჩნიოთ, რომლებიც უფრო ცხადად წარმოგვიდგენს პავლე ინგოროყვას სამეცნიერო-შემოქმედებითი კონცეფციის ინტეგრალურ სურათს.

ერთ ამგვარ ტექსტს წარმოადგენს 1941 წელს გამოქვეყნებული ნარკვევი „თამარ მეფის იამბიკონნი“, რომელიც საშუალებას იძლევა, ვიმსჯელოთ ავტორისეული ტექსტის სტრუქტურულ აგებულებასა და კომპოზიციურ ჩანაფიქრზე, მის იდეურ მიმართულებაზე, მეთოდოლოგიაზე, სტილზე, მკითხველისათვის მისი მიწოდების თანამიმდევრობასა და ხერხებზე.

ის, რაც ნაშრომის გაცნობისთანავე მჟღავნდება, არის ტექსტის სრული კომპოზიციური მონესრიგებულობა და მისი სისტემურობა. ტექსტი წინასწარაა გულდაგულ დაგეგმილი და მასალა მასში ამ გეგმის მიხედვითაა დალაგებულ-განანილებული.

„თამარ მეფის იამბიკონნი“ თორმეტ თავს მოიცავს და ამ თორმეტი სეგმენტით შედგენილი მთლიანობა — გაუცხადებლად, მაგრამ ხილულად — სამ თანაბარ ნაწილად იყოფა: პირველი ოთხი თავი შესავალი მონაკვეთია, ბოლო ოთხი თავი — დავაკვნიოთ, ხოლო შუაგულში — ისევ ოთხ თავში — თამარისეული ტექსტების დანვრილებითი ჰერმენევტიკული ანალიზია გაშლილი.

გამოკვლევას იდუმალი ეპიგრაფი უძღვის დაუზუსტებელი ავტორობით (რაც ეჭვს წარმოშობს, რომ ის ფსევდოციტატაც შეიძლება იყოს): „ვითარცა მარგალიტი დაფარული — შემდგომად მრავალთა ჟამთა და წელთა ვპოვეთ“.

ნარკვევის დასაწყისში (1) წარმოდგენილია თამარის ხატი, დამონებული ჯერ ქართული კლასიკური პოეზიით, შემდგომ ხალხური სიტყვიერებით, მერმე კი საისტორიო მატრიანებით, რასაც მოჰყვება მეფე-ქალის პიროვნების ინგოროყვასეული მოკლე შეფასება (სადაც ყურადღება მიპყრობილია მისი „მორალური სიდიადის“ მიმართ); მომდევნო თავში (2) წარმოჩნდება ქართველ მეფე-პოეტთა წყება და სახელდებულა მათი ბიბლიური არქეტიპი, შემდგომ კი (3) მიმოხილულია თამარის ხანის მოუღწეველი ლიტერატურული თხზულებანი; მერმე (4) მსჯელობა წარმართება ფილოსოფიური პოეზიის ტრადიციათა შესახებ ქართულ მწერლობაში; თამარისეულ იამბიკოთა ციკლის (5) ზოგადი და (6-8) ცალ-ცალკე, დანვრილებითი სილ-

რმისეული განხილვის შემდეგ (9) ნაპოვნია მათი პარალელები იონანე პეტრინისა და შოთა რუსთველის შემოქმედებასთან; (10) მოცემულია ტექსტების ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ანალიზი, ხოლო ბოლო ორი თავი გადის იამბიკოთა ფარგლებიდან და ეძღვნება თამარის სხვა ტექსტებს: ჯერ, (11) საერთოდ, მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს, დასასრულ კი — (12) მის გამოსამშვიდობებელ სიტყვას გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე. თამარის ამ ბოლო სიტყვებით მთავრდება პავლე ინგოროყვას ნაშრომი, რომელშიც სიღრმისეული ანალიტიკური კვლევა ერწყმის გამოხატვის ლიტერატურულ ოსტატობას.

ნაშრომის კითხვა იმგვარ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ის თითქოსდა ერთიანი შთაგონებითაა დაწერილი, თუმცა მისი დართარობა საწინააღმდეგოს მეტყველებს: ეს არცთუ ვრცელი ტექსტი, რომელშიც სრულყოფილადაა გამოხატული პავლე ინგოროყვას შემოქმედების მეცნიერული და მწერლური ნახნაგები, როგორც ავტორისეული დათარობა გვამცნობს, ხანგრძლივად — შვიდი წლის განმავლობაში — ინერებოდა.

პავლე ინგოროყვა და ქართული ჰიმნოგრაფიის საზომები მიმოიხილა ლელა ხაჩიძემ, და ისაუბრა 100 წლის წინათ, 1913 წელს, პავლე ინგოროყვას მიერ გამოქვეყნებულ „ძველ-ქართულ სასულიერო პოეზიაზე“, რომელშიც ძირითადად შესულია X საუკუნის ქართველ ჰიმნოგრაფთა საგალობლები.

— ეს გამოცემა დღესაც საწინააღმდეგოა, როგორც ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური, ისე რიტმულ-მელოდიური ნიმუშების სიზუსტის თვალსაზრისით. ქართველ ჰიმნოგრაფთა შემდგომი გამოცემები, როგორც წესი, პავლე ინგოროყვას ამ გამოცემას ეყრდნობა. ამავე ნაშრომში პავლე ინგოროყვამ გამოაქვეყნა თვით მის მიერვე გამოვლენილი ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის უძველესი ნიმუშები — წმინდა შიო მღვიმელის ორი მცირე ფორმის საგალობელი. შეიძლება ითქვას, რომ ამ წიგნით დაიწყო ქართული ჰიმნოგრაფიის მეცნიერულად შესწავლა, რაშიც პავლე ინგოროყვამ უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა.

პავლე ინგოროყვას ეს შესანიშნავი ნაშრომი დღეს ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა და არამარტო სასურველი, არამედ აუცილებელიცაა განმეორდეს მისი ფოტოტიპური გამოცემა.

იონანე მინჩხის საგალობელზე მუშაობისას მეცნიერმა ყურადღება მიაქცია ხელნაწერში არსებულ რიტმული განკვეთის ნიმუშებს, რომლებიც პოეტურ საზომებს აღნიშნავდა. მსგავსი კანონზომიერება გამოავლინა მან ქართული ჰიმნოგრაფიის სხვა ნიმუშებშიც. ეს იყო უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩენა ქართული ჰიმნოგრაფიის შესწავლისათვის, რომელმაც ნათელიყო, რომ ქართული საგალობელი ფორმითაც ლექსია. ამავე დროს, გამოვლინდა ქართული ჰიმნოგრაფიის ათობით ახალი საზომი.

ქალბატონი ლელას თქმით, პავლე ინგოროყვას ეს აღმოჩენა ხანგრძლივი დავის საგნად იქცა. სწორედ ამის გამო ქართული ჰიმნოგრაფიის ნიმუშები „გიორგი მერჩულესა“ და „თხზულებათა“ III ტომში მან გამოაქვეყნა შესაბამისი საზომების აღნიშვნით.

ქართული ჰიმნოგრაფიის საზომების გამოვლენით და ამ სფეროში შეტანილი ღვაწლით პავლე ინგოროყვამ ქართული ჰიმნოგრაფიის კვლევა ამ მხრივ ევროპულ მეცნიერებაში უკვე მტკიცედ დამკვიდრებულ ტრადიციას დაუახლოვა.



დავით გალგაშვილი

* * *

თავიდან კი ამ ჟურნალის სახელწოდება უნდა ყოფილიყო „სულ ვართ ორი მილიონი“.

სხვათა შორის, ეს სათაური ძალიან მოსწონებია გალაკტიონ ტაბიძეს, უბის წიგნაკშიც ჩაუნიშნავს — როგორც ჩანს, ლექსის დაწერასაც აპირებდა. პავლე ინგოროყვას კი მერე ძალიან დრამატული მოსჩვენებია და რწმენით აღსავსე სათაური „კავკასიონი“ დაურქმევია — იმ კონცეფციითაც, რომ ქართული სახელმწიფოებრივი მთლიანობაც წარმოუდგენელია კავკასიის ძლიერებისა და ერთიანობის გარეშე.

„ჟურნალ „კავკასიონის“ პუბლიცისტური მხარე“ — ამ თემაზე იოსებ ჭუმბურიძემ ისაუბრა.

პუბლიცისტიკა — პუბლიცისტიკაზე.

— 1924 წელს გამოცემული „კავკასიონი, — აღნიშნა მან, — უბრალოდ, კარგი კი არა, იდეალური ჟურნალია. ამიტომაც მიესალმა მის ხელახალ რეპრინტულ გამოცემას ასე მხურვალედ როსტომ ჩხეიძე და სრულად გაიზიარა ამ იდეის ავტორთა და განმახორციელებელთა ზურბ კიკნაძისა და ზაზა კვეციანიშვილის აზრი: „დღევანდელი გადასახედიდან, ჟურნალი „კავკასიონი“, როგორც მთლიანობა, რომელიც მის მესვეურთა და, უწინარეს ყოვლისა, მისი რედაქტორის პავლე ინგოროყვას ინტერესებითა და შრომისმოყვარეობით არის შედუღებული, წარმოგვიდგება ჩვენი კულტურის ერთი ეტაპის დამაგვირგინებელ მოვლენად და, იმავდროულად, ახალი ეტაპის დასაწყისად“.

„კავკასიონის“ ცალკე პუბლიცისტიკის განყოფილება არ ჰქონია, — განაგრძო გამომსვლემა, — მაგრამ ორიგინალური თუ თარგმნილი მხატვრული ქმნილებების თუ სამეცნიერო თხზულებების გარდა, მასში ქვეყნდებოდა ისეთი ნაწარმოებებიც, რომელთაც მხოლოდ პუბლიცისტიკის სფეროს თუ მივაკუთვნებთ. ისინი იბეჭდებოდა რუბრიკებით: „მემუარები და დოკუმენტები“, „ქართული კულტურის საკითხები“, „კულტურის მატრიანე“. საგულისხმოა, რომ მესამე-მეოთხე ნომერში „კულტურის მატრიანეს“ ორი ქვერუბრიკა აქვს — „ქართული კულტურის ქრონიკა“ და „ევროპის კულტურის ქრონიკა“. ეს გეოგრაფიისა და თვალსაწიერის გაფართოებაზეც მიგვანიშნებს. და ამასაც გვაფიქრებინებს: რომ დასცლოდა, ჟურნალის პუბლიცისტური ასპექტი თანდათან გაძლიერდებოდა.

და, ბოლოს და ბოლოს, ჟურნალი, პერიოდული გამოცემა, თავისთავად ეკუთვნის პუბლიცისტიკას. პუბლიცისტურ მუხტს შეიცავს მისი სათაურიც — ძლიერებისა და ქედუხრელობის სიმბოლო, ისევე, როგორც მისი რედაქტორი — დიდი ქართველი პავლე ინგოროყვა, „დარდი წარსულ დიდების“ და იმედი უკეთესი მომავლის...

პავლე ინგოროყვა, როგორც ახალი ქართული ლიტერატურის მკვლევარი, შეკრებაზე ლადო მინაშვილმა წარმოგვიდგინა.

მისი თქმით, პავლე ინგოროყვას მეცნიერულ-კრიტიკული ინტერესები უსაზღვროდ ფართოა. იგი წვდება მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ყველა პერიოდსა და მონაკვეთს, ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნების სხვადასხვა უბანს, საქართველოს ისტორიის კარდინალურ პრობლემებს.

— ბუნებრივია, რომ პავლე ინგოროყვას მეცნიერული მზერის არეში მოექცა მეცხრამეტე საუკუნის ქართული

მწერლობა თავისი დიდი, გამორჩეული წარმომადგენლებით — ალექსანდრე ჭავჭავაძით, გრიგოლ ორბელიანით, ნიკოლოზ ბარათაშვილით, ილია ჭავჭავაძით, აკაკი წერეთლით, ვაჟა-ფშაველათი.

როგორც ცნობილია, პავლე ინგოროყვა ყველასაგან გამოირჩა ჩვენი სიძველეთსაცავების, არქივების, მუზეუმთა ხელნაწერი მემკვიდრეობის ზედმინევენით ცოდნით. იგი ჯერ კიდევ სრულიად ჭაბუკი ალტაცებას ინვესტა ისეთი დიდი მეცნიერისას, როგორც იყო ექვთიმე თაყაიშვილი, ყველაფერი ეს ხელს უწყობდა, რომ პავლე ინგოროყვის თავი გამოეჩინა როგორც ფილოლოგ-ტიქსტოლოგს და ეს ძალზე თვალნათლივ გამოჩნდა ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლისასაც — ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებლების: ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული და აკადემიური კრებულების მომზადების და გამოცემის დროს. ამ კრებულებს ამჟვენებს პავლე ინგოროყვას მიერ დაწერილი მწერალთა გრცელი ბიოგრაფიული ნარკვევები და შემოქმედების ანალიზი.

რამდენი ხელნაწერ-ავტოგრაფია პავლე ინგოროყვას მიერ აღმოჩენილი, საგანგებოდ შესწავლილი, რამდენი ლირიკული ლექსის, პოემის, მოთხრობისა თუ პუბლიცისტური წერილის ცენზურის მიერ შერყვნილი ტექსტია აღდგენილი, დაზუსტებული, დათარგმნებული და კომენტარებით აღჭურვილი.

ბატონმა ლადომ საგანგებოდ აღნიშნა პავლე ინგოროყვას აღმოჩენები დიდ ქართველ მწერალთა უცნობი ავტოგრაფების შესახებ და მათი ჩართვა ლიტერატურულ და სამეცნიერო წიგნბრუნვაში — კერძოდ, პავლე ინგოროყვამ აღმოაჩინა და გამოსცა გრიგოლ ორბელიანის დღიურები „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“, ილიას 240-მდე პირადი წერილი, მინერული სატრფოსა და შემდეგ მეუღლის, ოლა გურამიშვილისადმი.

პავლე ინგოროყვამ მის მიერ მიკვლეული ავტოგრაფის მიხედვით აღადგინა ილია ჭავჭავაძის დრამატული პოემის ნამდვილი სათაური „ქართვის დედა“. როგორც ცნობილია, მე-19 საუკუნეში და მე-20 საუკუნის პირველ ათეულ წლებშიც პოემა იბეჭდებოდა „დედა და შვილის“ სახელწოდებით. პავლე ინგოროყვამვე უშეცდომოდ გაარკვია, რომ პოემა ეხებოდა არა საქართველოს ისტორიას, არამედ ეს იყო სცენა მომავალი ცხოვრებიდან, ჭაბუკი პოეტის ნაოცნებარი.

ილიას ლიტერატურულ-კრიტიკულ პუბლიცისტიკაში პავლე ინგოროყვას დიდი აღმოჩენა იყო ილიას წერილების სერიის ავტოგრაფი, რომელიც მკვლევარმა ასე დაასათაურა — „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“. მანამდე ამ წერილებიდან ცნობილი იყო მხოლოდ ორი ფრაგმენტი, რომლებიც თვითონ ილიამ დასტამბა თავის დროზე. ამ წერილებმა ცხადყო, რომ ილია ჭავჭავაძე სრულიად უსაფუძვლოდ მიიჩნევდა ქართულ სინამდვილეში 60-იან წლებში „მამათა და შვილთა ბრძოლის“ შესახებ გავრცელებულ თეორიას; ილიას აზრით, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარება უწყვეტია — ყოველი მომდევნო ხანა ეყრდნობა და აგრძელებს წინას.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მნიშვნელობა იმ შენიშვნებისა და კომენტარებისა, რომლებიც ერთვის პავლე ინგოროყვას მიერ მომზადებულ ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილიას და აკაკის სრულ კრებულებს. აქ ჩვენს წინაშე დგას გასაოცარი ერუდიციის მკვლევარი, დაკვირვების დიდი უნარით, უტყუარი ალლოთი აღჭურვილი, რომლის ფართო პარალელეზე, ვარაუდები მხოლოდ განცვიფრებასა და ალტაცებას იწვევს. მომავალში რამდენი მეცნიერული გამოცემაც უნდა მომზადდეს დასახელებული მწერლების მემკვიდრეობისა, პავლე ინგოროყვას უდიდესი წვლილი გვერდაუვლელი იქნება და შეიქნება საყრდენად, საფუძვლად მომავალი კვლევებიცისათვის.

გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის“ ცხოვრება კი მოხსენების თემად „კლასიკური ფორმულა საქართველოს მთლიანობისა“ იქცა გიორგი გოგოლაშვილისთვისაც:

„ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“, — ამ პასაჟს გიორგი მერჩულეს თხზულებიდან იმთავითვე მიაქცია ყურადღება კორნელი კეკელიძემ, როგორც პოლიტიკური ყოფის ამსახველ მომენტს, სადაც გამოხატულია საქართველოში ფეხადგმული კულტურული-ეროვნული ერთობის იდეა.

გიორგი გოგოლაშვილის თქმით, თხზულების ეს ადგილი თავის დროზე არ დარჩენილა პავლე ინგოროყვას ყურადღების მიღმა. თავის ნაშრომში მკვლევარი ამ ფაქტს გამოარჩევს როგორც ფორმულას საქართველოს კულტურული მთლიანობისა, რაც გამოხატულია არა მხოლოდ საეკლესიო ერთობის, არამედ ერთიანი ენის საფუძველზეც, ვინაიდან ამ დროს ქართული ენა კულტურის საერთო ენა გახდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ეს კლასიკური ფორმულა საქართველოს მთლიანობისა მსჯელობაში პავლე ინგოროყვამ დაშალა სამ მონაკვეთად: **ქართლი**, რომელიც არის „ფრიადი ქვეყანა“, მთელი საქართველო, სადაც **ქართული ენა** მიღებული და ამ ენითა **შეინირვის ლოცვა**“. ანუ პავლე ინგოროყვა სამ მომენტზე ამახვილებს ყურადღებას: მამული, ენა, სარწმუნოება, — და პარალელს ავლებს საუკუნეების შემდგომდროინდელ ილიასეულ ფორმულასთან — ეს სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათაგან და თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობასო? ოღონდ იქვე ბატონი გიორგი ამასაც აღნიშნავს:

— პავლე ინგოროყვასეული დაყოფა და აქცენტები ზუსტია. ამჟარა ანალოგია გიორგი მერჩულისა და ილიასეული ფორმულებისა, თუმცა ერთი არსებითი რამ უნდა გავითვალისწინოთ: ილია ჭავჭავაძეს გიორგი მერჩულის თხზულება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ნაკითხული არ ჰქონდა! მოგესხენებათ, ეს ნაწარმოები ნიკო მარმა 1911 წელს გამოსცა, ილიამ კი თავისი ფორმულა 1861 წელს მოხაზა.

და ასეთ თანხვედრას ორი დიდი მოღვაწისა ბატონი გიორგი შემთხვევითობად კი არ მიიჩნევს, არამედ ქართველი კაცის ტრადიციულ შეხედულებად განაზოგადებს — საქართველოს, როგორც ერთიანი ქვეყნის, სახელმწიფოებრიობის ბურჯად საუკუნეების განმავლობაში ამ სამ საუნჯეს რომ მოიაზრებდა.

— არსებობს იაკობ გოგებაშვილისეული ვერსიაც ამ ფორმულისა: საძირკველს ნაციონალურის ძალისას შეადგენს სამ-შობლო, მამული... მეორე ბურჯი ერის აღორძინებისთვის გახლავთ სამშობლო ენა... მესამე ბურჯი ერის წარმატებისა სკოლა... მეოთხე ბურჯი კი ეკლესიაო. აკაკიმ ეს ასეთ ფორმულაში მოაქცია: „ენა, რჯული და ეროვნული საქმის მოწყობა“.

პავლე ინგოროყვას დამსახურება კი ის არის, რომ საუკუნეების განმავლობაში შემუშავებულ და ჩამოყალიბებულ ქართულ აზრს „ეროვნული მთლიანობის კლასიკური ფორმულა“ უწოდა და ამ კუთხითაც მიიპყრო ყურადღება გიორგი მერჩულეს თხზულებისა.

პავლე ინგოროყვას „გიორგი მერჩულე“ კი, მამულიშვილთა აზრის წარმოჩენის თვალსაზრისით როსტომ ჩხეიძის რომანში „ბედი პავლე ინგოროყვასი“, **ნანა კუციამ** მიმოიხილა.

მან აღნიშნა, რომ პავლე ინგოროყვას მონუმენტური მიემკვიდრებოდა ამ უაღრესად მოკრძალებულ, მრავალმხრივ მოღვაწეს „ერის მონაღვლეთა“ თანამოდასეად აქცევს, ხანძთელის, ათონელების თანამოსაგრედ. „ძველი ქართული სასულიერო პოეზია (VIII-X)“, „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“, „რუსთველიანა“, „რუსთველიანას ეპილოგი“, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, „ილია ჭავჭავაძე“, „აკაკი წერეთელი“ — ფუნდამენტურ კვლევათა ავტორობა,

„შაჰნამე“, „ვისრამიანი“, „ქილილა და დამანას“ გამოცემით თანარედაქტორობა, „კავკასიონისა“ და „მნათობის“ ჭირისუფლობა — ზემოთქმული მხოლოდ მშრალი კონსტატირებაა მკვლევრის უფართოესი დიაპაზონისა.

— პავლე ინგოროყვას ნააზრევში გამორჩეული ადგილი მანც ფუნდამენტურ ნაშრომს „გიორგი მერჩულეს“ უჭირავს. მონუმენტურ კვლევაში შესწავლილია, ფაქტობრივად, მთელი ქართული სასულიერო პოეზია („რომელი ფრანცისკ ასიზელის საგალობლები შეეძაროს მას!“ — კონსტანტინე გამსახურდია), წარმოდგენილია დასი გამორჩეულ პოეტ-ჰიმნოგრაფთა, განხილულია რიტმული პოეზიის ნიმუშები, მოცემულია ქართული სანოტო სისტემის გაშიფვრის ცდა... ტექსტში განსაკუთრებული ყურადღება უნაპირო ეროვნული ენერჯის დამაუნჯებელ მამულიშვილს — გიორგი მერჩულეს — მიეპყრობა, ასევე — გააზრებას ეპოქისა, რომელმაც შეამზადა აღმაშენებლისა და რუსთველის ჟამი, რევანს სირაძის მოხდენილი განსაზღვრებით, „ხანძელმა ჯვრით დაიწყო უდიდესი ეროვნული საქმე, ხმლით [რომ] განასრულა აღმაშენებელმა და კალმით დააგვირგვინა შოთამი“ („ქართული აგიოგრაფია“).

როსტომ ჩხეიძე ბიოგრაფიულ რომანში „ბედი პავლე ინგოროყვასი“, გამოკვეთს რა მეოცე საუკუნის მოღვაწის პორტრეტს, იმავდროულად მოხაზავს გიორგი მერჩულის მონუმენტური პერსონის აბრისსაც. მონოგრაფიაში აირეკლება საქართველოს ისტორიის ორი ურთულესი მონაკვეთი (VIII-IX, XX ს.ს.). მამულიშვილთა აბრისები, ოსტატურად წარმოჩენილი მწერლის ძალისხმევით, მკითხველს „მამულის, ენის, სარწმუნოების“ წარუვალ ღირებულებებზე დააფიქრებს, ფასეულობებზე, პირველად სწორედ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ რომ ჩამოინუნრა ფორმულის ლაკონიურობით: „ქართლად ფრიადი ჟამი შეინიღვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“.

ქალბატონი ნანა მოიხმობს ლევან ბრეგაძის მოსაზრებასაც: „ქართული პროზის განვითარებას უახლესი ათწლეულის განმავლობაში „ნონფიქშენი“ განაპირობებს... „ნონფიქშენი“ „ფიქშენის“ საპირისპირო ცნებაა — „არაგამოგონილი“, „ნამდვილი“... ქართულ მწერლობას ლიტერატურის ამ დარგში ჩინებული ტრადიციები აქვს — ქართული „ნონფიქშენი“ უბრწყინვალესი პავიოგრაფიული მწერლობით იწყება“ („არილი“ №2, სექტემბერი, 2013), და დასძენს:

— როსტომ ჩხეიძის მონოგრაფიაც უახლესი ქართული „ნონფიქშენის“ ჩინებული ნიმუშია, მამულიშვილთა ტრადიკულ-მშვენიერ აბრისთა წარმომჩენი, წინააღმდეგობრივ, ურთულეს ეპოქათა ამრეკლავი.

ამჟამად მთავრობაში ვმუშაობო, — ამბობს.

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ვარ და ალბათ ვერ შევძლებ, ისე ჩამოვაყალიბო ჩემი ნათქვამი, როგორც აქ შეკრებილ საზოგადოებას ეკადრებაო, — ამასაც დასძენს **დავით გალგაშვილი**, პავლე ინგოროყვას ტომების გამოცემის გარდა, დოკუმენტური ფილმების გადაღებასაც რომ აპირებს მის შესახებ და, როსტომ ჩხეიძესთან ერთად, კიდევ ერთ ჭირისუფლად მოვლენია ამ დიდი მოღვაწის სამეცნიერო მემკვიდრეობას. ასეთი მორიდებული შესავლის შემდეგ კი ისეთ ფორმულაში მოაქცევს პავლე ინგოროყვას ღვაწლს, იმგვარ ეროვნულ მუხტში გამოათარებს, რეპლიკებითაც გამოეხმაურებიან დარბაზიდან:

— ასეთები კიდევ რომ მოგვცა ჩვენს ხელისუფლებაში, აღარაფერი გაგვიჭირდებაო.

თვითონ ბატონი დავითი კი იტყვის, რომ პავლე ინგოროყვას შემოქმედებას ჩვენთვის არა მხოლოდ სამეცნიერო, პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს.

— შედეგი იმისა, „გიორგი მერჩულე“ 50-იან წლებში და შემდეგაც გვერდზე რომ გასწიეს — დაკარგული აფხაზეთია.

რამდენიმე ხნის წინათ 20-იანი წლების არქივებში აღმოვაჩინე დოკუმენტი — პავლე ინგოროყვას მიმართვა მაშინდელი ხელისუფლებისადმი, სადაც ჩამოყალიბებულია, თუ როგორი უნდა იყოს სამხრეთ ოსეთის საზღვრები.

თავის დროზე ეს მოკრძალებული და მოზომილი მიმართვა რომ გაეთვალისწინებინათ, დღეს ჩვენი ისტორია სხვაგვარად განვითარდებოდა, ის შეცდომები დაკარგულ ტერიტორიებად და ნახევარ მილიონ ლტოლვილად არ დაგვიბრუნდებოდა.

პავლე ინგოროყვას ნაშრომების ირგვლივ კი დღესაც აზრთა სხვადასხვაობაა. მაგალითად, ამბობენ, რომ ამ უდავოდ დიდმა მოაზროვნემ, უნიჭიერესმა მოღვაწემ დაწერა „რუსთველიანა“, რომელიც ზღაპარია და პავლე ინგოროყვას შოთა რუსთაველი რეალური ადამიანი არ არისო.


თუმცა ისიც ხომ ცხადია, რომ თუ საქართველოში შოთა რუსთაველი მხოლოდ მითოლოგიზებულ პიროვნებად დარჩება — რომელიც საიდანღაც „მოფრინდა“, დაწერა „ვეფხისტყაოსანი“ და „გაფრინდა“ — ვკარგავთ მას ქვეყნისა და მომავლისათვის. პავლე ინგოროყვამ კი ის აღმოაჩინა და დაგვიტოვა, როგორც ისტორიული პიროვნება, პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც საქართველო არ იცნობს, არადა, იმ მძიმე ჟამს, უმეფობის ხანაში, როცა რუსუდანი გარდაცვლილია, დავით ნარინი და დავით ულუ ყარაყორუმში არიან, შოთა რუსთაველი, ბაგრატიონთა წარმომადგენელი, ფაქტობრივად მართავს პროცესებს საქართველოში, ეწინააღმდეგება მონღოლებს და კოხტისთავის აჯანყების ერთ-ერთი სულისჩამდგმელია.

საინტერესოა პავლე ინგოროყვას მოსაზრება შოთა რუსთაველის მართლმადიდებლობის შესახებ, რის ერთ-ერთ დასტურადაც მოჰყავს ფრესკა იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის წინაშე მავედრებელი რუსთაველისა, და ასევე ის ფაქტიც, რომ ალაპთა ნიგში თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის მოსახსენიებლად დაწესებულია სულთმოფენობის მეორე დღე — სამეგობა.

ბატონი დავითი პავლე ინგოროყვას მოღვაწეობის სხვა საკითხებსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ამ დიდი შემოქმედით, არც მეტი, არც ნაკლები, კიევი დაინტერესდა, ერთ-ერთ ოჯახში სტუმრობისას, როცა აღმოაჩინა ირაკლი ანდრონიკაშვილის მიერ რუსულად გამოცემული წიგნი, რომელშიც სხვა თხზულებათა შორის იყო ნაშრომი ქართულ სანოტო ნიმუშებზეც.

— შემდეგ ყველაფერი მოვიხიე პავლე ინგოროყვას შესახებ და, ვფიქრობ, რომ მისი სახით საქართველოს ჰყავს უდიდესი მოღვაწე, რომელიც თავისი მასშტაბური კვლევებით ათასწლეულებში შევიდა. ეს მეცნიერებაშიც და ისტორიაშიც რეკონსტრუქციის ეპოქაა, ამიტომ შესაძლოა მას რაღაც შეცდომებიც ჰქონდა, როცა ძალიან ღრმად შედიოდა ისტორიაში, მაგრამ ეს წარსულთან მიახლოების ხანაა, რომლის აღდგენაც ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსათვის. ამითაცაა ეს ყველაფერი მრავალმხრივ საგულისხმო.

ბოლოს და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთის გაუტანლობა, წარსულის დავინყება, საყვარელი ადამიანების დამოხბა და უარყოფა ასე გვჩვენია, პავლე ინგოროყვას ნაშრომები გვაძლევს საშუალებას, ვიპოვოთ საკუთარი თავიც და ერთმანეთიც — აქ, ჩვენს ყოფაშიც და მთელ მსოფლიოშიც.



გია მურულუა

„ცამცა გაიღარბაზესა!“

რა არის კარგი ღვინის სმაში? რატომ მიეძალა კაცობრიობა ამ საქმეს ასე ძალიან? საქმე მთლად მარტივად არ არის. ძველმა ეგვიპტელებმა ან რომაელებმა, რომლებმაც ამ მიმართულებით მწვერვალები დაიპყრეს (არც სხვები ჩამორჩენიან მაინც-დამაინც), თავისი იდარდონ, ჩვენ კი ჩვენსაზე ვისაუბროთ.

ერთ მშვენიერ დღეს თურმე, რამდენადაც მახსოვს, არისტოტილს, ძველ ბერძენ ფილოსოფოსს, სოკრატეს მოწაფეს, წარუდგინეს კაცი, რომელზეც უთხრეს, რომ მას 12 ლიტრი ღვინის დალევა შეეძლო. არისტოტილმა თქვა: „ეგ ჯორსაც შეუძლია. თქვენ ის მითხარით, სხვას რას აკეთებს ეს კაცი?“ მთავარი კითხვა სწორედ ეს არის — რით განსხვავდება ადამიანი ჯორისგან, რომელიც თავისთავად, ღვინის გაჩენილის კვალობაზე, სურლიდაც არ არის უარსაყოფი ცხოველი.

ქართული სუფრა ბევრს არ მოსწონს. აქ ერთ ნუთს შევყოვნდეთ და ვიკითხოთ — რა აზრი დევს წინა წინადადებაში? რას ნიშნავს „ქართული სუფრა“ ან „ბევრს“? საქმე ის არის, რომ ამ ცნებებში ყველა ერთსა და იმავე შინაარსს არ გულისხმობს.

მავანისათვის „ქართული სუფრა“ არის ღვინის შეძლებისდაგვარად ბევრი ჩასხმა საკუთარ სხეულში ცნობიერების მიჯნის გადალახვამდე და, რამდენადმე, ამის შემდეგაც. ამ შემთხვევაში მთავარი ღირებულება საკუთრივ სმის პროცესია. ეს ყველაფერი დაკავშირებულია უკიდურესად დაბალინტელექტუალურ, სტრატეგიულად ერთფეროვან და ბანალურად მოსაწყენ სადღეგრძელოებთან, განსხვავებული სასმისებით მამაკაცურ კეკლეცობასთან, არა აზრის, არამედ რაფინირებული უაზრობის ალბ-მიცემობასთან. ამ შემთხვევაში სანაქებო ჭეშმარიტებად მოჩანს ვიღაც მაღლიანი ენამახვილის ნათქვამი: „სახე შეიძლება დაკარგო, სიფათი — არასდროს!“

„ბევრს“ რაღას გულისხმობს? ეს სიტყვა პირდაპირ არის დაკავშირებული საზოგადოების გონიერ ნაწილთან, თუ პირველი ცნება („ქართული სუფრა“) სწორედ ისეა გაგებული, როგორც ზემოთ დავახსიანეთ.

რამდენად სამართლიანია ამგვარი გააზრება? მოკლედ ვუპასუხოთ — არ არის სამართლიანი. აქ დაახლოებით ასეთი „ლოგოკაა“: მე არ მომწონს მონიკა ბელუჩი იმიტომ, რომ ის ჩემი მეზობელი არაესთეტიკური მაცვალა მგონია. მონიკასა და ამნაირ მაცვალას ერთმანეთისგან კი უნდა არჩევდეს გონიერი კაცი და ამას არ შეეძლოს ცნობილი ფრაზა: „ეს ქალბატონი უშნო კი არ არის, უბრალოდ ალტერნატიული გარეგნობა აქვს“.

მოკლედ, თუ არ შევთანხმდით, რაზე ვსაუბრობთ, ჩვენი ლაპარაკი უსაგნო და უმიზნო იქნება. მაინც რა არის ქართული სუფრა?

პოეზიის არ იყოს, ამ თემაზე თეორიული მსჯელობა ერთობ სარისკო საქმეა — სილადისა და შემოქმედებითი თავისუფლების სქემებში მოქცევა უპერსპექტივო განზრახვაა (როგორც ერთხელ ბენჯამენ დიზრაელმა თქვა: „ყველა განზოგადება ტყუილია, მათ შორის — ესეც“). თუმცა რამდენიმე სიტყვის უთქმელობა არ იქნება.

ქართული სუფრა ჩემთვის (და ბევრი სხვა ადამიანისთვის) არის „ადამიანურ ურთიერთობათა პოეზია“ (რეზი თვარაძის სიტყვებია). ვერანაირი შემოქმედება ვერ შეედრება და ცვლის იმას, რასაც გონიერი და კეთილი ადამიანები სულიერი აღფრთოვანების დროს ერთმანეთთან ურთიერთობის სიხარულით ქმნიან. ეს ერთგვარი „სოციალური ექსტაზია“, როდესაც კოლექტიური სული კი არ აკნინებს ინდივიდუალურს, არამედ აძლიერებს და (სხვათა წვდომისა თუ სხვებთან ბუნებრივი ზიარების ძალით) მშვენიერს ხდის მას. ქართული სუფრის გენია სწორედ ამალელებული ერთსულოვნების ესთეტიკაშია.

ჩემი ცხოვრების განმავლობაში არაერთი ასეთი სუფრა მინახავს — კეთილგანწყობის, ზომიერების, სიღარბისლის, სილალის, გონებათმხვილობისა და კეთილშობილების დიდებული ზეიმი. ასეთ შემთხვევებში არავის უკვირს სიტყვის ძალმოსილება და მისი პირველადობა — სიბრძნის, ჭეშმარიტების, დახვეწილი ფიქრისა თუ, ხანდახან, თვითირონიისა და რაფინირებული იუმორის განსახიერება. ამას ემატება ქართველთა გამოგნებული სიმღერა, რომელსაც ჟამითიჟამად თანამეინახენი ზესთასოფელში აპყავს და იბადება ისეთი ცხოვრებისეული ჰარმონია, რასაც ღვინის სმის გარეშე ადამიანი ვერასდროს მიაღწევს და განიცდის.

ზოგჯერ არასწორად ამბობენ და ამტკიცებენ, რომ ღვინო კაცს აზრს ართმევს. ეს ასე არ არის. საქმე სწორედ პირიქითაა — კაცი ანიჭებს აზრს ღვინოს. ეს დიდებული სასმელი არასდროს არსებობს თავისთავად — ის მხოლოდ ადამიანთან ერთად იძენს თავის ჭეშმარიტ აზრს. ერთ ადამიანში ის გენიალურია, მეორეში — სიმდაბლისა და სახის დაკარგვის განსახიერება. მხოლოდ ჩვენს შინაგან ღირებულებებზე, განათლებაზე, კულტურასა და განწყობაზეა დამოკიდებული, ამ ორი მდგომარეობიდან რომელს ვირჩევთ.

სულიერი ერთობის მიღწევა და შენარჩუნება, არსებითად, თამაზად დამოკიდებული. ნამდვილი, დახვეწილი თამაზობა უბრალოდ სოციალური თანამდებობა კი არ არის, არამედ სულის ნათელი მდგომარეობაა, როდესაც კაცი სამყაროსგან სიყვარულისა და სიბრძნის ენერგიას იღებს და უშურველად უნანილებს სუფრის ნევრებს, რომლებიც, თავის მხრივ, საკუთარ ნილს დებენ ამგვარი სულიერი ერთობის გაღვივებასა და შენარჩუნებაში. იდეალური ის სუფრაა, რომლის ნევრებიც ყოველ ჯერზე ისე აღწევენ ჰარმონიის მწვერვალს, რომ არასდროს მეორდებიან — ის, რაც უვარიაციოდ მეორდება, ჯერ აფერმკრთალებს, ხოლო შემდეგ კლავს კიდევ სულიერ ერთობას.

ამგვარი ერთობა მცირე სუფრასაც ახასიათებს და, უფრო იშვიათად, დიდსაც — ხალხმრავალსაც. დიდ სუფრაზე თამაზის მნიშვნელობა ადამიანთა საზეიმო ერთსულოვნების მიღწევასა და დაუშლელობაში უფრო მეტია, ვიდრე მცირეზე. ამგვარი თამაზ-ვირტუოზები ბევრნი არ არიან, მაგრამ სადაც ისინი გამომჩნდებიან, იმ სუფრებთან ყოფნა ნამდვილი სიამოვნებაა. ასეთი თავყრილობები არასდროს ხდება ბანალური ან მოსაწყენი.

სულ ბოლოს ასეთი რამ მსურს გავიხსენო. ერთ მშვენიერ დღეს ჩემ მიერ ნახსენებმა რეზი თვარაძემ მე და ვატა როდონია საღამო ხანს შინ მიგვიწვია — სანაქებო ღვინო მაქვს, ცოტა დევილით და ცხოვრებაზე ვილაპარაკოთ. ვატამ გადაუდებელი საქმე მოიმიზნა და დანახებით თავაზიანი უარი თქვა. რეზიმ მეგობრული ირონიით უპასუხა: „მომენტის შეგრძნება არ გაქვს“. ამ სიტყვების შემდეგ იმასაც არაფერი დარჩენოდა, ხელი ჩაიქნია და ნამოგვყვა.

რეზის სახლში რომ მივედი და მისმა მშვენიერმა მეუღლემ, ინგამ, სუფრა გაგვიშალა, კიდევ ორნი შემოგვიერთდნენ — თამაზ ჩხენკელი და აჩიკო გოგელია. ხუთნი ვისხედით, ღვინოს ვსვამდით და ცხოვრებაზე ვლაპარაკობდით — ბევრი ნიკანის ნაკითხვას შეცვლიდა ის საღამო. ბედნიერებაა, როდესაც განათლებული და საინტერესო ადამიანები თავიანთი სულის კარს გისხნიან და ყველაფერს გინილადებენ, რაც მათთვის ძვირფასია. არაფერია მშვენიერ, ცოცხალ ფიქრსა და ბუნებრივ მეგობრულ განცდაზე უკეთესი. დიდხანს ვისხედით იმ სახლში, ალბათ ცოტა შევთვერით კიდევ, მაგრამ პირველს არავის უნდოდა სუფრის დასაბოვებლად ადგომა — ბოლოს ისევ მამაკაცურმა ზრდილობამ გვიშველა. ალბათ ასე ეძნელებათ ხოლმე მშვენიერი სიმშვიდისა და ღირსების მიტოვება. რა დასანანი, რომ რეზი, ვატა და თამაზი უკვე აღარ არიან ამქვეყნად — ღმერთმა თავისთან ამყოფოს მათი ნათელი სულები.

ვეფხისტყაოსანში არის ერთი ადგილი, რამდენიმე სხვასთან ერთად გამორჩეულად რომ მიყვარს: ავთანდილი, რომელმაც ფათეარაკიანი თავგადასავლის შემდეგ შეყვარებული ქალის სახიფათო დავალება შეასრულა და ტარეილის ამბავი გაიგო, უკან დაბრუნდა და შედის სამეფო დარბაზში, სადაც ტახტ-

ზე თინათინი ზის. იქ უამრავი ადამიანია, მაგრამ ავთანდილი და თინათინი მხოლოდ ერთმანეთს ხედავენ და განიცდიან. ამ განცდის გამოსახატად რუსთველი მშვენიერ სიტყვებს წერს:

მას ავთანდილ თაყვანი სცა —
ლომთა-ლომმან მზეთა-მზესა,
მუნ ბროლი და ვარდ-გიშერი გაეტურფა სინაზესა,
პირი მისი უნათლვა სინათლესა ზესთა ზესა,
სახლ-საყოფი არა ჰმართებს, ცამცა გაიდარბაზესა!

ნინო დოლიძე


ფამადიჰანა — სულის დაბრუნება

8 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მარო მაცაშვილის დარბაზში შედგა საინტერესო შეხვედრა მარი-ელენ (ჩიტო) რუხაძესა და მისი მცირე რომანის „ფამადიჰანა“ მთარგმნელ ლია რუხაძესთან. შეხვედრის მთავარი თემა „ქართული აკადემიური ნიგნის“ მიერ გამოცემული შესანიშნავი თარგმანი არ ყოფილა მხოლოდ. ეს საღამო გასული საუკუნის 20-იან წლებში საფრანგეთში იძულებით გადახვეწილი ქართველის — ლადო რუხაძის ერთგვარი დაბრუნებაც გახლდათ, როგორც ქ-მა მარი-ელენმა აღნიშნა — „მისი სულის დაბრუნება საქართველოში“.

1939 წლის 19 ივლისს დაიბადა მარი-ელენ რუხაძე, რომელიც 6 ავგისტოს ფრანგულ-ქართული მეგობრობის სახელით დიდი ზეიმიით მონათლავთ: ნათლია — ანტუანეტ მიურატი, მამა — ვლადიმერ რუხაძე (1902-1998), დედა — მარი სანტრო (წარმოშობით ფრანგი)... პარიზის მახლობლად, ქალაქ პორტუაზში მდებარე სახლში დღემდე ინახება ქართული სუვენირები, ქართული ბიბლიოთეკა, რომელსაც, სამწუხაროდ, ვედარავინ კითხულობს. ჩიტო რუხაძის გატაცება თავიდანვე წერა იყო. მასწავლებლობდა, ყურნალისტობდა თუ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში საგამომცემლო და კულტურის განყოფილებებს ხელმძღვანელობდა, მოგზაურობდა თუ მამის კორესპონდენციის უკირკიტებდა, სულ წერდა და წერდა.

სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობის მოყვარული განსაკუთრებული სიხარულით საქართველოში ჩამოდიხ. მოვლილი აქვს ფშავ-ხევსურეთი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო. ამიტომაც იყო, რომ აღნიშნულ შეხვედრაზე ქ-ნი ჩიტოს შემოქმედებით მოხიბლული აუდიტორია მას სთხოვდა, საქართველოზე დაენერა რამე; საინტერესო იქნება გარედან დამკვირვებელი თვალის მიუკერძოებელი ხედვა მიმდინარე მოვლენებისა... არანაკლებ საინტერესო იქნება, თუ ქ-ნი ჩიტო მამაზე, ლადო რუხაძეზე დაწერს — ამ თავგადასავალში ხომ მთელი ქართული ემიგრაციის ისტორია აისახება...

მანამდე კი ორიოდ სიტყვა მის უკვე გამოცემულ და ქართულად ნათარგმნ ნიგნზე. „ფამადიჰანა“ მალგაშურ ენაზე „დაბრუნებას“ ნიშნავს. ეს არის უძველესი წეს-ჩვეულება, რომელიც მიცვალებულის განბანვას, ახალ სუდარაში შემოსვასა და ხელახლა დამარბვას გულისხმობს. ტრადიციული რიტუალის შესრულება, რაც ძვირი ჯდება, მძიმე ტვირთად აწვება მადეგასკარის სოფლის ისედაც ლატაკ მოსახლეობას. ამიტომაც უპირისპირდება მას რომანის მთავარი პერსონაჟი ვავა.



უზარმაზარი სამეფო დარბაზი ვერ იტევს შეყვარებულთა ერთმანეთის ნახვით გამოწვეულ სიხარულს და მთელი სამყარო ამ დარბაზად გადაიქცა, რომ ამალეღვებელი და ამალეღვებული გრძნობის სისავსისთვის გაეძლო. ცა რომ გადარბაზდება, ესაა სწორედ ჭეშმარიტი ადამიანური ჰარმონია. ნამდვილი ქართული სუფრა ერთი იმ ადგილთაგანია, სადაც ასეთი ჰარმონია მიუწვდომელი არ არის.

ამ წერილის ყველა ნამკითხველს ვუსურვებ ცხოვრებაში რამდენჯერმე მაინც ეთქვას: „ცამცა გავიდარბაზეთა!“

ერთი ამოსუნთქვით იკითხება „ფამადიჰანა“. თვალწინ გადაგეშლება მადეგასკარის რეალობა, მისი ლარიბი მოსახლეობის ყოფა, ბუნება, ჩამავალი მზის შუქზე გადაჭიმული ბრინჯის ყანები, ჭუჭყიანი სანაპირო, მღვრიე ზღვა, მტვრიანი, ხალხმრავალი ქალაქები, სადაც ასევე სილარიბე და ქურდბაცაცობა გაბატონებულია. აი, როგორ ავგინერს ავტორი ტანას ერთ-ერთ უბანს: „ბინძურ, ტალახიან ქუჩებში იშვიათად გამვლელი მანქანა ზიგზაგებით მარჯვენდ უვლიდა გვერდს ორმოებსა და გუბებს. პირდაპირ ტროტუარებზე გაფენილ დაძენილ ჭილოვებზე გაძვალტყავებული ტურტლიანი ბავშვები ეყარნენ და ეძინათ. მათ გვერდით ჩამოძონძილი მოზრდილები ზედ მიწაზე ისხდნენ და გაშლილ ფარდაგებზე ათასნაირი ნივთები გამოეწყობოთ. რომელ მყიდველს ელოდა ეს თუნუქის ნაჭრები, ცარიელი ბოთლები, ლილები, ჯავრისები, ნახშირი შუშები, ატკეჩილი მინანქრის ქვების თავსახურები?“ სულ რაღაც ერთ ნამში ცა მოიქუფრება და კოკისპირული წვიმა აავსებს უეცრად დაცარიელებული ქუჩის სანიაღვრებს...

ძალიან რთულია, ასეთი მცირე მოცულობის ტექსტში ასე სრულად და ყოვლისმომცველად წარმოაჩინო ერთი კუნძულის ყოფილი რეალობა, სოფელი თუ ქალაქი, აღწერო მისი ბუნება, ადამიანები. როგორც ქ-მა ჩიტომ აღნიშნა, სულ ორი კვირით ყოფილა მადეგასკარზე. იქაც ჩანანერებს აკეთებდა. ექ შეიტყო „ფამადიჰანას“ შესახებ. შემდეგ დამატებით ლიტერატურას გაეცნო და შეძლო უზუსტესად აღწერა ყველაფერი. გამოიკვთა მთავარი თემაც — სოფლის მოსახლეობის წინაშე დგება ცდუნება, მიჰყიდონ მიწები მდიდარ ინვესტორს. ადგილობრივ ფასეულობათა დაპირისპირება ევროპულ ფულთან არ არის ახალი თემა კოლონიური და პოსტკოლონიური ლიტერატურისთვის.

ჩვენთვის ნიშანდობლივია ნაწარმოების გმირის — ვავას — სალი დამოკიდებულება მემკვიდრეობით მიღებულის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ მამა-პაპისული მიწის ერთგული ვავა ინვესტორებს უპირისპირდება (რადგან მისთვის მიწა სწორედაც რომ კულტურული მემკვიდრეობაა, რომელსაც უცხოთა ხელში ხელყოფა ემუქრება), უარს ამბობს ისე ფართოდ გავრცელებულ, თუმცა დრომოჭმულ და უაზრო ტრადიცი-

აზე, როგორცაა ფამადიჰანა. თავის ვაჟს უკრძალავს კიდევ ამ წესის შესრულებას. როგორც ჩანს, ტრადიციებიდან უნდა გამოვარჩიოთ, რა არის დღესაც ღირებული და რა — ნაკლებნიშნველოვანი.

მთელს ნაწარმოებს ლაიტმოტივად გასდევს კავშირი გარდაცვლილ წინაპართა სულებთან, რომლებიც თითქოს სულ რაღაცას გვეკარნახობენ, რაღაცაზე მიგვითითებენ. სწორედ ამ სულთა კავშირის შენარჩუნებაა მთავარი. ლადო რუხაძის სულიც ხარობს, როცა მისი შვილი ქართულად ამეტყველებული შემოქმედებით უბრუნდება მამის სამშობლოს, ადგილს, სადაც მამამ სიცოცხლეში საბოლოოდ დაბრუნება ვერ შეძლო.

მარი-ელენ რუხაძე მისი ბიძაშვილის, მთარგმნელ ლია რუხაძის წყალობით გავიცანით. ქ-ნ ლიას მიერ ფრანგულიდან თარგმნილი ორი მოთხრობა („კონცერტი“ და „ქლიავის ყვავილობა“) ყურნალ „ჩვენ მწერლობაში“ შარშან დაიბეჭდა. სასიხარულოა, რომ „ფამადიჰანას“ გამოცემის შემდეგ ჩიტო რუხაძეს მკითხველთა უფრო ფართო წრე გაიცნობს.

ემზარ კვიციანი

ნიადაგ სამშობლოს გედზე დაფიქრებული

(ოთარ ჩხეიძის
ბიოგრაფიული რომანი
ლორდ ბაირონზე)

ურიცხვი ცოდვით დამძიმებული მეოცე საუკუნე იღვრდა, როცა ოთარ ჩხეიძემ თავისი საუკეთესო ბიოგრაფიული რომანის მეორე გამოცემა — „იტალიური დღიურები ბაირონისა“ — მისახსოვრა და მოკლე წარწერაში წარმატება მისურვა (მანამდე, მეტად თავისებურად აგებულ ამავე ტიპის ბიოგრაფიულ ქმნილებაში „რომანი და ისტორია“ ვასილ ბარნოვის ღრმა, იდუმალი სამყარო გადაგვიშალა). ზემოთ ნახსენები წიგნი პოლიგრაფიული დონით ვერ დაიკვეხნის, კორექტურული შეცდომებიც საკმაოდ, მაგრამ იგი სხვა რამითაც მეცვირფასება: ალაგ-ალაგ, სადაც ტექსტი არ იკითხება, ცალკეული ასოები და სიტყვები ავტორისავე ხელითაა ჩაწერილი, ეს კი იმაზედაც მეტყველებს, რაოდენ პატივისცემას იჩენდა ბატონი ოთარი უმცროსი თანამოკალმეების მიმართაც.

წიგნი ძალიან მომეწონა და ავტორს იმ ხანებშივე ვუთხარი ჩემი აზრი, თან ვთხოვე, „დონ ჟუანის“ მხოლოდ შესავლის, „ტიბის სკოლის“ პოეტთა განმაქიქებელი სტროფების თარგმანით არ დაკმაყოფილებულიყო და ბოლომდე ასე ლაღად (ურითმობა დაბრკოლებად სრულებითაც არ აღიქმებოდა) გადმოეკართულებინა ბაირონის ეს ერთ-ერთი უძლიერესი პოემა. თავი გადააქინა, მეექვსე საამისო დრო გამოვიძებნი, ბევრი გადაუდებელი ჩანაფიქრი დამიგროვდაო, მიპასუხა.

ახლახან აღექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ, დღევანდელი ქართული მწერლობის მძლავრმა და ქმედითმა ცენტრმა, მცირე, ძალზე მოსახერხებელი ფორმატით, მესამედ გამოსცა ეს მშვენიერი წიგნი. მისი გარეკანი ჩვეული ელევანტურობით, მიმზიდველად გააფორმა ჩვენმა საამაყო მხატვარმა ზურაბ ნიჟარაძემ. ნახატი ტუშითაა შესრულებული. ერთმანეთის პირისპირ დგანან იტალიაზე თავდავიწყებამდე შეყვარებული ინგლისელი და ფრანგი, ორი ჯანყიანი სულის პიროვნება, ამოხიისა და პროზის ორი გენია — ბაირონი და სტენდალი.

გამოცემას დართული აქვს ნიჭიერი, ძალზე ნაკიბი ლიტერატორის ნანა კუციას ბოლოთქმა „იტალიურ დღიურთა ქართული ვარამი“, რომელშიც შეუმცდარადაა ნაგრძნობი „ბაირონის დღიურების“ მნიშვნელობა და სულისკვეთება; ყურადღება გამახვილებულია მთავარზე, არსებითზე და, ამდენად, იგი ყოველგვარ ქებას იმსახურებს — წიგნის აღქმას აადვილებს, აგრეთვე, მოზრდილი ანოტაცია და პაატა ჩხეიძის მითითება იმაზე, თუ როგორ წინასწარ განჭვრიტა ოთარ ჩხეიძემ, კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგაც რაოდენი საფრთხე ემუქრებოდა გლობალური პრობლემების წინაშე დარჩენილ მის პატარა სამშობლოს. ხელმეორედ ნაკითხვის მერე პირვანდელი შთაბეჭდილება კიდევ უფრო გამძლიერდა.

ოთარ ჩხეიძე, ვახტანგ ჭელიძესთან ერთად, უგანათლებულესი პედაგოგის ერეკლე ტატიშვილის ღირსეული მონაწილე იყო და ევროპული ლიტერატურა მასაც ძირფესვიანად ჰქონდა შესწავლილი. ამ, მოცულობით მცირე, წიგნის დაწერისას იგი ზღვა მასალას, მრავალ მონოგრაფიასა და გამოკვლევას გაეცნო, მაგრამ მისთვის ამოსავალი ბაირონის პირადი ჩანაწერები, დღიურები იყო და ყველაზე მეტად მაინც თვით პო-

ეტს ენდობოდა, უტყუარი ალლოთი შეიცნო მისი წინააღმდეგობრივი, მელანქოლიური ბუნება, თანაგრძნობით განიმსჭვალა „ჩაილდ ჰაროლდის“ ავტორისადმი.

მეტად შთამბეჭდავია პირველივე გვერდები, როდესაც მილანის ლა-სკალას თეატრში დი-ბრემეს ცნობილ, მამაკაცების თავშესაყრელ ლოჟას მიაკითხავს ახალგაზრდა სტენდალი — ანრი ბეილი. 1816 წლის შემოდგომაა. დი-ბრემეს იმჟამად გარინდული ლოჟა, რომელსაც მამის გარდაცვალების შემდგომ ლოდოვიკო დე-ბრემე მეურვეობს, ერთგვარ სიმბოლოდ ქცეულა. იტალია იმ დროს ავსტრიის უღელქვეშ გმინავს და პრესტიჟულ ლოჟაში თავს იყრიან იტალიელი არისტოკრატები, ერთურთს განდობილი კარბონარები და მჩაგვრელთა წინააღმდეგ შეთქმულებას გეგმავენ. ხსენებულ ლოჟაში გაეცნობიან ერთმანეთს ბაირონი და ანრი ბეილი, სულიერ ნათესაობას იგრძნობენ. ასე რომ არ ყოფილიყო, ერთმანეთთან მიწერ-მონერას არ გამართავდნენ. ორივეს თავდავიწყებით უყვარდა იტალია და ამაზე მათ შემოქმედებაშიც ჰპოვა ასახვა. მომჭირნედ და ხელშესახებად არის დახატული იქაური გარემო. ნათქვამია, „ახალ დანტედ“ სახელდებული პოეტი ვინჩეცო მონტი თავისი პოემებით როგორ აღვივებს ეროვნულ გრძნობებს, თავისუფლების წყურვილს, რათა დაქუცმაცებულმა იტალიამ მონობის დამამცირებელი უღელი დაამსხვრიოს და გაერთიანება შეძლოს. აქ ისიც ილანდება, რომ ქართველი მწერლის სამშობლოსაც იმჟამად ახალი დაკარგული აქვს დამოუკიდებლობა და ასეთი მახვილგონივრული მინიშნებანი თხრობას ამძაფრებს.

ავსტრიელები იმდენად ხუთავდნენ კულტურულ ცხოვრებას, რომ კომედიაც აკრძალეს, თუმცა ვენეციაში მცხოვრები კომედიური მიდრეკილებების პოეტი ბურატი თავისას არ იმლდა. ნაყოფიერად მოღვაწეობდა ამ ჟანრში. ბიოგრაფოსთა რწმუნებით, ბაირონისათვის ბურატის ჩაუგონებია ფრიად სახალისოდ საკითხავი პოემა „ბეპო“, რომელმაც გზა გაუხსნა „დონ ჟუანის“ დასაწერად. ამ ვეება პოემით ბაირონი ცდილობდა ჰომეროსს გაჯიბრებოდა, თუმცა განზრახული ოცდაოთხი სიმღერის დაწერა ვერ შეძლო, მიზეზთა გამო, მეთვრამეტე სიმღერაზე გაჩერდა.

ბაირონი თავად აღნიშნავდა და სხვებიც ადასტურებენ, რა ლაღად და მცირე დროში წერდა იგი თავის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებებს. თვით ვაიმარელი ბრძენი, გოეთეც ამბობდა ერთგან თუ რა დაუძაბავად, ძალდაუტანებლად იბადებოდა ბაირონის ლექსები და პოემები. ამ იშვიათ თვისებას იგი, ხატოვნად, ქალის უმტიკივნიულო მშობიარობას ადრიდა.

წიგნში ჯეროვანი ადგილი აქვს დათმობილი ბაირონის უხვ ამურულ თავგადასავლებს, ოჯახურ უსიამოვნებებს ცოლთან, ზოგიერთ საყვარელთანაც მის დრამატულ დამოკიდებულებას; დახატულია, რა წრეგადასულ მღელვარებას განიცდიდნენ გათხოვილი თუ გაუთხოვარი იტალიელი ქალები მის დასახვაზე. ისინი „უბედნიერესად მიჩნეულნი იყვნენ თავსა, ბაირონი თუ იქნებოდა იმათი ჩიჩისბეი, მოხიბლულიყვნენ და უჭვრეტდნენ დი-ბრემეს ლოჟასა, მიმართულიყო მრავალი ჭოგრი იმა ლოჟისკენა, უჭვრეტდნენ და არცა ჰფარავდნენ აღტაცებასა, ალგზნებულიყვნენ და ყოველნაირად გამოხატავდნენ ამა გზნებასა, სიტყვითა, თვალთაცეცებითა, აფოფინებითა, ყოველნაირადა; ხმა გავარდნილიყო და მილანელი ქალბატონები რანილა ყოფილიყვნენ — ასი მილიც გამოველო ერთ ქალბატონსა, როგორც გადმოგვცემენ, უმშვენიერესსა, პირველ შეღერებულსა — მაშინ რომ ადრევე ათხოვდნენ ქალებსა...“

არსებობს სარწმუნო ცნობა, რომ არტურ შოპენჰაუერმა (სიყმანვილეში მაქვს ნაკითხული, ეს ალბათ მაინის ფრანკფურტში მოხდებოდა) ოთახში ჩაკეტა თავისი ლამაზი, ახალგაზრდა ცოლი, რომელსაც, სხვა, აღტკინებულ ქალებთან ერთად, ლორდ ბაირონის ნახვა ეწადა. ადვილი წარმოსადგენია, რა საჩოთირო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა დიდი ფილოსოფოსი.

„იტალიურ დღიურებში“ რამდენიმე გვერდზეა მოთხრობილი ამბავი სრულ შემოიღობამდე მისულ კაროლინა ლემთან მისი სკანდალური, გახმაურებული ურთიერთობისა, ხშირად შფოთი,

მითქმა-მოთქმა რომ მოჰყვებოდა, ხოლო ლონდონელი სნობები ამას, თვით გამძვინვარებულ კაროლინასთან ერთად ბაირონის სახელის გასატყხად იყენებდნენ, რადგან მისი გარეგნობა და მრავალმხრივი ნიჭი ბევრს შურდა, პოეტის გამომწვევ საქციელზეც ლიზიანდებოდნენ, ყოველნაირად დევნიდნენ, რომ სამშობლოში ყოფნა ბაირონისათვის გაუსაძლისი ყოფილიყო.

ნიგნს თავიდან ბოლომდე გასდევს ბაირონისა და შელის უანგარო, სამაგალითო მეგობრობა. როცა მცირე ხნით დაშორდებოდნენ, ისინი წერილებს უგზავნიდნენ ერთმანეთს, დაფარული არაფერი ჰქონდათ. ბაირონმა დააორსულა შელის სიმამრის, პოეტ უილიამ გოდვინის გერი, მეტად სათნო, სანდომიანი არსება კლერი, რომელზეც მის გული აიცრუა, აღარ ეკარებოდა. შელის მისთვის უბრალო საყვედურიც არ უქვამს, თავისი ოჯახის წევრის განირვის გამო. ტრაგიკულად წარიმართა „საბრალო კლერის“ ბედი. ბაირონისაგან შექმნილი ბავშვი მალევე დაეღუპა. ასეთი უკადრისი საქციელის მიუხედავად, შელის მასთან ერთი დღითაც არ გაუწყვეტია ურთიერთობა, მუდამ თავისთან ეპატიჟებოდა, დალუპვამდე ბაირონის ერთადერთ, უღალატო მეგობრად დარჩა.

ბიოგრაფიულ რომანში მრავალზე მრავალი ადგილია, ჭეშმარიტი დიდოსტატის კალმით დანერვილი. თუნდაც ის რად ღირს, ბაირონი ჟენევიდან რომ გაექცევა უსიამოვნო, მჭირდავ ადამიანებს და გამოგნებელი სილამაზის ალპებს მიაშურებს. აქ ოთარ ჩხეიძე მთლიანად საკუთარ სტიქიაშია. საკვირველი ფერადოვნებით ხატავს ზღაპრულ პეიზაჟებს, ერთმანეთზე უფრო მომხიბლავ პასტორალურ სურათებს: „...მთებს მიეტანა ალპებისა, მწვერვალებს მიეტანა ალპებისა, სინმინდეს მიეტანა ბუნებისა. იქ დაჰყო სექტემბრის მეორე ნახევარი, იქ იყო ნვიმამი, თოვლში, ზვავებში, იყო ბუნების სიმშვიდეშიცა, როცა წვიმებისაგან გადაბანილი იალალები ხასხასებდა ქათქათა მზის ქვეშა, ხმა მოისმოდა ნაღვლიანი სალამურისა და ზანზალაკები წკრიალებდა, წკრიალებდა ხანგამოშვებითა თუ ერთობლივად, წკრიალებდა სხვადასხვანაირად, იმ სერიდან სხვანაირად, იქით ნახირი შეფენილიყო, იქით ცხვრის ფარა, იქ სადღაც თხები აყალყულიყვნენ ბუჩქებზედა. და წკრიალებდა ზანზალაკები, წკრიალებდა უცნაურადაცა და ჩვეულებრივადაცა, რამეთუ ეს იყო სიცოცხლე ალპებისა, ეს იყო საუბარი იალალებისა, საუბარი მწვერვალებთანა, და ქათქათებდა მწვერვალებიცა, მარადი თოვლით დაფარული მწვერვალები, ქათქათებდა და გარინდულიყო, ვითომდა არაფერ შუაში არ იყო, ვითომდა არაფერი ეკითხებოდა, არცა ნისლებისა, არცა ჩანჩქერებისა, ვითომდა ქუხილიც როდი ესმოდა, ვითომდა ელვასაც ვერ დაინახავდა, მხოლოდ ზანზალაკებს თულა მიუპყრობდა ყურსა, ძოვდა ნახირი, ისვენებდა ნახირი, თუ შინ მოედინებოდა სალამოხანსა, ზანზალაკებით ესაუბრებოდა. სალამურებიც მიყურებოდა, ზანზალაკები კი არა და არა, ღამე ბაკებშიც გაიწკრიალებდა, ამოიფშვენდა ხოლმე ძროხანი, ამოიფშვენდა თუ ამოიცოხნიდა, აჰყვებოდა ზანზალაკიცა. და იწკრიალებდა ზანზალაკები. ქუხდა ჩანჩქერები. ჩამოდოდა კოკისპირული. ცვივოდა ქვები. ბევრგან გავლაც არ იქნებოდა ზვავის შიშითა, მაგრამ არაო, ბაირონი არ ეუუებოდა, იქით მიიწევდა, სადთუ ზვავით დაშინებულიყვნენ, სადთუ ჩანჩქერი გადმოდგაფუნდებოდა, მიიწევდა და აღარ იცოდდა, თუ როგორ განეცადა, მზე რომ გალანდავდა დაფშვნილ ჩანჩქერსა და ცისარტყელა აელვარდებოდა“.

ამ სტრიქონების კითხვისას ვგრძნობდი, როგორ მათრობდა უმადლესი შთაგონების ძალით დანყვილებული სიტყვების მაგიური ჟღერა, ვერცხლისებური წკრიალი, მათი სიახლოვით შექმნილი და დაუსაზღვრავ სივრცეებზე განფენილი ასეთივე უკიდევანო სიმფონია, თვალსა და ყურს ერთდროულად რომ ეფერება, ელამუნება.



ყველგან და ყველაფერში, თვით მეგობართან გაგზავნილ ბარათშიაც იგრძნობა მისი წერის უჩვეულო, განუმეორებელი მანერა, არავისას რომ არა გავს და თუკი გაუგე, გემო ჩაატანე, უთუოდ გაითავისებ, შეიყვარებ, ასმაგად გიზღავს კითხვაზე დახარჯულ დროს. ესაა მხოლოდ — დაგვიანებით მიხდება მცირე მადლობის თქმა.

ცხადია, ოთარ ჩხეიძე გვერდს ვერ აუვლიდა მსოფლიო ხუროთმოძღვრების შედევრს მილანის სახელგანთქმულ ტაძარს, რომელსაც გრანდიოზულობით, გარეგნული იერი-თაც ალბათ კიოლნის გამოგნებელი ნაგებობა თუ აღემატება (ფანატურიკური მიზანდასახულობით გამორჩეული, საარაკოდ გამრჯე გერმანელები მას ექვსი საუკუნის განმავლობაში გულმოდგინედ აშენებდნენ).

ბიოგრაფიულ რომანში ერთ-ერთი საუკეთესოა ის ადგილი, როცა დამბაჩის დაცლის შემდეგ, ძალღონისგან დაცლილი ბაირონი სანოლზე მიეგდება, მაგრამ ეს მცირე ხანს გრძელდება.

პოეტს აიყოლიებენ და მალე იგი „ეგრე მონყვეტილი, მოღუნებული, მოჩოლოჩინებული (დააკვირდით სინონიმთა რიგს და ამ ბოლო სიტყვას), ეგრევე შესდგებოდა თვით პალაცო რეჯოსთანა, თვით ქათქათა მთვარიან ღამესა, როცა შეუდარებელია მშვენიერება მილანის ტაძრისა. როცა თეთრი მარმარილოს სვეტები თანდათან უფრო დავინროვებულნი, დანმენდილი, ვითარცა ღალადისი მინისა, ადის და ადის, მიემართება და მიემართება გზაზე უსაზღვროებისა, გზაზე მარადისობისა, ვარსკვლავთა გზაზე, უცნაურსა და გამაბრუებელ ფერებში მთვარიან ღამისა. ეს იყო მართლაც მომხიბლავობა, გული რომ ვერ ითავსებდა ალტაცებასა, ოღონდ სუნთქვაც გაკმენდილიყო, თითქოს იმიტომ, ჩქამიც მოგვემსახო, თუ ვითარ ადის, მთლად ასე უხმოდ როგორღა ადის, მოგვემსახო ჩქამი სინმინდისა და ამალუებისა“.

ძნელი დასაჯერებელია, ასეთი ზღაპრული, თითქმის მოუხელთებელი სურათი მწერალმა მილანში ჩაუსვლელად, იმ ტყდრის უნახავად, მხოლოდ თავის, თუნდაც ზღვარდაუდებელ წარმოსახვაში დახატა.

საქართველოს თემა ხშირად იჩენს თავს ბაირონზე დანერვილ ბიოგრაფიულ რომანში და ეს ბუნებრივიცაა. ერთ-ერთ მონაკვეთში გულისტკივილით არის აღნიშნული, რომ იტალიელ მისიონერებს ქართველთა განთქმული სტუმართმოყვარეობა პირფერობა, ფარისევლობა, შენიღბული ცბიერება ეგონათ და მერეღა მიხვდნენ, რომ ყველაფერი ეს გულწრფელად, ალაღად კეთდებოდა — სტუმრის ესოდენი პატივისცემა საუკუნეებში დანერგილი, ძვალ-რბილში გამჯდარი მამა-პაპური ადათით იყო განპირობებული. წმინდა ტრადიციებს ჩვენი ხალხი იოლად ვერ მოიშლიდა.

ნიგნში რამდენჯერმეა ნათქვამი, თუ როგორ მოხიბლა ბაირონი ადრევე ნაქებმა, ალპებში გაგონილმა ტიროლოურმა სიმღერებმა და აქ ქართველი მწერალი სიამაყით ჩაურთავს, რომ მისი სამშობლოს მრავალხმიანი სიმღერები მშვენიერებით, მუსიკალობით „ტიროლოურ მოძახილს“ აღემატება, მაგრამ ბაირონის მოსმენილი არ ჰქონდა ისინი და ვერც შეადარებდა. ეს აზრი სადად, ზომიერად, თავმეკავებულად არის გამოთქმული, ისაიტება რეალური სურათი, რასაც ვკითხულობთ, პატრიოტული გრძნობით არ გახლავთ ნაკარნახევი: „...ალპებში მგზავრობისას ტიროლოური სიმღერებით მოხიბლულიყო, რაღაც ისეთის გაგონება სწყუროდა, საოცარისა, გამაბრუებისა. ინგლისშივე მოესმინა ქება საოცარი ტიროლოური მოძახილისა, ალპებს შეენახა ის მოძახილი სილალით სავსე, სინაზით სავსე და ჩახლართული მომხიბლავადა. ინგლისში ასე არსადა მღეროდნენ, ევროპაში არსადა მღეროდნენ ასე მღეროდნენ მხოლოდ საქართველოში ბევრად უფრო მომხიბლავადა, ბევრად უფრო გასაოცრადა — გურულ კრიმანჭულს მიემგვანებოდა ტიროლოური მო-

დახილი, მიემგვანებაო, მხოლოდ ეს იყო, მაგრამ ბაირონმა აბა რა იცოდა, ქება გაეგონა ტიროლური მოძახილისა, კიდეც მო-
ესმინა, კიდეც დამტკბარიყო ალპების ხეობებში...“

ამ პასაჟის კითხვისას უნებურად ჩაგვესმის გალაკტიონ ტაბიძის ლექსის („გურიის მთები“) ერთი სტრიქონი: „არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში...“ ასეთი მაგალითები „იტალიურ დღიურებში“ სხვაც ბევრია. სამშობლოზე გულაცრუებული ბაირონი ინგლისში დიდხანს ვერ ძლებდა, ლონდონიდანაც გარბოდა. ახლობლებსა და გამომცემელს (მერეის) ატყობინებდა: „... გაზაფხულზე მანდ ვიქნებიო, ცოტა ხნით ჩამოვალ, ცოტა ხნითაო... დავსახლებები სადმე ყრუ ადგილსა, ლონდონიდან დაშორებითა, და იქიდან ვადევნებ თვალსა უაზრო ტრიალს ნუთისოფლისაო...“

აქ თითქმის უცვლელადაა განმეორებული გალაკტიონის ერთ-ერთი შედეგის („გზაში“) სტრიქონი: „სადმე ყრუ ადგილს დავესახლები...“ მსგავსი მაგალითების მოძიება მრავლად შეიძლება. პარალელთა გავლებისას მარჯვედ არის მოხმობილი ქართული პოეზიის ცალკეული ქმნილებები (დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“), ილანდება, საცნაური ხდება სხვა ქართველ პოეტთა (ბარათაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ილია ჭავჭავაძე, გიორგი ლეონიძე) ლექსებზე მინიშნებანი, რაც პოეტურად განწყობილი ოთარ ჩხეიძის საყვარელი ხერხია.

ვენეციაში ყოფნისას ბაირონმა საყვარლად გაიხადა იქაური ვაჭრის ულამაზესი, ახალგაზრდა ქალი მარიანა, რომლის მშვენიერებამ და ვნებიანმა სიმღერებმა ათქმევინა, რომ მასზე ბედნიერი ქვეყნად არავინ იყო. ასეთი განცდა თითქმის არასოდეს ჰქონია.

განსაკუთრებით მარიანას შეუდარებელი თვალებისგან იყო დაზნედილი, გონწართმეული; ეს ადგილი უმძაფრესი ექსპრესიითაა აღბეჭდილი, გვახედებს პოეტის აფორიაქებულ სულში: „...მოხიბლულიყო, მოჯადოებულიყო, რალაც ამგვარი თუ დამართნოდა, შეჰყურებდა თვალებსა მარიანასი, დიდრონ თვალებსა, შავ თვალებსა, იდუმალად მოციმციმეთა, კიდეც რალაცას რომ აღუთქვამდა... თვალებით ასე მოხიბლულიყო. ასეთი თვალები იტალიაშიც უჩვეულოაო, მხოლოდ თურქეთში თუ შევხვედრებოვარ, ოღონდ იმათიც არ უნდა იყოსო...“

ამ დაეჭვებით სარგებლობს ბოიგრაფოსი და მცირე ხნით ჩაეჭრება ბაირონს (იცის, ქართველი ტყვეებით რომ იყო გადატენილი სტამბოლის ტყვეთა ბაზარი) და ამცნობს, ვის ეკუთვნოდა თვალები, თურქეთში რომ შეეფეთა: „რალა თქმა უნდა, იმათი არც იყო, ეს ქართული თვალები გახლდა, მაგრამ აქ მაინც სიტყვას ვერ გავხრი, აქ მხოლოდ ხოტბაა მარიანასი, აღწერაა მისი მშვენიერისა, თვალთა მშვენიერისა, კანის სიმწყაზარისა, ყელისა, შუბლისა... აღტაცებით აღწერს ბაირონი, აღწერს დაწვრილებითა, მხატვარს შეუძლიან ზუსტად აღადგინოს, აღწეროს ისე დაწვრილებითა, წლოვანებასაც ყოველთვის დაურთავს, 22 წლისა არისო, ოღონდ ესაა, ხმას ვინ აღადგენს?“

რამოდენა პოეზია და მასში დატანებული უნაპირო სევდაა, ბოლო, მოკვეთილად ნასროლ ფრაზაში: „ხმას ვინ აღადგენს?“ — პასუხს რომ არ ითხოვს.

კარგადაა ცნობილი, რაოდენ პატივს მიაგებდა ბაირონი სომხურ დამწერლობასა და სომხურ ანბანს. არაბულ ენასთან ერთად იგი, იტალიაში ყოფნისას, სომხურსაც სწავლობდა. თავისი მოძღვრის, კათოლიკე ბერის პასკალ ოშერის დავალებით, სომხურ-ინგლისური გრამატიკის მოზრდილი ნაწილი შეუდგენია. ის ბერიც დიდად ყოფილა შეყვარებული სომხეთზე. უთქვამს, მინიერი სამოთხე თუ სადმე არის ამ ქვეყანაზე, უეჭველად სომხეთში იქნებაო. ცოტათი გადაჭარბებული ჩანს ეს ვარაუდი, რადგან სომხეთის მწირი, ქვიანი მიწა და მკაცრი ბუნება ამის თქმის საფუძველს ნაკლებად იძლევა. ბაირონი იქვე აღნიშნავს (პიზაშია ეს ჩაწერილი, 1821 წლის შემოდგომაზე): ბევრი ვეძებე ის სამოთხე და ჯერჯერობით ვერსად მიაგავნიო.

ოთარ ჩხეიძე უყურადღებოდ არ ტოვებს ბაირონის ამ გატაცებას, წერს რომ პოეტი ხშირს სტუმარი იყო ვენეციის მახ-

ლობლად, წმინდა ლაზარეს კუნძულზე 1717 წელს დაარსებული, წიგნებითა და ხელნაწერებით მდიდარი სომხური მონასტრისა. აქ ბაირონი შემთხვევას არ უშვებს გააქილიკოს ფრანგების მიერ დაარსებული სომხური კათედრა.

ბაირონი ნაპოლეონის თავგამოდებული მოთაყვანე იყო, ამაღლებული განწყობილების ოდა უძღვნა მის გენიას და მტკივნეულად განიცადა მსოფლიო სახელის მხედართმთავრის დაცემა. თვით ნიკოლოზ ბარათაშვილმა, ვინც მხოლოდ ოცდაჩვიდმეტი ლექსის ავტორია, ერთი თავისი შედეგური ნაპოლეონზე დაწერა და ესეც ნათელყოფს, რომ რომანტიკოსებში ბონაპარტეს კულტი იყო. ბაირონმა შური იძია იმის გამო, ფრანგებმა თავიანთი იმპერატორი რომ განირეს და ჯავრი ფრანგ სტუდენტებზე ამოიყარა.

ბატონი ოთარი მისებული შეფარული იუმორით გადმოსცემს ბაირონის მონათხრობს და ყველაფერს უნებლიეთ, კომიკური ელფერი ედება. თავს ვედარ ვიკავებ და ამის დასტურად შედარებით დიდი ნაწყვეტი მომაქვს: „ოთხი წლის წინათო, ბაირონივე გვაუწყებს თვითონვე, ფრანგებს დაუარსებიათ კათედრა სომხური ენისაო, ოცი სტუდენტი ჩაწერილა ორშაბათ დილითაო, კეთილშობილური მგზნებარებითა და ახალგაზრდული გულწრფელობით აღსავსე ოცი ფრანგი ჩაწერილაო, დიდი შემართებაც გამოუმჟღავნებიათ, დიდი შემართება და გმირული სული, მსოფლიოს დაპყრობის ეროვნული ჟინით რომ მოსდგამთო, ოღონდო, ჰო, ოღონდ ოთხშაბათამდის თუ მიჰყოლიათ სული იგი შემართებისაო, ოციდან თხუთმეტი დაცემულა სომხური ანბანის ოცდამეექვსე ასოზედაო, არც გაემტყუნებათო, განა იცინის ბაირონი — ო, არა, არა, დასძენს ძალიან დადინჯებულადა, დიხხაც რომ ღამინჯებულადა — არც გაემტყუნებათო, რაც ვატერლოო იყო, სომხური ანბანიც იგივე გამოდგა იმათთვისაო, იგივე გამოდგა და სომხურსაც უცებ ისევე მოექცნენ, როგორც თავიანთ იმპერატორსაო — უღალატეს ორივეს უცებაო — ჰო, გვაუწყებს დადინჯებულადა, ნიშნის მოგებითა, შურისძიებითა, სასაცილოდ არა, ჩვენ გველიმება, მხოლოდ ეს არის, გასალიმებულადაც არ უთქვამს იმასა“.

შემთხვევითი არ იყო, რომ თანამედროვეთა შორის ბაირონმა ერთ-ერთმა პირველმა განსჭვრიტა ჰენრი ფილდინგის სიდიადე და მას „პროზის ჰომეროსი“ უწოდა. საერთოდაც, ბაირონს ჰქონდა მძლავრი ანალიტიკური აზროვნების უნარი და ეს თვით მის ნაწერებშიც აშკარად გამოვლინდა.

ოთარ ჩხეიძე, ევროპული და მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო მცოდნე, ყველგან ზუსტად და მკაფიოდ აფასებს ბაირონის უმთავრეს ქმნილებებს, მათ ხასიათსა და მნიშვნელობას. ამას მკითხველიც იოლად დაინახავს და, ამდენად, წინამდებარე მცირე მოცულობის წერილში წიგნის ამ თვალსაჩინო ღირსებაზე საგანგებოდ აღარ შევჩერდები.

ბაირონის ბოიგრაფიაში მეტად მნიშვნელოვანია მისი ურთიერთობა ხელოვნების მეცენატის, გრაფ გვიჩიოლის ცოლთან, ტერეზასთან, რომელიც სხვა საყვარლისგან დაუოკებელი მგზნებარებით გამოირჩეოდა და დამონებული სამშობლოს გასათავისუფლებლად უძგერდა გული, პოეტს აჯანყებულთა თანადგომის კენ მოუწოდებდა, აქეზებდა.

ნაჩვენებია რა მწვავედ, ტრაგიკულად განიცდის ტერეზა ნეაპოლის დანებებას და პირუმიტიკოპის გამო კარბონართა აჯანყების დამარცხებას (გავისხენოთ ქართველ არისტოკრატთა 1832 წლის შეთქმულების ჩავარდნა). ბაირონი ყოველნაირად ცდილობს ანუგეშოს მგზნებარე სატრფო, მაგრამ თავადაც გული უტყდება იტალიელებზე, ფიქრით უკვე საბერძნეთშია, რათა ძველი ელადის მკვიდრთ დაუდგეს გვერდით, ოსმალთა ძალმომრეობას რომ ებრძვიან.

შესაშური დინამიზმით, მისაბაძი ექსპრესიითაა დაწერილი წიგნის უკანასკნელი გვერდები. ყველაფერს აქვს თავისი ბოლო და ეს დასასრული, როგორც ცხოვრებაში ბევრი სხვა რამ დასალონებელი, მწუხარება. ლა-სკალას დიდებული თეატრი დაცარიელებულია. ერთ დროს ბოიოქარი, ხმაურიანი, შეთქმულებით გადატენილი დი-ბრემეს ლოჟა „ქორის გაბდღვნილ

ბუდეს“ დამსგავსებია, ლოჟის პატრონს, ლოდოვიკო დე-ბრემს მლელვარებისაგან გული გახეთქია. კარბონარებიდან ავსტრიელებს ზოგი დაუხვრეტიათ, ზოგიც ციხეში გამოუმწყვდევიათ. დანარჩენები გადახვენილან, მიუტოვებით გაქელილი სამშობლო. სიმბოლურად გამოიყურება, რომ ერთადერთი, პოეტი მონტი დაბორილობს ლა-სკალას უკაცრიელ, დაყრუებულ, მგლოვიარე დერეფნებში. უალრესად გაკვირვებულია — არავინ აპატიმრებს, არც გული უსკდება და მილანის ჩაბნელებულ ქუჩებში მოხეტიალეს აღარც იმის იმედი აქვს, რომ ვინმესგან გამოსროლილი ბრმა ტყვია მოცელავს.

ოთარ ჩხეიძე ნიადაგ სამშობლოს ბედზე დაფიქრებული ღირსეული მწერალი და მამულიშვილი იყო. ვნანობ (ეს, სამწუხაროდ, ხშირად გვემართება), მის მიმართ ასე დავვიანებით რომ გამოვთქვამ ჩემს კნინ, მოკრძალებულ სამადლობელს, რაზეც ზემოთაც ვწერდი.

ბატონი ოთარისგან დაბარებულ ანდერძად მესახება, რომ მისმა ვაჟმა — როსტომმა და ძმისწულმა — პაატამ ხელი მოჰკიდეს „ღონ ჟუანის“ ქართულად თარგმნას, სიამოვნებით სა-

კითხავი სამი სიმღერა კიდევაც გამოაქვეყნეს. არაფერი შავდება იმით, რომ თარგმანი პროზაულია (გავიხსენოთ თამაზ ჩხენკელისა და ზურაბ კიკნაძის მიერ ასევე პროზაულად და ძალზე მიმზიდველად თარგმნილი „ოდისეა“), სამაგიეროდ, ზუსტი, სანდოა და მით უფრო სასიხარულო იქნება, თუ ეს მძიმე, ესოდენ მნიშვნელოვანი შრომა დროულად გასრულდება.

თამამად, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას — „იტალიური დღიურები ბაირონისა“ აშკარად უსწორებს მხარს თანამედროვე ევროპულ დონეს (პირველ ყოვლისა, დოკუმენტური პროზის უთვალსაჩინოესი ოსტატის ანდრე მორუას შელიზე დაწერილი ბიოგრაფიული რომანი მასხენდება) და სასურველია, იგი უცხო ენებზეც ითარგმნოს, რათა ერთგვარი წარმოდგენა შეექმნათ დღევანდელ ქართულ მწერლობაზე, მის შესაძლებლობებზე. ერთი კია, თარგმანში ვერანაირად ვერ აისახება ის განსაცვიფრებელი ლექსიკური სიმდიდრე, რაც უხვად არის გაბნეული ოთარ ჩხეიძის თვით ამ, დოკუმენტურ მასალაზე დაწერილ ნიგნში და მკითხველს თითქმის გადავინყებულ სიამოვნებას, ნეტარებას განაცდევინებს.

გურამ გოგიაშვილი

„სახეზეა ქართული აზროვნების უნაყოფობის ნათელი ნიშნები“

ანუ

ყვარყვარიზმი და ტერორიზმი მეცნიერებაში და მეცნიერების პროფანაციის მაგალითები

დღეს უკვე აშკარაა, რომ ვაიფილოსოფოსმა თუ ვაიისტორიკოსმა ვაიყორანაშვილმა (ლაპარაკია გამოუსწორებელ ავსტრიელთან გურამ ყორანაშვილზე, თავისი გვარის „პოპულარობით“ ბევრად გადააჭარბა ედგარ პოს ცნობილი „ყორნის“ პოპულარობას, ოღონდ, ცხადია, ავბედიდად...)

იმისთვის, რომ თემასთან უფრო ახლოს მივიდეთ, ამბავს ცოტა შორიდან დავიწყებთ.

ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა საერთო სათაურით — „ტერორიზმი მეცნიერებაში“ ცალკე წიგნად გამოსცა თვალსაჩინო ქართველ მეცნიერთა მძაფრად კრიტიკული წერილების კრებული, სადაც მალამეცნიერულ დონეზე მხილებულია ამ ცრუქლაქუნა ვითომ ფილოსოფოს-ისტორიკოსის სამეცნიერო ტერორიზმიც, ყვარყვარიზმიც და, ბუნებრივია, პროფანობაც. კრებულში მოყვანილია ყორანაშვილის მხრიდან, როგორც ტერორიზმისა და ყვარყვარიზმის, ისე პროფანაციის უამრავი მაგალითი (ეს ყველაფერი მერე მან უკვე სხვებს დააბრალა და თავისი ჭორის გუდა კრებულების სათაურებზე გამოიყენა).

ლიტონი ლაპარაკი რომ არ გამოგვივიდეს, მეტი თვალსაჩინოებისთვის მცირედ მოვივარგებ იმ 17 თვალსაჩინო მეცნიერის აზრს, რომლებიც წლების მანძილზე ვერცრა კეთილი ვერ შეასმინეს ყორანაშვილის ოდიოზურ პიროვნებას და მიაჩნიათ, რომ „ყორანაშვილიზმი“ ღია საზოგადოების მშენებლობის პროცესსა და დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოუყალიბებლობის ვითარებაში ერთობ საშიში ტენდენციების მატარებელია. „ეს არის უნიჭობისა და არაპროფესიონალიზმის შეტევა ნიჭიერებასა და პროფესიონალიზმზე, ამბიციურობის ბრძოლა ჭეშმარიტი, თავმდაბალი მეცნიერის წინააღმდეგ. თვითრეკლამისა და თვითდამკვიდრების უღირსი მეთოდოლოგია, რაც ჩვენში თანდათან იდგამს ფესვებს და იყ-

რის ყლორტებს“... ამ მეცნიერთა აზრით, არ არის გამოირცხული, რომ ხვალ მან წარმოადგინოს „პუბლიკაცია-გამოკვლევა“, სადაც ეწერება, რომ დედამინა ბრტყელია, მტკვარი შავ ზღვაში ჩაედინება, თბილისი ბრაზილიის დედაქალაქია, ხოლო თვითონ ყორანაშვილი ეთიოპიის იმპერატორია.

და სრულიად ბუნებრივად ისმის ამ მეცნიერთა ასეთი დასკვნა: **ხუმრობა იქით იყოს და, ბატონებო, იქნებ დააკვირდეთ ყორანაშვილის მსჯელობას, მისი არგუმენტების არსენალს, „ლოგიკის“ ულოგიკობას, მტკიცებების აბსურდულობას და, რაც მთავარია, წრეგადასულ ამბიციურობას და განდიდების აშკარა მანია და, ბოლოს, ეს ყველაფერი რამეზე ხომ არ მიგვანიშნებს?**

მიგვანიშნებს, როგორ არ მიგვანიშნებს, ჩვენც ავდგეთ და ამ მცირე საჟურნალო შენიშვნის ფარგლებში დავაკვირდეთ ყორანაშვილის „ლოგიკის“ ულოგიკობას...

არახალია, ძველი ამბავია, რომ უკვე მრავალი წელიწადია, რაც ყორანაშვილი „არაფრად აგდებს და შეგნებულად აკინებს ჩვენი სასახლო მეცნიერების: სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერიძეშვილის, გიორგი წერეთლის და მეტადრე გიორგი მელიქიშვილის ღვანლსა და დამსახურებას“.

იგი ხელალებით უწუნებს ნაღვანს და, ის კი არა, თვით „ნიცმეს, შვენგლერისა და ეგზიტენციალური ფილოსოფიის“ თვალსაზრისით, ჭკუასაც არიგებს ისეთი დარგების ყველაზე გამოჩენილ სპეციალისტებს, როგორი დარგებიც არის ძველი აღმოსავლეთის ისტორია, ელინიზმი, ბიზანტინოლოგია, საისტორიო გეოგრაფია, მედიევსტიკა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, ახალი და უახლოესი ხანის ისტორია.

ყორანაშვილის პროფანობის, ანუ, ქართულად თუ ვიტყვით, უმეცობის, ყვარყვარიზმისა და ტერორიზმის მართლაც იგავმიუწვდომელი მაგალითია ის თავიდან ბოლომდე საზიზღარ ჭორებზე აგებული პასკვილი, რომელიც მან მსოფლიოს ცნობილ ურარტოლოგს, აკადემიკოს გიორგი მელიქიშ-

ვილს გამოუქვეყნა, და როგორც ნამდვილმა ტერორისტმა და ჯალათმა სიცოცხლე გაუმწარა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, და სიკვდილი დაუჩქარა.

როგორც იტყვიან, რატომ ღმერთი არ გაიცინებს, თვითონ პლაგიატორმა ყორანაშვილმა პლაგიატორობაში დასდო ბრალი გიორგი მელიქიშვილს, რომელსაც ვითომ საქართველოში მოღვაწე, 1943 წელს გარდაცვლილი რუსი მკვლევარის პეტრე უშაკოვის გამოუქვეყნებელი ნაშრომი მიითვისა (პ. უშაკოვის ქვრივი შესწიოდა ნაცნობებს, გიორგი მელიქიშვილმა ჩემი ქმრის ხელნაწერები წაიღო და აღარ აბრუნებეს).

ნათქვამი რომ არის, წინასწარ მომჩივანი ბატონს მართალი ეგონაო, ახლა ეს ხერხი იხმარა სამეცნიერო ტერორიზმში განვრთნილმა ყორანაშვილმა და თავადვე გახდა იმის ინიციატორი, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას ჩამოეყალიბებინა კომისია, რომელიც გამოარკვევდა ყორანაშვილის ბრალდებათა საფუძვლიანობას. და აქ მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო: კომისიამ სრულად ამხილა ყორანაშვილის ბრალდებათა აბსურდულობა, უსაფუძვლოება და ცილისმწამებლობა. კომისიის დასკვნაში თვალნათლივ ჩანდა, რომ „**ალმოსავლეთმცოდნეობაში, ისევე როგორც ბევრ სხვა დარგში, რომელსაც ყორანაშვილი ეპოტინება, არაფერი არ გაეგება**“ და, ბოლოს, იძულებული გახდა, ელიარებინა, რომ „**აბსოლუტური პროფანია**“ (ძველალმოსავლური მეცნიერების, განსაკუთრებით კი ლურსმული დამწერლობისა და ურარტოლოგიის სრული უცოდინარი ვარო). მანვე ფაქტობრივად აღიარა, როგორ შეთხზა ჭორი თითქოს აკადემიკოსი გიორგი წერეთელი ოჯახში გიორგი მელიქიშვილს პლაგიატორად მოიხსენიებდა. აღიარა, რომ ქართულ წერა-კითხვაში გვარიანად მოიკოჭლებს (სამაგიეროდ, ვითომ რუსული „ეხერხება“ და კომისიის მიერ რუსულიდან გადმოწერილი უაზრობები თურმე მხოლოდ კორექტურული შეცდომებია!).

ერთი სიტყვით, ხსენებული კომისიის მიხედვით, ყორანაშვილმა ვერც აკადემიკოს გ.მელიქიშვილის პლაგიატორობა დაამტკიცა და ვერც პ.უშაკოვის დიდი მეცნიერობა. სამაგიეროდ მან მთელი სიცხადით დარწმუნა ჩინა საკუთარი არაკომპეტენტურობა და დილეტანტიზმი, ანუ როგორც თვითონ უყვარს თქმა, „**პროფანაცია მეცნიერებაში**“. არადა, პროფანისგან პროფანაციის გარდა, რას უნდა ველოდოთ?! ანუ მგლისა ბატკანი ვის უნახავს?!

და კიდევ ერთი. მორიელი რის მორიელია, თუ ბოლომდე არ დაგესლა ადამიანი. რახან აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი პლაგიატორი არ გამოდგა, ყორანაშვილმა ახალი ჭორი შეადგა — ურარტოლოგია ნიღბად ჰქონდა აფარებული, გიორგი მელიქიშვილი სუკის აგენტის იყო (ის გიორგი მელიქიშვილი, რომელმაც „**მძიმე პიროვნული თვისებებისა გამო**“ ყველასგან შერისხული ეს „**ყორანათ ბიჭი**“ ინსტიტუტშიც მიიღო, სადოქტოროც დააცვევინა და გვერდშიც ამოიყენა!).

აქ ჩემდა უნებურად ვაჟა ფშაველა წამომავიწყდა: **რამდენი ავსული ვიცი, წარბშეუხრელად დადიანო.**

უთუოდ მართალს წერენ „**ტერორიზმი მეცნიერებაში**“ კრებულის ავტორები, რომ ასეთ ხვად სიცრუეში ამდენი მხილებისა და იძულებითი აღიარების შემდეგ ყველა ნორმალური ადამიანი სირცხვილით დაიწვებოდა და კარგა ხანს საზოგადოებაში გამოჩენასაც კი მოერიდებოდა, მაგრამ ყორანაშვილი ასეთ ნორმალურ ადამიანთა რიცხვს ნამდვილად არ ეკუთვნის. ტერორისტი, მით უმეტეს ყორანი ტერორისტი, ახალ-ახალ მსხვერპლს ეძებს...

ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი დირექტორის, ავსული თანამშრომლისგან სიცოცხლეგამწარებული თუ იქნებ სიცოცხლემოსწრაფებული გიორგი მელიქიშვილის შემდეგ ამ ფრიად პატივსაცემი ინსტიტუტის დირექტორის სავარძელში ასევე ფრიად პატივსაცემი აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი აღმოჩნდა, რომლის „**უბადრუკი სამეცნიერ**

რო და მორალური ავლადიდება“ უმაღ ვინრო თვალში არ მოუვიდა მეცნიერების ღვთაებისთვის მსხვერპლმწიფრვის „**დიდოსტატ**“ ყორანაშვილს, ამჯერად უკვე „**საისტორიო გეოგრაფიის დარგის სპეციალისტს**“. რაც თავისი საეჭვოდ მოკლე ჭკუით წინა დირექტორს დააკლო, მან ახლა ახალი დირექტორისკენ მიმართა მთელი „**ისტორიულ-გეოგრაფიული ცოდნის არტილერია**“ და უფრო სწორად, მისთვის აგრერიგად ჩვეული და სისხლხორცეული „**ხვადი ჭორების არტილერია**“. ეგაო დიდი ვინმე არ გეგონოთო, მეცნიერებათა დოქტორი რის ვაივავლახით გახდაო. „**ვაკში**“ რომ გამოიძახეს და დისერტაციის ირგვლივ კითხვები დაუსვეს, პასუხი ვერც ერთ კითხვას ვერ გასცა, მაგრამ დისერტაცია მაინც დაუმტკიცვეს, რადგან ავტორი შეეცოდათ ამდენი ჭაპანწყვეტის გამოო. აქ, ბუნებრივია, ამ სტრიქონების ნამკითხველს მაშინვე უჩნდება აზრი: ეს ყველაფერი რა იცის ყორანაშვილმა, „**ვაკის**“ სხდომას ხომ არ ესწრებოდაო. და „**ყორანათ ბიჭს**“ პასუხიც მზადა აქვს: „**ამას მოგახსენებთ ყურთკვრით თი არა, არამედ, როგორც ივანე ჯავახიშვილი იტყვობ, თანადამხდურთა (თვიომხილველთა და უშუალო მომსწრეთა) დამონებთი.** ხედავთ, ხელად დიდი ივანე ჯავახიშვილიც მოიშველია და „**თანადამხდურნიც**“ ამოიყენა გვერდით, როგორც გიორგი მელიქიშვილის წინააღმდეგ პეტრე უშაკოვის ქვრივის მოხუცი მეზობელი ქალბატონები, რომელთა ჭორის ბოჩხებისთვის თავადვე აგროვებდა უმწეო ჭორჩიტებს.

რახან ჭორის ბოჩხაზე და ჭორჩიტებზე ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ აქვე უნდა გავუხსენოთ ამ ჩვენს პოლიტიკურ მოდას აყოლილ (ხომ უნდა ჩანდეს, რომ თანამედროვე ანტიკომუნისტურ მეცნიერია!) ავგულა „**ყორანანთ ბიჭს**“ კიდევ ერთი აკვიატებული თემა, რომელიც კარგა ხანია არ ასვენებს, და სულ „**ცოცხლად სანსლავს**“ უკვე წინასწარ ავად დაკორცნილ თავის მონინაღმდეგე „**მართლმორწმუნე კომუნისტებსა და სტალინისტებს**“, რომელთაც არა და არა სურთ თავში გაივლონ „**აზრიც კი იმის შესახებ, რომ ილიას მკვლელობა ორგანიზებული იყო ქართველი ბოლშევიკების მიერ (მეფის „ოხრანკა“ — ჟანდარმერიასთან კოორდინირებული მოქმედებით)**“. არადა, ილიას მკვლელობის ნაკვეთი, შესაძლოა, თურმე ვლადიმერ ლენინის, ნიკოლოზ II-ისა და პეტრე სტოლიპინისკენაც კი მიდიოდეს...

„**პროფესიონალი ისტორიკოსი**“ ღრმად დარწმუნებულია, რომ „**პრობლემა უნდა გადაიჭრას შესაბამისი ფაქტების მოძიებითა და აზროვნების უფრო მაღალ დონეზე**“. ჩანს, ამ თავისი „**აზროვნების უფრო მაღალი დონის**“ ჩვენების მიზნით ერთ-ერთ უმთავრეს მონმედ ყორანაშვილი იმველიტის ვინმე ჯურუყვეთელ ფუტყინა ბებიას, მაჭავარიანს, რომელიც 1905 წლის ამბავს 1954 წელს იხსენებს (როგორც „**სერიოზული პიროვნება ვახტანგ გურგენიძე გადმოგვცემს**“), და „**ცნობილი ნოე რამიშვილის დისშვილს, მენშევიკ შალვა ბერიშვილს, რომლის ნაამბობის მიხედვით, 1911 წელს სერგო ორჯონიკიძეს ვითომ ლენინისთვის ლონჟიუმოში უთქვამს, რომ „1907 წელს პარტიის დავალებით იძულებული იყო, გარეულიყო ერთი ცნობილი მწერლის მიმართ განხორციელებულ ტერორისტულ აქტში. ამასთან დაუსახელებია, რომ ეს მწერალი იყო რეაქციონერი და სახელმწიფო საბჭოს წევრი**“ (გაზეთი „**ერთობა**“ 4. ეს რომელიმე ძველი გაზეთი არ გეგონოთ, 1991 წლის ერთ-ერთი ნომრიდან ამოღებულ მასალაზეა ლაპარაკი. ხედავთ, როგორ არქივთა შიგნიშვიან ეძებს სიმართლეს „**ჩვენი პროფესიონალი ისტორიკოსი**“.

და დასკვნაც მზად არის: „**ერთი სიტყვით, ილიას მკვლელობის ორგანიზებასა და აღსრულებაში ს. ორჯონიკიძისა და ფ. მახარაძის საზიზლარი როლი უეჭველი გახლავთ. რაკი ასეა, არ დავსვათ საკითხი ამ ბინძურ საქმეში იოსებ ჯუღაშვილის თანამონაწილეობაზე?**“

არადა, ამ თავისი ისტორიული „**კვლევის**“ ორი-სამი აბზაცის ზემოთ „**ყორანანთ ბიჭი**“ ვინრო შუბლზე გაფარჩხულ-

ხელმძღვანელი ბრძანებს: „ისტორიკოსებს გვინევს უამრავი ახალი საისტორიო წყაროს გამოვლენა, შესაბამისი ფაქტების დადგენა, მათ შორის მიმართებების დამყარება, ინტუიციისა და ლოგიკის მოხმობა, რათა გავერკვეთ მოვლენათა ლაბირინთში“.

როგორ ფიქრობ, ძვირფასო მკითხველო, ეს დღემდე გაუგებრობები ფილოსოფოსი თუ ისტორიკოსი ვითომ რაიმე ახალ საისტორიო წყაროებს ავლენს? (უამრავს რომ თავი დავანებოთ!) რაიმე შესაბამისი ფაქტებს ადგენს? ამ ფაქტებს შორის რაიმე მეცნიერულ მიმართებებს ამყარებს? ანდა საერთოდ ლოგიკისა და ინტუიციის ნატამალი გააჩნია და საერთოდ ერკვევა მოვლენათა ლაბირინთში? თუ მარტო თავის მრავალგზის მეტიჩრობაშერჩენილ ცხვირსა ყოფს ამ მოვლენათა ლაბირინთში?

რაც შეეხება, ამ საეჭვო ფილოსოფოს-ისტორიკოსისგან განსხვავებით, მართლაც დიდად თვალსაჩინო პრაქტიკოს იურისტს ალექსანდრე შუშანაშვილს, რომელმაც მრავალწლიანი ნამდვილად ღრმად პროფესიული კვლევა-ძიების შემდეგ ჯერ 1996 წელს „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“ ხოლო 2000 წელს „წინამურის ტრაგედია“ გამოსცა და, ძალიან ბევრი სპეციალისტის აზრით, უთუოდ დამაჯერებელი აზრი გამოთქვა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის თაობაზე, ყორანაშვილი აგრე ჩვეული პროვინციულად დამამცირებელი ტონით აფასებს: „ფრიად სერიოზული საკითხისადმი ალექსანდრე შუშანაშვილის მიდგომას ადგილი აქვს ვინროსპეციალური თვალთახედვით. ამ შემთხვევაში წარმატების მისაღწევად საჭირო იყო ისეთი ფართო ერუდიცია და აზროვნება, როგორც იურისტებიდან, ვთქვათ, ლუარსაბ ანდრონიკაშვილს ან სერგო ჯორბენაძეს გააჩნდათ“.

ისე, მართალი თუ გინდა, ჩვენო „ყორანაანთ ბიჭო“, და თვითმარქვია „პროფესიონალი ისტორიკოსო“, ლუარსაბ ანდრონიკაშვილისა და სერგო ჯორბენაძის ფართო ერუდიცია და აზროვნება ჰაი, ჰაი რომ არც შენ განყენდა, ხოლო თუ იმათსაც გიორგი მელიქიშვილის, დავით მუსხელიშვილის და თუნდაც ალექსანდრე შუშანაშვილის ფართო ერუდიცია და აზროვნებაც დაემატებოდა, როგორც იტყვიან, ბიჭი იქნებოდა კლასიკონისა... ახლა კი რაცა ხარ, ეგა ხარ და როგორც შენ გამო დაწერილი „ტერორიზმის“ ავტორები წერენ, „შენგან მოხმობილი ყველა „არგუმენტი“ თითიდან გამოწოვილი და საკმაოდ უღიმღამოდ მოწოდებული ზღაპრების გროვავა, რაც მხოლოდ შენს ულოგიკობასა და უნიჭობას ამტკიცებს...“

სხვათა შორის, ღმერთი რჯული, სულ არ ვაპირებდი ამ წერილის დაწერას (მით უმეტეს, რომ ადრეც ერთი-ორჯერ უკვე შევეხმაურე ამ ჩვენს აგრერიგად ახირებულ „პროფესიონალი ისტორიკოსს“ თუ „ფილოსოფოსს“!, მაგრამ, რა ვქნა, შენ მაიძულე ჩვენო „ყორანაანთ ბიჭო“, როცა ამას წინათ ერთი ჩვენი საერთო ნაცნობის ხელით რედაქციაში შენი ბოლო წლებში დაწერილი „აღნაქვების“ ცრუმეცნიერული კრებულები გამოგზავნე — „ყვარყვარიზმი მეცნიერებაში“ და „მეცნიერების პროფანაციის მაგალითები“ (თუ ფული გაქვს, მე შენ ვეგეტყვი, დღეს „ნაირ-ნაირი ჭორების ბოხჩებს“ ვერ გამოსცემ თუ რა!). რაც შეეხება ამ წერილში ზემოთ ხსენებულ „ტერორიზმს მეცნიერებაში“ სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე ჩვენი რედაქციის ბიბლიოთეკაში...

ასე რომ, წერილის სათაურიცა და ქვესათაურიც შენივე ნიგნუკებით არის ნაკარნახევი.

შენს ორივე ნიგნუკაზე თუ „ჭორების ბოხჩაზე“, მთელი გულწრფელობით უნდა ითქვას, შენივე სიტყვებით, რომ მართლაც „სახეზეა უახლოესი ქართული აზროვნების უნაყოფობის ნათელი ნიმუში“.

ბევრი რამე, რასაც წერ, ზოგადადაც მართალია და, უწინარესად, მართალია თვითონ შენ მიმართ. აი, მაგალითად, შენ-

ზეა ზედგამოჭრილი: „კარგად მოგესხენებათ, რომ ყვარყვარეობა უპირველესად გახლავთ რიგითი ან საშუალო დონის პირთა ამბიციური სწრაფვა — საზოგადოებაში დაიკავონ ის ადგილი, რაც იმათ არავითარ შემთხვევაში არ ეკუთვნით“ (ის კი არა, შენ ერთხელ პარლამენტარიც აღმოჩნდი!).

ანდა: თურმე ისიც საკითხავია, როგორი ფილოსოფოსი ხარ. ან კიდევ: ოპონენტების აზრით, ვერა და ვერ ამაღლდი ისტორიკოსობამდე...

იმასაც უთუოდ მართალს ამბობ, რომ თავხედობა-უტიფრობა და, მასთანავე, უმეცრება აუცილებლად უნდა დაისაჯოს. მაგრამ დამსჯელი, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არავინ არ ჩანს. რატომღაც ბევრი გერიდება როგორც ნეხვიან ჯოხს, რადგან „სრულყოფილად ფლობ მოწინააღმდეგის სახელის გატების ხელოვნებას, კერძოდ, უამრავი დამამცირებელი იარაღის მინებებას“ (ეს შენი ორივე „ჭორების ბოხჩა“ ამის თვალდასაჩინო მაგალითია!).

უტიფრობა, ბუნებრივია, გარკვეულწილად გაბედულეობასთანაც არის დაკავშირებული. შენი მხრიდან ნამდვილად გაბედულეობა იყო, როცა ერთხელ ერთი კომისიის მიერ უკვე შერცხვენილმა და გამტყუნებულმა, ასეთი წინადადება წამოაყენე: „შეიქმნას ნეიტრალურად, ობიექტურად განწყობილი ისტორიკოსებისა და ფილოლოგებისგან (ტექსტოლოგებისგან) კომისია და ჩემი და დავით მუსხელიშვილის თანდასწრებით გამოიტანონ ვერდიქტი. თუ გაგმტყუნდები, საჯაროდ, Urbi et orbi ყველას გასაგონად ვიტყვი უარს დოქტორის ხარისხსა და პროფესორობაზე“...

პირველისა არ იყო, ვერც მეორე კომისიამ გაგლუნა... ანუ, შენივე სიტყვებით თუ ვიტყვი, შენ არა ხარ „ის პირი, ვინც იხტიბარს გაიტყვს და ლოგიკის, არგუმენტების წინაშე გაჩუმდება“.

მით უმეტეს, შენი დიაპაზონის „პროფესიონალს“ რა ძალა გააჩუმებს?!

ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა ჯერ კიდევ ვახერხებდი ბორჯომში ჩასვლას, იქა მაქვს გაგონილი: ერთი უნამუსო ცხენზე იჯდა და ფეხებს ატყავუნებდაო. გზადაგზა ვილატვილაცები აფურთხებდნენ, ის კი იძახდა, ეს რა კარგი წვიმა მოდისო...

შენ მგონი, ბორჯომელი ხარ და იქაური ანდაზები თუ სიტყვის მასალები ჩემგან ნამდვილად არ უნდა გესწავლებოდეს.

ისიც უთუოდ ჩემზე კარგად გეცოდინება, რომ თუ თეთრად შეიღებება, თორემ ქვიშით ხეხვა უძღური ხერხია ყორნის გასათეთრებლად... მაგრამ სხვა რა გზაა, დროდადრო მაინც უნდა გხეხოთ... რაკი ცდა ბედის მონახევრეა... თუმცა, შენგან კეთილშესმენის იმედი დიდად მაინცდამაინც არა მაქვს...

P.S. ნათქვამი რომ არის, თუ კაცს არ უნდა, რიყეზე ქვას არ დაინახავსო, სწორედ ასეა ამ ჩვენი ნიგნირებანაკლული „ისტორიკოს-ფილოსოფოსის“ საქმე. თითქმის მთელი ცხოვრება ისე მოდის, ერთი კარგი ქვა არ დაუნახავს, რომელსაც ასევე რალაც კარგის მშენებლობაში გამოიყენებდა. თუმცა „კარგი რამ“ გ.ყორანაშვილისთვის არ არსებობს. კარგი და „ჭკუის კოლოფი“ მარტო თვითონ არის, რომელიც თუნდაც ქვეყნის ტრაგიკულ წარსულში სიმართლეს კი არ ეძებს, არამედ მარტოდენ განაქიქებს და შეაჩვენებს. ვითომ ძველ მითებს ამხელს და ააშკარავებს, სინამდვილეში კი თავის საკუთარ ზღაპრებს ქმნის და ურცხვად უჭედავს ისედაც ამყამინდელი დუხჭირი ცხოვრებისგან შეღონებულ ადამიანებს „თუხთუხებულ“ თავებში. ცნობილი გამოთქმა: ვინც წარსულსა ფლობს, ანმყოფსაც ის აყალიბებსო. ჩვენი ქვეყნის ანმყო რაც არის, ყველა კარგად ვხედავთ. ამიტომ გასაგები უნდა იყოს ისიც, თუ რატომ ექცევიან აგრერიგად ჩვენი გუმინდელი დღის ყორანაშვილისთანა ბოლოგიური მოძულენი ჩვენს წარსულსა და იმ ადამიანებს, ვისაც იმხანად უხდებოდა ცხოვ-

რება და მოღვაწეობა. ვაი რომ ასეთი ანტიისტორიული მიდგომა დღეს თითქმის სახელმწიფო პოლიტიკად არის ქცეული და ვაი რომ ამ ანტიისტორიული და ანტიეროვნული პოლიტიკის ანგარებიან მხარდამჭერ ეგრეთ წოდებულ ექსპერტთა შორის ეს ჩვენი „ყორანანანთ ბიჭი“ ობლად არ გამოიყურება.

მხოლოდ ერთი, მაგრამ მრავლისმეტყველი მაგალითი...

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. აღნიშნულ სესიაზე წაკითხულ იქნა მოხსენება თემაზე: „ქართველთა ერთი მნიშვნელოვანი ბრძოლის ადგილმდებარეობის შესახებ“. დამსწრეთა უკმაყოფილება გამოიწვია აშკარა ცინიზმმა და ირონიულმა ტონმა, რითაც მომხსენებელი ჩვენ წინამორბედ მკვლევარებს, მათ შორის ივ.ჯავახიშვილს და სხვებს ამკობდა იმის გამო, რომ მათ სწორად ვერ განსაზღვრეს აღნიშნული ბრძოლის ადგილმდებარეობა.

მაგრამ მთავარი მათ წინ ელოდათ: თავისი გამოსვლით კმაყოფილმა, სახელგაბრწყინებულმა მომხსენებელმა, აუდიტორიას ამაყად მოავლო თვალი და ის იყო ყელმოღერებული ტრიბუნიდან ჩამოსვლას აპირებდა, რომ ადგილიდან წამოდგო ცნობილი მეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე და ისტორიკოსი, პროფესორი კარლო ტაბატაძე და „გამარჯვებულ“ ორატორს დელიკატურად შეეკითხა — გამოყენებული ჰქონდა თუ არა მას გივი იმერლიშვილის გამოკვლევა, რაზეც მომხსენებელმა, რამდენადმე იხტიბარგატეხილმა, უპასუხა, რომ ასეთი გამოკვლევის არსებობა მისთვის უცნობია, რასაც კ.ტაბატაძის რეაქცია მოჰყვა — როგორ არ იცოდი, მე თვითონ გითხარიო. ამაზე მომხსენებელმა რაღაც წაილულულა და ტრიბუნა დატოვა.

ერთი სიტყვით, გამოაშკარავდა, რომ ასეთი რიხით წაკითხული მოხსენება მთლიანად გადმოღებული იყო ხაშურის რაიონის გაზეთ „ალიონის“ 1990 წლის 17 ივლისის ნომერში მოთავსებული გ.იმერლიშვილის წერილიდან „შინდარის ბრძოლა“.

ეს მომხსენებელი, ანუ ხაშურის მუზეუმის თანამშრომლის გამძარცველი-პლაგიატორი, გახლდათ მეცნიერული ეთიკისა და სამართლიანობისთვის მებრძოლი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ისტორიკოსი, გურამ ყორანაშვილი %მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს, საიდან ჩაუვარდა ხელში პლაგიატორს ხაშურის გაზეთი, ამიტომ ვაცნობებთ, რომ ყორანაშვილი ხაშური-ბორჯომის მკვიდრია. აქვე მოვახსენებთ, რომ რადგან მისი ოინები გამოაშკარავდა, პლაგიატორმა მოხსენების პირვანდელი სახით გამოქვეყნება ველარ გაბედა, მას სათაური შეუცვალა („ქართველთა ერთი მნიშვნელოვანი ბრძოლის ადგილმდებარეობის გარკვევისთვის“) და ისტორიოგრაფიული მიმოხილვის ფორმით გამოაქვეყნა, სადაც იძულებული გახდა ეღიარებინა აღნიშნული საკითხის გარკვევაში გ.იმერლიშვილის პრიორიტეტი.

აი, ვის აქვს საქართველოს პირველი ისტორიკოსის პრეტენზია. აი, ვინ იბრძვის ამდენი ხნის მანძილზე იმისათვის, რომ ჭეშმარიტად დიდ ქართველ მეცნიერს ტალახი ესროლოს და ყოველგვარი უმსგავსობა (მათ შორის პლაგიატორობა) დააბრალოს. აი, ვის წარმოუდგენია თავი ქართული მეცნიერების სინდისად და მისი განვითარების მიმართულებების განმსაზღვრელად!

ვფიქრობთ, ყველაფერი ნათელი და გარკვეულია; გასარკვევი მხოლოდ ის არის, თუ სადამდე გავრძელდება საექსპო მორალისა და ზნეობის, ვაიმეცნიერის აულაგმავი ჯირითი ქართული გაზეთების ფურცლებზე? როდემდე უნდა უცქიროს ქართველმა საზოგადოებამ გულგრილად ყორანაშვილის შეუნიღბავ ტერორს ქართველი ისტორიკოსების წინააღმდეგ?

როსტომ ჩხეიძე

მუშტაგის თეორია

□

ბიომრავიული რომანიდან „პითა სიზმარი ლამისა (რავაზ გაბაშვილის ცხოვრების ქრონიკა)“

ერთმანეთისაკენ მუქარით წაწეულ ნოე რამიშვილსა და შალვა ქარუმიძეს შუაში რომ ჩაუვარდებოდა რევავ გაბაშვილი, დააშოშმინებდა და აქეთ-იქით გაიყვან-გამოიყვანდა, შალვა იმ წუთას კი დამორჩილებოდა, მაგრამ მერე აუბუზღუნდებოდა და დროდადრო საყვედურითაც შეახსენებდა: ყოფილიყავი შენთვის და ნახავდი, რა დღესაც დავაყრიდი, აბა, ესაა საქმე, მაგის და მაგისთანების ხელში რომ ჩავარდა ქვეყანაო?!

სამოქალაქო ომი გვინდოდაო? — იგერიებდა და ვერც იგერიებდა რევავი, რადგანაც იმას არაფრის მოსმენა არა სურდა და თავისას იმეორებდა: ნახავდი, რა დღესაც დავაყრიდი.

შალვა ქარუმიძე დიდი ერუდიციით არ გამოირჩეოდა, თორემ მის ადგილას, ვთქვათ, შალვა ამირეჯიბი რომ ყოფილიყო, ადვილი შესაძლებელია შექსპირული სტრიქონებითაც ალაპარაკებულიყო.

გახსოვთ „რომეო და ჯულიეტას“ მესამე მოქმედების პირველივე სურათი? ბენვოლიო რომ ურჩევს მერკუციოს: გემუდარები, ნავიდეთ აქედან, ცხელი დღეა და კაპულეტებიც გარეთ დაძრნიან, თუ იმათ შევხვდით, ჩხუბს ვერ ავცდებით, რადგანაც სიცხეში შმაგი სისხლი უფრო ჩქარა დუღსო, — მერკუციო კი პასუხად გულიანად იციუნებს:

— შენ იმ ჭაბუკსა ჰგავხარ, რომელიც სამიკიტნოში შესვლისას ხმაღს მაგიდაზე დაანარცხებს და იტყვის: ღმერთმა ქნას, შენი თავი აღარ დამჭრდესო. მაგრამ როგორც კი მეორე ჭიქა შეუჯდება თავში, ისევე სტაცებს ხელს და მიკიტანს მივარდება, თუმცა სრულიად უსაბაბოდ.

და მიაყოლებს და მიაყოლებს: შენისთანა ჩხუბისთავი მეორე არაა იტალიაში. ცოტა რომ გაგაფიცხონ, მაშინვე იფეთქებ, ხოლო როგორც კი იფეთქებ — ფიცხლავ ეკვეთებიო.

შენისთანა ორი რომ იყოს ამქვეყნად, მალე არცერთი არ დარჩებოდით: ერთმანეთს დახოცავდითო.

შენა? შენ იმისთვისაც კი წაენხუბები კაცს, ერთი ღერით შენზე ნაკლები ან ერთი ღერით შენზე მეტი წვერი რომ ჰქონდეს. კაკლის გატეხვისთვისაც წაენხუბები კაცს და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ კაკლისფერი თვალები გაქვს. შენს გარდა, აბა, ვისი თვალები იპოვნიათ ამაში ჩხუბის მიზეზსო?!

შენი თავი ჩხუბით ისეა სავსე, როგორც კვერცხი გულცილით, თუნდა ამ ჩხუბისთვის ლაყე კვერცხივით გაგიტეხონ თავი. და ასეთი კაცი მიშლი ჩხუბსაო?!

ნუთუ ასეთ ჭაბუკს ვგავარო? — თან თავისას გაიოცებდა და თან შექსპირისავე სტრიქონებით ალაპარაკებოდა რევავ გაბაშვილი, გულდანყვეტილი, ნეტა ამ ტრაგედიის თარგმნაც მოესწრო ივანე მაჩაბელს და სახელდახელოდ არ მიხდებოდეს მისი თარგმნაო, — შენისთანა ჩხუბისთავი რომ ვიყო, ყოველი გამვლელი იყიდდა ჩემს თავს და მისი მიღებისათვის ერთი საათის ლოდინიც არ დასჭირდებოდაო.

ვერ გადაურჩებოდნენ ბენვოლიო და მერკუციო კაპულეტებთან შეხლასა და სისხლისღვრას ვერონის მოედანზე, რე-

ვაზი ერთბაშად რომ დაანყნარებდა ორი თავზეხელაღებული კაცის მრისხანებას ტფილისის შუაგულში, ზედ რუსული ტაძრის წინ.

ისე ნოე რამიშვილსა და შალვა ქარუმიძეს შორის შევარდნა არ გინდა და მათი აქეთ-იქით გაყრა, თუ შენც თავზეხელაღებული არა ხარ?!

გიმნაზიაში ყოფნისას გვერდით მჯდომ თანაკლასელს იროდიონ სონღულაშვილს უეცრად და თანაც რამდენჯერმე ლაზათიან მუჯღუგუნს რომ უთავაზებდა რევაზი, ის გაოგნდებოდა: ნეტა რას მერჩისო, — და შესვენებისას ნაწყენი ჰკითხავდა: დაგიშავე რამეო?

არა, რა უნდა დაგეშავებინაო, — იცინებდა რევაზი, — განა არ იცი, რომ ქართველების სიყვარული ცემა-ტყეპააო?

იროდიონს ასეთი რამ არასოდეს მოესმინა და თვალებს რომ ააფახულებდა და ღრმა ფიქრებში წავიდოდა, ეგებ სადმე მომიკრავს ყურიო, ვეღარ გაიგონებდა, რევაზი ამ მოსაზრებას რომ გააღრმავებდა: რაც უფრო გიყვარს და აფასებ ადამიანს, მუჯღუგუნიც მითუფრო მტკივნეული უნდა იყოსო.

და ერთ მუჯღუგუნს კიდევ უთავაზებდა.

რა ენალვლებოდა, იცინებდა და იხალისებდა.

და იროდიონი კი, მაინცდამაინც რომ ვერ აპყვებოდა სიცილსა და ხალისში, სთხოვდა: შენმა მზემ კაი სიყვარული ეს იყო!.. ისედაც მჯერა, ძმად რომ მიგაჩნევი და მოდი ამის მერე ნულა დამიმტკიცებ შენს სიყვარულსო.

მოგვიანებით პავლე ინგოროყვას რომ გაიცნობდა, იმასთანაც განავითარებდა ამ თეორიას რევაზი:

— ქართველების სიყვარული მუშტების შეთავაზებაში გამოისახება.

ეგაა, იმასთან თეორიულ არგუმენტაციას იკმარებდა და პრაქტიკულ სავარჯიშოებს აღარ შესთავაზებდა თვალსაჩინოებისათვის.

და ის მხიარულად აპყვებოდა ამ უცნაურ თამაშს და ძველქართულადაც მოუქცევდა:

— ჭეშმარიტად, სიტყვანნი შენნი დიდად საგულისხმონი არიან!..

აბა, იროდიონ სონღულაშვილის ფერდებისთვისაც ეკითხა. გერონტი ქიქოძის ავტობიოგრაფიულ რომანში „თანამედროვის ჩანაწერები“ ვისი სილუეტი აღარაა ჩახატული, თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეთაგან თუ მწერალთაგან თითქმის არავინაა დავინწყებული, ვისაც შეხვედრია და ვინც იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენათა შუაგულში ტრიალებდა, რევაზ გაბაშვილი კი გაკვრითაც არსად გაივლევს.

გერონტი ქიქოძის თვალსაჩინოებში ვერ მოხვედრილა, მიუხედავად იმისა, რომ სულაც ერთ პარტიაში იყვნენ განვერძინებული, ვიდრე გერონტი მიატოვებდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის რიგებსაც და მათი გაზეთის — „საქართველო“ — რედაქტორობასაც. თანაც, მისი ცოლისძმის — შალვა ამირეჯიბის — უახლოესი მეგობარია.

რაც უნდა იყოს, „თანამედროვის ჩანაწერების“ თხრობა დაწურულია და შესაძლოა ამიტომაც არ აღმოჩნდა იქ ადგი-

ლი რევაზ გაბაშვილისათვის, თუმც სულ ელოდები, რომ, აი, ახლა ამოჩნდება მისი სახეცაც და, აი, ახლაო.

ასეა თუ ისე გერონტი ქიქოძის ავტობიოგრაფიული რომანის კომპოზიციაში ვერ მოხვედებოდა.

სამაგიეროდ, გერონტი ქიქოძემ უნდა გადაიეღვოს რევაზ გაბაშვილის ავტობიოგრაფიული რომანის ფურცლებზე, თუმც... არცთუ მომზიბლავად. თითქოს სრულიად ერიდება მემუარისტი გერონტის დახასიათებას, ერთ ეპითეტსაც კი არ იყენებს თავისი შეხედულებისა თუ განწყობილების გასამყლავებლად, მაგრამ ისეთ დეტალებს მოიხმობს, სრულიად დაუფარავად ცნაურდება ეს დამოკიდებულება.

ეს ის ეპიზოდია, რევაზ გაბაშვილმა და პავლე ინგოროყვამ ჰეროიკული თავგანწირვით რომ უნდა ჩააღწიონ ბათუმიდან ტრაპიზონში, რათა იქ გამართულ დიდად საპასუხისმგებლო კონფერენციას დაესწონ, საქართველოს ტერიტორიული საზღვრების ბედი რომ წყდება. პატარა იალქინი ნავი სამინელ დღეგამასა და ქარიშხალში რომ მოყვებოდა და 19 საათის განმავლობაში ეს ორი თავზეხელაღებული მგზავრი ხან ზღვის სიღრმეში მოექცეოდა და ხანაც ტალღების ქეჩოზე აიტყორცნებოდა, უფსკრულივით რომ ჩახსნილიყო მათ წინაშე წყალი.

მშვიდი და წყნარი ის იყო, სადღაც შორს დარჩენილი 1913 წლის 5 აპრილი, ქართული კულტურის მოყვარულთა კრებაზე პავლე ინგოროყვა ჯერაც ყმანვილკაცი, მოხსენებას რომ წაიკითხავდა „როდის სცხოვრობდა შოთა რუსთაველი“, საზოგადოება აღტაცებული ტაშისცემით დააჯილდოებდა უეცრად ამოტივტივებულ ამ ნიჭიერ მკვლევარს შინაარსიანი რეფერატივით, და რევაზ გაბაშვილი იქ ტაშისცემაში რომ მიიღებდა მხურვალე მონაწილეობას, აქ ჟურნალის ფურცლებზე, იმავე წლის მე-16 ნომერში, გამოაქვეყნებდა ლაკონიურსა და ტევედ ანგარიშს იმ თავყრილობისა, ლიტერატურული რეპორტაჟის მშვენიერ ნიმუშს.

და მთავარი მისთვისაც და სხვა მსმენელთათვისაც ის გახლდათ, რომ პავლე ინგოროყვა ამ საჯარო გამოსვლით ეპაექრებოდა სარგის კაკაბაძეს, ვის მოსაზრებასაც — თითქოს შოთა რუსთაველს ეცხოვროს XIV საუკუნეში და პოემა კი არარსებული დავითის ბრძანებით მიეძღვნას არარსებული აფხაზთა დედოფლისათვის — დიდი აღშფოთება გამოეწვია მკითხველში და ახლა იმ დებულებათა თანმიმდევრული და დამაჯერებელი დარღვევა გულზე მოეფონებოდათ, დამაჯერებელი — ისტორიული, ლინგვისტური, სტილური შედარებით, ტექსტის სოციალური მომენტების ანალიზითა და მის ფილოსოფიურ და თეორიულ შემეცნებათა გარკვევით.

რეფერატი იმდენ ძვირფას მასალას შეიცავდაო. ისე მთლიანად იყო შემუშავებული ყოველმხრივი განმტკიცება მთავარი აზრისა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ აღმოცენდა სწორედ თამარ მეფის დროსო.

რეფერენტმა ნათლად დაგვიხატაო. დანვრილებით აღარ გაპყვებოდა რევაზ გაბაშვილი პავლე ინგოროყვას რეფერატის გარჩევას, და მხოლოდ იმას დასძენდა, რომ კამათის დროს მისი შეხედულებანი არავის დაურღვევია, პირიქით — უფრო ამაგრებდნენ მის პოზიციას



მხატვარი მალხაზ იაშვილი

სხვადასხვა დამატებით. მარტოდენ დავით კარიჭაშვილი შე-
იტანდა ეჭვს, „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობა პოემის ავ-
ტორისავე დაწერილი არ უნდა იყოსო, მაგრამ მომხსენებელი
პასუხად ჯეროვან საბუთებს წარმოადგენდა და დამატე-
ციებდა, წინასიტყვაობაც იმავე ავტორს ეკუთვნის, მხოლოდ
ზოგიერთი ადგილია შერყვნილი.

ის აღტაცებული ტაში კი მარტოდენ იმ გამოსვლას არ უნდა
გამოენვია, საზოგადოებაში უკვე ტრიალებდა აზრი, რომ ქარ-
თულ მეცნიერებასა და კულტურას დიდი ძალა ემატებოდა ამ
ყმანვლიკაცის სახით, ძველ-ქართული სასულიერო პოეზიის
კრებულები რომ გაემზადებინა გამოსაცემად და წუთი-წუთზე
მოელოდნენ მის გამომზეურებასაც, და ახლა ეს საჯარო ლექ-
ცია — მეცნიერული სიღრმითა და ორატორული ხელოვნებით
— დაადასტურებდა, რომ იმედოვნებს ამ ახალგაზრდა კაცის
გამოჩენით ძალზე მყარი და მკვიდრი საფუძველი ჰქონია.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებშიც მთელი არ-
სებით რომ ჩაეფლობოდა და საქართველოს ტერიტორიული
საზღვრები და მისი დაცვა სულაც სისხლხორცეულად გადა-
ეცეოდა, ეს კიდევ ცალკე, და სწორედ ეს სწრაფვა გახლ-
დათ, რევაზ გაბაშვილის გვერდით რომ ამოაყოფინებდა
თავს უადრესად სახიფათო მგზავრობაში.

თითქოს „ოდისეას“ დაკარგული ფრაგმენტის შინაარსი
იყოს ექსცერპტის სახით გადარჩენილი, რევაზ გაბაშვილის
მემუარების ამ პასაჟს რომ გადავიკითხავთ.

გერონტი ქიქოძეც მათთან ერთად უნდა ყოფილიყო
ზღვის სიღრმეშიც და ტალღების ქეჩოზეც, რაკილა ბათუმში
სამივე გამოემგზავრებოდა.

„კაპიტანს“ ხან ფულს რომ შეაძლევდნენ და ხანაც რე-
ვოლუციური დაემუქრებოდნენ, ბოლოსდაბოლოს დაიყოლი-
ებდნენ (არ ვიცი, რომელმა საბუთმა უფრო იმოქმედაო, —
მსუბუქი ირონიით ჩაურთავდა რევაზ გაბაშვილი თხრობას),
და ამ დროს უეცრად... გერონტი ქიქოძეს მუცელი უნდა ასტ-
კიებოდა და ჩვილს მოჰყოლოდა: ავად ვარო. ეტყობა, ეს ჩი-
ვილი უკმარი მოეჩვენებოდა და მეტი დამარწმუნებლობი-
სათვის ახლა იმას მოიდებდა მიზეზად: კოსტუმი და ჰალსტუ-
ხიც ხეირიანი არა მაქვსო. რევაზი სასწრაფოდ გავარდნილი-
ყო და პერანგიც ეყიდა მისთვის და ჰალსტუხიც, მაგრამ...

გერონტი ქიქოძე ბათუმში დარჩენას ამჯობინებდა და
ტფილისში გამობრუნებას.

ძნელია გაამტყუნო, როდესაც ზღვაზე ქარიშხალი მძვინ-
ვარება, ტრაპიზონში ჩასულეებს კი — თუ ბედმა ინება და უღ-
ვთოდ არ განირა ეს თავზეხელაღებული ადამიანები — შე-
საძლოა დაპატიმრება არ ასცდეთ, რაკილა ოფიციალური ნე-
ბართვა არ გააჩნიათ და თავს ვერ იმართლებენ, თუკი თურ-
ქები ჯამუშებად შერაცხავენ. იქ მყოფი დელეგაცია სოციალ-
დემოკრატებისა თავს გამოიდებდა მათთვის თუ რა?! და კი-
დეც დაატყდებოდათ ტრაპიზონში ვაივავლახით ჩაღწეულ
რევაზ გაბაშვილსა და პავლე ინგოროყვას დელეგაციის მე-
თაურის — აკაკი ჩხენკელის — გულისწყრომა, კინაღამ თვი-
თონვე რომ გადასცემდა თურქებს დასატყუსაღებლად.

მემუარისტი არც ამტყუნებს და არც ამართლებს გერონტის,
განზე დგება და იმ რამდენიმე დეტალის აღნიშვნას კმარობს.

მუცელი ასტკივდაო.
ჩიოდა, კოსტუმი და ჰალსტუხი ხეირიანი არა მაქვსო.

თუმცა პერანგიც და ჰალსტუხიც ვუყიდე, მაინც ბათუმში
დარჩაო.

და ამით უფრო კიცხავს მკითხველის თვალში, უფრო სა-
ცოდავად და კომიკურად კი წარმოსახავს.

ესაა და ეს — არც მანამდე და არც მას შემდეგ ამ პიროვ-
ნების ხსენებაც არაა, თითქოს უმნიშვნელო კაცი ყოფილი-
ყოს, მათ გვერდით შემთხვევით მოხვედრილი, და არა საკმა-
ოდ თვალსაჩინო და გავლენიანი ფიგურა, ერთ-ერთი რჩეუ-
ლი მოაზროვნე ჩვენს ისტორიაში, არამცთუ იმხანად.

ამკარაა, ვერ იტანს, ვერა რევაზ გაბაშვილი გერონტი ქი-
ქოძეს.

გერონტი ქიქოძე რომ ვერ იტანს რევაზ გაბაშვილს, ეს
ასე ამკარა არაა და მხოლოდ ვარაუდი შეიძლება. თუმცა... სი-
მართლესთან მიახლოებული ვარაუდი, გამკვეთებული იმ
პასაჟით, „რაც მახსოვს“ რომ გვაუწყებს.

თუმც „რაც მახსოვს“ დუმილს ამჯობინებს ერთ ეპიზოდზე.
„თანამედროვის ჩანაწერებიც“ დუმილით უვლის გვერდს.

სამაგიეროდ, სოფიო ჩიჯავაძე-კედიას მემუარული თხზუ-
ლება „ნასმენ-ნახული“ შემოგვინახავდა. ეს ის მონაკვეთია,
სადაც მოგონების ავტორი გვამცნობს, რომ სპირიდონ კედიას
ზოგიერთ მონინალმდეგეს აღიზიანებდა, რომ ევროპიდან ჩა-
მოსული სპირიდონი ვერ ურიგდებოდა „საქართველოს“ რე-
დაქციაში შემჩნეულ ლაზლანდარობას და ამას არც მალავდა.

და, აი, ერთხელ გამოვიდოდა ხმა, რედაქციაში რევაზ გა-
ბაშვილმა სილა გაარტყა გერონტი ქიქოძეს და ამის გამო შე-
იქნა დიდი ყვირილი და ნიოკობაო.

მემუარისტს ის უფრო შეანუხებდა, მითქმა-მოთქმისას
ხალხი ამას რომ კითხულობდა: იმ მომენტში სპირიდონი რას
აკეთებდაო? — და მის გამართლებას შეეცდებოდა: თურმე
იგი ცდილობდა მოჩხუბართა გაშვლებას და ამ აღიარებაში
პენსნეც დაჰკარგვიაო.

ეს ეპიზოდი სოფიო ჩიჯავაძისათვის არის მთელი რეა-
ლობის ამრეკლავი ნვეთი და მწარე სინანულით დასძენს: ამ
ხალხში ვერც სპირიდონმა იხიერა და ვერც იმ საქმემ, რო-
მელსაც ასეთი კარგი პირი უჩანდაო.

„ეს ხალხი“, რომელმაც არც სპირიდონ კედია უნდა ახეი-
როს და არც კარგად დანყებული საქმე, რევაზ გაბაშვილსაც
და გერონტი ქიქოძესაც გულისხმობს, ის კი არა, სულაც მათ
შორის მომხდარი უსიამოვნება ასერიგად განზოგადებული.

რამდენადაა ეს ინციდენტი ასე განსაზოგადებული, ნუღა-
რაფერს ვიტყვი, მთავარი თვითონ ეს რეალიაა, რევაზის
პიროვნული სიფიცხის დამადასტურებელი — სილის შემოკვ-
რასაც რომ არ მოერიდებოდა.

ისე რალა გერონტის...
სულიერად ისეთ სიახლოვეს იჩენენ ერთიმეორის მი-
მართ.

მათი ავტობიოგრაფიული რომანებიც ერთიმეორის შეე-
სება და გაგრძელება სინრფელის, სიმართლისა და სიღრმის
თვალსაზრისით.

ჩვენს აღქმაში გვერდიგვერდ ამიტომაც წარმოსახულა
მათი ფიგურები.

და ყოფით რეალობაში კი...
თუმც რა გვიკვირს — როდესაც ილია ჭავჭავაძესა და ნი-
კო ნიკოლაძეს სიტყვიერი შეხლა-შემოხლა დუელამდე მიიყ-
ვანდათ, ხელის შემოკვრა ამ ორ — ჩვენთვის სათაყვანო —
მოღვაწეს შორის თითქოს იმ ეპიზოდის თავისებური გამოძა-
ხილი იყოს.

ისე ნეტა გერონტი დუელში გაენვია, ისევე, როგორც
რამდენიმე წლის წინათ „კლდელებმა“ დუელში გამოითხო-
ვეს „ცნობისფურცლები“... დუელი ამჯერადაც ხომ ისევე
ჩაიშლებოდა და უსისხლოდ გათავდებოდა, როგორც თვი-
თონ რევაზ გაბაშვილის ის შეტაკება სამსონ ფირცხალავასა
და მის თანამოაზრებთან, და საერთოდ ყველა დუელი სა-
ქართველოს ახალი ხანის ისტორიაში.

რას ვიზამთ, იმ წამს თავს ვერ შეიკავებდა და... სპირიდონ
კედია კი თავისას ჩიოდა, ნეტა პენსნე მაინც არ დამეკარგაო.

როდესაც გერონტი ქიქოძე „თანამედროვის ჩანაწერებ-
ში“ გაიხსენებდა „საქართველოს“ რედაქტორობის ხანასა და
იქიდან წამოსვლის გარემოებებსა და მიზეზებზეც შეჩერდე-
ბოდა, სრულიად არაფერს მიანიშნებდა ამ უსიამოვნო ეპი-

ზოდზე და უფრო სპირიდონ კედიას მიმართ გამოხატავდა საყვედურს, თუმცა ეს ვერ დააბრკოლებდა, რომ იგი მოეხსენებინა პატიოსან კაცად, გულწრფელ მამულიშვილად და კარგ ორატორად.

მკითხველს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ასე დაუხასიათებდა: საკმაოდ ჭრელ კონგლომერატს წარმოადგენდა და მისი ყველაზე იდეური და აქტიური ნაწილი პატრიოტულად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენცია იყო.

და გერონტი კიდეც ცდილობდა გაზეთი ამ ინტელიგენციის იდეებისა და მისწრაფებათა გამოხატველ ორგანოდ ექცია.

თუმცა ამ მხრივ წინააღმდეგობას ნააწყდებოდა სპირიდონ კედიასაგან, ვისაც მიაჩნდა, რომ პარტიას უპირველესად ქართული ბურჟუაზიის ინტერესები უნდა დაეცვა, ამ ბურჟუაზიის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილად კი აღიარებდა ქართველ კაპიტალისტებს, რომელთაც წილი ედოთ ბაქოს ნავთის წარმოებაში. ცხადია იმიტომ, რომ მათი მეოხებით დაეარსებინა გაზეთი და კვლავაც მათი შემწეობის მოიმედე გახლდათ. ეს კი გერონტისათვის უცნობი დარჩენილიყო და ამიტომაც ვერ აეხსნა, რატომ უნდა გაეხანა ბაირალად მეწარმეთა ამ გუნდის ინტერესები.

მის პიროვნულ ღირსებებს რომ ჩამოთვლიდა, არც იმას დაფარავდა, რომ სპირიდონ კედიას არც განათლება და არც სხვა თვისებები ხელს არ უწყობდა გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე გამხდარიყო; რომ მისი გონებრივი ჰორიზონტი არსებითად არა სცილდებოდა პარლამენტის კედლებს და ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა თანადროული პოლიტიკური ცხოვრების დიდ მამოძრავებელ ძალებზე; და რომ ეს უანგარო კაცი მაინცდამაინც გადაჭარბებულ სიმკაცრეს არ იჩენდა მეგობრებისა და თანამებრძოლთა შერჩევისას და ამიტომაც ყოველთვის გარშემორტყმული გახლდათ სხვადასხვა ჯურის საქმოსნებით, რომელნიც უკონტროლოდ ურევდნენ ხელს პარტიულ თანხებში და ჩრდილო კავკასიაში ცხენებს, ქერსა და ლობიოს ყიდულობდნენ, რათა შემდგომ ძვირად გაეყიდათ დამშუული საქართველოსა და სომხეთის ბაზარზე, და ამასთან ძვირფასი ნოხებიც და ანტიკვარული ნივთებიც გაჰქონდათ დასავლეთ ევროპაში.

— ამ დროს კი გაზეთს ფული არ ჰქონდა, რათა ქალაქი ეყიდა და სტამბის ხარჯები გადაეხადა. ამას მოსდევდა დაუსრულებელი კონფლიქტები რედაქციის თანამშრომლებსა და მუშებს შორის, რასაც ვერაფერს შეელოდა პარტიის ლიდერის ენაწყლიანობა.

და გერონტი ქიქოძე კიდეც მიატოვებდა რედაქციასაც და პარტიასაც, თუმცა განაწყენება სპირიდონ კედიასზე ხელს ვერ შეუშლიდა მთელი მონაკვეთი დაეთმო მისთვის თავის მემუარებში და არც კეთილი სიტყვა დანანებოდა.

ეგაა, თხრობისას მისი დაკარგული პენსნეს გახსენება არ ენდომებოდა არაფრისდიდებით!..

ქართველების სიყვარული მუშტების შეთავაზებაში გამოისახება...

თუმცა ეს ფრაზა მეხსიერებაში რომ ჩარჩებოდა პავლე ინგოროყვას, თავისთვის ისე ახსნიდა მის შინაარსს, ანუ რევანზის თეორიის სუბლიმაციას მოახდენდა იმჟამად დიდად გავრცელებული ფროიდული მოძღვრების თარგზე, რომ: „მუშტი“ პირდაპირ კი არ უნდა გაგვეგო, არამედ მინიშნებად იმის თაობაზე, ქართველებს იოლად რომ შეგვეძლო ერთმანეთისათვის დავალებების მიცემა.

და ასეც რომ მისწერდა იროდიონ სონღულაშვილს და ხუმრობა-ხუმრობაში თავის ამ ინტერპრეტაციასაც გაცნობდა (სამ დავალებას რომ მისცემდა, თვითონ ჭლექის გართულების გამო რომ ვერ ახერხებდა თავის მობმას, ამ დავალებებს მუშტებად მოიხსენიებდა რევანზ გაბაშვილის თეორი-

ის კვალობაზე), ადრესატი პირველად ამას გაიფიქრებდა: რა ენაღვლება, რა, მაგას ხომ რეზოს მუშტი არ უწენევიაო!..

ნეტა გერონტი ქიქოძეს რომ შემოჰკრავდა, ამით სიყვარულსა და პატივისცემას ხომ არ გამოხატავდა მისადმი?!

ეჰ, ნეტა მართლა ასე მომხდარიყო.

მაგრამ რაღაც... რაღაც ვერ ვატყობთ ვითარებას, რომ ასე ყოფილიყო!..

მაშინ სპირიდონ კედიას პენსნე ხომ აღარ გაიწირებოდა.

როგორი უცნაურიც უნდა მოგეჩვენოთ, გალაკტიონ ტაბიძე ძალიან დაინტერესდებოდა ამ თემატიკით... როგორ ვთქვათ... როგორ და პირდაპირვე: გარტყმის თემატიკით...

მანამდე სკანდალები დაეჯგუფებინა ცალკე და გარტყმის ეპიზოდებიც იქ ჩაერთო: სილა პოლიცემისტრესო; სილა კოლია რამიშვილსო; სილა გუცა ფარქოსაძესო; პირდაპირი სილა. ის პოლიცემისტერი მოხსნესო; რეალური სილებიო.

მაგრამ ვერ იკმარებდა.

ამიტომაც უფრო ფართო სარბიელს დაისაჭიროებდა.

ჯერ სინონიმებს ჩამოამწკრივებდა: ერთი ისე სცევცხლა სახეშიო, ერთი ისე გაჰკრაო, გაუშალაო, ლენაო, აადოო, შემოჰკრაო, ჩაარტყაო, დაჰკრაო, სდრუხაო, ხეთქაო, თხლეშაო, უთაქაო, სდოო, ოჰო, მოხვდაო, სტკიცაო, სტკეცაო, სილა გაანაო, გაასილაქაო.

ჩაუკვირდებოდა ამ მოვლენას დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალში“, მიხაილ ლერმონტოვის პოემაში „სიმღერა ვაჭარ კალაშნიკოვზე“, ნიკოლაი გოგოლის „ტარას ბულბა-სა“ და მოთხრობაში „ამბავი, როგორ წაიხზუნენ ივან ივანოვიჩი და ივან ნიკოლოზოვიჩი“. და, ცხადია, საგანგებოდ ჩაუკვირდებოდა ალექსანდრე ყაზბეგის ფსევდონიმსაც „მოჩუბარბიქ“.

რაც შეეხება ეპიზოდებს გამოჩენილ თუ უჩინარ ადამიანთა ბიოგრაფიებიდან, სილის გარტყმას რომ უკავშირდებოდა, საგანგებოდაც ჩამოწერდა და კიდეც დანომრავდა 34 მუხლად.

აქაც შეიძლება გავიმეოროთ, ოღონდ იმ სტრუქტურით კი არა, ბიბლიური სტილისტიკით.

და კარგა იცოდა ისიდორემ, მასწავლებელმა გარტყმა! ისეთი სილა გაარტყა გოგიას, რომ კედელს (რატომ?) გააკრა; და ისიდორემ და ივლიანემ რომ დასცხეს ერთმანეთს; და აბესალომმა — გოგასაძეს; და აბესალომმა — შკოლელს; და სერაპიონმა — პოლიკარპეს (გამომტყუაო); და აგაბომ — ლონგინოზს (ესაა შენიო?); და თესია ლომიძემ გაარტყა მასწავლებელს; და რატომ მოსდის ბევრ ბავშვს თამაშობის დროს (მაგალითად აგერ ლორთქიფანიძე); და ევგენას გარტყმა; და სტუდენტმა მიქელაძემ მისვე ამხანაგს ბულვარის ტროტუარზე რომ გაარტყა; და ინსპექტორმა ჯაფარიძემ გაარტყა სასწავლებლის უფროსს — გრეკოვს; და მაჭავარიანმა გაარტყა ხოშტარიას; და ბურდილაძემ — ბურდილაძეს; და უბირიამ — მეზოვებს; და ეზეკიამ — მეზეკიას; და ტიცინამა — გრიშაშვილს; და ალიმ — შანშიაშვილს; და ავდევემა — რობაქიძეს; და პაოლომ — ავდევეს!!! და შანშიაშვილმა — ალის; და ქუჩიშვილმა — ამაშუკელს; და ამაშუკელმა — ქუჩიშვილს; და ჯუღელმა — ამაშუკელს; და ლორთქიფანიძემ — ჩიქოვანს; და ორეულმა — ფარქოსავას; და კოლაუმ — იაშვილს; და ნაფეტვარიძემ — მიქელაძეს; და მაჭავარიანმა — ჯაფარიძეს; და ჩხეიძემ — იუნკერს; და თავადმა — ჭიპაძეს; და ბაბლინამ — გრიშაშვილს; და კიტა აბაშიძემ — სკოლის უფროსს (დაეცენენ); და სცენა რიყეზე და „რა გინდებინიენ“.

მისთვის ყველა ეს პერსონაჟი მეტ-ნაკლებად ნაცნობი გახლდათ, ზოგი — საკმაოდ ახლობელიც, ერთი — სულაც სისხლით ნათესავი, და ამ ჩამონათვალში არსადაა ხსენება რევანზ გაბაშვილსა და გერონტი ქიქოძეს შორის მომხდარი იმ უსიამოვნებისა. როგორღაც მიყრუებულიყო ის ეპიზოდი, დაფარული დარჩენილიყო გალაკტიონისათვის, ისევე, როგორც ის უსია-

ჯარჯი ფხოველი

ხელის-გულის ანაბეჭდები

ორიოდე სიტყვა იორამ ლუდუშაურის მთავარ წიგნზე: ეს არის „მოხეურ სიტყვათა ლექსიკონი“... ქართული ენის ძირისძირი და გამორჩეულობა დიალექტებში დევს. ენათმეცნიერთა და ლექსიკოლოგთა დიდი და გულმოდგინე შრომის მიუხედავად, ბევრი რამ დღემდე მაინც დაფარული და ასახსნელია. ამ მხრივ ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი მისაღები და მისასალმებელია.

პოეტმა იორამ ლუდუშაურმა წარმატებით მოიგო ლექსიკოგრაფობა (ამის გამო, ალბათ, მეცნიერი ლექსიკოლოგებიც იტყვიან თავიანთ სიტყვას). „მოხეურ სიტყვათა ლექსიკონის“ მაგალითები და განმარტებანი კიდევ ერთხელ მოწმობენ მოხეურის ტევადობას, გარდასახვის ძალას, ექსპრესიულობას, ხატოვნებას... ამგვარი წიგნები უეცრად არ იქმნება. როგორც ჩანს, იორამ ლუდუშაური ამ წიგნს დიდხანს წერდა: წერილობითი წყაროებიდან და უფრო მეხსიერებიდან და მოხევეების საუბრებიდან ამოკრებილ სიტყვებს წონდა, ზომავდა, თავგამოდებით არჩევდა...

ამ მცირე რეცენზიას მივანდობ ჩემს ჩანაწერებს: გამიგებს მკითხველი! ამ ჩანაწერების საწინიდან მივესალმები ხნიერ ვაჟკაცს იორამ ლუდუშაურს და დავძენ, რომ არაფერი არ იკარგება: კეთილი საქმე არ იკარგება, კარგი ლექსი არ იკარგება, კარგი წიგნი არ იკარგება!..

ვითყვი: „მოხეურ სიტყვათა ლექსიკონი“ გულისაკენ მიმავალ გზას ადგას... ეს არ არის მოხეურის სრული ლექსიკონი! მალე, ალბათ, ესეც აღსრულდება და ეს წიგნი პირველი მძლავრი ნაბიჯია და ეს ნაბიჯი პოეტმა აღასრულა... „ნეტა მინდიათ თუ ჩაუჯდებოდა სალექსიკონო მასალის თავმოყრას, საამისო გარემოში რომ მოხვედრილიყო?.. ჩაუჯდებოდა, უსათუოდ ჩაუჯდებოდა“. წერს როსტომ ჩხეიძე წიგნის ბოლოსიტყვა და დართულ ესეიში „მინდიას სულის ანათალი“. ვინც იორამს იცნობს, იმას აღარ გაუკვირდება ეს ზედმინვენით სარწმუნო შედარება...

ასეთი იორამიც მახსოვს: ნათელი მზერით გახედავს დარიალის შენისლულ ხეობას და იტყვის: „ამ გზით შემოვიდნ რუსნი... ამგ ზითვე გადავრეკავ!“ და იცი, რომ ასეც მოხდება: ადვილ არ იტყვის სამამაცო სიტყვას ხნიერი მესიტყვე, ვისაც ჯერ კიდევ გულიც ერჩის და მკლავიც და კალამიც...

ამასაც ვიხსენებ: „მიყვარს მეფუტკრეები: თავისი ფილოსოფია აქვთ, თავისი იმედი, თავისი მომავალი“... ამბობს იორამი და თვალი ჩემზე უჭირავს: ამონმებს მეფუტკრის აზრს...

მახსენდება კანაღბეველი ვაჟკაცი ვანო ხორნაული, მისა ხელაშვილის ლექსების გადამრჩენელი, მთის ფოლკლორის შემგროვებელი, ხალხურ მესიტყვეთა ჭირისუფალი, მეფუტკრე... მისი სულისკვეთებაც ასეთი იყო: „მე ისიც მიყვარს, ვისაც ფუტკარი უყვარს, ყველა მეფუტკრე ჩემს ძმად და მეგობრად მიმაჩნიაო“...

ძნელი და საჭოჭმანო საქმეა სრულყოფილი ლექსიკონის შედგენა, მითუფრო დიალექტური ლექსიკონისა მაშინ, როცა არამარტო ცალკეულ ხეობასა და თემს, არამედ თვითვე სოფელსაც კი „თავისი“ სიტყვები აქვს, თავისი გამორჩეული კილოკავი აქვს... ცხადია, იორამ ლუდუშაურიც ვერ ასცდებოდა ამგვარ „ხიფათს“. მთავარი საქმე მაინც შესრულ-

მოვრო შეხლა, ბენია ჩხიკვიშვილი შალვა ნუცუბიძეს რომ შემოპკრავდა სილას, ამას კი სტუდენტთა მღელვარება მოჰყვებოდა, ტფილისქალაქის თავისაგან სულ ცოტა მობოდიშებას რომ მოითხოვდნენ, ისე კი მკაცრი სასჯელისთვისაც არ დაენანებოდათ, როგორ თუ ჩვენს უსაყვარლეს ლექტორს ეს ჰკადრესო.

— ყველა ყველა და ის ეპიზოდი მაინც როგორ არ მიწვდებოდა მის ყურთასმენას, ტიცციან ტაბიძე ვანიჩქა ნინოშვილს რომ შემოპკრავდა და მერე ორივე ტალახში იგორავებდა? შეზარხოშებულები მოდიოდნენ ვერის ბალებიდან, ბაბაჯუას დუქნიდან, და გრიგოლ ცეცხლაძეს სამუდამოდ აღებეჭდებოდა ხსოვნაში, თუ როგორ უკითხავდათ ტიცციანი თამუნია ქავთარაძისადმი მიძღვნილ ლექსს, როგორ წააქეზებდა პაოლო იაშვილი ვანიჩქა ნინოშვილს: მიდი, თამუნია შეუგინეო, — და როგორ აჰყვებოდა ისიც... და პასუხად კიდევ მიიღებდა სახეში გალანუნებას...

მამ გამორჩენილია, არა? განა რა დაშავდება, ჩვენ თუ ჩავუმატებთ.

და გაართყა რევაზ გაბაშვილმა გერონტი ქიქოძეს, და ბენია ჩხიკვიშვილმა — შალვა ნუცუბიძეს, და ტიცციან ტაბიძემ — ვანიჩქა ნინოშვილს...

ისე გულმოდგინედ კი ემუშავა ამ უჩვეულო (უცნაური რომ აღარ ითქვას) სიის შედგენაზე გალაკტიონს. სახელდახელოდ ამდენი ამბავი ასე ერთბაშად არ გაახსენდებოდა, ცხადია... არადა, ნეტა რას აღენთო საამისოდ? რისთვის ადგენდა ამგვარ სიას?

ასეთი სტრიქონები, დანომრილი, არაერთი შეგვხვდება გალაკტიონ ტაბიძის უბის წიგნაკების თვალთვრებისას, და ყოველთვის ერთი შთაბეჭდილება დავგრჩება — ესაა წინასწარი გეგმა, ზოგადი მონახაზი სტატიის შესადგენად — მემუარული იქნება თუ ანალიტიკური.

და ამჯერადაც შემთხვევით არ უნდა იყოს გარტყმის ეპიზოდები ჩამომწკრივებული — მოსალოდნელია, რომ თვითვე ული შესაფერისადაც გაშლილიყო, მიზეზებიც გამორკვეულიყო თუ დაზუსტებულიყო და პერსონაჟთა სილუეტიც რელიეფურად, თუნდაც ლაკონურად, მოხაზულიყო.

არა, მართლა რამ მოაფიქრა ამ შინაარსისა და სულისკვეთების ნარკვევის დაწერა?

რაღაც ძალზე პირადული მოტივიც ხომ არაა შიგ გამოხვეული?!

შესაგროვებლად და მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების ასაგებად არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული ამ თემის შესწავლა, თუმც, აბა, ახლა სადღა გავწვდებით, სად მოვიძიებთ, სად ამოვკრებთ — ჰა, ერთი-ორს თუ მივაგნებთ... მაგრამ გალაკტიონის ამ განზრახვის მთელი ეფექტი ისაა, უამრავი რომ უნდა დახვადეს... მხატვრულმა ანალიზმა კი მოულოდნელი კუთხიდან შეგვახედოს საზოგადოებრივი ყოფის მდინარეებს, თანაც თხრობისას დრამატიზმი და მხიარულება ერთიმეორეს გადაეჯაჭვოს, თორემ ღრმად სერიოზული განსჯა თვითონ განზრახვას აქცევდა სასაცილოდ.

და გაართყა რევაზ გაბაშვილმა...

ყველა მისი ასეთი გაგულისება რომ ვიცოდეთ, ნეტა რამდენი მაგალითი მოგვიგროვებოდა გალაკტიონ ტაბიძის იმ უცნაური სიისა თუ კოლექციის შესავსებად?!

რამდენიმე მწერალი შეიყრებოდა და პავლე ინგოროყვა რაღაცას მოაყოლებდა:

— თქვენც გაგეგონებათ რეზო გაბაშვილის მუშტების თეორია.

მარტო რომ გაგვეგონოს, რა უშავს... ისე კარგი თეორია ეგ იყოს, მეტი არაა ჩემი მტერიო, — გაიფიქრებდა გერონტი ქიქოძე, — ორი რეზო გაბაშვილი რომ იყოს ამქვეყნად, მალე არცერთი აღარ იქნებოდა, ერთმანეთს დახოცავდნენო.

ლებულია, ხოლო სამომავლოდ ამ ლექსიკონის შევსება და სრულქმნა უკვე ლექსიკოლოგების ვალია!.. იორამ ლუდუშაურს დღემდე ვიცნობდით როგორც მრავალმხრივ საინტერესო პოეტს; ვფიქრობ, მის ნიგნებში გამორჩეულია „ფარული ცეცხლი“, ხოლო „მოხეურ სიტყვათა ლექსიკონი“ მის მთავარ ნიგნად მიმაჩნია. ასე ფიქრობს როსტომ ჩხეიძეც, ვისი ესეისტური ჩანახატიც ბოლოსიტყვად ახლავს ლექსიკონს, სადაც ბევრი რამ საგულისხმოა ნათქვამი ლექსიკონის ავტორზე: ხნიერ, მაგრამ უტეხ მწერალზე...

ეს მინდა რომ ვუთხრა დღეს პოეტების უკვდავ საძმოს: „მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით, ვერსიფიკატორებო!.. მოგესალმებით, მოგესალმებით, მოგესალმებით, წინასწარმეტყველებო!..“

ფიქრი დაგუბდა შენს ფურცელზე: ეუცხოვა ეს ნაპირები, სხვა მდინარის კალაპოტში გადაგდებულ მდინარესავით...

ახალგაზრდა კამიუს ფოტოსურათი ლიტერატურული ჟურნალის გარეკანზე. პირისახე: მიმდობი და უარყოფელი... იოლად ის არაფერს არ დაგიჯერებს! საყელო ბოლომდე აუნევი: თითქოს ვიღაცას ემალება! ნუთუ ისიც აუტისტი იყო?.. იქედნურად გაჰყურებს მსახვრალ სამყაროს: „ვითა ასპიტი მჭვრეტელთა მისთა თვალითა მლაღავი“... (რუსთაველი).

უდაბნოს გზაა დღეს პოეზია. დარდი და სიტყვა ქვიშას ერევა.

აჰა, სტრიქონი: ქვიშის მარცვალი. პოეტის ლანდი სდგას მირაჟივით...


ვიგონებ ჯემალ აჯიაშვილს, ძველ მეგობარს: ერთ-ერთ ბოლო შეხვედრისას ვუთხარი: ედგარ პოს „ყორანზე“ თუ გიფიქრია-მეთქი. შესაძლოა, მართალიც ხარო, დამიდასტურა, თანაც დასძინა: მე რომ ვიცი, იმ ენებზე „ყორანი“ სულაც არ არის ის, რაც ლიტერატურის მეთვრამეტე და მთარგმნელებმა მოიტანეს ჩვენამდე: ეს ხომ ერთგვარი შიშის წრეა, ვფიქრობ: შევძლებ, ვერ შევძლებ?! ვინ იცის, ეგებ შიშის წრე გადალახა და მის არქივში აღმოჩნდეს „ყორანის“ თარგმანი. ეს უდავოდ სასიამოვნო მოულოდნელობა გახდება!

დიდი პოეტის ზნეობრივი ამალგება: გალაკტიონმა მაშინდელი საბჭოურ-კომუნისტური პოპულარობის „საზომი“ ლენინის ორდენი ერთ ჭიქა არაყში გადაცვალა!.. გაუმარჯოს დიდ გალაკტიონს!

ბევრი რამ ითქმის. ესეც ერთ-ერთი გამოცანა: მე ვიცხოვრე ორი გენიოსი პოეტის ეპოქაში. ერთი: ბ.ა.! მეორე: ზ.კ.! დაბეჯითებით ვიტყვი: მივანდოთ ახალგაზრდობის შეურყვნელ და ნათელ გონიერებას და გემოვნებას ამ ორი ადამიანის არქივების შესწავლა!

პოეტების სტიგმატიზაცია: აი, ასე შორს წავიდნენ პლატონის სულიერი მემკვიდრეები და მიმბაძველები! პოეტობა ხომ ავადმყოფობაა, თანაც საშიში! პოეტის დამლით დღეს

შორს ვერ ნახვალ: შენ არ გეკუთვნის დაუყვედრებელი ლუკმა, ანუ ჰონორარი, არ გეკუთვნის თავშესაფარი, არ გეკუთვნის ფეხმოსაკიდი მშობელ მინაზე და ა.შ. პოეტი იდეენება, როგორც საშიში ნადირი! მან საკუთარი გამოქვაბული უნდა ეძებოს: საკუთარი თორა-ბორა... ეგებ სჯობს, რომ სულაც საპრობილეში დავამწყვდიოთ და იქ დალპეს მისი ავადმყოფური არსი! ჰა, შენ რას იტყვი?



მეუბნება: ჩვენ ხომ გამორჩეული ხალხი ვართ! კაპიტალიზმაც განსაკუთრებით გამოგვარჩია: ყველგან რო ბედნიერება და სიმდიდრე მოაქვს, ჩვენ მოგვიტანა ყველაზე უფრო დამორღუპველი და დამამცირებელი რამ: უკიდურესი სილატაკე!

ბევრი რამ მისი ნატვრის საპირისპიროდ მოხდა: ერთ ლექსში ხომ ინატრა: „ნეტაინ, ჩემო სახელო, დიდხანამც იხსენებოდე, ჩემო ნათქომო სიტყვაო, შენამც კი გაჰქვეყნდებოდე; შენ, ჩემო საფლავის კარო, შენამც კი აჰყავდებოდე, სახლო, არ დაიშლებოდე, ცოლო, არ გათხოვდებოდე...“ ნატვრა არ აუხდა! მისი სახლი ახადში დაინგრა, ეზო-კარი გაუდაბურდა! ცოლიც გათხოვდა!.. ხოლო მისი „საფლავის კარი“ დიდხანს იყო მივიწყებული ჩარგლის უდიდებამო სასაფლაოზე... ხოლო ზოგი ნატვრა მაინც აუხდა: მისი „ნათქომი სიტყვა“ ბოლოსდაბოლოს გაქვეყნდა, მისი შედეგები ქართული ლიტერატურის უკვდავ ნაწილად იქცა... „დიდხანს ხსენების“ ნატვრაც აუხდა... ხოლო დედის ცრემლი, სამწუხაროდ, არ ეღირსა: ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში მოხუცი დედა ნამებით მოჰკლეს კომსომოლის აქტივისტებმა... მიხამ დიდი შემწყნარებლობა გამოიჩინა: დედის მკვლელები არ ჩახოცა!.. ოღონდ ერთ ლექსში კი თქვა: „მტერიც არ შამხვდა მტრის ფერი, ვარ უბედურის დღისაო!..“

მეოცე საუკუნის შედეგები: წმინდა ვაჟა-ფშაველას „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“... უშანგი ჩხეიძის ხმა... გრიგოლ რობაქიძის „ლამარა“... ჰამლეტ გონაშვილის ფოლკლორი... სულაბერიძის და დოლაბერიძის „ქართული“... სუხიშვილების ბალეტი... გალაკტიონი... გიორგი ლეონიძის „თამარ“ და სხვა ლექსები... ტიციანი... ნიკო სამადაშვილი. გრანელის ლექსები პროზად... ხელაშვილის „ლექსო, ამოგთქომ“ და სხვა... ხოლო რაც „გამომრჩა“, იმას ყოვლისმომცველი მრავალწერტილი დაიტეეს!..

აზარტული ვაჟა-ფშაველა! ის იყო პოეტური ენის დიდი მოთამაშე: მისი ლექსები, პოემები, მისი პროზა, მისი პუბლიცისტიკა ნაყოფია დიდი და ღრმა ლიტერატურული თამაშის: გონით და გულით თამაშის შედეგი... შენ კი ასე ფიქრობ: ვაჟა-ფშაველა და ლიტერატურული თამაში, აბა, ვის გაუგიაო! ასეა: არავის გაუგია და ეს ამბავი თვით დიდმა პოეტმაც, შესაძლოა, არ იცოდა, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცი, რომ მრავალი შეჭირვებით უპრობილი პოეტი ამ თამაშისთვისაც იცლიდა! ეს

თამაში იყო მისი უმთავრესი საქმიანობა: ამ დროს ის ზეკაცად გრძნობდა თავისთავს და მხარზე ეჯდა მთების არნივი...

ისე მომხვდა იმისი სიტყვა, თითქოს ცხვირპირში ცხელი წყალი შემომასხეს: მღულარეგადასხმულივით ერთხანს გაოგნებული ვიდექი, თვალდაბნელებული, დაფანტული, თავდალუნული, ხოლო როცა გონი მოვაგროვე და თვალის გავახილე, წამიერ იმისი პედიკურიანი ფეხის ფრჩხილები დავლანდე: ნითლად მოთხვრილი ბრჭყალები დედალი ნადირის: ცივად გარინდულები, დაძაგრულები, ავი ნიშატი შეპყრობილები...

მეუბნება: მაგას ეშმათრუეში ვირდევი შეხვდა: იმას დაეჭიდა და ჩანგრეულ-შელუნულ მკერდს რო ხედავ, ეგ ვირდევისგანაა! ვირდევა ტოტი დაარტყა, მკერდი შეუნგრია და ჩამოიცილა. ამტანია და იმასაც გაუძლო: ასე მკერდჩაღეწილმა მოაღწია სიბერემდე...

სისხლიანი და ავი სიზმარი ვნახეო, მეუბნება: თითქოს კრწანისის ველზე ვიბრძოდი. მტრებმა ძირს დამცეს, ხანჯარი შემომხსნეს და ნოლა რუსს მთართვეს, შენი იყოსო... ვეუბნები: ვისაც გინდა იმას გაატანეთ, ოლონდ მაგას არ მისცეთ, მაგას არ ეკუთვნის-მეთქი, მაგრამ ვინ დამიჯერა!.. მისცეს, იმანაც ქამარში გაიყარა, მერმე შავრას მოველო და გაჰქუსლა... აი, ეგეთა ავმა სახილველმა მომიშხამა ეს ღამე, ჰო...

საარაგვო: უკაცრიელი ქალა, სადაც მარტო მეომრისა და გუთნისდების კვალი კი არ დარჩენილა, არამედ ძველი მელექსისაც, ხალხური ინტელექტისა და ნიჭის მტვირთველის კვალიც... უუანგი ლითონით მკვრივი და კამკამა მათი სიტყვა, მათი ბრძოლა ცხოვრებასთან, სიკვდილთან, პოეზიის დემონთან... აი, მათი სახელები: ჭრელა, შეთე, მათე, პაპი, ხევსურა, ზამთარა, დავითო, ვახტანგი, ხთისო და ა.შ... მშვიდობით, ან უკვე სულეთის მკვიდრნო, საარაგვოს მთების ალალო მესიტყვებო!

იმარტვილე და ითავცემე რამდენიც გინდა! საბოლოოდ და ბოლოსდაბოლოს მაინც აღმოაჩენ, რომ ამ უფესკრულში — სამყაროს თვალშეუვალ უფესკრულში — ხარ მიჯაჭვული და შენს გულს, შენს ყოვლისმეცნაურ არსებას შავეთიდან მოფრენილი არნივი კორტნის. არა, ეს არ არის ამირანის მითის გამეორება! კაცობრიული ბედისწერა არ მეორდება! ის ხელახლა იქმნება და წარმოისახება ყოველჯამს და რაიმე ნიუანსით თუ გარდასულს გვაგონებს, ეს არამცდაარამც გამეორება არ არის!.. დღე რომ თენდება: წინაღლე კი არ გრძელდება, არამედ თენდება ახალი დღე. დღე დღესა ჰგავს, ტკივილი — ტკივილს. ხოლო ეს მსგავსება გამეორება არ არის! ჩვენი ბედისწერული მიჯაჭვულობაც მხოლოდ მსგავსია ამირანის ბედისწერისა!

ჩემი სიდედრი ნინო ობგაიძე ყვებოდა: ალექსიმ რო მომიტაცა (საუბარია ცნობილ მოღვაწე ალექსი ჭინჭარაულზე!), ისევ ბალლი მეთქმოდა. ცნობით კი ვიცნობდი ალექსის: ჩემს მამინაცვალთან, ხევსურეთის ერთადერთ მღვდელთან დავით ლიქოკელთან ხშირად მოდიოდა-ხოლმე; იქიდან ვიცნობდი... ნინო ობგაიძის ნათქვამს ასე გავაგრძელებ: ქალის მოტაცება საკმაოდ საჭოჭმანო საქმე იყო ხევსურეთშიც და

მთელ საქართველოშიც. შესაძლოა სისხლიც დაღვრილიყო, თუკი მღვევარი მომტაცებლებს წამოეწეოდა და შეებრძოლებოდა. ამიტომ მღვევარი რალაც „მიზეზით“ სულ ახლოს იყო, მაგრამ ვერ წამოეწეოდა, რაც ხშირად ცხენის უვარგისობას ბრალდებოდა... სიმართლე კი ამგვარი გახლდათ: ეს იყო სასიკვდილო შუღლისათვის თავის არიდება!.. ამჯერადაც შატილის გზაზე მღვევები, ლიქოკელი ხევსურები, სულ ახლოს ჩანდნენ და შატილის შავფერი ციხე-კოშკები რომ გამოჩნდა, მაშინ შეაბრუნეს ცხენები და კვლავ ლიქოკისაკენ გაქუსლეს!.. ამ ჩანანერის ბოლოკუთა ასეთია: მე უნდა გავიხსნო ხევსურეთის მღვდელი დავით ლიქოკელი (ბაბუა), ღვთისნიერი კაცის ლიქოკის თემიდან. მან მთიულეთში, ერთ-ერთ სოფელში ობლად დარჩენილი ოთხი ბავშვი და მათი დედა წამოიყვანა ლიქოკში: ბავშვები აღზარდა და ქრისტიანულად დააკვალიანა... როგორც ამბობენ, ხევსურეთში მან ჭეშმარიტად გააძლიერა ქრისტიანული სული!

კარგად გვანსოვს დიდი აკაკი ბაქრაძის გულისშემძვრელი წიგნი „მწერლობის მოთვინიერება“... აღარ არის აკაკი ბაქრაძე, აღარც საბჭოეთის დამთრგუნველი მარწუხები სჩანს, მაგრამ ქართული მწერლობის მოთვინიერება კვლავ გრძელდება, ახლა უკვე მსოფლიო გლობალიზმის ხელდასხმით და „კარნახით“. ამ შავბნელ პროცესს დღეს თავისი კრიტიკოსი გამოუჩნდა ახალგაზრდა პატრიოტი ქართველის ლევან ბებურიშვილის სახით... ყურნალმა „ამერ-იმერმა“ გამოაქვეყნა მისი გულისშემძვრელი წერილი „მწერლობის „მოთვინიერება“ გრძელდება“ (1. 2013 წ.)... აქვე უნდა ვთქვა, რომ გლობალიზმი პატარა ერების დამაქცეველია: ამის კვლდაკვალ მსოფლიო სივრცეს აღარბებს, აჩანაგებს, ბუნებით ფერს და სურნელს ართმევს!.. ეხლა მტრობის დრო არ არის: დაფიქრების დროა, და ვინც მიჰქარა, იმან კიდევ მოინანიოს!.. ხოლო ამ ახალგაზრდა პატრიოტ ლევან ბებურიშვილს დღეს თუკი ვინმე მტრობას გამოუცხადებს, ალაღად ვიტყვი, იმან მეც მტრად ჩამთვალოს!.. მჯერა: ამ აზრს იზიარებს ქართველი მწერლების უმეტესობა.

აქ ცხოვრობდა სიტყვების მოდგმა: ხალხი, მოსული ისტორიის უკუნეთიდან: მათ ჩვენს გულებში შეაბიჯეს და იქ იცხოვრეს, მეხსიერების ყრუ მინდვრებშიც გადამტკავლეს ნაჯაფარ ხელით... და გულებშიც და ხსოვნის ველებზეც გამოზარდეს თაობები აურაცხელი... აქ გაიზარდა მათი მოდგმა: აქ უყვარდათ ერთიმეორე... და კიდევ ევენენ: ზოგმა თავიც შეირცხვინა, მაგრამ მაინც იმდენი შეძლეს, რომ თავი გაგვასვენეს და წარსული შეგვაყვარეს და ეს მინა შეგვაყვარეს, უდაბური და უშრეტი ნალველით სავსე... ჩვენი გულები და სულელები და თვალელები, დაკეჭნილები, იმ ძველი მოდგმის ნასახლარეზია, დაუვინყარი... და ჩვენს შუბლებს და ჩვენს დამსკდარ ხელისგულებს მათი ნაკვალი აჩნევია ჭრილობებივით...

ამ ინტერვიუს გამო მთელი ერთი თვე მირეკავდა. გაგბრიყვდი, შეგვხვდი... ინტერვიუ სულ ერთ კითხვას მოიცავდა და უმაღლესად დამთავრდა: „როდის დაინწყე პოეზიის კეთება?..“ „გამასწარი, შენი!.. გამასწარი შე!..“ გამასწარო!..

ერთ „პოეტს“ ვიცნობ: შეადგინა რითმების ვეებერთელა ლექსიკონი. პოეტებს სთავაზობდა სარფიან ფასად!.. ნეტავ ერთი ცალი მაინც თუ გაყიდა?

თამარ შაიშმელაშვილი

„მოდი, ნავიდეთ აფრიკაში!“

(ქართული ქირურგი ნინაგაბისა და ჰიპოპოტამის ქვეყანაში)

თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს ექიმი-ქირურგი ნინაგაბისა 3 წელი მოზამბიკში მუშაობდა, საიდანაც უამრავი შთაბეჭდილება გამოიყვანა. მან 1998 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და ზოგად ქირურგიაში ორდინატურაში სწავლა მოსკოვში განაგრძო. დისეტაციაც იქვე დაიცვა: „ღიაბეტური ტერფის გართულებები (ქირურგიული)“.

„ერთ მშვენიერ დღესაც, როცა ყველაფერი კარგად იყო ჩვენს ცხოვრებაში: არც პროფესიული ზრდა გვაკლდა და არც ფინანსურად ვშიშობოდით, — მოდი, ნავიდეთ აფრიკაში! — გადავწყვიტეთ მე და ჩემმა მეგობარმა... რა თქმა უნდა, კარგი ანაზღაურებაც გვინდოდა, მაგრამ უფრო ფათერაკებს ვეძებდით... ის სურათი კი, რაც იქ დაგვხვდა, ჩვენთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. აფრიკის ქვეყნების ინგლისურენოვან საელჩოებში გაგზავნილი გვექონდა განცხადება. მოზამბიკიდან მოვიდა მოთხოვნა ექიმებზე.“

მოზამბიკი პორტუგალიურენოვანი ქვეყანაა, მისი საელჩო არის მოსკოვში, რადგან ყოფილი სოციალისტური ბანაკის წარმომადგენელია, დროშას ვარსკვლავი და გერბს — კალაშნიკოვი ახატია. ნაცნობმა მოსკოველმა ექიმებმა გვირჩიეს, მშვიდობიანი ქვეყანაა და ჩამოსვლა შეიძლებაო. სახელმწიფო კონტრაქტი გაფორმდა და მოზამბიკში გავემგზავრეთ.

— თქვენი ხარჯები მოზამბიკის მთავრობამ დააფინანსა. როგორც ჩანს, ექიმების პრობლემა აქეთ... —

ეს პრობლემა დიდხანს ექნებათ. მილიონნახევრიან დედაქალაქ მაპუტუს მხოლოდ 5 ქირურგი ჰყავს, და ორი საავადმყოფოა. ქვეყანა სილატაკის ზღვარს მიღმაა, იმდენად მიღმა, რომ თავიდან სრულ შოკში ვიყავი, დაახლოებით ნახევარი წელი არ მესმოდა, როგორ მოვხვდი იქ, საერთოდ, და თუ კიდევ არსებობდა ასეთი ადგილები დედაქალაქში. პირველი — ხალხს განათლება არ აქვს, ფაცხებში ცხოვრობენ, ვისაც ფაცხა არ აქვს, ქუჩაში, ღია ცის ქვეშ ათენებს, მეორე — აკლიათ საკვები, წყალს პირდაპირ ტლაპოდან სვამენ... შეიძლება ითქვას, რომ XV-XVI საუკუნეებიდან შემორჩენილი ჩვევები ისევე მრავალადაა, როცა იქ პორტუგალიელები ჩავიდნენ და ინდოეთის ოკეანის სანაპიროზე კოლონიები დარჩათ: ანგოლა, კაპო ვერდე, მოზამბიკი...

თავიდან სამი თვე მაპუტუსში საკმაოდ პროდუქტიულად ვიმუშავეთ. ოპერაციები გავაკეთეთ ლაპაროსკოპიულ ქირურგიაში. აპარატურა დაგვხვდა, რადგან მოზამბიკს მსოფლიო აქტიურად ესმარება, თუმცა ქვეყანაში კორუფციული, ტომური ანუ თემური წყობილებაა. პრეზიდენტი ერთი კლანის წარმომადგენელია და ხელისუფლებაც მათ ხელშია.

ვეცადე დედაქალაქში დარჩენა, რადგან იქ შედარებით ცივილიზებული პირობები იყო, მაგრამ პროვინციებში ექიმების ნაკლებობის გამო ზამბეზის პროვინციაში გამოიშვეს სამუშაოდ, იქ, სადაც სამი ქვეყნის საზღვარი გადის: ზამბიის, ალავისა და ზიმბაბვეს თავშესაფარი. აქედან დაახლოებით 300 კილომეტრია ვიქტორიას ჩანჩქერამდე.

— და როგორი სურათი დაგვხვდათ პროვინციაში?

— ზამბეზი ერთ-ერთი დაძაბული რეგიონია მოზამბიკში მალარიისა და შიდსის ავადობით, არანორმალური ტემპერატურული რეჟიმი: 45-50⁰-ით, უღატაკესი ხალხით: ვირთხებს და ფოთლებს, ბალახებს ჭამენ. სასმელი წყალი არ აქვთ და, შესაბამისად, ქოლერის აფეთქებებია. სახელმწიფოში ოფიციალურად კეთრია გავრცელებული, ხოლო ყოველი მესამე შიდსით არის დაავადებული.

მალავიში ვნახე, როგორ ყიდდა ბიჭი მოხარულ ვირთხებს. ქალაქი სავესე იყო მანანალეებით... ქუჩების დატბორვის შემდეგ მძვინვარებს ქოლერის ეპიდემია. მოასვალტებულ ქუჩას მხოლოდ ქალაქის ცენტრში ნახავთ... ხშირად ხდება, რომ დიდი სიჩქარით მიმავალი მანქანა ყირავდება და 20-30 დაჩეხილი კაცი პოლიტრავემბით ერთად შემოჰყავთ მიმღებში და ექიმებს უმძიმესი ჯაფა უწევთ.

სახელმწიფო ვირტუალურად არის რუკაზე მოხაზული. Государство-призрак, — ასეც შეიძლება მას ვუნდოთ. სინამდვილეში, ერთი ოჯახური კლანის ხელშია ყველაფერი და მოსახლეობის 90 პროცენტმა კითხვა კი არა, კარის ურდულის გაღებაც არ იცის. მასსოვს, ერთხელ პაციენტი ჩამეკეტა. ის კი იჯდა და მელოდებოდა. ვკითხე, რატომ ზიხარ-მეთქი? ვერ გავაღეო, — მიპასუხა. ურდული ნანახი არ ჰქონდა.

მინევდა მათ დიალექტზე ლექსიკონის დახმარებით რამდენიმე ათეული სიტყვის ახსნა, რადგან პორტუგალიურადაც კი არ ლაპარაკობენ. ძირითადად გავრცელებულია ნუნგვეს, ნინჯას და შონას დიალექტი. სულ 15 დიალექტია, რომლებიც აფრიკული ხალხების ჯგუფის — უბუნტუს ენაა. მათ ენაზე ფუძი ნიშნავს თიანქარს, მტკიცეა — ვავას, ანუ ფუძივავა. ვინაიდან ფ-ს და ლ-ს ქართული ჟღერადობა აქვს, იოლად აღვიქვამდი მათ დიალექტს.

ძირითადი მასა შავკანიანია, მაგრამ ისინი არ გვანან ცენტრალურ აფრიკელებს, რადგან ინდოეთის ოკეანის სანაპიროა და ნაზავი ხალხია. ისტორიულად, ათასწლობით ჩინელებთან და ინდოელებთან მიმოსვლამ თავისი ზეგავლენა მოახდინა — სიმპათიურ, ლამაზ ხალხად ჩამოყალიბდნენ. აქ კოლონიზაციის დროიდან შემორჩენილი უამრავი ინდოელი და პაკისტანელია, როდესაც სამხრეთ აფრიკული რესპუბლიკა შეიქმნა და ინდოელი მონები ჩამოიყვანეს, მაგრამ ახლა უკვე მათ ნაცვლად ვაჭრების ფენა ჩამოყალიბდა. გავრცელებულია ალბინოსი ზანგების ფენომენი, თეთრ დედებს შავი ბავშვები ჰყავთ.

სადაც ვმუშაობდი, სოფელი ტეტე მდინარეზე მდებარეობდა, ნიანგები, ჰიპოპოტამები სანაპიროზე და ქუჩებში გამოდიოდნენ. ხშირად ნახავდით ნიანგების დაგლეჯილ ადამიანებს, მოსალოდნელი იყო ჰიპოპოტამის თავდასხმაც.

— თქვენც ხომ არ გახდით მათი „მსხვერპლი“?

— მე კოლო დამესხა თავს და ორჯერ მალარია მქონდა. არასასიამოვნო ინფექცია აღმოჩნდა, მაგრამ იკურნება, თორემ ახლა აქ არ ვიჯდებოდი!

საერთოდ კი, ვიტყვი, რომ სამხრეთ აფრიკის ველური ბუნება განუმეორებელია. მაპუტუსში რომ ჩააღწიო ევროპიდან, სამი თვითმფრინავი მაინც უნდა გამოიცვალო და 30 საათი გზაში იყო... გადალახავ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საზღვარს, მთავრდება ცივილიზებული ადგილები და ერთბაშად ველური ბუნების ტყვე ხდები. ქალაქის გარეუბნებში სპილოები და მაიმუნები დარბიან... ხშირად დავდიოდით საფარიზე ცხოველების სანახავად. გზის პირას ანტილოპების ჯოგები დარბიან, ჟირაფები ჩანან. თავი ზოობარკში გგონია, მაგრამ რეალურად ისინი გიყურებენ და არა — შენ. ამიტომ მანქანიდან არ გადმოდიხარ!..

— თქვენ მიერ აღწერილი სურათის მიხედვით, იოლ პირობებში არ მუშაობდით... რა სიძნელეებს გამოყოფდით და რა დაავადებები იყო გავრცელებული?

— კვირაში დაახლოებით 20-30 ყველანაირ ოპერაციას ვაკეთებდით, უროლოგიური დაწყებული და ნეიროქირურგიულით დამთავრებული. 2000 კილომეტრის რადიუსში ერთადერთი ქირურგი ვმუშაობდი. ვინაიდან ყოველი მეორე-მესამე პაციენტი შიდსიანია, შესაბამისად, სამი წყვილი ხელთათმანი მეკეთა, ასევე — რეზინის ბოტებით და ნილბით ვიყავი „ალჭურვილი“. ამას ემატებოდა შერბობაში საშინელი სიცხე. თუ გარეთ 50⁰C იყო, კონდიციონერი ვერ ერეოდა და ოთახში 40⁰C ტემპერატურა მაინც რჩებოდა.

შემოჰყავდათ ბავშვები და ახალშობილები მგლის ნაკებებით. უნიკალური ვიდეო და ფოტომასალა გადავიღე. კოლეგებისთვის დაუჯერებელია ჩემი ნაამბობი: აფრიკული, ყვე-

ლაფერი დიდი იზრდება... პატარა ხალიც კი იქ უზარმაზარია, რადგან არ მკურნალობენ და ჯადოქრებთან დადიან.

აფრიკული მაგია მათი კულტურის ერთ-ერთი დიდი შემადგენელი ნაწილია. სჯერათ წინაპრების სულების. თუ კურანდერო-ჯადოქარი მათ ცუდად შეხედავს, რალაცას დაკარგავს — ან ჯანმრთელობას, ან — ქონებას. მოდიოდნენ პაციენტები, რომელთაც დალიეს მწვანე ფერის შხამი და რომელიც ნაწლავებს ადნობდა. ამიტომ ოპერაციას ვეღარ ვუკეთებდი... მაგრამ პრეტენზია არ ჰქონდათ, რადგან მათთვის ცხოვრებას ჩირის ფასი აქვს.

დაავადებებიდან გავრცელებულია თიაქარი, რაც რასობრივი თავისებურებით არის განპირობებული. ნეგროიდული რასის შემართებული ქსოვილი სუსტი და ელასტიკურია, ამიტომ ყველა დაბადებულ ბავშვს ჭიპის თიაქარი აქვს. ვაჟებში — საზარდულის თიაქარიც გვხვდება. ნაღვლის ბუშტი იქ საერთოდ არ მინახავს, რადგან ეს მძლარი და ცივილიზებული ნაციების დაავადებაა.

ერთი წლის განმავლობაში ზამბეზის პროვინციაში მუშაობის შემდეგ შეადგინეს სტატისტიკა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ჩააბარეს. აღმოჩნდა, რომ ჩემი ჩასვლის შემდეგ სიკვდილიანობა ქირურგიაში სამჯერ შემცირდა. ექიმისთვის ამაზე მეტი ფასეულობა არ არსებობს, და იმ მომენტში ისიც კი ვიფიქრე, ეტყობა ღმერთმა რალაც მისიით ჩამომიყვანა-მეთქი.

— საქართველოს შესახებ რაიმე თუ იცოდნენ და, საერთოდ, როგორ ცხოვრობენ, რა აინტერესებთ?

— 1975 წელს მოიპოვეს დამოუკიდებლობა და გაჩნდა მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკა. სამიოდე წლის წინ დიდი იუბილეც გადაიხადეს. პირადით აღნიშნეს დამოუკიდებლობის 35 წლისთავი. საქართველო, ანუ პორტუგალიურად „ჟორჟინო“ არ იცოდნენ, მაგრამ როდესაც ვუსწნიდი, რომ მოსკოვიდან ჩასული ექიმი ვიყავი, იგებდნენ, რადგან მაპუტუში რუსეთის უზარმაზარი საელჩოა შემორჩენილი. მოზამბიკელები ფიქრობენ, რომ რუსები ემბარებოდნენ, სინამდვილეში რუსებს თავისი გეგმა ჰქონდათ: ქვეყანა ესაზღვრება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას, რომელიც ბირთვული სახელმწიფო იყო და ნატოს წევრად რჩება. დღესაც მთელი აფრიკის ეკონომიკის, კულტურის მოტორია. ცივილიზებული და ძალიან ლამაზი ქვეყანაა. წარმოიდგინეთ, პალმებში გადატანილი ინგლისი არაჩვეულებრივი ხალხით! უამრავი ბური და ინგლისელი ცხოვრობს იქ, ქართველებს გვანან ურთიერთობით, ანუ მეგობრობაც, პატივისცემაც იციან და ღვინის სერიოზული კულტურა აქვთ.

ხოლო მოზამბიკელები სერიოზული ხალხია. არ არიან აგრესიულები, მაგრამ მათთან ინტერესების თანხვედრა არ მქონდა. მაგალითად, მე და თქვენ შეგვიძლია პოლიტიკურ თემებზე ვილაპარაკოთ, მაგრამ იქ მათ ვერაფერზე დაელაპარაკები საკვების, ამინდისა და სექსის გარდა... უბრალოდ არ აინტერესებთ. მათთვის სექსი ბაზისია. ვთქვათ, ბავშვი დაიბადა და რომელიმე კიდური ან ორგანო არ აქვს, ავტომატურად ნაგავსაყრელზე აგდება. ასეთი ველური დამოკიდებულებაა. იქაურმა პედიატრმა მიაბო: თუ დედამ სოფლად, მინდორში იმშობიარა და ბავშვი მანკით დაიბადა, თავისივე ხელით ახრჩობს და ტოვებს. მას 7-10 შვილი კიდევ ჰყავს და ზედმეტი თავსატეხი აღარ სჭირდება. წმინდა დარვინიზმი, ანუ ბუნებრივი გადარჩევაა. ქალი მშობიარობას 16-17 წლის ასაკში იწყებს და 35 წლის ასაკში უკვე ბებერი და გამოცდილია. უსახლკარო, გაღატაკებული მოზამბიკელების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 40 წელია.

თითო ოჯახს საშუალოდ (გლეხის ოჯახს ვგულისხმობ) 8-10 ბავშვი ჰყავს. ოჯახში მატრიარქატია, მაგრამ კაცები არ აღიარებენ. ეს არის ისტორიულად აფრიკული პოლიგამიური მატრიარქატი — ყველა კაცს ჰყავს სხვა ქალთან კიდევ მინიმუმ 5-6 ბავშვი. შიდასის სუბტრატიც ეს არის. არ იციან, თავი როგორ დაიზღვიონ და მეორე — არც უნდათ დაზღვევა!

მოზამბიკში უამრავი პროგრამა, და მათ შორის შიდსის პროგრამაც მოქმედებს. ქვეყნის ბიუჯეტიც დახმარების მიხედვით დგება. მსოფლიო ბანკი, დანის საელჩო, ბენელუქსის ქვეყ-

ნები ჩუქნიან ფულს ყოველწლიურად. ასე შედგება ბიუჯეტი და სხვადასხვა პროგრამას ატრიალებენ. ჩემი აზრით, ამ დახმარებებით მსოფლიო და ევროპა სარგებელს ნახულობს. ეს დამიდარსტურეს ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა. ვინც ეხმარება, ისინი გადასახადისგან თავისუფალი არიან და პროდუქციასაც უსალებენ. მილიონი ფაქტორია. დახმარება კი რეალურად ხალხამდე არ მიდის. არც აკონტროლებენ. ამიტომ ვირთხებს კარგა ხანს გაყიდვით ქუჩებში. ძალღებს? არა, არ ყიდვიან, რადგან დამოუკიდებლობის პირველივე წლებში შეჭამეს. ხოლო ცხოველების ნაკრძალში ყველა ცხოველი — სპილოიან-ჟირაფებიანად დახოცეს და შეჭამეს.

ზოგიერთ პროვინციაში ფული რა არის, ისიც არ იციან. აჩუქებ და ქოხის კარებთან, მიწაში დაფლავენ, შეინახავენ. ამბობდნენ, ჩრდილოეთ მოზამბიკის შუაგულ ჯუნგლებში კანიბალიზმიც არისო. არსებობს ექვსთითიანთა სოფელიც, ყველას ფეხზე ექვსი თითი აქვს და სწრაფად დარბიან.

ბევრი აფრიკელი ფსიქიატრიული პაციენტი ხდება — ხანგრძლივი ქრონიკული დაავადების გამო ვერ უძლებენ სტრესებს. აფრიკელის დევიზია: რაც მიწამ შვა, მიწამ წაიღოს. ამიტომ რაიმე მიზანი არ აქვთ. მთავარია იოლი ცხოვრების სტილი. ბევრი მუშაობით თავს არ იკლავენ, თუმცა იქ ისეთი ბუნებაა, ჯოხი რომ ჩაარჭო, 5-6 მოსავალს მიიღებ! აფრიკელი დაიჭერს ერთ თევზს, იმ დღეს ოჯახი მშვიდი არ იქნება. მეტი არც არაფერი უნდათ. ასეთი სულისკვეთება ძალიან გადამდებია. უჩვეულო იყო ჩემთვისაც, ხმაურიანი და რიტმიანი მოსკოვიდან ჩასულისთვის... ერთ მაგალითს გეტყვი: რესტორანში ოფიციალტს საათზე მეტხანს მაინც უნდა ელოდო. თავიდან ამის გამო სრულ შოკში ვიყავი. ვჩხუბობდი. მერე თანდათან მივეჩვიე ცხოვრების ამ რიტმს.

— მოზამბიკელები რით იკვებებიან? და რა გამოარჩევს ამ ქვეყანას?

— გამოირჩევა დაბალი ხარისხის ოქროთი და ქვანახშირის საბადოებით. სანაპიროს იუნესკო იცავს, რადგან ვეშაპების სამშობიარო ზონად ითვლება.

ადგილობრივები ზღვის პროდუქტებით, ხამანკებით იკვებებიან, ასევე — ქეშუს თხილით. ქეშუ არაქისს ჰგავს, ოღონდ მასზე უფრო დიდი და უზარმაზარ ხეებზე იზრდება. სიმინდი სამხრეთაფრიკული კულტურაა. უწინ აფრიკელები მანდიოკას (ჭარხლის მსგავსი თეთრი ფესვია) მიირთმევდნენ, ახლა ლომიც დაემატა. ლომი გემრიელია ქეშუსთან ერთად. ჩემთვის იგი ქართული კერძის შემცველი იყო, თუმცა უკრანელეები და ევროპელები ვერ აღიქვამდნენ. მანდიოკას ფესვზე გიჟდებიან, ისე უყვართ, თუმცა ძალიან უგემური, მწკლარტე გემო აქვს. მანდიოკა გავრცელებული დაავადების — ჩიყვის ერთ-ერთი მიზეზიცაა.

— როგორი მთაბჭედლება დატოვა თქვენზე ქალაქმა მაპუტუმ? იქაურმა წეს-წყობილებამ?

— ზემოთ ვახსენე, რომ საბჭოეთის შემოსვლის შემდეგ მოზამბიკელებმა დროშაზე ვარსკვლავი დაირტყეს და გერბზე — კალამნიკოვი. ჰიმნს საბჭოური ელფერი დაჰკრავს და ყველგან საშინელი კორუფციული, ბიუროკრატიული მექანიზმებია. რაიმე საბჭოს ორი თვე უნდა ელოდო და ისიც შეიძლება დაიკარგოს! მაპუტუ და მისი წყობა, ახლა რაც იქ ხდება, 90-ანი წლების შეგვიარდნისას საქართველოს მაგონებს. წარმოიდგინეთ ნუცუბიდის პლატო დანგრეული ქუჩებით — ეს არის მაპუტუ.

უწინ მაპუტუს პორტუგალიელი მეზღვაურისა და მისი დამაარსებლის ლორენსუ მარკესის სახელი ერქვა. ეს ქალაქი ინდოეთის ოკეანის სანაპიროს მარგალიტად იწოდებოდა. აქ ცხოვრობს ულუსების ნათესავი შანგაანის ტომი. იგივე მონადირის ტომია, ნაკლებად აგრესიულები არიან. უსტვენენ და ენას ატკაცუნებენ.

ვიქტორიანული ეპოქის რამდენიმე ლამაზი შენობაა შემორჩენილი. დანარჩენი ქალაქი ნუცუბიდის პლატოს სტილში არის აშენებული. შენობებში კი 40 წელია რემონტი არ გაკეთებულა. მაგრამ ევროპელების მიერ აშენებული უმაღლესი ხარისხის ეს სახლები დღესაც მკვიდრად დგას. სახლებში მუ-

ქი შავი ფერის, უძვირფასესი ხის პარკეტია დაგებული. მოზამბიკი ხის შავი მერქნის ექსპორტიორი ქვეყანაცაა.

აქ ბიუროკრატიული სისტემაა გამეფებული. უქრთამოდ ვერაფერს მიაღწევ. ღარიბი ხალხით დასახლებულ ქალაქის გარეუბნებში განუკითხაობა, ქურდობა და ბანდიტიზმი ჩვეულებრივი ყოველდღიურობაა. ისე კი, ყველა კორპუსს თავისი დაცვა ჰყავს. წესით, უცხო პირი არ უნდა შეუშვან, რადგან თუ შევა, ყველაფერს წაიღებს!

ერთხელ სერიოზული გაფიცვა მოხდა. გარეუბნიდან ქალაქში ხალხი შემოვიდა, ბენზინისა და პურის ფასის გაზრდას აპროტესტებდნენ. პოლიციამ დაცალა რეზინის ტყვიები და „კლამნიკოვებიდანაც“ ისროლეს. რამდენი გვაში დარჩა, ვერ გეტყვით, მაგრამ ყოველ 15 წუთში საავადმყოფოს მორგთან მანქანა მოდიოდა. ფაქტობრივად, პრეზიდენტის დიქტატურაა. თვითონ თვითმფრინავით დაფრინავს და ქალაქის ცენტრში რამდენიმე ჰექტარზე რეზიდენცია წამოუჭიდავს. იქვე ახლოს, ქუჩაში კი ვილაც ღარიბი, გამხმარი მოზამბიკელი შიდასით კვდება!

მოზამბიკი ცნობილია, როგორც ნარკოტრეფიკის ქვეყანა და სახელმწიფო სტრუქტურები ამაში გარეულია პრეზიდენტის მეთაურობით. ეს ვიკილიქსის მასალებმაც დაადასტურა. ამბობენ, რომ ალ ქაიდის ბაზებიც არის. ჩემმა მეგობარმა საკუთარი თვალით ნახა, როგორ აკვირდებოდნენ ამერიკელები ბაზას, რომლის ფასადიც ნ-ვარსკვლავიან ოტელს ჰყავდა.

პოლიცია კორუფციულია. უბრალო დარღვევაზე გაჩერებენ და ფულს გთხოვენ. 3 დოლარის მათხოვრებად არიან ქვეყნის. მეტი არ უნდათ. ნამუსიც აქვთ! ძალიან უყვართ „კოკა-კოლა“ და „ფანტა“, 2-3 დოლარი გაზიანი სასმელებისთვის სრულიად საკმარისია.

— ქართველთა გარდა კიდევ რომელი ქვეყნის ექიმები მუშაობდნენ მოზამბიკში? ალბათ მრავალი მეგობარი შეიძინეთ...

— მე და ჩემი ბავშვობის მეგობარი მიშა ვარდიამევილი ერთად ჩავედით სამუშაოდ, მაგრამ მიშა მალევე დაბრუნდა უკან, მე კი სამნახევარი წელი გავძელი. მე მოზამბიკში სამუშაოდ ჩასული მეხუთე ქართველი ვიყავი. მაპუტუში შევხვდი ღვანჭმოსილ პედიატრს დავით ნიკოლეიშვილს, რომელიც სამშობლოში ბრუნდებოდა. მან ბევრი ბავშვი მოარჩინა მოზამბიკში და ფასდაუდებელია მისი ამაგი. 7 წელი იცხოვრა იქ.

ცოტანი იყვნენ რუსი ექიმები, სამაგიეროდ უკრაინელი მედიკოსების სიმრავლე საგრძნობი იყო. უკრაინა და მოზამბიკი საბჭოთა პერიოდში დამეგობრდნენ და იქ სამუშაოდ ბევრი უკრაინელი სპეციალისტი ჩადიოდა. ძალიან პროდუქტიულად გმუშაობდით ერთად, არასოდეს დამავინცდებთ მაპუტუს კერძო კლინიკაში გატარებული დღეები.

მახსოვს პატარა აეროპორტი 16-კაციანი თვითმფრინავი 500 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა და ტროპიკული შტორმისა და წვიმის გამო არ აფეთქდა. 16-ივე ადამიანი ხერხემლის მოტეხილობით შემოიყვანეს საავადმყოფოში. მთელი ღამე ფეხზე გავათენეთ. ყველანი გადარჩნენ, მაგრამ ხელისუფლებამ ეს ფაქტი დამალა. არსად გახმინებულა, რომ ჩვენს ცენტრში გაკეთდა ოპერაციები. გაზეთებში დაწერეს, რომ ცენტრალური, ანუ სახელმწიფო ჰოსპიტალი მუშაობდა. ამის გახმინება სახელმწიფო ღალატად ითვლებოდა.

ცენტრალური საავადმყოფო ცალკე საუბრის თემაა. იქ ერთი აუნერელი, სამინელი პირობებია. ჩამონგრეული კედ-

ლები, დახვსებული ჭერი, ვირთხების თარეში, მომკითხავი და პასუხისმგებელი კი არავინაა. შესაბამისად ალელვებთ ადამიანის ჯანმრთელობაც.

ასე რომ, მრავალი მეგობარი დამრჩა მოზამბიკში. ვიცი, რომ 31 დეკემბერს ჩემი უკრაინელი მეგობარი პორტუგალიელ მეუღლესთან ერთად მენწვევა. საქართველოს დიდი ფანატია. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს თავის მანქანაზე ქართული დროშა აღმართა და რუსეთის საელჩოში შევიდა.

— კულტურის, განათლებისა და მწერლობის დონე როგორია?

— კულტურა ძალიან დაბალ დონეზეა. კინემატოგრაფი საერთოდ არ არსებობს. ერთადერთი კინოთეატრი აქვთ. ორიოდე მოზამბიკური ფილმი ვნახე, ისიც ევროპელების გადაღებული. თეატრი სოფლის ყოფა-ცხოვრების თემებს უთმობს დიდ ადგილს. რასაც ხედავენ, წარმოდგენებსაც იმაზე დგამენ.

მხატვარ-სკულპტორი ჰყავდათ — მალანგატანა, რომელსაც მე ვმკურნალობდი და რომელიც შიდასით გარდაიცვალა.

ეს მხატვარი პორტუგალიაშიც და ევროპის სხვა ქვეყნებშიც ფასობდა. უცხოელები საგანგებოდ ჩამოდიოდნენ მისი ნამუშევრების შესაძენად. ამბობდნენ, რომ პედოფილი იყო, მაგრამ ეს მოზამბიკში დანაშაულად არ ითვლება და ამის გამო საზოგადოება არავის კიცხავს.

თითო-ორიოდა ეთნიკურად პორტუგალიელი მწერალიც იყო.

განათლების დონე ნოლია. ქუთაისის ხელაა მაპუტუს უნივერსიტეტი. უნივერსიტეტი კოლეჯის დონისაა, შესაბამისად — ექიმებიც. ქირურგები, ნეიროქირურგები, ანგიოლოგები საერთოდ არ ჰყავთ.

ერთადერთი სუპერმარკეტი ჰქონდათ და ისიც — ახლად გახსნილი...

— უკან დარჩა სამხრეთ აფრიკა და მოზამბიკი... როგორია სამშობლოში დაბრუნებულის გეგმები?

— ზამბეზის პროვინციიდან ერთი წლის შემდეგ წავედი, ფაქტობრივად გავიქეცი. ბილეთს არ მიღებდნენ, სპეციალისტები ჭირს და ჩემი გამოშვება არ უნდოდათ... მძიმე პირობებს ფიზიკურად ვეღარ ვუძლებდი. ძალიან გავხდი, 15 კილო დავიკელი... მზისგან დამწვარი კანი მქონდა, გავშავდი... მაპუტუდან მეგობრები დამეხმარნენ და იქ გახსნილ პირველ კერძო საავადმყოფოში მიმიღეს. თავიდან ჩვეულებრივი ექიმი ვიყავი, ბოლოს პიარის შეფიც კი გავხდი. კარგად გვიხდიდნენ, დიდ პატივში ვყავდით. მანქანა გვემსახურებდა. ოკეანის პირას საუკეთესო ბინა გვქონდა.

საავადმყოფოც მაღალი დონის იყო, კეთილმოწყობილი პალატებით, მონიტორებით. ძვირად ღირებული ქირურგიული ოპერაციები ტარდებოდა... საავადმყოფოს ვერტმფრენი და თვითმფრინავი ემსახურებოდა...

ეს ყველაფერი უკან დარჩა, ველური ბუნება, სამხრეთ აფრიკის ეგზოტიკა თავისი სილამაზითა და მძიმე ადამიანური ტკივილებით!

თებერვლიდან საქართველოში ვმუშაობ. ქართული მედიცინა პრობლემების წინაშეა. ახალი პროგრამა ამოქმედდა, რომელიც იდეაში ძალიან კარგია, მაგრამ დასახვეწია. კარგია, რომ პაციენტებს უკვე ექიმთან მისვლის საშუალება გაუჩნდათ.

სავალალო მდგომარეობაა თერაპიასა და ქირურგიაში. სკოლა აღარ არსებობს, რომელშიც სამედიცინო უნივერსი-



ნიკა ძაგნიძე

ტეტდამთავრებულები ქირურგიაში დასპეციალდებიან. ქირურგი ხომ მეცნიერებაზე მეტად ხელობაა.

ნელ-ნელა ვეჩვევი ქართულ რეალობას. თბილისის ცენტრალურ საავადმყოფოს ახლახან ერთი წელი შეუსრულდა. ძალზე თანამედროვე კლინიკაა. ძირითადი ბირთვი ქირურგიული გუნდია პროფესორისა და ქირურგის მამუკა გონჯილაშვილის შეფობით.

ზოგადად კი ვიტყვოდი, რომ რეგიონებს მეტი ყურადღება სჭირდება. სწორედ იქიდან ჩამოგვდის გართულებული შემთხვევები... კარგი ექიმების, სპეციალისტების ნაკლებობას განიცდიან. მზად ვარ, საქართველოს ნებისმიერ რეგიონში წავიდე. სამშობლო მაინც სულ სხვაა... ნოსტალგიამ დამაბრუნა და, ვფიქრობ, ქართული ჯანდაცვა ჩვენს სამსახურს არანაკლებად სჭირდება.

მურმან ჯგუბურია

ცოტა რამ დიდი სათქმელის ბარშემო

1. კვარაცხელია. ვა რა ცხელია. არა ცხელია. რა ცხელია. აცხელია. ცხელია. ხელია, ელია. ლია. ია. ა.

2. „ილია სამეგრელოში“ — ასე დაასათაურა თავისი ნახელავი ახალგაზრდა მწერალმა ზვიად კვარაცხელიამ და შეუდგა ამის მოყოლა-აღწერას, რაც თითქმის არა ჩანს, რასაც თითქმის არ გვიყვება და არ აღწერს. ჰემინგუეის ცნობილი გამონათქვამი თუ ახსოვდა ალბათ ავტორს წერის პროცესში. ან იქნება სხვა რამ განაპირობებდა სათქმელისადმი მსგავს დამოკიდებულებას? სად მე და სად ილია-მართალიო, ესე იგი; ილია-მართლის პირით როგორ ვესაუბროთ მკითხველს, და როგორც კარგ ოჯახში გაზრდილმა კარგმა ყმანვილმა-კაცმა დიდი მონივნება-მორიდება გამოიჩინა, სახელოვან წინაპარზე რომ ფიქრობდა. და იმ მარად-სახსოვარი გამონათქვამის გარდა („სამეგრელოში ჩავედი და საქართველო ვნახე“), წმინდა ილიას სტუმრობიდან კიდევ ერთადერთი გამონათქვამი — შეგონებით გაასრულა თავისი ნახელავი:



„ილიას რჩევით, გაისად ორკლასიან სამონასტრო სასწავლებელს დააფუძნებს მამა მიხეილი, სულიერ ნიშას აღადგენს სოფელში“.

სოფლის სახელი — ცაშია. ცაშია, ცისაა, სხვა სოფლებთან შედარებით ამაღლებულ ადგილზეა გაშენებული, ცის სიახლოვეს. ცაში — იონა მეუნარგიას სოფელია. იონა მეუნარგია წმინდა ილიას მეგობარია და მხრის ამხანაგი. ერთ საქმეს ემსახურებიან, — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავი-კაცი დიმიტრი ყიფიანია, მოადგილე — ილია ჭავჭავაძე, საზოგადოების მდივანი — იონა მეუნარგია.

რატომ ჩავიდა ილია სამეგრელოში, რათა მეგობარი მოენახულებინა თუ ის ცნობილი სიტყვა ეთქვა, თუ სოფლის სულიერი მოძღვრისათვის ერჩია, ორკლასიანი სამონასტრო სასწავლებელი დაეფუძნებინა?

ღორდა კი მსგავსი რჩევის მისაცემად იხელა გზის გავლა? ღირდა, ცხადია, რაშიც გვარწმუნებს ამ სახსოვარი ესეი-მოთხრობის ავტორი — ზვიად კვარაცხელია.

იმიტომ ღირდა, რომ არსებობდა თადა ამორდია, რომელიც მთელი ცხოვრება ეწინააღმდეგებოდა სამონასტრო სასწავლებლის აღორძინება-გაძლიერებას, ანუ გაშმაგებით ებრძოდა ქართულ ენას. გალაკტიონის ცნობილი პაღინდრომი რომ გა-

ვისხენოთ: „აი, რა მზის სიზმარია, აირევი ივერია. აი, დროშა ამორდია, აერების სიბერეა“. — ასე ამბობს პოეტი, რაც ადრე იგრძნო ილიამ და ადგა და სამეგრელოში ჩავიდა. „სამეგრელოში ჩავედი და საქართველო ვნახე“ —ო, რომ ეთქვა, და კიდევ, მას-პინძელთათვის რომ ერჩია, ორკლასიანი სამონასტრო სასწავლებელი დაეფუძნებინათ ანუ ქართული გაეძლიერებინათ.

არაჩვეულებრივი ხერხისთვის მიუგნია ამ ნაწარმოების ავტორს, რათა მკითხველთათვის (ჩვენთვის) მიენიშნებინა თავისი მთავარი სათქმელი. ნაკლები ყურადღება გაამახვილა სტუმარ-მასპინძელზე, რაც ისედაც ძვალ-რბილში გვაქვს გამჯდარი დიდი ვაჟას მეშვეობით, — არ აღწერა სუფრა, თამადა, თამადის მოადგილეები, სუფრის წევრები (თუმცა დაასახელა), და სუფრასთან დასვა ქუჯიდან მოყოლილი დიდი ქართველი ერისკაცები, აქამდე რომ შემოგვინახეს ქართული წესადათი და ქართული ენა. ეს იგულისხმება. არ გვეუბნება, მაგრამ იგულისხმება. სამაგალითოდ, ავტორი არ ახსენებს ცოტენ დადიანს, მაგრამ ისიც იმ სუფრის წევრია, რა სუფრის წევრებიც არიან თანამედროვე ქართველები. — დიმიტრი ყიფიანი, აკაკი, ილია, ივანე მაჩაბელი, იონა მეუნარგია, რაფიელ ერისთავი, დადიანები და ჩიქოვანები, ფილავები, სოფლის მამასახლისი და უბრალო გლეხი. და, რაც საგულისხმობა, თავად ამ ნაწარმოების ავტორიც. „გახსოვთ ძველ პიესებში როგორ არის? — „იგივენი და ჰამლეტი“, „იგივენი და ავტორი“. ასე ერთიანდება წარსული, აწმყო და მომავალი, რადგან დრო არ განიყოფა, დრო მუდამ ერთია და ყველაფრის ბატონ-პატრონი. მარადი პრეზიდენტი. მარადი ხელმწიფე. დრო არის ილია-მართალი, ილია — ბრძენი, ილია — მომრიგებელი მო-

სამართლე. „ეს ბოლო ხუთი წელიწადია, ჩვენს სახელოვან მგოსანს ლექსი არ დაუნერია“, დაახლოებით ისე ამბობს (წერს) იონა მეუნარგია. „რა დროს ლექსიაო, მოუკვდება პატრონი, ხმლით გამოვარდნილა ერეკლე-ბატონი“ (მურმან ლებანიძე). „ასეთ ჭირის დღეს ლექსების ჩხრეკას, სჯობს მამულის ბჭე დაიცვა მკერდით“ (ტანის ეპოქელი ჩინელი პოეტი). ცხოვრებული თამაზ ჩხენკელის მიერ გადმოღებული-გადმოქართულებული. ახლა ლექსი იმდენს ვერაფერს გააკეთებს. ახლა მთავარია სამონასტრო სასწავლებლის დაფუძნება-აღორძინება. აი, რაზე ამახვილებს მკითხველთა გულისყურს ახალგაზრდა მწერალი, ამახვილებს იმაზე მეტადაც კი, რასაც გვეუბნება ამ წიგნის სახელწოდება — „ილია სამეგრელოში“, ისე კი, გულზე ხელი რომ დავიდოთ, ცოტათი რომ წავინიოთ, ანუ გზა რომ გავაგრძელოთ, და ენგურის ხიდი გავიაროთ, ანუ, ჩემი გაგებით, ილიას რომ ეთქვა, „აფხაზეთში ჩავედი და საქართველო ვნახე“ —ო, იქნება, კიდევაც აჯობებდა, როგორც ეს დრომ მოიტანა და დრომ გვანახა, მითუმეტეს, რომ ჩვენი ერის მოძღვარი და მისი უგვირგვინო მეფე დაახლოებით ამავე ხანებში ბრძანდებოდა აფხაზეთშიც.

P.S. იმ ათი გამოთქმა-მინიშნებიდან, ავტორის გვარი (კვარაცხელია) რომ მოიცავს, მთელი ამ წიგნის დამახასიათებლად ეს გამონათქვამი მესახება:

„ვა რა ცხელია!“

სემინარი ბრძელდება... ამჯერად — „ღირსება“



თამარ გურგენიძე

დაგვიანებით მინდა გამოვეხმაურო იმ სტატიათა ციკლს, რომლის უშუალო დამსწრე და მონაწილეც ვარ, უბრალოდ გარკვეულ მიზეზთა გამო ვერ შევძელი ამ დრომდე ჩემი დამოკიდებულების მკითხველამდე მოტანა და გაზიარება...

სამყაროს განსხვავებულად აღქმა გახდა ალბათ, ის მიზეზი, რამაც გამოიწვია ქ-ნ რუსუდანი ნიშინიანის სემინარზე, აუდიტორიაში დამსწრე სტუდენტთა მიერ ფილმის „მკვდარი პოეტების საზოგადოება“ სიუჟეტის ასე ინდივიდუალურად გაგება, გაანალიზება და ემოციის ასე სხვადასხვანაირად გადმოტანა თაბახზე. ყველაფერი ალბათ სუბიექტურია და ამიტომაც დავიპოვერეთ ასე განსხვავებულად ის სემინარი, რომელიც დავგვირგვინდა ფილმის ჩვენებით, ფილმის, რომელიც იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა, რომ აუდიტორიაში მყოფთა უმრავლესობამ თავი ვერ შეიკავა ცხარე ცრემლებისგან...

ჩემი გულწრფელი ემოციაც ყველამ ადეკვატურად მიიღო და მერე რაღაცნაირად შეიკრა წრე, რომელმაც გაგვაერთიანა და გამოგვაფხიზლა, რათა მეტად დაფიქრებულიყავით საკუთარ ქმედებებზე, მოვალეობებზე და თუნდაც იმ თავისუფლების ნებაზე, რომელშიც ვცხოვრობთ.

ფილმის მთავარი სათქმელი ბევრმა საერთო ჭრილში განიხილა, ისაუბრეს ზოგად ღირებულებებზე ცხოვრებაში, ანუ — როგორ უნდა იქცეოდეს ადამიანი ამა თუ იმ სიტუაციაში, ზოგმა პლატონი გაიხსენა და დანერა, რომ ყოველი ადამიანი მზეა, უბრალოდ, უნდა მიეცეთ იმის შესაძლებლობა, რომ ანათოს. ალბათ, ამ მზის სხივში სხვა დანარჩენ თვისებებთან ერთად ღირსებაც მოიაზრება. ზოგიერთმა კი გაიხსენა, რომ აღარ ეფერადება სამყარო მას შემდეგ, რაც ვარდისფერი სათვალე მოიხსნა და გართულდა ცხოვრება, მითუმეტეს, ღირსეულად ცხოვრება...

შექსპირის 66-ე სონეტის მოშველიებაც კი დასჭირდა ჩემს მეგობარს, რომ იმ მძაფრი ემოციის ზუსტად აღწერა შეძლებოდა, რაც ფილმის დასრულების შემდეგ დარჩა სულში...

თითქოს რაღაც მართლაც შეიცვალა და ჩვენ სხვა გადმოსახედიდან შევხედეთ სამყაროს... გავიზარდეთ და მერე ვეცადეთ, რომ ის რაც შევნიშნეთ და აღმოვაჩინეთ, ფილმის ჩვენების შემდეგ არ დაკარგულიყო, და მაქსიმალური, რაც შევძელით, იყო ის, რომ ჩვენი თვალთახედვა გაგიზიარეთ...

სუთშაბათი.
203-ე აუდიტორია.

უკონტროლო ემოციებით სავსე ლექცია ლიტერატურაში... მსურველთათვის ლექტორი ბოლოს აღნიშნავს, რომ შემდეგი კვირის ოთხშაბათს 21-ე აუდიტორიაში დანიშნულია ფილმის ჩვენება — „მკვდარი პოეტების საზოგადოება“.

ფილმზე ჩემი დასწრება საეჭვოა, ამ დროს არ მცალია. ლექცია მაქვს, მაგრამ არჩევანს ვაკეთებ. მიმაჩნია, რომ ცხოვრებაში უნდა გააკეთო არა ის, რაც შეგიძლია, არამედ — რისი გაუკეთებლობაც არ შეგიძლია, და რადგანაც შეუძლებლობა იყო ჩემი მხრიდან ამ ფილმზე დაუწინებლობა, დათქმულ დროს ვესტუმრე აუდიტორიას.

ფილმის სიუჟეტმა ძალიან იმოქმედა, ჩემში შემოვიდა პერსონაჟის განცდები, ის ტრაგიზმი, რასაც თავისუფლების ნების შეზღუდვა და აკრძალვამდე მისვლა ჰქვია...

მამა ვერ ხედავს მის სულს... იგი ზედმეტად პრაგმატული ადამიანია, დაუფიქრებლად შეურაცხყოფს მის პიროვნებას, უგულვებელყოფს მის სულიერ ღირებულებებს, თელავს მის ღირსებას ანუ იქცევა ისე, რომ უბრალოდ აღარ უტოვებს მთავარ გმირს არჩევანს.

მთელი ჩემი არსება მოიცვა იმ მდგომარეობამ, რასაც საკუთარ მე-ზე, პიროვნებაზე უარის თქმა ანუ მაცოცხლებელი ძალის გარეშე დარჩენა ჰქვია. კვდომაა, როცა ისე ვერ ცხოვრობ, როგორც ამას საკუთარი გამოწინაგებული მე გკარნახობს. ამას ფიზიკური სიკვდილი სჯობს. ამ ყველაფრის გააზრებას ასწრებ და ფილმშიც კულმინაცია აღწევს, დენტის სუნი ჰაერში და სიცოცხლის წყურვილით გაჟღერებული ახალგაზრდა ადამიანი სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებს. მას არ შეუძლია მამის მიერ დადგენილი წესებით, მის მიერ არჩეული ცხოვრების სტილით გააგრძელოს ცხოვრება მას შემდეგ, რაც იგრძნო გემო თავისუფლებისა და ის სიხარული, რომელიც შემოქმედ ადამიანს ეუფლება, როდესაც განიცდის შთაგონებას. როდესაც შექსპირის პიესაში ნიმფას როლს ასრულებ, შლი საზღვრებს და ხვდები, რომ სულაც არ არის საჭირო ფრთები, რათა გაფრინდე...

ყოველგვარი ხელოვნება თვითმკვლელობის დემონსტრაციული აქტია, ამიტომ უმაღლესი თავისუფლება სიკვდილის არჩევის უფლებაა, ამბობენ, და მაშინ მე მესმის ამ ხელოვანი ადამიანის, რადგან ღირსების დაკარგვა ხომ ყოველივე ადამიანურისა და ინდივიდუალურის დაკარგვას ჰქვია, ანუ მდგომარეობას, რომელიც დადის ცხოველურ ინსტინქტებამდე, ეს კი ცხოვრება აღარ არის, უფრო უშიშარობამდე დაქვეითებული ყოფაა, ასეთ სამყაროში კი ადამიანის არსებობა ყოფნა-არყოფნის საკითხია... ასეთ გარემოში სუნთქვა ჭირს, და ეს სიკვდილის ტოლფასია, როცა მთელი არსებით გინდა რაღაც აკეთო და ამაში ხელს გიშლიან, ყველა ბარიერს გადალახავ და მაინც მიალწევ მიზანს, განსაზღვრულს მაინც აისრულებ, თუნდაც ამისთვის თავგანწირვა დაგჭირდეს, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით... ისე ცხოვრებას, როგორც არ მოგწონს, როგორი ქცევაც შორსაა საკუთარი სურვილებისა და მისწრაფებებისაგან, გირჩევნია ერთხელ იგემო ის, რის გამოც სიცოცხლე გიღირს, არა აქვს მნიშვნელობა, ეს ერთი საბედისწერო როლი იქნება სპექტაკლში თუ საზღვრების გადალახვა, თუნდაც ამის გამო გუნდიდან გაგარიყონ, მთავარია თითოეულ ჩვენგანში მცხოვრებმა ნამდვილმა თოლია ჯონათან ლივინგსტონმა გაიღვიძოს, ისეთმა, შემდეგში რომ მიბაძავენ და მოისურვებენ მასავით მიალწონ ზეცას... რომ არა ნილის გამბედაობა და ძალა იმისა, რომ საკუთარი ღირსება დაეცვა, ვერც მისი თანაკურსელები შეძლებდნენ გამოენახათ იმდენი სითამამე, რომ ის ბოლო აკორდი აეღოთ და ღირსეულად გამოემშვიდობებოდნენ მასწავლებელს, „ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო...“ ეს კულმინაციური მომენტი ფილმში მეტყველებს იმაზე, რომ ამ მიჭიქვს ვეღარ შეაძინებენ სკოლიდან გარიცხვის მუქარით, ასე მარტივად ვეღარ დაიმორჩილებენ, ისინი მეზრძოლები გახდნენ, ბოლო წამს, მაგრამ მაინც საკუთარი ღირსების დამცველნი! მათ ქმედებებს ვეღარ მართავენ, მაგრამ მათი გამოფხიზლებისათვის ნილის სიკვდილი გახდა საჭირო...

მთავარი გმირი კი მათზე თავგანწირული აღმოჩნდა... მისი მშფოთვარე სული, მისი ვნებათაღელვა მამის აკრძალვებზე ძლიერი გამოდგა და მან გაბედა ის, რასაც ხელოვნებისად-

მი გაღებულ მსხვერპლი ჰქვია, მან იცის, ეს ბოლო ამო-
სუნთქვაა, და სცენიდან მოწოდების სიმძლავრე წარ-
მოთქვამს ეპილოგს... აღაფრთოვანებს მაყურებელს...

დიდი ადამიანი მაშინ ხარ, როცა არა მხოლოდ საკუ-
თარ ცხოვრებას წარმართავ სწორად, არამედ სხვის
ცხოვრებაშიც ითამაშებ მთავარ და გადამწყვეტ როლს,
აი ისეთს, მერე მთელი ცხოვრება რომ არ გაუჩნდეს ამ
ადამიანს სურვილი, შენს მიერ გაკვალული სწორი გზი-
დან გადაუხვიოს, იმდენად მკვეთრი იქნება სავალი ბი-
ლიკის ხაზები. ოღონდ ჭეშმარიტ მიმართულებაზე ვსა-
უბრობ, აი ისეთზე, ადამიანს რომ უბიძგებს მეტად და-
ფიქრდეს, აწონ-დაწონოს საკუთარი შესაძლებლობანი,
თვითშემეცნებაში რომ გეხმარება და გიადვილებს საკუ-
თარი თავის შეცნობას ამ სამყაროში... ასეთი ადამიანები
ხშირად არ გვხვდებიან ცხოვრებაში, ამიტომ თუ იგრძ-
ნობთ, რომ აღმოაჩინეთ, მაგრად ჩასჭიდეთ ხელი და
ეცადეთ მისი მნიშვნელობა აჩვენოთ საკუთარი პიროვ-
ნებისათვის, „ცარიელ“ ადამიანებთან ურთიერთობა ვერ
გვაფრთხილებს, ჩანასახში არსებულ ღირებულებებსაც კი
ვკარგავთ, თუ არ ვეცდებით მის თავიდან აღმოჩენას,
ყველაფერი ყოველდღიურად თავიდან უნდა დაუსახო და
განუმტკიცო საკუთარ ალტერ ეგოს, იმისათვის, რომ ამ
უსუსტო სასამართლო საკუთარი თავის, სულიერ ღი-
რებულებათა, მეობის გატანა და დამკვიდრება შევძ-
ლოთ, რათა ღირსეულად ვიცხოვროთ იმ მცირე გარემო-
ში მაინც, ვისთანაც ყოველდღიურად გვინევს შეხება.

მეუბნებიან: ნუ წუნუნებ, ეს ცხოვრებაა, ცხოვრება კი
არაო... იცით? ამ ცხოვრებაშიც შეიძლება მოასწროს
კაცმა იყოს ბედნიერი... დიახ, ბედნიერი იმით, რომ და-
სახულ მიზანს მიაღწიოს... ეს იცით როგორი განცდაა?..
როცა გრძნობ, რომ არც ისეთი პატარა და უძლური ხარ,
როგორც ეს ვეებერთელა სამყაროს ჰგონია... დიახ, მე
ყოფილვარ უსაზღვროებამდე ბედნიერი იმით, რომ სა-
კუთარი დაუსაბამო, დაუსაზღვრავი სურვილებით დამ-
ხრჩვავი მე-ს წყალობით ყველაფერი გამიკეთებია, რა-
თა შეუძლებლობამდე მისული სურვილის, ნდომის ას-
რულება მომეხერხებინა. გადამილახავს ზღვარი, სამანი
და მიგრძენია იმ სიტუბოების გემო, რასაც ღირსების შე-
ლახვის გარეშე, მთელი გულით ნანატრი სურვილის ას-
რულება ჰქვია. მე შესამის ნილის თავგანწირვის და მად-
ლობა იმ ადამიანს, ვინც მომცა საშუალება ეს საოცარი
ამბავი დიდ ეკრანზე შენახა, დაფიქრებულიყავი და
სათქმელის თქვენამდე მოტანის საშუალება მოქონდა...

პარასკევს, 22 ნოემბერს
საქართველოს შოთა რუსთაველის
თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტში
გამართება წარდგინება

თამაზ ბაძალუას
ნიგნისა

„6 პიესა“
(გამომცემლობა „ინტელექტი“)

დასაწყისი 17 საათზე
რუსთაველის 19, II სართული

კვინტუს ჰორაციუს ფლაკუსი

ოდები

IV, 30

ძველი აღვიგე უფრო გამძლე, ბრინჯაო ვიდრე,
აღმატებული პირამიდებს, ყოვლად მეფურებს,
ღვარცოფიანი მას დელგმები ვერას დააკლებს,
ვერც აკვილონის მძვინვარება, ვერც ჟამთა სრბოლა,

უთვალავ ჯერად წანყობილი წელიწადები.
არა, მთლიანად არ მოვკვდები, ხრწნას და სამარეს
გადაურჩება უკეთესი ჩემი ნაწილი.
კვლავაც და კვლავაც განვითქმები, სანამ ქურუმი

ქალწულთან ერთად აუყვება კაპიტოლიუმს.
ამბად დარჩება, ავფიდუსი სადაც მდინარებს,
სადაც დაეწუსი აპულეის ურწყულ მხარეში
უბირ გლეხკაცთა მეფედ მჯდარა, მე, მდაბიორმა,

პირველმა შევძელ რომაული სიმღერის ჰანგთა
ეოლიური ხმოვანებით ამეტყველება.
გმართებს, აღივსო სიამაყით, ო, მეღპომენე!
შემიმკე შუბლი დელფოსური დაფნის გვირგვინით!

IV, 12

უკვე გაზაფხულის მსლებლებიც გამოჩნდნენ — თრაკიის ქარები,
ზღვადაზღვა დაქრიან, სიმშვიდეს აფენენ, უხმობენ იალქნებს,
უკვე არც დამზრალი ორთქლავენ კორდები, არც ბორგავს მდინარე
ზამთრის დიდთოვლობით გავსილი.

იტისზე ვაებს და თან ბუდეს იშენებს საბრალო მერცხალი,
მარადი სირცხვილი კეკროპსის სახლისა, ფრინველად ქცეული,
ავად რომ ისარჯა ბარბაროს მეფისთვის შურისდა საგებად,
საქმე რომ მოსწია ართქმული.

მღერიან მწყემსები, სალამურს უკრავენ, გაშლიათ ფარები,
ახლად ამწვანებულ საძოვრებს შეჰფინეს ცხვარი და ბატკანი,
იმ ღმერთის სალხენად, ჯოგები რომ უყვარს და მთები საჯოგე,
შავი არკადიის ტევრები.

კიდევაც ჩამოცხა, გიხმობ, ვერგილიუს, წყურვილის ჟამია,
ის დროა, იგემო ჩემი კალენურის კამკამა ნაჟური,
თუ ისე მომიხვალ, როგორც კეთილშობილ ჭაბუკებს სჩვევიათ,
ღვინის წილ ნარდით და ზმირინით.

ჭურჭელი ნარდისა, პატარა ონიქსი, ერთ სურას აინყავს,
ჯერ სულპიცისთან მარნის სიგრილეში მიცდიან ყელწვრილნი,
რამდენსაც გამოვცლით, იმდენი ახალი იმედი აგვავსებს,
გაქრება ჭმუნვა და წუხილი.

წამოდი, იჩქარე, თუ გულით გესურვოს პურობა ამდარი,
ხელიც დაიმშვენე, ნუკი გეგონება, საჩუქარს არ მოგთხოვ,
და თუ არ მოიტან, ვერც მე შეგაგებებ თასს ღვინით ავსებულს
არა ვარ ასეთი მდიდარი.

ჰოდა, საზრუნავი დატოვე, წამოდი, ნუ ეძებ სარგებელს,
სიკვდილის კოცონი ყოველწამს გვინათებს, აქვია, ახლოა.
დღეს ხალისს მივინებდეთ და ცოტა სიშლეკე სიბრძნეში გავრიოთ,
ტკბილია ასეთი გართობა.

სანამ ლათინური ენა ევროპაში თითქმის მშობლიურით იცოდნენ, განათლებული კაცი ჯერ კიდევ თავისუფლად წერდა და ლაპარაკობდა, ეს კი ლამის მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებამდე გრძელდებოდა, ჰორაციუსი უყოყმანოდ იყი მიჩნეული პირველ ლათინურენოვან ლირიკოსად. ამას, უწინარეს ყოვლისა, მისი ლექსის ფორმალური სრულყოფილება განაპირობებდა. მერე და მერე, როცა ლათინურის ფლერადობა ყურში ისე მძაფრად აღარ ედგათ, პირველი ლირიკოსობის სასწორი კატულუსისკენ გადაიხარა, რადგან მისი ჭრელი და მღელვარე სამყარო ჩვენი დროისათვის უფრო საინტერესო და ახლობელი გამოდგა.

ჰორაციუსის ლექსის ძალას მძლავრი რიტმები და სიტყვის ჭედურობა განაპირობებს, ურთულესი, ჯოჯოხეთურად ძნელი საზომების არა მხოლოდ დაძლევა, სილამაზის ძალზე მაღალ ხარისხში აყვანა.

უპირველესად ყურადღებას იქცევს მისი უაღრესად მოძრავი სინტაქსი. ყველა ლათინი პოეტის სინტაქსი მეტ-ნაკლებად მოძრავია, მაგრამ ამ მხრივ ჰორაციუსს მეტოქე არა ჰყავს.. პირველ სტრიქონში ჩასმულ ქვემდებარეს, ვერ მიხვდები, შემასმენელი რომელ სტრიქონში ამოუხტება, მესამე სტრიქონის შუაში მოულოდნელად ჩატეხილი სიტყვა კი, თურმე მისი მსაზღვრელია, დიდი დაფიქრების შემდეგ რომ იცანი. სტრიქონები წრებრუნვას მართავენ, და დღეს გუშანით თუ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ პოეტური ეფექტი, როცა ეს სინტაქსური ორომტრიალი თავს ერთ ფოკუსში იყრიდა და ჰარმონიად ლაგდებოდა.

შინაარსეული მხარე ასეთ დროს რამდენადმე სტერილურდება, სიტბოსა და უშუალობას ისეთი ძალით აღარ ასხივებს, მაგრამ ჰორაციუსი მაინც ახერხებს, აქაც მონოდების სიმალღეზე იყოს. მისი არაერთი ლექსი, დიდი ფორმალური დანაკარგების მიუხედავად, როგორც სერგეი ავერინცევი ბრძანებს, ხშირად სხვა ენების ნიაღშიაც გამოჩნულ შედეგებად რჩება.

გვინდა წარმოვადგინოთ რამდენიმე ცნობილი ლექსის თარგმანი. დედნისეულ ურთულეს საზომებს ქართულ ვერსიფიკაციაში ეკვივალენტი არ გააჩნია, რის გამოც ზოგიერთ ფორმალურ თავისებურებაზე უარის თქმა მოგვიხდა, თუმცა შევეცადეთ, ასე თუ ისე მაინც მივახლოვოთ, რამდენადც ჩვენი ლექსთწყობა საშუალებას იძლეოდა. ვიმედოვნებთ, რომ ავტორის სახე, მისი ძირითადი ნიშანთვისებები, თარგმანშიც აისახა. რამდენად მკაფიოდ, ეს უკვე მკითხველის გადასაწყვეტია.

ჩვენი პუბლიკაციის ბოლო ტექსტი, ლევკონოსადმი მიძღვნილი ცნობილი ლექსი, გადავწყვიტეთ, გამონაკლისის სახით, რითმით გაგვეწყო. მართალია, ანტიკური პოეზია რითმას არ იცნობს, მაგრამ კარგა ხნის მანძილზე ევროპაში, ძირითადად საფრანგეთში, და, ფრანგთა კვალად, ზოგჯერ რუსეთშიაც ანტიკურ ლირიკას რითმით თარგმნიდნენ. ერთი-ორი შემთხვევა ქართულადაც დასტურდება. ჩვენი სურვილი იყო, მცირე ხარკი ამ ტრადიციისთვისაც გადაგვეხადა.



1, 5

ვინ არის, პირა, ვარდნარში რომ გეხვევა ასე,
კეთილანაგი, და ნატიფი, ვარდით ნაპკური,
მღვიმის ბინდბუნდში ვინ გკოცნის შმაგად?
და ვისთვის ინწავ სადა ნაწნავით

შენს თმას ოქროსფერს? ახ, რამდენჯერ აგიტირდება,
როცა მიხვდება, ერთგულებას ლალატი შეცვლის,
ეს წყნარი ზღვა და ვარსკვლავთა ბრწყინვა
უმალ ექცევა საზარელ ავდრად.

ჯერ სიზმარშია, მონდობილა შენზე სრულიად,
ჰყავხარ ასეთი სასურველი და ოქროსფერი.
ნუთუ ჰგონია ასე დარჩებით?
ცვალებადია ქროლვა ქარისა...

ვაგლახ უბედურთ! მე კი, ლელვას გადარჩენილი,
ტაძრის კედელზე სამადლობელ წარწერას ვტოვებ
და ვკიდებ სამოსს, ჯერ ისევ მწვეთარს,
ზღვის ღმერთისათვის შესაწირავად.

I, 38

სპარსული ზიმზიმ-ელვარება გულს არ მიხარებს
და ხის ქერქისგან წნულ გვირგვინებს არაფრად ვაგდებ.
არ გინდა, ნულარ მოიძიებ, თუ ყვავის სადმე
გვიანი ვარდი.

არ გინდა, ბიჭო, ნუ შეურევ მაგ მირტს ნურაფერს,
ორივეს გვეშენის და შეგვეფრის: შენ — მერიქიფეს,
მე კიდევ — მომლხენს, როცა ვაზის თალარში ვარ და
ქეიფობ როცა...

II, 14

ეჰ, პოსტუმ, პოსტუმ, სად მიქრიან შეუჩერებლად,
წელი წელს მისდევს, ვერა ლოცვა ველარ დაგისხნის
ნაოჭებისგან, ვერ გაექცევი
ვერც სიბერეს და ვერცა სიკვდილს.

სამას-სამასი რომ შესწირო ხარი ყოველდღე
ულმობელ პლუტონს, მეგობარო, გულს ვერ მოუღობო,
ჰერიონიც და ტიტისიც
ჩაუბლუჯავს წყლის ჯურღმულეებში.

ჩვენც ნავალთ ყველა — ვინც აქა ვართ და ვისაც მიწა
საჩუქრად გვაძლევს თავის ნაყოფს, რასაც მოიღებს,
ტალღებს გავყვებით გინდ მეფენი,
გინდ უქონელნი, ბოგანონი.

ამაოდ ვცდილობთ, დავემალეთ მარსს სიკვდილიანს,
მრისხანე ლეღვებს ავერიდოთ ადრიატიკის,
შემოდგომობით — ცივ ქარაშოტს,
დამლუპველ და უამურ ავსტერს.

მაინც მოგვნახავს კოციტუსი, მრუმე და მდორე,
მაინც შევხვდებით დანაოსის უღირს ასულებს
და სიზიფოსსაც შევეყრებით
მარად ტანჯულს, ფუჭად დამაშვრალს.

დავტოვებთ სახლ-კარს, ცოლს დავტოვებთ,
ჩვენთვის საყვარელს,
ხეებს, რომლებსაც სიცოცხლეში სათუთად ვზრდიდით,
თან კი არავინ გამოგვეყვება
გარდა ერთი კვიპაროსისა...

ცეკუბურ ღვინოს ჩამოისხამს, თავსაც ნაუქცევს,
მემკვიდრე მარჯვე ასი კლიტით ჩარაზულს გახსნის,
ღვინოს, რომელსაც პონტიფექსიც
თავის ნადიმზე შეიმწოებდა.

III, 9

— სანამ გიყვარდი, სანამ გასურდი
და სანამ შენს მხრებს არ შეხებოდა
ჭაბუკთაგან არც ერთის ხელი,
სპარსთა მეფეზე ბედნიერი მეგონა თავი!

— სანამ სხვა ქალის სიყვარული თავბრუს დაგხვევდა,
სანამ ლიდა ქლოეს გერჩინა,
იმეორები ჩემს სახელს მუდამ,
ტროელი ქალის ბრწყინვალეობა ჩემთან რა იყო!

— თრაკიელ ქლოეს დავუპყრივარ, ჩემზე მეუფებს,
მომღერალია საუცხოო, ქნარზე დამკვრელი,
მისთვის არც სიკვდილს შევუშინდები,
ოღონდაც სატროს ბედისწერა ნუ შეეხება!

— თირელ კალაისს, ორნიტეს ძეს, მოვუხიბლივარ,
იმასაც ჩემი სწავას სიყვარული,
მისთვის ორჯერ სიკვდილს დავითმენ,
ოღონდაც ჭაბუკს ბედისწერა ნუ შეეხება!

— მაგრამ თუ ძველი სიყვარული შემობრუნდება,
ვენუსი შეგვყრის შეყვარებულებს,
ოქროსფერ ქლოეს დავტოვებ და
ლიდაისთვის სამუდამოდ კარებს გავაღებ!

— რა ვუყოთ, შენზე ელვარეა, შენზე ლამაზი,
შენ კი მსუბუქი ხარ ნაფოტივით
და ავი, როგორც ზღვა ადრიისა,
მაინც შენს გვერდით ვინატრებდი, დღე დამიღამდეს!

II, 7
ჩემო ბრძოლების ამხანაგო, ჩემთან იყავი
ქართველებში, როს ბრუტუსი ლაშქარს სარდლობდა.
მოხველ? დაბრუნდი კვირიტებთან?
მშობელ მხარეში, მშობლიურ ცის ქვეშ?

ო, პომპეუსო, ძმათა შორის უპირველესო,
ვისთან ერთადაც ლხინიც ბევრი გამოვივლია,
ღვინოსაც ვცვაბდით, გვირგვინთ ვწნავდით,
კეთილსურნელით თმებს ვიპკურებდით!

ერთად ვიბრძოლეთ, ფილიპებიც ერთად დავტოვეთ,
უკუქცეულმა სამარცხვინოდ დავაგდე ფარი,
მწარედ დამარცხდა ვაჟკაცობა
და მიწაში თავები ჩავრგეთ,

მერკურიუსმა შორს გამტყორცნა ბრძოლის ველიდან,
ნისლში გამხვია, შეუმჩნეველად გამომიყვანა,
შენ კი ახალმა ტალღამ ბრძოლისამ
დაგატრიალა ომის მორევში.

მაგრამ გადარჩი დავიბრუნდი და იუპიტერს
მადლი შევნიროთ, დაასვენე დალილი ტანი
დაფნების ჩრდილქვეშ, გამოცალე
თასი თასზე, შენთვის მოწვდილი.

მასიკურ ღვინოს მიეძალე — ფიქრს გადაგიყრის,
კეთილსურნელი ნელსაცხებლის სხეულს უხდება,
ვინ დაწნავს გვირგვინს საამო მირტით,
ან აპიუმის ხასხასა მწვანით?

ან მერიქიფედ ამ ქეიფში ვენუსს ვინ უნდა?
შმაგ ედონისზე უფრო შფოთი ვიქნები ამ დღეს.
ტკბილია ხილვა მეგობრისა,
ამდენი ხნის უნახავ მოძმის!

I, 11
ლეკონოსადმი

ნუ შეეცდები, ლეკონოე, შეიცნო ხვედრი,
რავარ აღსასრულს გვარგუნებენ წილად ღმერთები
და არც ქალდეურ მისნობაზე იფიქრო მეტი —
ჯადოსნურ რიცხვთა საჩხიბრებით ნუ გაერთობი.
რად გინდა ცოდნა, წინ რამდენი სავალი გვიდევს,
იუპიტერი მრავალ ზამთარს გვაჩუქებს კიდევ,
თუ ეს ბოლოა, კბოდეებზე ტალღებს რომ ლალავს,
ზღვას ტირენისას დაუცხრომლივ რომ აცლის ძალას.
იყავი ბრძენი და ხვალინდელს ნუკი ინამებ,
ჩანურე ღვინო, მოაკვეცი ფრთები იმედებს,
ჩვენ რომ ვსაუბრობთ ამწუთშიაც დრო დაუნდობლად
ისევ ვარბის და ისევ გვიმეტებს.
დღეს სტაცე ხელი და ხვალინდელს ნუ მიენდობი!

ლათინურიდან თარგმნა
მანანა ლარიბაშვილი

რესტორანმა „პურპურმა“ ბრიტანელ პრერაფაელიტთა პოეზიის კონსტანტინე ზ. გამსახურდიასეული თარგმანების პრეზენტაციას უმასპინძლა. „საუნჯეს“ მიერ გამოცემული დახვეწილი, მაღალპოლიგრაფიულად დასტამბული წიგნის სათაურად გატანილია ქრისტინა-გეორგინა როსეტის ლექსის სახელწოდება — „ყვავილების წიგნი“. საღამოს ორგანიზატორებმა ციმბოლურად, ყვავილებით მორთული, მყუდრო ინტერიერი შესთავაზეს სტუმრებს. მათვე — **სალომე სულაბერიძემ, ქეთი ნიჟარაძემ და ნიკა მაჭუტაძემ** — მსახიობის ოსტატობა გამოავლინეს, როდესაც სტუმრებს კრებულისა და რამდენიმე ფრაგმენტის წაუკითხეს. ღონისძიებას ნიკა მაჭუტაძე უძღვებოდა.

ვიდრე **როსტომ ჩხეიძე** კრებულისა და ერთ-ერთ თარგმანს, ქრისტინა-გეორგინა როსეტის „სიმღერას“ წაიკითხავდა, აღნიშნა, რომ — „კონსტანტინე გამსახურდიამ კარგად იცის „სად და რაზედ გაჩერდა მამა“ (ილია ჭავჭავაძე) და სწორედ იქიდან აგრძელებს მუშაობას, სადაც მისმა უშუალო წინაპრებმა შეწყვიტეს... იგი პოეტური სულით გაჯერებული ადამიანია და რომც არ ეთარგმნა გერმანულენოვანი და პრერაფაელიტთა ეს პოეზია, მაინც პოეტი იქნებოდა თავისი ცხოვრების წესით, კვლევა-ძიებითა და აზროვნებით... მანვე აღნიშნა **ზვიად გამსახურდიას** როლი ქართულ სამყაროში პრერაფაელიტთა მეგობრობის საქმეში — ისევე **ბი უილიამ მორისსა და ოსკარ უაილდის** ზღაპრებზე.

საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ **ემზარ გოგუაძე და ლაშა გოგუაძე**, რომელთაც აღნიშნეს, რომ მთარგმნელმა სრულფასოვნად მოიტანა მკითხველამდე პრერაფაელიტთა პოეზიის მადლი. კონსტანტინე გამსახურდიას თქმით, კრებულში შესული 12

ლექსის თარგმნას თითქმის ორი წელი მოითხოვა, არც ის დაუმაღლავს, რომ პრერაფაელიტთა სტილის შენარჩუნებამ დიდი ჯვაფა დასჭირდა. პრერაფაელიტთა გავლენას იგი **კონსტანტინე გამსახურდიას, გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის, ვალერიან ფაფრინაშვილის** შემოქმედებაში ხედავს, რასაც უაღრესად ორიგინალურსა და საყურადღებო მოვლენად მიიჩნევს. ამასთანავე ნიშანვებდაც იმ გზისა, რომელსაც ევროპული კულტურის მეტად რთული და წინააღმდეგობრივი გზა ჰქვია. ბატონი კონსტანტინე მიიჩნევს, რომ ქართულმა მთარგმნელობითმა სკოლამ უკანასკნელი 70-80 წლის მანძილზე საკმაოდ კარგად იმუშავა, თუმცა აღიარებს, რომ სამკალი კვლავ ფრიადა, ხოლო მომკვლ მცირე. მთარგმნელი გვიმხელს იმასაც, რომ ეს ნამუშევრები იმ მასშტაბური პროექტისათვის გაუთვალისწინებია, რომელსაც **ემზარ გოგუაძე და ბაკურ სულაკაური** ამზადებენ. ეს გახლავთ „მსოფლიო ლიტერატურის სამასტომეული“.

კონსტანტინე გამსახურდიამ შეკრებილთა პრერაფაელიტთა ლექსები ორიგინალშიც მოასმენინა თარგმანებით წაუკითხა. მადლობა გადაუხადა გამომცემელს, **ვაჟა ნონკოლაურს**, „საუნჯეს“, საღამოს ორგანიზატორებსა და სტუმრებს, კრებულის რედაქტორს **რატი ამალბოგელს**, დიზაინერს **თეა აკობიას**. მაღალპოლიგრაფიულად დასტამბულ წიგნში მკითხველს არ გამოჩნება დახვეწილი დიზაინი, გემოვნებით შერჩეული ნახატები, კრებულში ყველაფერი ჰარმონიულად ერწყმის და ესაბება ერთმანეთს.

დასასრულ სტუმრებმა კიდევ ერთი საჩუქარი მიიღეს, პიანისტმა **გიორგი აროშვილმა** კლასიკური მუსიკის თაყვანისმცემლებს შუმანის მუსიკალური ნაწარმოებები შესთავაზა.

თანამედროვე ტუნისელი დრამატურგი და ნოველისტი 'იზ ად-დინ ალ-მადანი დაიბადა ქ. ტუნისში 1938 წელს. დაამთავრა ფრანგული გრამატიკული საშუალო სკოლა, ერთი წელი სწავლობდა ტუნისის უნივერსიტეტში. გაემგზავრა პარიზში, სადაც გახდა ჟურნალისტი. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ხელმძღვანელობდა გაზეთ „ალ-ამალის“ (შრომა) მხატვრული ლიტერატურის განყოფილებას და პერიოდულ გაზეთს „ალ-ჰაია ას-საჰაია“ (კულტურული ცხოვრება); ასევე უძღვებოდა იბნ რაშკის კულტურის სახლს, კულტურულ პროგრამებს ტუნისის მუნიციპალიტეტში, ჰამამეთის საერთაშორისო კულტურულ ცენტრს, კარტაჯის ფესტივალს, მუშაობდა დირექტორად კულტურის სამინისტროს თეატრში. 1988 წელს მიიღო ეროვნული პრიზი ხელოვნებაში, ხოლო 2006 წელს — თეატრის პრიზი საუკეთესო პიესისთვის დოჰას (კატარი) კულტურის ფესტივალზე.

'იზ ად-დინ ალ-მადანის ეკუთვნის სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები, მათ შორის ნოველები, რომანები, ლიტერატურული კრიტიკა, პიესები, თეორიული შრომები (მაგ. ესეი „ექსპერიმენტული ლიტერატურა“). იგი ხშირად იყენებს არაბულ ისტორიას, ფოლკლორს და კლასიკური არაბული ლიტერატურის ჟანრებს სპექტრულ საშუალებად, რომლითაც ისეთ თანამედროვე საკითხებს მიმართავს, როგორცაა ძალაუფლება და მმართველობა. ამის ერთ-ერთი მაგალითია ნოველა „კანდელი“, რომელიც შესულია კრებულში „ჩვენი დროის ზღაპრები“. თარგმანში ზედმინეწითაა შენარჩუნებული ორიგინალის თხრობის სტილი, რომელიც ზღაპარს მოგაგონებთ.

გარდა იმისა, რომ „კანდელი“ ალეგორიული ზღაპრის ნიშან-თვისებებს ატარებს, მასზე კლასიკური ლიტერატურის ჟანრის — მაკამების (კერძოდ, ალ-ჰამაზანის მაკამების) გავლენაც შეიმჩნევა. ზოგადად, ნოველა დატვირთულია ინტერტექსტით კლასიკური არაბული კულტურიდან, რაც ალ-მადანის ფართო ლიტერატურულ განათლებაზე მიუთითებს. ნაწარმოებში არის სათავადასავლო-ავანტიურისტული სიუჟეტიც, ინტრიგაც, ცოცხალი ტიპაჟებიც, კლასიკაც და თანამედროვეობასთან მისი ბმაც. ნოველაში გამოყენებული ენა ფორმალურია, შეულამაზებელი. ასახული გარემოს მიუხედავად აქ მოთხრობილ ამბავს აშკარა კავშირი აქვს თანამედროვე საზოგადოებასთან.

'იზ ად-დინ ალ-მადანი

კანდელი

აზადის წელს აღმოვჩნდი ბაღდადში¹ ამტკიცებენ, და ალაჰმა უკეთ უწყის, რომ ეს იყო გვალვის, მოუსავლიანობისა და შიმშილის წელი, შეგვიწყალოს ღმერთმა! ეს გვალვიანი და მოუსავლიანი წელი უხსოვარ დროში მეზივით დაატყდა თავს მალრიბის ერთ-ერთ დიდ ქალაქს, როგორც ამბობენ, კაირუ-ანს ან ფესს, სიჯილმასას,² კაფსას³ ანდა მაჰდიას.⁴ გაქრა საკვები და ხალხი უდაბნოსკენ გაემურა, ეძებდნენ უდაბნოს კაქტუსს ან ხმელ მცენარეებს, რათა მოეკლათ შიმშილი... და ვერ იპოვეს ვერაფერი. ჭამეს ხაესი და ქვა და იმედების გადაწურვის შემდეგ სიკვდილი ამჯობინეს სიცოცხლეს. ალაჰმა დაგვიფაროს უსამართლობის, ბოროტებისა და შიმშილის წლებისგან, ამინ! ერთმანეთს ენაცვლებოდა უნაყოფობის შვიდი წელიწადი, სანამ არ დაიჩოქეს აქლემებმა და არ ჰყოფნიდათ ძალა თავიანთი კუხის სატარებლადაც კი. ალაჰი კეთილი მისი თავყვანისმცემელი მორწმუნეების მიმართ! ისევ იხსენებს ხალხი ამ ბნელი წლების საშინელებებს და ათარიღებენ მისით დღეებს, თავიანთ სასიხარულო თუ სამწუხარო მოვლენებს.

ამ ძველ ქალაქთაგან ერთ-ერთში ცხოვრობდა ერთი ჭკვიანი კაცი. სწამდა, რომ ცხოვრებით კმაყოფილება მუდმივი განძია.⁵ დღის განმავლობაში ფეხსაცმლის შემკეთებლად მუშაობდა ეს კაცი თავის ლამაზ დუქანში. რავიების⁶ ნაწილის მიხედვით, მისი დუქანი მდებარეობდა აბუ-ლ-ინანის მედრესეს⁷ გვერდით, ას-საიდ ას-საჰიბის კუთხის მეჩეთის⁸ მახლობლად, სხვა გადმომცემთა თანახმად კი, მისი დუქანი მდებარეობდა საკიფას⁹ — იმ შავი პავილიონის მიმდებარედ, რომელიც მართლმორწმუნეთა მბრძანებელმა ხალიფა ისმაილ ალ-მანსურ აშ-ში'იმ ააშენა, თუმცა ალაჰმა უკეთ უწყის. ხოლო საღამოობით ეს ჩვენი მეგობარი დაკავებული იყო ცოლით, ქალიშვილებითა და ძეგბით. სასიამოვნოდ გადიოდა მისი და ხალხის ცხოვრება და არ აწუხებდა ზაფხულის ღრუბელიც კი! მაგრამ როდესაც უბედურება შემთხვა, შემინდა; როდესაც კატასტროფა დაატყდა თავს, შეძრწუნდა და როდესაც კრიზისმა მოიცვა, გული საგულედან ამოუვარდა და გონება აებნა! როცა იხილა აქლემების დაჩოქება უძღურებისგან, დაეკარგა იმის მტკიცე რწმენა, რომ სიამოვნება მუდმივი სიმდიდრეა. რწმენა გაუქრა და მისთვის ხელჩასაჭიდი არაფერი დარჩა! აჯანყდა და აბობოქრდა, მაგრამ ვერ კი ჰპოვა სარგებელი მისმა აჯანყებამ.


თქვა: „აუცილებელია ოჯახი გამოკვებო, თუნდაც ამისთვის საჭირო იყოს ქურდობა, ყაჩაღობა ან მკვლელობა!“

შეიარაღებული გავიდა უთენია შინიდან, ქუჩებს კედლების გასწვრივ მიუყვებოდა. შეუმჩნევლად გაიპარა — შუა გზაზე თავმოყრილ მშვიერ გვამებს ის არ უნახავთ. ბუზების ჯარი დასტრიალებდა მათ ზემოდან, ირგვლივ ლურჯი ცა ჩვეულებისამებრ მონმენდილი, ალისფერი მზეც ჩვეულებით მცხუნვარე და მშრალი ქარიც ჩვეულებისამებრ ძლიერი იყო. ო, ეს ამაზრზენი სანახაობა, ეს უბედური კაცობრიობა! და იტირა საცოდავმა, იტირა და მოეშვა. განა ეს სარგებელს მოუტანდა მას?! არა და ასჯერ არა! რით უნდა დაბრუნებულიყო სახლში?! ცვილით! ოჯახისთვის ეს ცვილი გამოეტანა საჭმელად?! დაეღეჭა მანამდე, სანამ პირში არ დადებოდა?! ალაჰიმც შეაჩვენებს ამ სასტიკ ბედისწერას!

შინისკენ ცვილით გაემურა, ცვილი მყისიერად გადაყლაპა და მერე თავის დუქანში დაბრუნდა. აიღო დიდი ტომარა და ჩადო მასში ყველაფერი, რაც კი ებადა: სამკერვალო ნემსი, ბანარი, ლურსმნები, ჩაქუჩი, დანა და ჭერზე ჩამოკიდებული კანდელი. დაკეტა დუქნის კარი, გაამაგრა საკეტი და თქვა: „მივემგზავრები ამ ქვეყნიდან, ვრცელია ალაჰის მინა!“¹⁰

ალექსანდრია ჩემი სახლია, იქ მიპოვია ჩემი სამყოფელი!!

კაცმა დატოვა ეს ქვეყანა და რაც კი იყო მასში, და გულმოდგინედ დაადგა გზას... დღე და ღამე კვირების და თვეების განმავლობაში იარა. არც კი იცოდა, რას გადააწყებოდა გზად! უნაყოფო მიწები და ხმელეთი გადაკვეთა, ხეობები და უდაბნოები ისე გაიარა, გზად მცენარეც არ შეხვედრია, არც რაიმე არსება, რომ თავი გაეხარებინა მისით, არც ფრინველს ნაუხალისებია თავისი არსებობით, სანამ არ გაუჩინარდა კაცი... ზოგი რავი ამბობს, რომ მის წინ ლადამისის¹² კედლები გამოჩნდა მაშინ, როდესაც სხვა რავიები ამბობენ, რომ ის გაუდგა ოქროს გზას, მაგრამ რავი აბუ შუყაიბ მუჰამად იბნ სულეიმანი ირწმუნება, რომ ეს კაცი მშვიდი და მწყურვალი მოკვდა დიდ უდაბნოში. თუმცა საჰიბ ატ-ტაირ აბუ ალ-ბარაქათმა დაასაბუთა, რომ ამ კედლების წინ კაცი შენიშნეს ქალაქ თიმბუქტუს მტრედებმა. როგორც უნდა



იყოს საქმე, კაცმა გააგრძელა თავისი გზა შიმშილის, წყურვილისა და ძლიერი დაღლილობის მიუხედავად... რადგანაც არ გვსურს, აქ შევჩეროთ და დავამთავროთ მისი ამბავი...

იმავე წამს, ბროლივით გამჭვირვალე ერთ-ერთ საღამო-ჟამს, კაცმა მიაღწია წითელთიხიანი ქალაქის კედლებთან, რომელიც უეცრად აღიმართა შიშველ უდაბნოში, გაოცდა კაცი და სიხარულის ან შიშის ძალით დააკაკუნა კედლის კარზე. დარაჯი გამოჩნდა და უთხრა:

— კეთილი იყოს შენი მობრძანება ქალაქ თიმბუქტუში და შენს ძმებს შორის!

კაცი დანყნარდა, შიში გაუქრა, გარემო კარგად, გულმოდგინედ დაათვალიერა და დარაჯს წყალი, თუნდაც ცოტაოდენი სუფთა წყალი სთხოვა.

დარაჯმა უთხრა:

— დაღიე, მაგრამ აქ შემოსასვლელად ერთ-ერთი პირობაა, რომ ღამით კედლის გარეთ დაიძინებ. ხვალ დილით კი, როცა შემოხვალ, უნდა მიუძღვნა საჩუქარი ჩვენს ბატონს სულტანს.

შემდეგ მცველი გაუჩინარდა. კაცი მარტო დარჩა და მთელი ღამე საკუთარ თავს ეკითხებოდა, რა ერუქებინა სულტანისთვის მაშინ, როცა ტომარაში არ ჰქონდა ისეთი რამ, მისთვის მირთმევის ღირსი რომ ყოფილიყო! რა ეღონა? ალაჰიმაც შეაჩვენებს ამ სასტიკ ბედისწერას!

როდესაც მუეძინმა¹³ განთიადის ლოცვისკენ მოუწოდა, დარაჯი სწრაფად გამოვიდა, რათა გაეღვიძებინა კაცი. კაცი ნელ-ნელა წამოიმართა. შემდეგ მცველმა მეჩეთში შეიყვანა. ისიც განიბანა, გააჭიანურა და გააჭიანურა განბანვა, და ილოცა, გაახანგრძლივა და გაახანგრძლივა მუხლმოყრა და თავყვანისცემა, ადიდა ღმერთი და გაჭიმა და გაჭიმა ღვთის დიდება, მიესალმა ღმერთს და გაახანგრძლივა მისალმება და მოიხსენია ალაჰი, მაღალიმც არს იგი! გული კი გიჟივით უცემდა... შემდეგ დარაჯმა ფინიკი და რძე¹⁴ შესთავაზა. კაცმა შეჭამა და დალია. ბოლოს დარაჯი მას სასახლისკენ წარუძღვა. კაცი თავაზიანობის, ზრდილობის, სტუმართმოყვარეობის ტყვედ გრძნობდა თავს. რა უნდა ერუქებინა სულტანისთვის?! ჩაქუჩი?! ამით თავს დაკარგავდა! დანა?! მისით მსხვერპლი გახდებოდა! სამკერვალო ნემსი, რომლითაც მას ქუთუთოებსა და ტურჩებს ამოუკერავდნენ?! ბანარი?! ამით ხომ დააბამენ და სულტანი იტყვის: „ძაღლო! შენ საცოდავი ძაფისგან დამზადებულ ბანარს მჩუქნი მას შემდეგ, რაც გაგიმასპინძლდით, პატივი გეცით და ჩვენს მაღლა დავაყენებ? ძაღლო! მდაბო!“ და თქვა კაცმა: „ღმერთო, დამიცავ ეშმაკისაგან“.

აი, ის უეცრად აღმოჩნდა სულტანის პირისპირ და მისი გარემოცვის წინაშე.

სულტანი ტახტიდან წამოდგა, სტუმრის საუკეთესოდ დასახვედრად ჩამოვიდა და უთხრა:

— გამარჯობა, გამარჯობა, კეთილი იყოს შენი აქ ჩამოსვლა და დასახლება!

გადაეხვია, აკოცა და გულში ჩაიხუტა, როგორც იხუტებენ ხოლმე ძვირფას მეგობარს, თითქოს დიდი ხანია არ ენახა და გვერდით მოისვა ტახტზე. კაცი ისევ თავის ტომარაზე ფიქრობდა, მას გვერდიდან არ იშორებდა, ხოლო სულტანი ტომარას თვალს არ აცილებდა. კაცს ჰკითხა:

— ტომარაში ჩვენი საჩუქრებია?

ამალის წვერები დადუმდნენ სულტანისთვის სანაქებო საჩუქრის მოლოდინში. კაცმა იცრუა და თქვა:

— დიხ, ჩემო მბრძანებელო სულტანო, ტომარაში თქვენი საჩუქარია.

სულტანს ძალიან გაუხარდა, ხოლო კაცმა წარმოიდგინა, ჯალათი თავს როგორ მოჰკვეთდა! ჩაყო ხელი ტომარაში და ხელში კანდელი მოხვდა, ამოიღო და სულტანს გადასცა. სულტანი გაოცდა:

— რა არის ეს?

კაცმა უპასუხა:

— ეს კანდელია.

სულტანმა ირგვლივ მიმოიხედა. მისი ამალის წვერებს ცნობისმოყვარედ წაეგრძელებინათ კისრები.

ისევ ჰკითხა სულტანმა:

— კანდელი?

კაცმა უპასუხა:

— დიხ, ჩემო ბატონო სულტანო, და ვფიცავ ალაჰს, რომ ეს კანდელი ჭეშმარიტად სპილენძისგანაა.

სულტანმა ახსნა-განმარტება სთხოვა და ჰკითხა:

— და რას ნიშნავს კანდელი?

კაცმა უპასუხა:

— ეს არის სპილენძისაგან, ფითილისა და ცოტა ზეთისგან დამზადებული ნივთი.

სულტანმა ჰკითხა:

— რა დანიშნულება აქვს მას?

კაცმა უპასუხა:

— მისი დანიშნულებაა, რომ გაანათოს.

სულტანი კიდევ უფრო გაოცდა:

— მართლა ანათებს ისე, როგორც მზე ან მთვარე?

კაცმა უპასუხა:

— მაშინ, როცა გაუჩინარდება მზე და ჩამოწვება სიბნელე, იგი ანათებს ქვეყანას.

სულტანმა გაიცინა და თქვა:

— მაშ ის მზისგან არის წარმოშობილი?

კაცმა უპასუხა:

— თუ თქვენ ასე გსურთ, ჩემო ბატონო სულტანო.

სულტანმა გადააბრუნა კანდელი ხელებს შორის:

— და ეს ანათებს ახლა?

კაცმა უპასუხა:

— ახლა არ ანათებს, ჩემო ბატონო სულტანო, და მე ავანთებ მას!¹⁵

კაცმა ჯადოსნური მოძრაობით აანთო კანდელი. და აი, უცბად გავრცელდა სინათლე, აცახცახდა სულტანი, სიხარულისა და კმაყოფილებისგან კინალამ გონი დაკარგა. ამალის წვერებმა ტაში დაუკრეს, დააფასეს კაცი და ადიდეს ღმერთი ბედნიერი ცხოვრებისათვის. სულტანმა ის თავისთან აიყვანა, კანდელი აიღო და იმ სარკმლისკენ წავიდა, ქალაქის ქუჩებს რომ გადაჰყურებდა. იქ ხალხს მოეყარა თავი და ძლიერ სურდათ, რომ ენახათ სულტანისთვის მირთმეული საჩუქარი. სულტანმა ხალხის გასაგონად დაიძახა:

— ეს კანდელია!

იყვირა ხალხმაც. მათი მზერა შეჩერებულიყო კანდელზე:

— გაუმარჯოს კანდელს! გაუმარჯოს სულტანს! გაუმარჯოს კანდელს! გაუმარჯოს სულტანს!

შემდეგ სულტანი თავის სტუმარს მიუბრუნდა და უთხრა:

— ჩვენს სასულტნოში არაფერი ვიცოდით კანდელის შესახებ. ძვირფასო სტუმარო, იმის გამო, რომ შენ გვასწავლე ის, რაც არ ვიცოდით და იმის გამო, რომ შენ გაანათე ჩვენი წყვდიადი და შემოიტანე მზე ჩვენს ქვეყანაში, მე შენ გნიშნავ ვეზირად!

კაცმა უთხრა:

— ჩემო ბატონო სულტანო, მე ერთი ჩვეულებრივი კაცი ვარ უდაბნოს უბრალო ხალხიდან, დღეგრძელობის და სიმშვიდის მოყვარული. სულტანის საქმეების წარმართვის არაფერი მაგეგება.

მომაბეზრებელი სიჯიუტით რომ დაიჟინა სულტანმა, კაცმა უთხრა:

— მაპატიეთ ჩემო ბატონო სულტანო, დაე ვიყო მე თქვენი სანდო მსახური, მეგობარი და მონა.

სულტანმა წამოიძახა:

— ჩინებულია, ჩინებული!

შემდეგ მეჭურჭლეთუხუცესის მოსვლა ბრძანა და როდესაც ის გამოცხადდა, სამი მსახური სახაზინოში წავიდა.

სულტანმა უთხრა კაცს:

— აილე, რაც გსურს ამ ქვეყნის ჭუჭყიდან და გაიუმჯობესე შენი მდგომარეობა!

კაცმა აიღო ძვირფასეულობა, მარგალიტი, ალმასი, სხვა ძვირფასი თვლები და თავისი ტომარა აავსო. შემდეგ სულტანმა ბრძანა, სასწრაფოდ მოსულიყო ქალაქ თიმბუქტუს ქორწინების მსაჯული. როდესაც იგი გამოცხადდა, სულტანმა უთხრა:

— ეს კაცი უნდა დაეჯიქონინო ჩემს ქალიშვილ ზუბეიდაზე. სასწრაფოდ შეადგინე საქორწინო ხელშეკრულება.

შემდეგ სულტანმა კაცი ძვირფასი, ოქროსგან შეკერილი აბრეშუმის ტანისამოსით დააჯილდოვა და გაუძღვა იმ ბალისკენ, რომელშიც მისი ქალიშვილები იმყოფებოდნენ... მოძებნა კაცმა მათ შორის თავისი პატარძალი, ყველაზე ლამაზი ნანახთა შორის. და როგორც იტყოდა ძველი პოეტი, ალაჰიმც დაასაჩუქრებს მას, პატარძალი იყო ასეთი:

**ჩემი ლეილა ზანგების
პატარძალია
და ყელს უმშვენებს
მარგალიტის ყელსაბამი.¹⁶**



მხატვარი ინა ქელიძე

ქორწინების მსაჯულმა თქვა:

— ვფიცავ ალაჰს, რომ არავინ მინახავს ზუბეიდაზე დიდებული და მასზე თავმდაბალი, მასზე ნელსურნელოვანი და მასზე ნაზი. ის არის მუშკი და ამბრა, აბრეშუმი და ხვერდი, ის არის ვარდი და ჟანსონი. ქორწინების ხელშეკრულების დადების დრო დადგა!

...კაცმა ათასობით კანდელი დაამზადა სულტანისთვის, მისი ამალისა და ხალხისთვის. ჩამოჰვიდა ყველგან — ქალაქის სასახლეში, ბაზრებში, მეჩეთებში, სკოლებში, ქუჩებში, სანაპიროებსა და სახლებში. კანდელის მესაწვავედ დანიშნა ათასი გოლიათი ზანგი, რათა ქალაქი და მისი მკვიდრნი დღედაღამ სინათლეში ჩაძირულიყვნენ... ჩვენი მეგობარი სიამოვნებასა და ნეტარებაში ცხოვრობდა მრავალი წელი, რომელთა რაოდენობაც არავინ უწყის ალაჰის გარდა, მაღალიმც არს იგი! ცხოვრობდა ასე, სანამ... დიახ, სანამ არ დაეწყო მონატრება სამშობლოსი, თავისი ხალხისა და არ გაუჩნდა შვილების ნახვის სურვილი. მიხვდა, რომ უცილობლად დამთავრდებოდა სიმწირის დრო და დადგებოდა დრო სიუხვისა, სიკეთით და წყალობით სავსე, მაგრამ ვინ იცოდა?! ითხოვა ნებართვა სულტანისგან თავის ქვეყანაში გასამგზავრებლად. სულტანმა ნება დართო, საგანგებოდ მოამზადა — აქლემების ქარავნით, ცხენებით, ჯორებითა და სახედრებით აღჭურვა იგი... დაიტვირთა კაცი კიორუანული ხალიჩებით, იემენური არომატული ცვილით, ნიგერიული რკოთი, სუდანური ამბრათი, სპილოს ძვლით განადან... და დატოვა ბედნიერი და მშვიდობიანი ქალაქი თიმბუქტუ მისი ნათელი და მოელვარე შუქებითურთ. კაცი სამშობლოსკენ გაემურა, ალაჰიმც წყალობას მისცემს მას!

შევიდა ქალაქში თავისი ქარავნით და უეცრად ხალხი შემოიკრიბა მის გარშემო, თავს დაესხნენ სავაჭრო საქონელს, იჩხუბეს და დახოცეს ერთმანეთი, დაკლეს აქლემები, ცხენე-

ბი, ჯორები და ვირები, ჭამდნენ და ჭამდნენ. კაცმა იკითხა მიზეზი და უპასუხეს:

— არაფერი უჭამიათ ქალაქის მკვიდრთ ოცი წელია...

კაცმა გაიხსენა თავისი ცნობილი ნათქვამი და ძველი სიბრახე: „ალაჰიმც შეაჩვენებს ამ სასტიკ ბედისწერას!“

იმ ადგილას იყო სხვა კაცი, რომელიც არც შერხეულა, ისე უყურებდა ამ საშინელ სანახაობას. ჯერ კაცისკენ გაიხედავდა, მერე ისევ შეათვალიერებდა ამ შემადრწუნებელ სანახაობას, კვლავ გაიხედავდა კაცისკენ, რომელიც აქლემზე ამხედრებული გოაცხუბი უყურებდა მის გარშემო კალიებივით შემოკრებილ ხალხს. ბოლოს ადგა, მასთან მივიდა და უთხრა:

— გიცანი, ფეხსაცმლის შემკეთებლად მუშაობდი და შენი დუქანი მავლა მუჰამედ ად-დახილის კუთხის მეჩეთის

გვერდით იყო, ჩემი დუქანი კი მის პირდაპირ მდებარეობდა. ალაჰიმც შეგვენვა, როგორ მოიპოვე ეს სიმდიდრე?! რა გააკეთე?! მითხარი, ჩვენ ხომ კოლეგები ვართ, ერთ ხელობას მივდევთ, მეზობლები ვიყავით ბაზარში და შენი ხელობის დანყების დღიდან მე ვარ შენი ამხანაგი. რომელ ქვეყანაში გაემგზავრე ამ სიამოვნების მოსაგროვებლად? მითხარი, რადგან მე მონატრებული ვარ პურს, ხორცს, აბრეშუმს, ქალებს, ოქროს, სიმშვიდესა და ტკბილ ოცნებებს... მიხსენი ამ სასტიკი ბედისწერის ტკივილებისგან.

კაცმა უპასუხა:

— ჩემო ძმაო, ამ ქვეყნიდან გამგზავრე და გულმოდგინედ დაადექი დასასრულის გზას. იქ მიაგნებ ქალაქს, სადაც შესვლის პირობა ის არის, რომ რაიმე საჩუქარი მიუძღვნა ქალაქის სულტანს და თუ მოეწონება, მაშინ დაგასაჩუქრებს. საქმე ადვილია და ისე წარიმართება, როგორც შეხედავ!

ის კაცი გაემგზავრა თავისი

სამშობლოდან სიკეთის, ხორცის, აბრეშუმის, ქალების, ოქროს, სიმშვიდისა და ტკბილ ოცნებათა საძიებლად. მართლაცდა, იარა ზღვრამდე, გადაკვეთა უდაბნო, სანამ ერთ მუდმივად გამჭვირვალე საღამო ჟამს არ მიაღწია ნითელქვიშიან ქალაქს, როგორიცაა მარაქემი ან თუზარი¹⁷ ქალაქი უცბად აღიმართა შუა უდაბნოში. კაცმა კეულის კარზე დააკაკუნა. იქიდან დარაჯი გამოვიდა და ჩვეულის გულთბილობით მიესალმა. შემდეგ გააღვიძა დილით და ჰკითხა:

— გაქვს საჩუქარი ჩვენი ბატონი სულტანისთვის?

კაცმა უმაღვე უპასუხა:

— დიახ, ჩემი საჩუქარი ამ ტომარაშია.

შემდეგ სწრაფად განიბანა, სწრაფად ილოცა, სწრაფად შეჭამა და სწრაფადვე გაემართა სასახლისკენ. სასწრაფოდ ეახლა სულტანსა და მის გარემოცვას, სულტანის წინაშე სწრაფად ემთხვია მიწას. როდესაც დაამთავრა თავყანისცემა, თავი მაღლა ასწია და შეამჩნია, რომ სულტანი, მისი ამალა და დარაჯი ფეხშიშველები იყვნენ. თავყანისცემის დასრულების შემდეგ ადგა, ჩაყო ხელი ტომარაში და იქიდან ამოიღო ყველაზე ბრწყინვალე და საუკეთესო ფეხსაცმელებს შორის, რაც კი დამზადებულა ფეხში მისი დაარსებიდან დღემდე.

სუნთქვაშეკრულმა, გოაცხუბლმა სულტანმა ჰკითხა:

— რა არის ეს?

კაცმა უპასუხა:
 — ეს ფეხსაცმელი ძველია თქვენთვის, ჩემო ბატონო სულტანო.
 — და რა დანიშნულება აქვს? — ჰკითხა სულტანმა.
 კაცმა უთხრა:
 — მისი დანიშნულებაა, რომ ფეხზე ჩავიცვათ, აი ასე.
 და გადადგა ნაბიჯები ფეხსაცმელებით. ეს ძლიერ გაუხარდა სულტანს, ამაღის წვერებმა ტაში დაუკრეს და დაიძახეს:
 — გაუმარჯოს ფეხსაცმელს! გაუმარჯოს სულტანს! გაუმარჯოს ფეხსაცმელს! გაუმარჯოს სულტანს!
 შემდეგ სულტანი მივიდა კაცთან და უთხრა:
 — რაც მომიძღვენი, უმშვენიერესი საჩუქარია და აუცილებელია, ავინაზღაურო უკეთესი საზღაურით!
 შემდეგ ბრძანა, რომ მოსულიყო მეჭურჭლეთუხუცესი და როდესაც იგი ეახლა, სულტანმა უთხრა:
 — დაბრუნდი იქ, საიდანაც მოხვედი.
 გაოცდა სულტნის ამაღლა.
 და მაშინ თქვა სულტანმა:
 — ეს კაცი ამქვეყნიურ ქუჩებზე ბევრად დიდებულ საზღაურს იმსახურებს!
 შემდეგ მიმართა კაცს:
 — დიდებულო და პატივცემულო სტუმარო, ასწიე თავი ჭერისკენ.
 და ასწია კაცმა თავი.
 სულტანმა ჰკითხა:
 — რას ხედავ?
 კაცმა უთხრა:
 — მე ვხედავ ლამპარს.
 სულტანმა უთხრა:
 — ეს არის საზღაური შენი საჩუქრისთვის!

**არაბულიდან თარგმნა
 ელვირა ნასიზოვა**

1. ალ-ჰამაზანის „ბაღდადური მაკამის“ გამხსნელი ფრაზა.
2. ფესიდან 300 კმ-ში მდებარე ე.წ. „უდაბნოს ჭიშკარი“, მაროკოული დინასტიების ცენტრი.
3. ქ. ტუნისიდან 350 კმ-ით სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რომაული ღირსშესანიშნაობებით ცნობილი ადგილი.
4. კუნძულზე მდებარე თუნისური ქალაქი, ქ. ტუნისიდან 200 კმ-ით სამხრეთით.
5. მეოთხე ხალიფა ალი იბნ აბუ ტალიბის ცნობილი გამონათქვამის „მცირედით კმაყოფილება უზრუნველი განძია“ პერიფრაზი.
6. მთხრობელი, ამბის გადამცემი.
7. XIV ს-ში ქ. ფესში დაარსებული რელიგიური სკოლა.
8. კუთხის მეჩეთები პატარა სუფიური სალოცავი ოთახები მდებარეობს.
9. ქუჩის გადახურული ნაწილი.
10. ეს გამოთქმა, ჩვეულებრივ, იხმარება იმის გადმოსაცემად, რომ ღვთის წყალობით, ყველგან არის მრავალი სხვადასხვა ხელსაყრელი შანსი, შესაძლებლობა.
11. ალ-ჰამაზანის „ალ-ჯაჰიზის სტილში დაწერილი მაკამის“ გამხსნელი ფრაზა, რომელიც ასე ბოლოვდება: „მაგრამ შამში (სირიაში) მიღამდება და ერაყში მითენდება.“
12. პატარა ოაზისი ლიბიურ უდაბნოში, ლიბიის, ალჟირისა და ტუნისის საზღვარზე.
13. პირი, რომელიც მუსლიმებს ლოცვისაკენ მოუწოდებს.
14. ჩრდილოეთ აფრიკაში სტუმარს რომ უმასპინძლებიან, ჩვეულებრივ, ფინიკსა და რძეს მიართმევენ.
15. ლამპრის, კანდელის (სინათლის წყაროს) მხატვრული სიმბოლო ახალ არაბულ ლიტერატურაში სათავეს იღებს მაჰმუდ ტაჰირ ლაშინთან („კაცი, რომელიც ანთებს ლამპარს“) და გვხვდება იაჰია ჰაკისთანაც („უმ ჰაშიმის კანდელი“).
16. ბეითი აბუ-ლ-ალა ალ-მარის ლექსიდან.
17. ქალაქი სამხრეთ-აღმოსავლეთ ტუნისში, ოაზისი, უდაბნოს საქარავნო გზების გზაშესაყარი.

**არ უნდა აშენდეს
 ბიბანტური ჰესები!**

1 ოქტომბერს მწერალთა სახლში შეიკრიბნენ მწერლები, ეკოლოგები, ჟურნალისტები, მეცნიერები და სტუდენტები. მათი თავშეყრის მიზეზი იყო ის, რომ ხელისუფლებას ხელი აელო ხუდონჰესის მშენებლობაზე. აგრეთვე შეეჩერებინათ ყაზბეგის რაიონში მიმდინარე და დაგეგმილი ჰესების მშენებლობა.

სალამო ნაირა გელაშვილმა გახსნა, მწერალმა და ბუნების დიდმა ქომამამა. მან ისაუბრა არაერთ პრობლემაზე, რომელიც მოჰყვება ჰესების მშენებლობას. ქალბატონმა ნაირამ გაიხსენა, რომ 1988-1989 წლებშიც დაიწყეს ტრანსკავკასიის მაგისტრალის და ხუდონჰესის მშენებლობა, მაგრამ საზოგადოების წინააღმდეგობის შემდეგ შეჩერდა მსგავსი ტიპის შენობების აგება. ასევე აღნიშნა, რომ საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ჩართულია მიმდინარე პროცესებში, ქმნიან ერთ სულიერ საძმოს. მათ გააჩნიათ მაღალი სულიერი ფასეულობანი. ქალბატონმა ნაირამ თითოეულ მოქალაქეს მოუწოდა, რომ გადაარჩინონ მრავალფეროვანი და უნიკალური ბუნება.

ლონისძიებს ასევე ესწრებოდნენ: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გივი ნახუცრიშვილი, ფიზიკოსი, აკადემიკოსი გოგი ჩაგელიშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი დავით ადეიშვილი, კრიტიკოსი ლევან ბრევაძე, „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელი დათო ჭიპაშვილი.

გივი ნახუცრიშვილის აზრით, სირცხვილია, რომ 25 წლის შემდეგ ქართულ საზოგადოებას კიდევ უნევს ამ საკითხზე ლაპარაკი. მან აღნიშნა, რომ გიგანტური მშენებლობები უნდა შეიცვალოს პატარ-პატარა ჰესებით. ეს კი ბევრად გააუმჯობესებს ვითარებას.

გლობალური ეკოლოგიის სპეციალისტმა გუგული ქეზურიამ კი აღნიშნა, რომ ამ საკითხისადმი არის ზედაპირული დამოკიდებულება. იგი დაუკავშირდა მაღალი ინსტანციების წარმომადგენლებს, რათა პრობლემა გადაეჭრათ, მაგრამ შედეგი დღემდე არ გამოუღია ამ მცდელობას.

ნაირა გელაშვილმა წაიკითხა სვანეთიდან მოსახლეობის გამოგზავნილი წერილები. ისინი წერენ სვანეთის ეკოლოგიურ პრობლემებზე, რომლებიც ენგურჰესმა შექმნა. მან ასევე ხაზი გაუსვა დედაქალაქის დაბინძურების საკითხს, რის შედეგადაც ონკოლოგიური დაავადებანი იზრდება.

ოთარ ზოიძემ ისაუბრა არამარტო ონკოლოგიურ, არამედ ოკონიკურ პრობლემებზეც. იგი უარყოფს, რომ ხუდონჰესის მშენებლობა საქართველოს ეკოლოგიურად წაადგება. ამ საკითხის გასაზრცობად სიტყვით გამოვიდა დავით ადეიშვილი. მან აღნიშნა, რომ ხუდონჰესი არის კერძო კომპანიის საკუთრება. ამ პროექტის მხოლოდ 20% შეიძლება მოხმარდეს საქართველოს. მისი მიყიდვა ძირითადად გამიზნულია უცხოეთისთვის.

დასასრულ ქალბატონმა ნაირამ წაიკითხა მიმართვა, რომელიც გაეგზავნებათ საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს და პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს. წერილში ახსნილია თუ რატომ არ უნდა აშენდეს გიგანტური ჰესები.

ლონისძიებაზე აჩვენეს ფილმი „მასწავლებელი ხაიშიდან“. ფილმში ასახულია ხაიშელი მასწავლებლის ცხოვრება, რომელიც დახმარებას უნევს იქ მცხოვრებ ახალგაზრდებს. მთავარმა გმირმა ისაუბრა, თუ რამხელა ზიანი მიადგება ამ სოფელს ჰესების მშენებლობის დროს.

ნათია ნატროშვილი

ლამის მთელი მსოფლიო იყო ჩართული მეორე მსოფლიო ომში (1939-1945) და ამ გრანდიოზულ სასაკლავოს უდრტივინველად უმზერდა თურქეთი — მემკვიდრე ოდესღაც ომებით გაუძაძლარი ოსმალეთის იმპერიისა.

ნეიტრალიტეტი არჩია, რათა წვეთი სისხლის დაუღვრელად შეეყო თავი მშვიდობიან მყოფადში.

გერმანელები და ინგლისელები დაუნდობლად ჟღერდნენ ერთმანეთს ხმელეთზე, ცაში, ზღვაზე, თურქეთის დედაქალაქ ანკარაში კი მათი საელჩოები ერთიმეორეს ემეზობლებოდნენ. თურქეთი ორივე მხარეს ელოლიავებოდა და ორივესთან წარმატებულ ვაჭრობას ანარმოებდა. გერმანელი დიპლომატები შოტლანდიურ ვისკის შეეცქვიოდნენ, ინგლისელები ბავარიული ლუდით ტკებოდნენ.

და აი, ერთ მშვენიერ საღამოს (1943 წლის 26 ოქტომბერი) გერმანიის საელჩოს უცნობი სტუმარი ეწვია. მან განუცხადა საელჩოში გამწვანებულ საიდუმლო სამსახურის თანამშრომელს ლ. მოიზის, რომ სთავაზობდა ბრიტანეთის საელჩოდან უსაიდუმლოეს დოკუმენტთა ფოტოასლების მიწოდებას და თითო ფირში ითხოვდა, არც მეტი და არც ნაკლები, 20 ათას გირვანქა სტერლინგს (ზღაპრული ფასი!).

ბერლინის დასტურისა და ფინანსების გარეშე ამგვარი გარიგება, რასაკვირველია, გამორიცხული იყო.

გაცილებისას სტუმარმა ხელი ჩასჭიდა მასპინძელს და ყურში ჩასჩურჩულა: „გნებავთ გაიგოთ, ვინა ვარ? მე გახლავართ ბრიტანეთის ელჩის კამერდინერი“.

ლ. მოიზიში გადმოგვცემს: „ასე დამთავრდა ჩემი პირველი შეხვედრა იმ კაცთან, რომელსაც რამდენიმე დღის შემდეგ ფსევდონიმად მიენიჭა „ციცერონი“.

ნეტავი რატომ „ციცერონი“?! ენაწყლიანი ეჩვენათ თავდაჭერილ და სიტყვაძვირ გერმანელებს?..

მეორე დღეს მოიზიშმა ყველაფერი დანვრილებით მოახსენა გერმანიის ელჩს თურქეთში ფრანც ფონ პაპენს.

პაპენი ეკითხება მოიზის:

— ინგლისელები როგორ მოიქცეოდნენ?

— თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ დათანხმდებოდნენ. ომის დროს არავინ იუარებს ამას. მშვიდობიან დროს, ალბათ, ჯენტლმენურად მოვიქცეოდით და ამ ამბავს ვამცნობდით ბრიტანეთის ელჩს, მაგრამ როცა ომია...

სასწრაფოდ შედგენილ იქნა დეპეშის ტექსტი:

„იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრს. პირადად. სრულიად საიდუმლოდ. მიღებულია წინადადება ბრიტანეთის საელჩოს თანამშრომლისა, სავარაუდოდ — ელჩის კამერდინერისა, რომელიც გთავაზობს ზუსად დოკუმენტთა ფოტოასლებს. ყოველ ფირში ითხოვს 20 ათას გირვანქა სტერლინგს. გთხოვთ გვაცნობოთ, მივიღოთ თუ არა შემთავაზება. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში საჭირო თანხა შიკრიკის ხელით უნდა მოგვანოდოთ 30 ოქტომბრამდე. პაპენი“.

დეპეშა დაშიფრეს და 27 ოქტომბერსვე რადიოთი გადასცეს ბერლინს. ერთ საათში დეპეშამ თავი ამოყო რიბენტროპის მაგიდაზე.

არც 28-ში და არც 29-ში არაფერი მომხდარა. ანკარაში დასაკენს, რომ პასუხი ბერლინიდან იქნებოდა უარყოფითი, ვინაიდან მინისტრსა და ელჩს ერთმანეთი არ ეჭაშნიკებოდათ.

მაგრამ 30-ში მოვიდა დეპეშა:

„ელჩს ფონ პაპენს. პირადად. სრულიად საიდუმლოდ. ბრიტანელი კამერდინერის წინადადება მიღებულ იქნას. სექციური კი ჩამოვა 30 ოქტომბრის საღამოს. დოკუმენტთა მიღებისთანავე ველოდები დაუყოვნებლივ მოხსენებას. რიბენტროპი“.

ყველაფერი რიგზეა! ფონ პაპენი თავისი სანერი მაგიდის უჯრიდან გამოაძვრენს ბანკნოტთა სქელ დასტას და გაუნვდის მოიზისს. სხვადასხვა ღირებულების კუპიურებია: ათი გირვანქა, ოცი, ორმოცდაათი; უმეტესწილად — ახალთახალი, უხმარი. ამან დააეჭვა მოიზიში. იგი ბრუნდება თავის კაბინეტში და ფულს ათავსებს სეიფში. სარდაფის ოთახში კი მზად არის პროფესიონალი ფოტოგრაფი, თანამშრომელი სამიფრო განყოფილებისა, რომელსაც ენდობიან.

ციცერონი

ბრიტანეთის ელჩის კამერდინერი, პირობისამებრ, ზუსტად საღამოს ათ საათზე ეწვევა გერმანიის საელჩოს. ფირს გამოართმევენ და სარდაფის ოთახში ამტლავებენ.

მოიზიში მოგვითხრობს: „ჩემი გაცემა თანდათან იზრდებოდა. ჩემს სანერ მაგიდაზე იდო მონინაალმდეგის საიდუმლო დოკუმენტები პოლიტიკური და სამხედრო ხასიათისა, უდავოდ არაფიქტიური და ძალზე ფასეული, ნებისმიერი აგენტის ოცნებას რომ აღემატებოდა. ამ კამერდინერმა ქეშმარიტად ფასდაუდებელი სამსახური გაუნია მესამე რაიხს. და მის მიერ მოთხოვნილი თანხა სულაც არ გვეძვირებოდა. არც ერთი დოკუმენტი არ ყოფილა ორ კვირაზე ადრინდელი. ძირითადად — დეპეშები სამინისტროსა და საელჩოს შორის, ინსტრუქციები. ყოველ დოკუმენტზე ზედა მარცხენა კუთხეში წარწერა: „სრულიად საიდუმლოდ“.

მოიზისის სიტყვით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო დეპეშები, რომლებიც ეხებოდა ურთიერთობას ლონდონ-გაშინგტონ-მოსკოვს შორის. მათგან ამკარად ჩანდა, რომ მოკავშირენი ფლობდნენ კოლოსალურ შესაძლებლობებს მესამე რაიხის გასანადგურებლად — უახლოეს ხანს.

მოიზიში ასკვნის: „ეს არ ყოფილა პროპაგანდა. ჩვენ ყველას გველოდა საზარელი მომავალი. გერმანიას სასწაულია გადაარჩენდა“.

მაგრამ, ნაცისტთა სავალალოდ, ფასდაუდებელი ინფორმაცია ქარს გაატანეს. როგორც მოიზიში აღნიშნავს ციცერონის მასალები პასუხისმგებელ პირთ მხოლოდ ერთმანეთთან კამათისათვის გამოადგათ.

ლ. მოიზისის მონათხრობი შეტანილია ალენ დალესის მიერ შედგენილ კრებულში, რომელსაც ეწოდება „დიდი და უტყუარი სამსტოვრო ისტორიები“. ამერიკული დაზვერვის ბაირახტარი გერმანული დაზვერვის თანამშრომლის ტექსტს ამგვარ კომენტარს ურთავს:

„მოცემულ ისტორიაში არც სროლა ყოფილა, არც სანამლავის გამოყენება. უშუალო საფრთხე, გარდა ციცერონისა, არავის ემუქრებოდა. საჭირო არ გამხდარა, რომ ვინმე მოესყიდათ ან დაეშანტაჟებინათ, როგორც ხდებოდა ხოლმე მრავალ სამსტოვრო ისტორიებში მეორე მსოფლიო ომის დროს. თუკი მიუკერძოებლად შევაფასებთ ციცერონის ოპერაციას, შეიძლება უზადო ვუნოდოთ. და ინგლისელებსაც თითქმის არაფერი დაუკარგავთ, რამდენადაც გერმანელებმა ვერ გამოიყენეს მიღებული ცნობები მონინაალმდეგის გეგმებსა და ძალმოსილებებზე“.

როგორც ირკვევა, ამ ამბავს ჰქონდა კიდევ ერთი კურიოზული თავისებურება. გერმანელებმა ციცერონს ყალბი ფული გადაუხადეს, რის გამოც მან ომის შემდეგ სცადა თავისი გასამრჯელოს მიღება გერმანიის დემოკრატიული მთავრობისგან, მაგრამ ნურას უკაცრავად, ვერ მიართვეს!

...ნიუნბერგის პროცესზე ბოზოლა გერმანელი ფინანსისტი იალმარ შახტი, ბრალდებულთა სკამზე რომ იჯდა, აღშფოთებით განსჯიდა ჰერმან გერინგს — ქურდობა უარესი დანაშაულია, ვიდრე მკვლელობაო. საინტერესოა, თაღლითობაზე რაღას იტყოდა? ალბათ სასტიკად დამობდა; მით უფრო, რომ თაღლითის როლს ასრულებდა არა კერძო პირი, თუნდაც მაღალი რანგისა, არამედ — სახელმწიფო, და მერე როგორი სახელმწიფო! მსოფლიო ბატონობას რომ ელტვოდა და ფასდაუდებელ სამსახურში კი ყალბ ფულს უხდიდა ერთ ბეჩავ ალბანელს.

დაიხ, ბრიტანეთის ელჩის კამერდინერი ელიეზ ბაზნა (1905-1970) ტომით ალბანელი გახლდათ. მეორე მსოფლიო ომის წლებში მუშაობდა ანკარაში ბრიტანეთის საელჩოს პირველი მდივნის მძლოლად, შემდგომში — ელჩის კამერდინერად. 1943-1944 წლებში გერმანიის საელჩოს გადასცა სრულიად საიდუმლო დოკუმენტები ბრიტანეთის ელჩის რეზიდენციიდან, რაშიც გადაუხადეს 300 ათასი გირვანქა სტერლინგი (ყალბი ბანკნოტებით!). 1944 წელს მიიშალა. ერთხანს ციხეში იჯდა ყალბი ფულის გამოყენებისათვის. ციხიდან გამოსვლის შემდეგ დასახლდა მიუნხენში, სადაც ლამის დარაჯად დაიწყო მუშაობა. 1962 წელს გამოსცა წიგნი „მე ვიყავი ციცერონი“.

უფრო უპირანი იქნებაო

1 შრომის წითელი დროშის ორდენი, სუ- ვოროვის და კუტუზოვის ორდენები, აგ- რეთვე — მონღოლური წითელი დროშის ორდენი და პოლონური გროუნვალდის

ერთხელ უკვე მოგახსენებდით, საბ- ჭოთა რუსეთში ერთხელაც გვარების გა- მოცვლის ეპიდემიამ რომ იფეთქა. 1937 წელს საკავშირო გაზეთი „იზვესტია“ ლამის ყოველდღე აქვეყნებდა იმ მოქალაქეთა სიებს, რომლებიც ხე- ლის ყოველგვარ ევედრებოდნენ, ახალი გვარი დამიკანონეთო.

ადვილი მისახვედრია, თუ რატომ იცვლიდნენ გვარს, მაგალი- თად, ესენი: დურაკოვ (ე.ი. შტერაძე), გრობოვ (კუბოშვილი), ბლია- დიკ (ბოზაძე), გნოევი (ჩირქოვანი), ბარან (ცხვარი) და ა.შ.

ზოგსაც თავისი გვარის უღერადობა არ მოსწონდა. ასე მაგალი- თად, როსტოველმა გზგზინამ თავი რომ მოაბეზრა ნაცნობ-მეგობ- რებს, მოკრძალებით ითხოვა, ნება მომეცით, გიზგიზოვი გავხდეთ (განა არა სჯობს ძნელად გამოსათქმელ გზგზინას?).

გამოსაცვლელ გვართა შორის პირველობა, საგრძნობი უპირატე- სობით, ენიჭებოდა „ტროცკის“. ოქტომბრის რევოლუციის მთავარი ორგანიზატორი უკვე გაძევებული იყო საბჭოეთიდან და მისი მოგვარე- ბა დაიხაც სამარცხვინო და, რაც მთავარია, სახიფათო გამხდარიყო.

როდესაც მოქალაქე თავად ითხოვს ხელისუფლებისგან გვარის გამოცვლას, ამაში არაფერია დასაძრახი. მაგრამ თუკი მოქალაქეს, რომელსაც არაფერი დაუშავებია პარტიისა და ხელისუფლების წი- ნაში, აძალდებენ და აიძულებენ საკუთარი, მამაპაპისუფლი გვარის უარსაღებ, როგორც რუსები იტყვიან, დალშე ნეკუდა!

აბა თქვენი თავი წარმოიდგინეთ იმ კაცის ადგილზე, რომელსაც უზენაესი დიქტატით, თითქოსდა ორდენი იყოს, ანიჭებენ სხვა გვარს და ამგვარი „გადაგვარება“ სიკვდილამდე უნდა გაჰყვეს.

როგორ მოგეწონებათ განაჩენი, აპელაციას რომ არ ექვემდებარ- ება?

...ლავერენტი თომას ძე ჯანჯღავა დაბადებულა 1900 წელს სოფელ ნახუნაოში — სენაკის მაზრა, ქუთაისის გუბერნია. სწავლობდა თბი- ლისის პირველ გიმნაზიაში. კომპარტიის წევრია 1920 წლიდან. თავ- დანივე ჩეკაში მოღვაწეობდა. იყო ჩეკას უფროსად სენაკის მაზრაში (1921 წ.), თიანეთის მაზრაში (1922 წ. პირველ ნახევარში), თელავის მაზრაში (იმავე წლის მეორე ნახევარში), ბორჩალოს მაზრაში (1923 წ.).

ჩეკას უფროსი იმხანად სისხლისმღვრელ ბრძოლებს რას გადა- ურჩებოდა და ლავრენტი ჯანჯღავა გამონაკლისი არ ყოფილა. სე- ნაკში ყოფნისას 11 ქრილობა მიუღია. მომდევნო წელს, ჩოლოკაე- ვის ბანდასთან (ე.ი. ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმთან) — 4 მძიმე ქრილობა. 1924 წელს, ე.წ. „ანტისაბჭოთა აჯანყების“ ჩახშობისას — 5 მძიმე ქრილობა.

მერე ხანგრძლივი დასვენება-შესვენება და 1941 წელს, დიდი სა- მამულო ომის დაწყებისთანავე, დასავლეთის ფრონტზე — მძიმე ქრილობა და კონტუზია.

ქრილობებზე არანაკლები ოდენობით მიუღია მთავრობის ჯილ- დობები: 5 ლენინის ორდენი, 4 საბრძოლო წითელი დროშის ორდენი,

ორდენი. წოდებანი: 1940 წ. — სახელმწიფო უშიშროების მე-3 რანგის კო- მისარი; 1945 წ. — გენერალ-ლეიტენანტი.

1925-1938 წლებში მუშაობდა სხვადასხვა პარტიულ და სამეურ- ნეო თანამდებობებზე. 1937 წელს დაუშთავრებია ოდესის პედაგო- გიური ინსტიტუტი.

თქვენ წარმოიდგინეთ, მის მრავალფეროვან ბიოგრაფიაში ერ- თი რომანტიკული ეპიზოდიც შეჭრილა. თურმე სატრფო გაუტაცია (თავადის ქალი იყო და არ ატანდნენ) და ცოლად შეურთავს. ამის გა- მო პარტიიდან გაურიცხავთ და ხუთი წლის პატიმრობაც მიუსჯიან. მაგრამ გაექცა მართლმსაჯულებას და ფირალივით ტყეში იმაღე- ბოდა. ლავრენტი ბერია გამოჰქომაგებია და მისი შუამდგომლობით პარტიაშიც აღუდგენიათ.

1938 წლის 17 დეკემბერს, იმავე ბერიას თაოსნობით, ლავრენტი თომას ძე ჯანჯღავა დაუნიშნავთ ბელორუსიის შინაგან საქმეთა სა- ხალხო კომისარად.

აი, სად არის ძაღლის თავი დამარხული! სწორედ მაშინ მომხდა- რა, რაც მომხდარა. გნებავთ დაიჯერეთ, გნებავთ ნუ დაიჯერებთ...

თურმე თვით იოსიფ ვისარიონოვიჩს უთქვამს ჯანჯღავასთვის: ბელორუსებს შენი ჯანჯღავა გვარის წარმოთქმა გაუჭირდებათ და უფრო უპირანი იქნება, ცანავად გადაგაფორმოთო. შენთვის რა გან- სხვავებაა, ჯანჯღავა იქნები თუ ცანავაო?!

ამხანაგო სტალინ, ვემსახურები საბჭოთა კავშირსო, — უმაღლე გაუცია პასუხი ჯანჯღავაყოფის.

კარგა ხანს ემსახურებოდა ბელორუსიის უშიშროებას. 1951 წლის 29 ოქტომბერს სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილედ დანიშნეს და 1952 წლის 15 თებერვალს კი უეცრად გა- ათავისუფლეს. რას აკეთებდა 1953 წლის 4 აპრილამდე, როდესაც დააპატიმრეს, ეს ყველაფრისმცოდნე ინტერნეტმაც კი არ იცის.

მისი ძველისძველი მფარველი და ქომაგი, იმხანად ფრიად აღზე- ვებული ლავრენტი ბერია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდი- უმს დანწერილებით მოახსენებდა, როგორ გამოასალმეს წუთისო- ფელს (უშუალოდ სტალინის დავალებით) სახელგანთქმული ებრაე- ლი საბჭოთა მსახიობი სოლომონ მიხიელის 1948 წელს ქალაქ მინს- კის გარეუბანში — სწორედ ლავრენტი ცანავას აგარაკზე!

განწირა „დიდმა სეხნიამ“.

იმავე წლის ზაფხულში ხრუშჩოვ-მალენკოვ-ჟუკოვის გარჯით დაემხო ბერია. მაგრამ ჯანჯღავა-ცანავა არ გაუთავისუფლებიათ. არც არაფერი მიუსჯიან. როგორც ინტერნეტი გვაუწყებს, 1955 წლის 12 ოქტომბერს გარდაცვლილა ბუტირკის ციხეში.

განსაკუთრებული ხელრთვის შემოქმედი

„არტ-პოლმა“ უმასპინძლა მზია ხეთაგურის საღამოს, რო- მელიც ისევე როგორც ქ-ნი მზიას მოღვაწეობა, მრავალფეროვნე- ბითა და ემოციურობით გამოირჩეოდა. მრავალფეროვნება არც სტუმართა რიგებს აკლდა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა და უძღვებოდა პოეტი ევა ბაქრაძე, რომელმაც აღნიშნა: „ჭეშმარიტი პოეზიის შემფასებელ- სა და მოყვარულს ძალზე კარგად ეხსომება ქ-ნ მზიას შემოქმედე- ბითი კოცონები, ის გახლავთ განსაკუთრებული ხელრთვის შე- მოქმედი, მისი სამყარო ფესვებს ცხინვალში იღებს“.

საპატრიარქოს წარმომადგენელმა, სვეტიცხოვლის საკათედ- რო ტაძრის დეკანოზმა, პოეტმა მამა პეტრემ ამ პოეტის შემოქმე- დობა „ლექსად აკუსულ ტკივილად“ მოიხსენია და იქვე დასძინა: „ჭეშმარიტი პოეზია დიდი ტკივილის გარეშე შეუძლებელია ასე- ბობდეს, მზიას ტკივილი არის ადამიანური, ახლობელი...“

ლექსი ლოცვას ჰგავს, შეიძლება ბევრჯერ ნაიკითხო, მაგრამ თუ გული არ ჩადე ვერ მოშორდები... ჩვენ ქართველებს, განსაკუთ- რებით გვახასიათებს „სამშობლოს ნიჭი“, რომ არა აფხაზეთის, სა- მანაბლოს, ტაოს ტკივილი, ვფიქრობ ასეთი პოეზია ვერ შეიქმნე- ბოდა. სიყვარული გადამდებია, ასევეა პოეზიაც. ჩვენ დღეს ყვე- ლაზე მეტად გვჭირდება ჭეშმარიტი პოეზიის დაფასება.“

განსაკუთრებული ემოციურობა ახლდა მსახიობისა და პოე-

ტის ელდინო სალარაძის მიერ წაკითხულ მოთხრობებს; მისი თქმით: „მზია ხეთაგურის პროზა მოჰგავს მის კალამს.“

ჩოხოსანთა ანსამბლის წევრებმა: ომარ მხეიძემ და ფრიდონ სუ- ლაბერიძემ, გულთბილად მიულოცეს ქ-ნ მზიას საღამო: „შენ ორი ერის შვილი ხარ, ოსებისა და ქართველების, შენს თვალეში ვხედავ- დით დიდ ტკივილს, როდესაც ორ ერს შორის მოხდა განხეთქილება...“

დროადარო ქ-ნი მზიაც კითხულობდა ლექსებს, რომლებიც ყველაზე მეტად გამოხატავს მის სულიერ განცდებსა და ტკივი- ლებს, რომელიც ცხინვალისგან მოსდევს და დღემდე არსებობს მის სულში. რამდენჯერმე როიალიც ააჟღერა.

საღამო ქ-ნ მზიას ეძღვნებოდა თუმცა ის მონაწილე უფრო იყო ვიდრე „გმირი“. ყველაფერს აკეთებდა, რომ დაუვიწყარი ყო- ფილიყო ეს საღამო არა მისთვის, არამედ სტუმრებისთვის. რაც კიდევ ერთი დასტურია მისი გამორჩეულობის.

შეხვედრას კიდევ უფრო მეტი ხიზლი შესძინა ამ კუთხის ადმინისტ- რაციასთან არსებულ ანსამბლ „ნართების“ ოსურ-ქართულმა ცეკვამ.

გორჩა ტალახაძემ და თათია კერესელიძემ შეასრულეს ქ-ნ მზიას ლექზე „ვარზენ“ (სიყვარული ოსურად) დაწერილი სიმღერა.

შეხვედრა ქ-მა მზიამ სიმღერით დაასრულა, თუმცა სტუმართა თხოვნით, სითბოთი და სიყვარულით გულღელტკინებულმა, მიუხე- დავად ფიზიკური მდგომარებისა, არც ოსურ ცეკვაზე თქვა უარი.

თეო კაკანაძე